

K 241558  
3



චාතුරුන්දී තොටෙලාපොලේ

බාරංග්‍යෙකුම්

බාරංග්‍යෙහි ප්‍රකාශනය

ලිඛිත්‍යාක්‍රම ප්‍රකාශනය-කුජලුපිස්‍යාක්‍රම  
මූල්‍ය පාඨමාලා මිශ්‍රණ පිළිගාන්

I

F 80102  
3



# ავთანდინ ნიკოლეიშვილი

ნარგვეგაბი  
ქართველ ეპიკალთა  
ლიტერატურ-კულტურული  
მოღვაწეობის ისტორიიდან

|

ნიკოლე გურგენიშვილი  
დავით გურგენიშვილ  
11.01.03.

ქათამისი

2003



ეროვნული  
გამოცემა

მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით წიგნში ახლებული თვალითა ხელითაა გაანალიზებული რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და ურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. კერძოდ, პირველ და მეორე ნარკვევებში მონოგრაფიულადაა განხილული დავით და გერცელ ბააზოვების შემოქმედებითი მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მესამე და მეოთხე ნარკვევებში კი, პირველად ქართული ურნალისტიკის ისტორიაში, მეცნიერულადა შესწავლილი და შეფასებული საქართველოში გამოცემული პირველი ქართულენოვანი გამეთები - „ხმა ებრაელისა“ და „მაკავეველი“.


დავით და გერცელ ბააზოვებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, რომლებიც პირველად 1995 წელს გამოიცა ცალკე წიგნად, ამჯერად საფუძვლიანად გადამუშავებული სახით მიეწოდება მკითხველს. 1995 წელს გერცელ ბააზოვებები დაწერილმა მონოგრაფიამ საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქართულენოვანი ებრაული კაზეთის - „მენორას“ მიერ გამოცხადებულ ერთობლივ კონკურსში პირველი პრემია დამსახურა.

წიგნი ეძღვნება დავით ბააზოვის დაბადებიდან 120 და გერცელ ბააზოვის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღებს.

რედაქტორები: გ. ურამ გათიაშვილი (საქართველო)  
დანიელ სანანაშვილი (ისრაელი)

რეცენზენტი კოლინა გაგარინი (ისრაელი)

ISBN 99928-79-81-5



© ქათაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა

საქართველო
კართულენტის
ეროვნული
2023 წლის 1 იანვრის

K244558

# დავით ბაბურე



მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე დავით ბააზოვი, ფაქტობრივად, პირველი ქართველი ებრაელი პუბლიცისტი იყო, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოში ორ ათასწლეულზე მეტი წესის განმავლობაში მცხოვრები ებრაელების კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინებასა და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თავისი აქტიური პრაქტიკული საქმიანობითა და იმდროინდელ ქართულ თუ უცხოურ პრესაში დასტამბული წერილებით მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა კულტურული განვითარებისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში.

მთელი შეგნებული ცხოვრების მანილზე იგი შეუპოვარი თავდადებით იღვწოდა სიღუხჭირის, უმეცრებისა და ინტელექტუალური ჩამორჩენილობის ჭაობში ჩაფლული თავისი მოძმეულების სულიერ-სარწმუნოებრივი შეგნების განსამზეცებლად და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად. ფაქტობრივად, იგი იყო ამ დიდი ეროვნული საქმიანობის თავკაცი და წინამდლოლი, ვისაც თვით ებრაელთა შორისაც კი ძალზე ცოტა თუ უთანაგრძნობდა და ედგა გვერდით იმხანად. ძველი, დახავსებული შეხედულებებით შებოჭილი ბევრი მისი თანამემამულე არა თუ არ იზიარებდა დავით ბააზოვის კულტურულ-საგანმანათლებლო მრწამსს, არამედ გააფთრებითაც კი იბრძოდა მის წინააღმდეგ და ნაციონალიზმსა და ეროვნულ განკერძოებულობაში დებდა ბრალს.

ამდაგვარი უმაღურობის, თავისივე ხალხის წინაშე მრავალგზისი დაბეჭდებისა და ათასგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, დ. ბააზოვი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგული დასახული მიზნისა და გაუმართლებელ კომპრომისებზე არასოდეს წასულა. ასეთი თავდადებული მოღვაწეობის საფუძველს წარმოადგენდა შეუვალი რწმენა იმისა, რომ მისი ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა ქართველ

ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისადმი ფქო  
მიმართული და ამ უზენაესი იდეალისათვის განვითარებული მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა.

დ. ბააზოვის აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული მის პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან. ქართული კულტურის ისტორიაში ის იმ პირველ ებრაელ პუბლიცისტად მოგვევლინა, რომლის კვალდაკვალ შემდგომში არაერთი ებრაელი მწერალი და პუბლიცისტი შემოემატა ჩვენს ლიტერატურას. მათგან, პირველ ყოვლისა, დავითის შვილი – გერცელ ბააზოვი უნდა დავასახელოთ, 20-30-იანი წლების ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მამის ტრადიციების უდირსეულესი გამგრძელებელი.

მრავალისმთქმელია ის ფაქტი, რომ დ. ბააზოვის პუბლიცისტის-ურნალისტური მოღვაწეობის უმთავრესი თემა საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა წინაშე მდგარი ეროვნული პრობლემატიკა აღმოჩნდა. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, იგი მხოლოდ ვიწრო ეროვნული მიზანსწრაფვით შემოფარგლულ მოღვაწედ მიგვეჩნია. მისი პუბლიცისტიკის ეროვნულ-პრობლემატური თვალთახედვა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული იმ პერიოდის ქართულ და საერთაშორისო მოვლენებთან. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დ. ბააზოვი, როგორც პუბლიცისტი, არასოდეს კარგავს მოვლენათა კრიტიკულ-რეალისტური განსჯის გრძნობას, პაერში გამოკიდებულ ფანტაზიორს არ ემსგავსება, ვითარებას სიღრმისეულად აანალიზებს და მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.

მიუხედავათ იმისა, რომ მის პუბლიცისტურ წერილებში დასმული არაერთი საკითხი კონკრეტული სინამდვილის გამოძახილია, ისინი თავიანთი მასშტაბურობითა და აქტუალობით დღევანდებული მკითხველის ინტერესების სფეროშიც არიან მოქცეულნი და მარტო ისტორიული თვალთახედვით როდი იქცევენ ურადღებას. პუბლიცისტი ცდილობს ნათელი წარმოდგენა შეგვიძენას მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების რთულ საზოგადოებრივ

ვითარებაზე და სიღრმისეულად წარმოაჩინოს იმხანად  
როგორც ჩვენში, ისე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს  
მოვლენების შინაგანი ბუნება.

დ. ბააზოვის პუბლიცისტური მემკვიდრეობისა და  
საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათების დროს  
საზგანმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თავისი აქტიური  
საზოგადოებრივი საქმიანობის მთავარ მიმართულებად მას  
მუდამ ჰქონდა დასახული ქართველ და ებრაელ ხალხებს  
შორის საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული საუკეთესო  
ტრადიციების შემდგომი განმტკიცება და განვითარება.  
საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ეროვნულ ბედზე ფიქრი  
მის პუბლიცისტიკაში განუყოფელადაა დაკავშირებული  
ქართველი ერის მომავალთან.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბააზოვის ეროვნული  
დამსახურების წარმოჩენას საქართველოშიცა და ისრაელშიც  
ამ ბოლო ხანს არა ერთი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა,  
ამ თვალსაზრისით გასაკეთებელი სამომავლოდაც ძალზე  
ბევრია. კერძოდ, მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის ერთი  
ნაწილი დღემდე უცნობია, ანდა ნაკლებად ხელმისაწვდომი  
ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

დავით ბააზოვის ქალიშვილის – ფანის სიტყვებით თუ  
ვიტყვით, „ცოტას თუ წაუკითხავს რამე მისი მდიდარი და  
მრავალმხრივი პუბლიცისტური ნაწარმოებებიდან, რომლებშიც  
ღრმა თანმიმდევრობით აისახა მისი რთული, მღელვარე და  
დააბული მოღვაწეობა, მიმართული საქართველოს  
ებრაელობის მრავალსაუკუნოვანი ძილისაგან  
გამოფხილებაზე, მის კულტურულ-ეროვნულ აღორძინებაზე  
და დიასპორის ებრაელობის ერთიანობის იდეის  
განხორციელებებზე“.

დავით ბააზოვის მოღვაწეობისა და პუბლიცისტური  
მემკვიდრეობისადმი ინტერესმა განახლებული ძალით თავი  
გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იჩინა. ამ დროიდან  
მოყოლებული საქართველოშიცა და ისრაელშიც მრავალი  
ისეთი ნაშრომი გამოქვეყნდა, რომლებშიც დ. ბააზოვის  
დვაწლის ბევრი ახალი მხარე წარმოჩენილი. ამ

თვალსაზრისით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ფანი და პოლინა ბააზოვების, გიორგი ციციშვილის, ბესარიონ მეტარების, დანიელ ხანანაშვილის, შალვა წიწუაშვილის, გურამ ბათიაშვილის, გერმონ წიწუაშვილის, თამარ კეჩერაშვილის და სხვა ებრაელ და ქართველ ავტორთა დამსახურება.

მათგან პირველ ყოვლისა მაინც ფანი და პოლინა ბააზოვების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წვლილი მინდა გამოვყო. მხედველობაში მაქვს 1976 წელს ისრაელში გამოცემული კრებული „დავიდ და გერცელ ბააზოვები“ (შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ფანი ბააზოვმა, იერუსალიმი, 1976 წ.) და პოლინა ბააზოვის წიგნი „ფურცლები წარსულიდან“. ბააზოვების ოჯახიდან“ (თელავივი, 2000 წ.). ფანი და პოლინა ბააზოვების დასახელებული წიგნები დავით და გერცელ ბააზოვების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის გზაზე სრულიდან ახალი ეტაპის დამკვიდრებას უდებენ სათავეს.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დანიელ ხანანაშვილის განუზომლად დიდი დამსახურება როგორც საზოგადოდ ქართველ ებრაელთა ისტორიის, ისე კონკრეტულად დავით ბააზოვის ცხოვრების კვლევისა და ახალი დოკუმენტური მასალების მოძიებისა და გამომზეურების საქმეში. 2001-2002 წლებში გაზეთ „მენორაში“ (იხ. „მენორა“, 2001 წ. №14, 15, 16, 17, 18, 19 24, 2002 წ. №1, 2, 3, 5, 8, 9, 10) გამოქვეყნებული მისი წერილების სერიით - „დავით ბააზოვის უცნობი წერილები და ბიოგრაფიული მასალები“ - მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო დავით ბააზოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, დავით ბააზოვის დვაწლის წარმოსაჩენად სამომავლოდაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. წინამდებარე ნაშრომის ავტორის უმთავრესი მიზანია მანაც სცადოს თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა ამ დიდი საქმის მოგვარებაში.

Irrespective of such ingratitude and numerous contradictions, D. Baazov had stayed the adherent of his goal to the end of his life, and he had never compromised. The foundation of his selfless activities was his strong belief that his deeds were addressed to the strengthening of the national self-consciousness of the Georgian-speaking Jews, and that it would have been unjustifiable to abandon this supreme ideal.

D. Baazov's public activities were inherently associated with his publicistic work. As it was said, in the history of Georgian literature, he appeared to be the first Jewish writer who was later followed by a number of Jewish men-of-letters. Among them, David's son, Gertzel Baazov should be named, who was one of the outstanding representatives of the Georgian literature in the 1920-30s, and a worthy successor of his father's traditions.

It is noteworthy that the main issue in D. Baazov's writings was the national problem faced by the Jews living in Georgia. He chose journalism in order to express his ideas, and conversed with readers acutely, clearly and unambiguously.

It would not be right to consider D. Baazov to have been concentrated only on narrow nationalistic purposes. The nationalistic standpoint in his writings is inherently linked with the events going on in Georgia and in the world in that period of time. It should also be mentioned here that D. Baazov, as a publicist, has never lost the sense of the critical and realistic analysis of events, has never become a groundless visionary, has always given an in-depth analysis of a situation, and has always established his ideas based on rich factual data.

Despite of the fact that the problems posed in this articles were the echoes of concrete realia, with their significance and urgency they are interesting for a contemporary reader too, and they attach our attention not only with the historical viewpoint. The publicist tries to give a clear picture of the complex public situation of the 1910s-20s, and to depict the inner essence of the events going on both in Georgia and in many countries of the world.

In the analysis of D. Baazov's publicistic heritage and public activities, it should be emphasized that the main direction of his public activities was the further strengthening and development of the centuries-long best tradi-

ებრაელობა. ისინი აქაც ვაჭრობას მისდევენ. ფნი ებრაელებში იშვიათად შეხვდებით ინტელექტუალური პრესის მოიპოვება ერთი კაციც, რომ საშუალო განათლება პქონდეს მიღებული. აქვთ ერთადერთი დაწყებითი სასწავლებელი ასწავლიან მხოლოდ ებრაულს... 1902 წელს ონში დანიშნეს რაბინად დავით ბააზოვი. დავით ბააზოვი ცხინვალიდან არის მან მოსვლისთანავე ყურადღება მიაქცია ონის ებრაელთ უნუგეშო მდგომარეობას, შეუდგა რა სკოლის დაარსების საქმეს. დიდის ძალისხმევით დააარსა იგი 1904 წელს. ონის სკოლის მსგავსი ებრაელებს საქართველოში არა „აქვთ“ (დ ხანანაშვილის პუბლიკაცია. გაზ. „მენორა“, 2001 წ. მაისი №9).

მაგრამ, როგორც დ. ხანანაშვილის მიერ გამოქვეყნებული უცნობი პუბლიკაციებიდან ჩანს, გარდა მხარდაჭერებისა, დ. ბააზოვს იმხანად ბევრი მოწინააღმდეგეც პყავდა, რომლებიც მის საგანმანათლებლო საქმიანობას უარყოფითად აფასებდნენ და მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, იმავე 1909 წელს გაზეთ „გარსკვლავში“ ესდეს ხელმოწერით გამოქვეყნებული ინფორმაციის ავტორი ონში დ. ბააზოვის საქმიანობას შემდეგნაირ შეფასებას აძლევს: „დ. ონის ებრაელებიც ძალიან უნუგეშო მდგომარეობაშია. მათ ყორანივით თავს დასხსავის მათი რაბინი დ. ბააზოვი, რომელიც ყოველგვარ სისასტიკეს, იჩენს საწყალ მცხოვრებლებზე. ეს საზოგადოების პარაზიტები სულს უხუთავენ მოზარდ თაობას თავისი ახალშემოღებული კანონებითა და მეტის გაიძვერობით სტანჯავენ და აწვალებენ საბრალო ხალხს. ეს ვაჟბატონი ამასთანავე პროვოკატორიცაა. შურს აგდებს ქართველ-სომეხთა და ებრაელთა შორის. უკრძალავს ახალგაზრდა ებრაელებს მათთან გავლას... ამნაირად ეს ვაჟბატონი ტორმოზია „ხალხის წინმსვლელობის და საზოგადოების პარაზიტი გამხდარა. დრო არის, ყველა თავის მოქმედებას ჩაუფიქრდეს“ (იქვე).

მიუხედავად მშობელი ხალხისადმი დიდი სიყვარულისა, დ. ბააზოვი ვიწრო ნაციონალისტური მისწრაფებებით შებოჭილი პიროვნება არ ყოფილა და იგი ქართველი ერის ინტერესების დასაცავადაც იღვწოდა აქტიურად. ნათქვამის



დასტურად აქ მინდა კიდევ ერთხელ მეც გავიხსენო ერთი ლირსახსოვარი ფაქტი მისი ბიოგრაფიიდან: 1918 წელს საქართველოს ახალციხეში რაბინად ყოფნის პერიოდში, დ. ბააზოვმა დიდი როლი შეასრულა თურქების სისხლიანი თარეშისაგან იქაური ქართველების გადარჩენის საქმეში.

როგორც ცნობილია, თურქეთს ამ დროისათვის საქართველოს მიმართ საკმაოდ აგრესიულად გამოხატული ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა და ყოველნაირად ცდილობდა ქართული მიწების მიტაცებას. „დავით ბააზოვმა, გამოიყენა რა თავისი გავლენა და მეგობრული დამოკიდებულება ქალაქ ახალციხის მაკმადიანთა სულიერ ხელმძღვანელ კაზი-ალი ეფენდისთან, შეძლო სისხლიანი თარეშის ვითარებაში თურქების ცეცხლის ქვეშ ეხსნა არა მარტო ებრაელობა, არამედ მრავალ ქრისტიანთა სიცოცხლე. ამის შემდეგ ასეულები მიღიოდნენ მასთან მისდამი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად“ (პ. დოლდშტეინი, დასახ. წიგნი, გვ. 16-17).

ამ ფაქტთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოგონებას გვაწვდის გენერალი შალვა მალლაკელიძეც, რომელიც იმხანად რუსეთის დროებითი მთავრობის საგანგებო სამხედრო რწმუნებული იყო იმ რეგიონში. მისი თქმით, „ქართველი და სომები მოსახლეობისათვის ამ საბერისწერო დღეებში მათი ძარცვაგლეჯისა და დაბევისა, საჭირო იყო მფარველი და ასეთიც აღმოჩნდა. ეს პიროვნება იყო დავით ბააზოვი. საარგებლობდა რა ის დიდი ავტორიტეტით თვით მუსულმანურ წრეებში, განსაკუთრებით მეგობრობდა რა ყაზი ალი-ეფენდის, უმაღლეს მსახურს მაკმადისას ახალციხესა და მის მაზრაში, დავით ბააზოვის პირადი ჩარევითა და შუამდგომლობით ბევრი ქრისტიანი მცხოვრები სიკვდილს გადარჩა. ამით მან ადგილობრივ ებრაელობასაც დიდება და პატივი დაუმჯკიდრა, რომლის ღირსეული მესვეური და პატრონი მუდამ იყო“ (ფ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ. 132-133).

დ. ბააზოვს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ქართულენოვანი ებრაული გაზუთების გამოცემის საქმეშიც. მისი აქტიური მცდელობისა და თანამონაწილეობის შედეგად

1918 წელს ქუთაისში გამოვიდა „ხმა ებრაელისა“, 1924 წლის კი თბილისში „მაკაველი“.

დ. ბააზოვი არ ყოფილა მხოლოდ სიტყვიერი ქადაგებებით შემოფარგლული პიროვნება. იგი ყველანაირად ცდილობდა პრაქტიკულადაც შეესხა ხორცი თავისი იდეებისათვის და მრავალსაუკუნოვანი გონიერივი მთვლემარებისაგან დაეხსნა ქართველი ებრაელობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მოღვაწეობა საქართველოში ებრაული სკოლების გასახსნელად. ებრაელი ერის საუკეთესო შეილებთან ერთად, მან ბევრი რამ გააკეთა საამისოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდსა და ოციან წლებში.

ფანი და პოლინა ბააზოვების წიგნებში გამოქვეყნებული მასალებით მკითხველისათვის ნათელი ხდება ბააზოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანამდე უცნობი მრავალი მხარე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მის აქტიურ კავშირს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სიონისტებთან, სიონიზმის საერთაშორისო კონფერენციებსა და შეკრებებში მონაწილეობას და ფარულ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირში არსებულ იაგდაკვეშა სიონისტურ ორგანიზაციებთან. დ. ბააზოვის მთელი ეს თავდადებული მოღვაწეობა, ესოდენ სარისკო და საჩიფაოო მისი სიცოცხლისათვის, მშობელი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერ მომავალზე ოცნებით იყო შთაგონებული. ახალი ეპოქალური სინამდვილის მესვეურთა მიერ სიტყვიერად დეკლარირებულმა ლოზუნგებმა საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული თანასწორობის შესახებ ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად თავდაპირველად დ. ბააზოვსაც გაუდვივა იმედი მშობელი ხალხის ეროვნულ-პატრიოტული იდეალების რეალური აღსრულებისა. სწორედ ამ იმედით ფრთაშესხმულმა დაიწყო მან განახლებული ენერგიით მოღვაწეობა ქართველ ებრაელთა ეროვნული ინტერესების დასაცავად და ხორცშესასხმელად ოციანი წლების დასაწყისში, მაგრამ ცხოვრებისეულმა სინამდვილემ მალე დაარწმუნა იმაში, რომ ხელისუფლების



მიერ დეკლარირებული პრინციპები და რეალობა ხშირ /  
შემთხვევაში დიამეტრალურადაც კი განსხვავდეს შრომული  
ერთმანეთისაგან.

უფრო მეტიც, მას არა თუ მისი ეროვნული იდეალების რეალური ადსრულებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა - არ ეძღვოდა, პირიქით, მასზე, როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრინციპების მქონე პიროვნებაზე, სათანადო ორგანოებს - მკაცრი ზედამხედველობაც პქონდათ დაწესებული. პ. ბააზოვის ინფორმაციით, ოციანი წლებიდან მოყოლებული, დ. ბააზოვს „სისტემატურად ადგენებდნენ თვალყურს. ყოველი მისი ნაბიჯი თუ საქმიანობა ფიქსირებული გახლდათ გარკვეულ ორგანოებში და ასე გრძელდებოდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე“ (პ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ. 58).

დ. ბააზოვის უზენაესი ეროვნული იდეალი ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა იყო. იგი, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებდა, ამ ოცნების ხორცშესახსენებლად და ყველანაირად ცდილობდა ორი ათასზე მეტი წლის წინათ მშობლიური მიწიდან იძულებით აყრილი და მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელობა კვლავ დაბრუნებოდა თავის სამშობლოს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ასეთი ფაქტი მისი ბიოგრაფიიდან: 1925 წელს, დიდი წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ, დ. ბააზოვმა და ნ. ელიაშვილმა მიიღეს უფლება ქართველ ებრაელთა ერთი ნაწილის ემიგრაციისა ისტორიულ სამშობლოში. ამ ნებართვის მისაღებად ისინი თავად იმყოფებოდნენ ერეც-ისრაელში (მაშინდელ პალესტინაში), საიდანაც ჩამოიტანეს ასობით სერთიფიკატი ებრაელთა გამგზავრებაზე, რის შედეგადაც წინაპართა სამშობლოს დაუბრუნდა ქართველ ებრაელთა პირველი ჯგუფი 50 ოჯახის შემადგენლობით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროცესი მალე შეწყდა, ვინაიდან ხელისუფლებამ მოულოდნელად აკრძალა ებრაელთა შემდგომი მიგრაცია.

მოვლენათა არსში გარკვეული მკითხველისათვის ალბათ სრულიად ზედმეტია იმის ახსნა-განმარტება, რაოდენ სახიფათო და სარისკო იყო ეროვნულ-პატრიოტული

ინტერესების ამდაგვარი ქომაგობა იმხანად. იმ დროს, როცა ინტერნაციონალიზმის იდეების გამაფეტიშებელი ადგენერატორი ხელისუფლება ყველა გზასა და საშუალებას უკენებდა ეროვნული ცნობიერების დასათრგუნად, მოულოდნელი არ იყო, დავით ბააზოვის პატრიოტული მიზანს წრაფვა ნაციონალიზმის გამოვლინებად და ბოლშევიკური ეპოქისათვის პრინციპულად მიუღებელ თვალთახედვად მიეჩნიათ.

ასეც მოხდა: ოციანი წლების მეორე ნახევრიდან, ქვეყანაში იდეოლოგიური დიქტატურის გამკაცრების დროიდან, ბააზოვების ოჯახის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები საბედისწეროდ იწყებს გაძლიერებას. მოახლოებული უბედურების მაუწყებელი ინფორმაციები ამ დროიდან მოყოლებული პრესის ფურცლებზეც ჩნდება. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გაზეთ „კომუნისტის“ 1927 წლის 26 მაისის ნომერში ებრაელი სტუდენტის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „რა ხდება ებრაელთა ქუჩაზე?“, რომელიც დ. ბააზოვისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ წაყენებული საბრალდებო დასკვნის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წერილი რესპუბლიკის ცენტრალურ პარტიულ ორგანოში დაიბეჭდა, ადვილი წარმოსადგენია რა დიდი საშიშროების წინაშეც იდგნენ დავით ბააზოვი და მისი შვილები იმხანად ხელისუფლების მხრიდან.

მეტი სიცხადისათვის მოგიშველიოთ ფრაგმენტები დასახელებული წერილიდან: „თბილისის ებრაელობას ამ ოთხი წლის წინათ მოევლინა თავისი ოჯახით ვინმე დავით ბააზოვი... ის შემქობილია ყველა იმ საზიზდარი თვისებებით, რომელიც ახასიათებს ყოველი სარწმუნოების სასულიერო პირებს. ჩამოვიდა თუ არა ის თბილისში, მან თავისი ველური მოქცევით შეცდომაში შეიყვანა ნაწილი მშრომელი ინტელიგენციისა. მათ არწმუნებდა თავის პროგრესისტობაში“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2002 წ. მაისი №10).

წერილის ავტორის შეფასებით, დ. ბააზოვი „მეტად დახელოვნებული ავანტიურისტი“ იყო, „ებრაელი



შავრაზმელების „წამქეზებელი მშრომელი ინტელიგენციის წინააღმდეგ“, რომელიც „სინაგოგის ტრიბუნაზე მოხერხებულად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ მისაწოდებლად. მის აღმფორებას კიდევ უფრო ზრდიდა ის გარემოება, რომ მას „გვერდში ამოუდგა არა ნაკლები „ბაზოვი“, მისი შვილი გერცელი, ტერორის ქვეშ ჩააყენა მთელი ებრაელობა“.

წერილის ბოლოს კი ნათქვამი იყო: „ინტელიგენცია, ახალგაზრდობის აქტივი, პარტიული აქტივი უძლური რჩებიან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭიროა სერიოზული ზომების მიღება. ბაზოვების „დინასტია“ უნდა იქნას აღმოფხვრილი ერთხელ და სამუდამოდ“.

როგორც დ. ხანანაშვილის მიერ მიკვლეული საარქივო დოკუმენტით ხდება ცხადი, დ. ბაზოვის წინააღმდეგ მიშართული ბრძოლის ეს კამპანია იმით დასრულდა, რომ 1928 წელს იგი დააპატიმრეს და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუხსაჯეს. 1929 წლის 3 აპრილს თბილისის სასამართლომ მსჯავრდებულს პატიმრობა ერთი წლის პირობითი სასჯელით შეუცვალა (იქვე).

დავით ბაზოვისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ მიმართულმა დევნა-შევიწროებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა 30-იანი წლების მეორე ნახევარში, რასაც შედეგად 1938 წელს ჯერ გერცელის დაპატიმრება მოჰყვა, შემდეგ კი, იმავე წელს, დავითისა და მისი მეორე ვაჟის – ხაიმისა. მდგომარეობას უაღრესად ამწვავებდა ის გარემოება, რომ სამივე მათგანი პოლიტიკური ბრალდებებით იყო დაპატიმრებული.

ფანი და პოლინა ბაზოვების წიგნებში მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით უაღრესად შთამბეჭდავადაა მოთხოვნილი ამ დიდი ტრაგედიის ამბავი. მამისა და მემკის მდგომარეობით შეძრწუნებულმა ფანიმ, რომელიც პროფესიით იურისტი იყო, უყოფმანოდ თქვა უარი პირად ოჯახურ ბედნიერებაზე, ლენინგრადში (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი) მცხოვრები ახლადშერთული მეუღლე მიატოვა, თბილისში ჩამოვიდა და თავისი ცხოვრების

უმთავრეს მიზნად რეპრესირებულთა განთაშის უფლება  
დაისახა.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა იშიძურებულება  
რომ რეპრესიების საშიშროების წინაშე თავად ფანიც იდგა.  
ახლობლებმა და გულშემატკიფრებმა მას საიდუმლოდ აცნობჲს.  
რომ თბილისში მისი დარჩენა საშიში იყო. ამიტომაც იგი  
ერთ ადგილს ზედიზედ ორ დამეს ვერ ათევდა და მუდამ  
იცვლიდა ადგილსამყოფელს (პ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ.  
91).

1939 წელს გამართულმა სასამართლომ დავით ბააზოვს,  
როგორც ხალხისა და ქვეყნის მტერს, სასჯელის უმაღლესი  
ზომა – დახვრება მიუსაჯა, მის ვაჟს – ხაიმს კი ხუთი  
წლით თავისუფლების აღკვეთა. ოჯახისათვის უცნობი იყო,  
რა ბედი ეწია გერცელს. როგორც შემდეგში გაირკვა, ამ  
დროისათვის იგი, სამწუხაროდ, კარგა ხნის დახვრებილი  
იყო.

უმთავრესი ბრალდება, რითაც დავით ბააზოვი ხალხისა  
და სამშობლოს მტრად მონათლებს, იმაში მდგომარეობდა,  
თითქოს იგი საქართველოსა და ამიერკავკასიაში სიონისტური  
ორგანიზაციების შექმნის აქტიური ინიციატორი იყო, „დანა-  
შაულებრივ კავშირში მყოფი მსოფლიო სიონიზმის  
ხელმძღვანელებთან“, სიონისტური კონფერენციების  
მრავალგზის მონაწილე. საბრალდებო დასკნაში ისიც  
ხაზგასმით ეწერა, რომ 1925 წელს, შეიყვანა რა შეცდომაში  
საქართველოს ხელისუფლება, მან მოახდინა ქართველ  
ებრაელთა ერთი ჯგუფის ემიგრაცია პალესტინაში. მაგრამ  
შესაბამისი ორგანოების „ფხიზელი“ მუშაობისა და  
აქტიურობის შედეგად სულ მალე მის ამ  
„კონტრრევოლუციონურ“ და „ანტისახელმწიფოებრივ“  
საქმიანობას „ნიღაბი ჩამოგლიჯეს“ და ემიგრაციის ეს  
პროცესი აღკვეთილ იქნა.

საბედისწერო განახენით თავზარდაცემულმა ფანიმ, რომ  
იტყვიან, რეინის ქალამნები ჩაიცვა, სსრ კავშირის უმაღლესი  
სასამართლოს თავმჯდომარესთან – გოლიაკოვთან მისვლა  
მოახერხა და მას მამის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო



განაჩენის აღსრულება გააუქმებინა (პ. ბააზოვი, დასახ. წიგნით გვ. 95). საქმის ხელახალ გადასინჯვას შედეგად სასჯელინ შემსუბუქება მოჰყვა. კერძოდ, დავითს სასიკვდილო განაჩენი ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს.

გადატანილი მოვლენებით ჯანმრთელობა გაუარესებული დავითი საკაცით გაუგზავნიათ ციმბირში, კრასნოიარსკის მხარეში, დასახლება ბოლშაია მურტაში. დავითის ბედით შეშფოთებულმა მისმა მეუღლემ გადაწყვიტა 1941 წელს თავადაც გამგზავრებულიყო ციმბირში და მასაც გაეზიარებინა მისი ტრაგიული ხვედრი.

1945 წელს დავით ბააზოვი მართალია პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ თბილისში ცხოვრების ნება არ მისცეს. მას უფლება არ ჰქონდა 24 საათზე მეტხანს გაჩერებულიყო ამ ქალაქში, რის გამოც იძულებული იყო საარსებო სახსარი სხვაგან ეძებნა. ამიტომაც იგი ჯერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფელ ლიაქში იწყებს მუშაობას, შემდგეგ კი ზესტაფონში.

ამას ემატებოდა ის უსიამოვნებანიც, რომლებიც მისთვის სრულიად დაუმსახურებლად მიუყენებიათ მისივე თანამემამულებს არაერთგზის. ამდაგვარ დამოკიდებულებას იმხანად იმდენად დიდი მასშტაბებიც შეუძენია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იძულებული გამხდარა სალოცავში სიარულიც კი შეეწყვიტა (პ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ. 144).

ასეთ დევნა-შევიწროებაში დაასრულა დ. ბააზოვმა თავისი დრამატული ცხოვრება. იგი გარდაიცვალა 1947 წელს და საფლავში თან ჩაიტანა აღუსრულებელი ოცნება ისტორიული სამშობლოს ფენიქსივით მკვდრეთით აღდგომისა და ხელახლი გაბრწყინებისა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დავით ბააზოვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი დვაწლის დასაფასებლად ისრაელშიც და საქართველოშიც ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა ფასეული და მნიშვნელოვანი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველ დიდ აღიარებად 1976 წელს ისრაელში მთავრობის კოფილი თავჯდომარის – გოლდა მეირის თაოსნობით



გამართული ხსოვნის სადამო იქცა. ისრაელის დაქართველოს ქალაქებში დაარსდა მისი სახელობის ჟურნალი.

1984 წელს ებრაელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დავით ბააზოვის ასი წლის იუბილე. ისრაელში, ქ. ხოლონში გამართულ საიუბილეო საღამოზე, რომელსაც ქართველ და არაქართველ ებრაელთა დიდი წარმომადგენლობა დაესწრო ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მისი ღვაწლის დასაფასებლად.

1998 წელს კი თბილისში, პურის მოედანზე მდებარე იმ სახლს, რომელშიც 1945-1947 წლებში ცხოვრობდა დ. ბააზოვი, მემორიალური დაფა გაუკეთდა, რითაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა ებრაელი ერის ამ სახელოვანი შვილისადმი.

დავით ბააზოვის პუბლიცისტური მოღვაწეობა 1915 წლიდან იწყება. ამ დროიდან მოყოლებული, მისი პუბლიცისტური წერილები საკმაოდ ხშირად იქცდება როგორც ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე („სამშობლო“, „სახალხო ფურცელი“, „ხმა ებრაელისა“, „მაკავეელი“, „კომუნისტი“...), ასევე რუსულ და ებრაულ ჟურნალ-გაზეთებში („ევრეისკაია მისლ“, „ევრეისკაია ზიქნ“, „რაზხვეტ“, „ჰაშილუახ“, „ჰაცერირა“, „ჰაიმ“ და სხვ.). ეს ჟურნალ-გაზეთები, რუსეთიდან და საზღვარგარეთის ხევადასხვა ქვეყნიდან მიღებულ კორესპონდენციებთან ერთად, დაცული ყოფილა დავითის ოჯახურ არქივში. მაგრამ იმ ტრაგიკული მოვლენების შედეგად, რომლებიც არაერთგზის დაატყდა თავს დ. ბააზოვის ოჯახს (მისი და მისი შვილების დაპატიმრებანი პოლიტიკურ-ნაციონალისტური ბრალდებებით), ამ მასალების უდიდესი ნაწილი სამუდამოდ მოისპო და განადგურდა. ვ. ბააზოვის თქმით, „საყოველთაო შიშითა და ძრტოლით შეპყრობილი ახლობლები და მეგობრები“ იძულებული იყვნენ საკუთარი ნებით მოესპოთ და გაენადგურებინათ მათ ოჯახურ არქივებში დაცული ბევრი დოკუმენტური მასალა.

ტრაგიკული აღმოჩნდა ამდენ დავიდარაბას გადარჩენილი დოკუმენტების ხვედრიც. ვ. ბააზოვის მიერ ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ოჯახურ არქივებსა და პერიოდიკა შიკვლეული და შეკრებილი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლი ამჯერად ისრაელში გაგზავნის დროს დაიკარგა გზაში;  
და მაინც, ამ აუნაზღაურებელი დანაკარგის მიუხედავად უკარითოვა  
ის, რაც დროის ქარტეხილებს გადაურჩა და ჩვენამდეა  
მოღწეული, ფასდაუდებელი სიმძიდრეა მეოცე საუკუნის  
როგორც ქართული, ისე ებრაული კულტურის ისტორიისა  
და მას გულისხმიერი შესწავლა, მოვლა-პატრონობა და  
სათანადო დაფასება ჭირდება.

## დავით ბააზოვის შესახებ შექმნილ სამეცნიერო და

მემუარულ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული მისი  
სიონისტობის შესახებ. პეტლიცისტის თანამედროვეებისა და  
მკვლევართა უმეტესობის აზრით, მან უმნიშვნელოვანესი  
როლი შეასრულა საქართველოში (და არა მარტო  
საქართველოში) სიონისტური იდეების პროპაგანდის საქმეში.  
მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ თვალსაზრისს ყველა არ  
იზიარებს (მაგ. ცნობილი მწერალი გ. ბათიაშვილი), ბევრის  
აზრით, დ. ბააზოვი უდავოდ უნდა იქნეს მიწნეული  
საქართველოში სიონიზმის ფუძემდებლად და ამ მოძღვრების  
ერთ-ერთ უთვალსაჩინოებს წარმომადგენლად.

ვიდრე ქვემოთ ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ  
ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით მეც ვიტყოდე რამდენიმე  
სიტყვას, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ის გარემოება, რომ დ.  
ბააზოვისათვის, როგორც თავის ხალხზე უსაზღვროდ  
შეუყარებელი პიროვნებისათვის, ყველა მოძღვრება და  
საშუალება იყო უყოფანოდ მისაღები, რომელიც მას საკუთარი  
ეროვნული იდეალების განხასხორციელებლად გამოადგებოდა.  
ამ თვალსაზრისით გამონაკლისი, ბუნებრივია, არც სიონიზმი  
ყოფილა.

მაგრამ, სიონისტური იდეებით ამდაგვარი გატაცების  
მიუხედავად, დ. ბააზოვი ეროვნულ სეპარატიზმამდე არასოდეს  
მისულა და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა სხვა ხალხების,  
პირველ ყოვლისა კი ქართველი ხალხის დიდად



პატივისმცემელ და მისი ეროვნული ინტერესების საქართველოში დამცველ პიროვნებად. მართალია, იგი შედგენერირდა ახალგაზრდობიდანვე იღებდა ენერგიულ მონაწილეობას საერთაშორისო სიონისტურ ფორუმებში და ოკუპაციურ იმპერია ამ მოძღვრების პრაქტიკული რეალიზებისათვის, მაგრამ ამით ქართულ ცხოვრებისეულ სინამდვილეს არასოდეს მოწყვეტია და ყოველთვის რჩებოდა ქართველ ხალხთან ებრაელობის ტრადიციული კეთილმეგობრული თანაცხოვრების აქტიურ მხარდამჭერად.

ასე რომ, სიონიზმის დავით ბააზოვისეული გაგება იმის აღიარებას არამც და არამც არ ნიშნავს, იგი ვიწრო ეროვნული ინტერესებით შემოფარგლულ იმ პიროვნებად მივიჩნიოთ, რომელიც ქართველ ებრაელთა სამომავლო ცხოვრების ერთადერთ პერსპექტივად მხოლოდ მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასა და სხვა ხალხებისაგან გამიჯვნას მიიჩნევდა.

სიონისტურ მოძრაობაში დ. ბააზოვი ადრეული ახალგაზრდობიდანვე, კერძოდ კი სლუცკის იეჰიბაში სწავლის დროიდანვე, ჩაება დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას პ. ბააზოვის წიგნში გამოქვეყნებული 1901 წელს დაწერილი მიხი ის წერილიც ნათლად ადასტურებს, რომელიც მას მისი მასწავლებლის – მენახემ უსიშკინისადმი გაუგზავნია საქართველოდან (წერილის თამარ მამისთვალოვისეული თარგმანი იხ. პ. ბააზოვის წიგნში, გვ. 242-243).

ფაქტობრივად ეს არის ანგარიში, რომელსაც ახალგაზრდა მოსწავლე თავის მასწავლებელს აბარებს საქართველოში გაწეული სიონისტური საქმიანობის შესახებ. „რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით თბილისში, - წერს დ. ბააზოვი დასახელებულ წერილში, - მე თქვენი სულგრძელი მითითებების მიხედვით განვაგრძობდი მუშაობასა და შუამდგომლობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, სიონისტური იღების დანერგვას, რომელიც ხალას ოქროზე ძვირფასია და სიმართლის თესლის ჩაყრას კავკასიის ხმელსა და უნაყოფო კლდეებზე. ვისწრაფვი გაცნობოთ, რომ მე მომიხდა შეუპოვარი და გააფთრებული



ბრძოლის წარმოება, მაგრამ ღმერთის შეწევნით ყველა დაბრკოლება გადავლახე... ოქენი დაშორებისთანავე ჩამოყალიბების ქუთაისში და გამჩენის დახმარებით ყველაფერი განვუშარტა და ავუსხენი აღგილობრივ ხელმძღვანელობას და ყველამ ერთსულოვნად წარმოთქვა: დავიდი სწორად ამბობს, ჩვენ ვალდებულები ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ საქმეში და დავეხმაროთ ჩვენ დევნილ ხალხს, ისე რომ სხვებს არ ჩამოვრჩეთ და შეიქმნა ის სიონისტთა საზოგადოება... მე იმდი მაქვს, რომ მალე კავკასიის სხვა ქალაქებიც მიბაძავენ ქუთაისის მაგალითს, იქაც გამოიდვიძებენ და გამოფხილდებიან ჩვენი მები ღრმა ძილისაგან, რომელიც რამდენიმე საუკუნეა გრძელდება“.

დ. ბააზოვი იქვე საიმისო მზადეოფნასაც გამოთქვამდა, საჭიროების შემთხვევაში სათანადო დავალებების მისაღებად ქ. ეკატერინოსლავშიც ჩასულიყო დაუყოვნებლივ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ დ. ბააზოვი ამ დროისათვის მხოლოდ 17 წლის ახალგაზრდა იყო, ახლად ფეხშედგმული დიდი ცხოვრების გზაზე, შორეული პროვინციიდან ჩასული კაცი, რომელსაც ჯერ არც საქმარისი განათლება პქონდა მიღებული და არც დიდი სამეგობრო და სანაცნობო წრე პჟავდა შემოკრებილი. ამის მიუხედავად, იგი თავიდანვე ავლენდა როგორც უდიდეს ენთუზიაზმსა და პატრიოტულ ენერგიას, ისე შესაშურ ორგანიზატორულ ნიჭესაც და პრაქტიკული საქმეების კეთების გამორჩეულ უნარსაც.

პირველ ყოვლისა, სწორედ მისი ამდაგვარი აქტიურობის შედეგად გამხდარა შესაძლებელი ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ონსა და საქართველოს სხვა რეგიონებში პირველი სიონისტური ორგანიზაციების შექმნა.

ამ დროიდან მოყოლებული, დ. ბააზოვი ხშირად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა დონის სიონისტურ ფორუმებში. მაგალითად, მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, აქტიური მონაწილეობა მიუღია 1907 წელს პააგაში ჩატარებული სიონისტური კონგრესის მუშაობაში. როგორც ამ კონგრესის ოქმების სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან ჩანს

(იხ. ფ. ბააზოვის კრებული, გვ. 126), ამ ფორუმის 10 და 15 აგვისტოს სხდომებზე დ. ბააზოვი მოხსენებითაც კონფერენციას და კონგრესის მონაწილეებისათვის მოუწოდებია, მხარი და ეჭირათ კავკასიაში სიონისტური აგიტაციის გაძლიერებისათვის.

კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღო მან ბაქოში 1917 წლის აგვისტოში გამართული ამიერკავკასიის სიონისტური კონფერენციის მუშაობაში. აქ დ. ბააზოვი კონფერენციის პრეზიდიუმშიც აურჩევიათ, 24 აგვისტოს სხდომაზე კი მოხსენებითაც გამოსულ ქართველ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ (ფ. ბააზოვის დახას. კრებ. გვ. 123-124). თავის გამოსვლაში მას კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაუმახვილებია საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ისტორიაზე და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მათ აქ „ქართველები მეგობრულად შეხვდნენ“ და ებრაელებსა და ქართველ ხალხს შორის ისტორიულად არანაირ კონფლიქტსა და დაპირისპირებას არ ჰქონია ადგილი.

აქვე, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, დ. ბააზოვმა კონფერენციას ისიც მოახსენა, რომ ქუთაისში ჩამოყალიბებული ებრაელ სტუდენტთა პარტია, რომელიც ქალაქის რაიონების მხარდაჭერით სარგებლობდა, ქართველებთან ებრაელთა ასიმილაციას ქადაგებდა. ისინი ებრაელებს არ სცნობდნენ ცალკე ეროვნებად და მოითხოვდნენ, რომ მათ ესწავლათ მხოლოდ ქართულ სკოლაში და მხოლოდ ქართულ ენაზე. ასე რომ, თუ ამდაგვარი პოლიტიკა გაგრძელდებოდა, რასაც ქართველ ხოციალისტ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილიც უჭერდა მხარს, მაშინ, დ. ბააზოვის აზრით, „საქართველოს ებრაელობა მთლიანი ასიმილაციისთვის იქნებოდა განწირული“.

კონფერენციაზე დ. ბააზოვის ამ გამოსვლას ის პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ებრაელი გაზეთის დაფინანსებაზე, რაც პრაქტიკულად განხორცილება კიდევ 1918 წელს „ხმა ებრაელისას“ გამოცემით.



დ. ბააზოვი ასეთივე აქტიურობით მონაწილეობდა  
 კავკასიელ ებრაელთა მეორე კონფერენციის მუშაობაში 1919  
 რომელიც 1919 წლის ივნისში გაიმართა ბაქოში. ხოლო 1919  
 წლის აგვისტოში თბილისში გამართულმა სიონისტთა კონფე  
 რენციამ იყო ამ კონფერენციის პრეზიდიუმის თავჯდომარის  
 მოადგილედაც კი აირჩია (ფ. ბააზოვის წიგნი, გვ. 128).

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბააზოვი თავდაპირველად ჯერ  
 ონში მოდვაწეობდა, შემდეგ კი ახალციხეში და  
 ტერიტორიულად ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებს  
 მოწყვეტილი იყო, პირველ ყოვლისა სწორედ მისი სამოღვაწეო  
 ადგილები იქცნენ საქართველოში სიონისტური მოძრაობის  
 წარმმართველ ცენტრებად.

აი, რას წერს ამ ფაქტთან დაკავშირებით გერმონ  
 მეგრელიშვილი „სიონიზმის საწყისებთან  
 საქართველოში“ (პ. ბააზოვის დასახ. წიგნი, გვ. 246).  
 „რამდენიმე წენის შემდეგ ჩვენთან ჩამოვიდა ონის რაბინი  
 დავით ბააზოვი. ჩვენში ებრაელებმა მაშინ გაიგეს, რომ  
 არსებობს სიონისტური ორგანიზაცია... რომ დავით ბააზოვი  
 არის საქართველოს სიონისტთა ლიდერი“.

სიონისტური იდეების საქადაგებლად და სათანადო  
 ორგანიზაციების შესაქმნელად დ. ბააზოვი ბევრს  
 მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ  
 მოგზაურობის უმთავრესი მიზანი ხალხში ეროვნულ  
 გრძნობათა გადვივება იყო. ამ შემთხვევაში მხედველობიდან  
 არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რაოდენ დიდი სიძნელეების  
 დაპლევის ფასად ხდებოდა ეს ყველაფერი. გარდა იმისა,  
 რომ ქართველ ებრაელთა უმნიშვნელოვანები ნაწილი თავისი  
 ნაკლებგანათლებულობის გამო იმხანად საამისოდ  
 მოუმზადებელი იყო, ებრაელ რაბინთა ბევრი ავტორიტეტული  
 წარმომადგენელი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა დ.  
 ბააზოვის მიერ ნაქადაგევ სიონისტურ იდეებს და  
 დაუშენებლად თვლიდა ხალხში ეროვნულ გრძნობათა  
 გადვივებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაინც ქუთაისის რაბინი  
 რეუბენ ელუაშვილი აქტიურობდა. გ. მეგრელიშვილის



გადმოცემით, იგი „ათასნაირი საბაბით უკრძალავდა დავით ბააზოვს გამოსულიყო ქუთაისის რომელიმე უკრძალულებელი, რომელთა რიცხვი შვიდი იყო“. კონსერვატორი რაბინების ამდაგვარ მცდელობას ძალასა და სიმტკიცეს ისიც სძენდა, რომ მათი პოზიცია მთავრობის ნებასაც გამოხატავდა. იმპერიის ხელისუფლება არა თუ მხარს უჭერდა ებრაელი ხალხის ეროვნული ცხოვრების გადგივებას, არამედ ძველებურად ადგა ანტისემიტიზმის გზას და დროდადრო მოწყობილი „პოგრომებით“ ებრაელთა ისედაც მძიმე და დისკრიმინაციულ მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქ მკითხველის უურადღება მინდა ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც მივაპყო: ებრაელ კონსერვატორთაგან და ასიმილატორთაგან განსხვავებით დ. ბააზოვის ეროვნულ მოღვაწეობას აქტიურად უჭერდნენ მხარს პროგრესულად მოაზროვნე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი მის სიონისტობაში არა თუ დასაგმობს ვერაფერს ხედავდნენ, პირიქით, მოწონებითაც კი ხვდებოდნენ ამ ფაქტს. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი ია ეკალაძე, რომელიც ია ნარიძის ფსევდონიმით 1913 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „მე ბ-ნ ბააზოვს დაახლოებით ვიცნობ, ვიცი მისი აზრი ქართველებზე და ქართული პრესის ყველა მიმართულების უურნალ-გაზეთებზე. საზოგადოდ იგი ზოგიერთი ჩვენებური ებრაელივით ჩამორჩენილი და ტრადიციული ფანატიზმით დაბრმავებული არ არის. შედარებით ფხიზელი, საღი გონებისა და შეხედულების ადამიანია და პროგნოციულ სიონისტთა მოწინავე რაზმის წევრია“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. მაისი, №9).

დ. ბააზოვის ამდაგვარი აქტიური სიონისტური მოღვაწეობა, ამჯერად უკვე კონსპირაციული ფორმით, საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც გაგრძელდა. აი, რას იგონებს ამასთან დაკავშირებით მწერალი აბრაჟამ კარივი: „საბჭოთა

კავშირის ებრაული იატაპქეშეთის ცენტრის დავალებით მე-  
გახდენდი ივრითის საიდუმლო კურსების ინსპექციას. ამასთან  
დაკავშირებით ხშირად ჩავდიოდი თბილისში... აქ ხშანდობის  
კონტაქტები მქონდა ბააზოვის ოჯახთან“.

თავდაპირველი საქმიანი კავშირი თანდათან გადაიზარდა  
ღრმა, მეგობრულ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ოჯახის  
უფროსთან, ქართული სიონიზმის მამამთავარ დავით  
ბააზოვთან და მის ვაჟთან, მწერალ გერცელთან, რომლის  
თვით სახელი ადასტურებს, თუ რამდენად ძვირფასი იყო  
მამისთვის სიონიზმის მოძღვრება (ფ. ბააზოვის წიგნი, გვ.  
129).

დ. ბააზოვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს  
საქართველოსა და კავკასიაში სიონისტური პროპაგანდისა  
და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში მისი  
ბევრი თანამედროვე უხვამს ხაზს. ამ თვალსაზრისით დაინტე-  
რესებული მკითხველი მრავალ მეტად მნიშვნელოვან მასალას  
გაეცნობა ფანი და პოლინა ბააზოვების კრებულებში.  
მაგალითად, ბარუხ ბართიკვას (კაცენელბოგენის) შეფასებით,  
რაბი დავით ბააზოვი „რუსეთის სიონისტთა ერთ-ერთი  
ცნობილი ხელმძღვანელი“ იყო, „განსწავლული ბრძენი,  
რომელიც თავის ღრმა, მრავალმხრივ ცოდნას ებრაული  
სულის უძირო წიაღიდან იძენდა. როცა იგი სიონისა და  
იერუშალამისე ლაპარაკობდა, რაღაც ღვთაებრივი, წმინდა  
ნაპერწყალი კრთოდა მის თვალებში“ (ფ. ბააზოვი, გვ. 139).

ხოლო მორდეხაი ხანზინის აზრით, დ. ბააზოვმა  
სიონისტური მოძრაობის მამამთავრის პერცელის  
პატრიოტული მოძღვრება და იდეები საქართველოს „ყველა  
იმ მხარეში შეიტანა, სადაც ეწეოდა სიონისტურ-  
საზოგადოებრივ მოღვაწეობას“. იგი „ხალხში აღვივებდა  
სიონისადმი სიყვარულს, ნერგავდა სიონისტური  
თვითშეგნების ფორმებს... იყო საქართველოში სიონისტური  
მოძრაობისა და ებრაელების ხელმძღვანელი, ამაყი, ღრმად  
ფესვგადგმული, თავგანწირული ებრაელებისათვის“ (იქვე, გვ.  
145-146).

მრავლისთვის ის ფაქტი, რომ დ. ბააზოვის სიონისტური



მოდვაწეობის შესახებ ამდაგვარ შეფასებებს ის პიროვნეულები აკეთებენ, რომლებიც ამ საქმეში მათღაც შემონაბრუნვის თანამონაწილენი იყვნენ. გერმონ მეგრელიშვილის შეფასებით, მაგალითად, საქართველოში პირველი სიონისტური ორგანიზაციების დაარსება უწინარეს ყოვლისა ხწორედ დააზოვის მოდვაწეობის შედეგი იყო. მისი თქმით, თავდაპირველად „სიონისტური ორგანიზაცია არ შექმნილა არსად, გარდა ქუთაისისა და ონისა, სადაც ბაზოვი ცხოვრობდა“ (პ. ბააზოვის წიგნი, გვ. 249).

ეს რომ ნამდვილად ახეა, ამას 1908 წელს ისრაელში გამომავალ გაზეთ „სავაცელეთში“ გამოქვეყნებული წერილიც ნათლად აღასტურებს (წერილის გერმონ წიწუაშვილისეული ქართული თარგმანი იხ. პ. ბააზოვის წიგნში, გვ. 255).

წერილის ავტორი ებრაელ მკითხველს დიდი სიყვარულით აცხობს შაბუყოთის დღესასწაულის გასატარებლად ისრაელში ჩასულ ევროპელ ხტუმართაგან ერთ-ერთ ყველაზე საპატიო პიროვნებას – დავით ბააზოვს, რომელსაც დიდ რაბს უწოდებს. მისი შეფასებით, კავკასიიდან მოსული ეს ახალგაზრდა კაცი, რომლის სახელი იმჟამად ბევრისთვის სრულიად უცხობი იყო, „ახლო მომავალში შესაძლოა ისტორიული პიროვნება გამხდარიყო“. დ. ბააზოვის ამდაგვარი აღიარების საფუძველს წერილის ავტორი პირველ ყოვლისა იმაში ხედავდა, რომ მან კავკასიაში წარმატებით „იკისრა ისეთი წმინდა და მძიმე სამუშაოს“ შესრულება, როგორიც იქაურ ებრაელობაში „ისრაელური გრძნობების გამოცოცხლება და მათში თორისა და იუდაიზმის ცოდნის დანერვვა“ იყო. მის: ამდაგვარ მიზანსწრაფვას ძალზე წარმატებულს ხდიდა ის გარემოება, რომ „იგი ცოცხალი, მრავალმხრივი და მუდმივი გავლენის მქონე პიროვნებას“ წარმოადგენდა მთელ საქართველოში. ამიტომაც, გაზეთის შეფასებით, „მისი სახელი კურთხევად დარჩებოდა ისრაელის მატიანეში, როგორც თორის კვალის გამვლებისა კავკასიაში და ისრაელის მნიშვნელოვანი ნაწილის გადამრჩენისა ასიმილაციისაგან“.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს სიონისტურ მოძრაობასთან თავად დ. ბააზოვის პიროვნული

დამოკიდებულების არსება, ქვემოთ შევეცდები ამასთან  
დაკავშირებით უშუალოდ მის მიერ გამოთქმული მოსახულეების  
ბეჭიც გავიხსენო.

თავდაპირველად ამ საკითხმა მოელი სიმწვავით ქუთაისის  
რაბინ ელუაშვილთან დ. ბააზოვის პოლემიკის დროს იჩინა  
თავი. ელუაშვილისა და მისი თანამოაზრების მიერ  
გამოქვეყნებულ დ. ბააზოვის საწინააღმდეგო წერილებში  
ერთ-ერთ უმთავრეს ბრალდებად სწორედ მისი სიონისტური  
მოღვაწეობაა გამოცხადებული. თავის საპასუხო სტატიებში  
დ. ბააზოვმა ცადა ამ საკითხთან დაკავშირებითაც მიეცა  
სათანადო განმარტებები მკითხველისათვის. ამ განმარტებათა  
გაცნობისას ერთი გარემოება იქცევს უურადღებას:

მიუხედავად იმისა, რომ სიონიზმის დ. ბააზოვისეული  
დახასიათების დროს ყოველთვის ცხადად და აშკარად  
ელინდება ამ მოძღვრებისადმი მისი უაღრესად  
პატივისმცემლური დამოყოფებულება, იგი არა მარტო ძალზე  
იშვიათად უსევამს ხასს პირდაპირი ფორმით მის სიონისტობას,  
არამედ გარკვეულწილად თითქოს გაურბის კიდეც ამ კითხვაზე  
ზუსტი პასუხის გაცემას. მეტი სიცხადისათვის დაგიმოწმოთ  
კონკრეტული მაგალითები დ. ბააზოვის წერილებიდან.

ქუთაისის რაბინისადმი გაცემულ პასუხში („სახალხო  
ფურცელი“, 1915 წ. №458) ელუაშვილის მიერ წაყენებულ  
ბრალდებას, რომ იგი „სიონისტია და სურს ჩვენი გამოყოფა  
ქართველებისაგანო“, დ. ბააზოვმა ასეთი კომენტარი გაუკეთა:  
თქვენ „არ იცით, თუ რა მიმართულებისა არიან სიონისტები.  
სიონისტები ებრაელები არიან და ებრაელებმა კი იმისთანა  
სიყვარული და ერთგულება დაუმტკიცეს იმ ერებს, რომელთა  
შორის წილად ხვდათ ცხოვრება, რომ თვით ანტისემიტებმა  
ხმა გაქმინდეს. ჩვენ, ქართველი ებრაელები, იმდენად ვართ  
შეერთებული ქართველებთან და ისე შეთვისებული მათ მიერ,  
რომ ჩვენი დაშორება ქართველებისაგან მხოლოდ თავის  
მტრობა იქნებოდა“.

როგორც ვხედავთ, ელუაშვილის საპასუხოდ დაწერილ  
წერილში დ. ბააზოვი საკითხს მისი სიონისტობის შესახებ  
იმდენად დიპლომატიურად განმარტავს, რომ ამ პასუხიდან

  
ფაქტობრივად არც ჩანს მართლა თვლიდა თუ განები თავის თავს სიონისტად. დ. ბააზოვის პასუხისმომავალი დიპლომატიურ ხასიათს კიდევ უფრო აძლიერებულ ჟრიტი პასაჟიც: მიუხედავად იმ დიდი შეფასებისა, რომელსაც ის სიონისტურ მოძრაობას აძლევს ეროვნული თვალსაზრისით, წერილში ხაზგასმით იმასაც აღნიშნავს, რომ მის საგანმანათლებლო პროგრამაში „სრულიად არაფერი იყო სიონისტური“.

ზემოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს „სახალხო ფურცელში“ (1915 წ. №449) აღნიშნულ პოლემიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნ. ელიაშვილის წერილი, რომელშიც ხაზგამითა ნათქვამი, რომ დ. ბააზოვის მიერ წამოყენებული პროგრამა ებრაელი ხალხის განათლების საქმის მოგვარებას ისახავდა მიზნად და არა სიონისტების კონგრესის მოწვევასა და სიონისტური იდეის გავრცელებას. „რაც შეეხება თვით სიონისტურ იდეას, უნდა მოვახსენოთ ბ. ქუთაისის რაბინს, რომ სიონიზმი არ არის შოვინიზმი და სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მეორეს ჩამოშორდეს სრულიად და მასთან არაფერი დამოკიდებულება არ ჰქონდეს. შეუძლიან ქართველ ებრაელს სიონისტი იყოს, მაგრამ ამასთანავე მძურად ცხოვრობდეს ქართველებთან ერთად. მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდეს და უანგაროდ იღწვდეს თავის კეთილ თავშესაფარ საქართველოს საკეთილდღეოდაც. თუ არა და აწინდელ სარაბინო კრებაში იოტისოდენა ადგილიც კი არ ეჭირა სიონისტურ იდეას“.

მკითხველს, ბუნებრივია, გაუჩნდება კითხვა, რით იყო დ. ბააზოვის ასეთი სიფრთხილე და დიპლომატიურობა განპირობებული? ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ პირველ ყოვლისა იმ ნეგატიური დამოკიდებულებით, რომელსაც კონსერვატიულად განწყობილი პიროვნებები და ანტისემატები იჩენდნენ მსოფლიოში იმხანად ფართოდ გავრცელებული ამ მოძრაობისადმი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანტისემატიზმის პრობლემა არასოდეს დამდგარა რეალურად, დ. ბააზოვი, ეტკიბა, მაინც საჭიროდ თვლიდა საერთო ვითარებისთვის გარკვეული ანგარიში გაეწია,

სიფრთხილე გამოეჩინა და მის წინააღმდეგ მებრძოლ მისიგა  
კონსერვატორ თანამემამულეთა ვნებები თავისი აქტიურობითი ხედმეტად არ გაემძაფრებინა.

მაგრამ ამდაგვარი სიფრთხილე იმას სულაც არ ნიშნავდა, თითქოს დ. ბააზოვი სიონიზმის ეროვნული მოძღვრების ძირითად პრინციპებს არ ისიარებდა და მხარს არ უჭერდა. მისი აზრით, „ებრაელების ეროვნული აღდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, ოუ მას დაუკიტყარ სამშობლოს - პალესტინას აღუდგენდნენ“ („სახალხო ფურცელი“, 1916 წ. №474). ამ უზენაესი ეროვნული იდეალის აღმსრულებელ ყველაზე რეალურ ძალად მას პირველ ყოვლისა სიონისტური მოძრაობა მიაჩნდა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივად, იგი თავის მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა თავადაც გამხდარიყო ამ მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამის გამო დაუკავშირდა იგი სიონიზმის ლიდერებს და თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც და პუბლიცისტური მოღვაწეობითაც ბეჭრი რამ გააკეთა საქართველოში ამ მოძღვრების გასაკრცელებლად. მსოფლიო სიონისტურ ორგანიზაციიებთან დ. ბააზოვის ზემოთ ხაზგასმული სიახლოვის დასტურად აქ მისი ერთი წერილის ის ფრაგმენტებიც მინდა დავიმოწმო, რომელშიც იგი თავადვე გვამცნობს, როგორ მოხვდა სიონისტების ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე: „ერთი ჩემი მეგობარი, ძალიან ენერგიული სიონისტი ქ. ციურისიდან ხშირად მწერდა და მირჩევდა მივმხრობოდი ახალ ჯგუფს. მე იგი მწერდა: „ოუ გინდა, რომ დარწმუნდე ახალი ჯგუფის უპირატესობაში, ჩამოდი და დაესწარი ახალგაზრდებისა და სტუდენტების კონფერენციას, რომელიც მოხდება 1913 წ. ქ. ფრანკფურტში“ („სამშობლო“, 1915 წ. №126).

მართალია, დ. ბააზოვი გარკვევით წერს, რომ მან მართლაც გამოიყენა ეს შემთხვევა და არა მარტო დაესწრო ამ კონფერენციას, არამედ იქ სიტყვითაც გამოვიდა, მაგრამ, როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც ჩანს, იგი არც ამჯერად დალატობს ჩვეულ სიფრთხილეს და გარკვევით არ



ამბობს, მიუხედავად მისი ამდაგვარი სიმპატიისა და თანაგრძნობისა, რეალურად მიემხრო თუ არა ახალი კულტურული სახელით მოხსენიებულ სიონისტურ მოძრაობას.

ეს ყველაფერი რომ სულაც არ ხდება შემთხვევით, ამას დ. ბააზოვის სხვა წერილებიც ნათლად ადასტურებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზეთ „სამშობლოს“ 1916 წლის 399-ე, მე-400 და 402-ე ნომრებში გამოქვეყნებული მისი წერილი „ჩემი პასუხი“ არა „ებ-ლე“, რომელიც ქართველ ებრაელ ასიმილაციონის, პირველ ყოვლისა კი მათი ლიდერის – მ. ხანანაშვილის საპასუხოდ დაწერილ სტატიას წარმოადგენს.

მ. ხანანაშვილმა და მისმა თანამოაზრებმა დ. ბააზოვს იმჯერად ერთხელ კიდევ გაუმეორეს ქველი ბრალდება მისი სიონისტობის შესახებ. ამ ბრალდების საპასუხოდ დ. ბააზოვმა კვლავაც გაუხვა ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი „წმინდა ებრაელია, წამს მისი სარწმუნოება და უსაზღვროდ უყვარს ებრაელი ერი“. მართალია, წერილში იგი კონკრეტულად არაფერს ამბობს სიონიზმთან დაკავშირებით, მაგრამ თავისი ხალხის „ისტორიული ხსოვნიდან“ მოშველიებულ მაგალითებზე დაყრდნობით მოწინააღმდეგებს ნათლად განუმარტავს იმ წმინდა სიყვარულის საფუძველს, რითაც კვალა ჰეშმარიტი ებრაელია სიონთან და მათ ისტორიულ ფეხვებთან შესისხლხორცებული.

სწორედ ამ სიყვარულის წარმოჩენას იხახავს მიზნად დ. ბააზოვის მიერ მოშველიებული ლოცვის ის სიტყვები, რომელთაც ყოველი მორწმუნე ებრაელი წარმოთქამს ხოლმე დაკარგული სამშობლოს გახსენების დროს და თავის ეროვნულ გულისთქმას დათისადმი აღვემენილი ამდაგარი ვეღრებით ამთავრებს: „უფალო დმურთო, გვაკმარე ტირილი სიონზე, გლოვა იერუსალიმზე, დაგვაბრუნე ჩვენ და ჩვენი ერი სიონში, სწრაფად აღგვიშენე იერუსალიმი“. ან კიდევ: „უფალო, დაუდე მშვიდობა შენს ერს და შეგვარიგე ყველა სიონში“.

როგორც ითქვა, დ. ბააზოვი სიონიზმში, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ უზენაესი ეროვნული იდეალის აღმსრულებელ რეალურ ძალას ხედივდა და ამიტომაც თვლიდა თავის



მოქალაქეობრივ მოვალეობად ამ მოძღვრების სამსახურში  
აქტიურ დგომას. თუმცა სიფრთხილის გამო თავისი ამდაგან კონცენტრაცია  
პოზიციის ხაზგახმული აფიშირებისაგან ძალზე ხშირად თავს  
მაინც იკავებდა და სიონისტურ მოძრაობასთან მისი კავშირის  
შესახებ ბუნდოვან კომეტარებს აკეთებდა.

ეს სიფრთხილე ზოგჯერ იქამდედაც კი მიდიოდა, რომ  
იგი იძულებული ხდებოდა, საერთოდ უარესო მისი  
სიონისტობის ფაქტი.

სიონიზმთან დამოკიდებულების საკითხს დ. ბააზოვი სპე-  
ციალურადაც შეეხო „სამშობლოს“ 1916 წლის 426-ე, 427-ე  
და 431-ე ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში - „პასუხი სტუდ.  
ბ. ი. ხლეს“. მან თავიდანვე უარესო წერილის აღრესატისა და  
მისი თანამოაზრების მიერ მისი მისამართით გამოთქმული  
მოსაზრება იმის შესახებ, „თითქოს დ. ბააზოვის წერილები  
მარტო სიონისტობის სააგიტაციო იყოს“.

დ. ბააზოვის განმარტებით, მისი წერილებიდან ასეთად  
შეიძლება მხოლოდ ორი-სამი სტატია იქნებს მიჩნეული და  
მათშიც ეს იდეები „სხვათა შორის არის ნათქვამი“. მართალია,  
იგი ბევრს და ხშირად წერდა ებრაელების ცხოვრების შესახებ,  
მაგრამ, როგორც თავადვე ამბობს, მას „რაიმე უპირატესობა  
სიონისტებისათვის“ არახოლებს არ მიუკუთვნებია“. პირიქით,  
მისი თქმით, ის ბევრჯერ ადიდებდა ისეთ პირებს, რომლებიც  
სრულიად წინააღმდეგნი არიან სიონისტებისა“.

უარყოფს რა სიონიზმთან და სიონისტებთან მის  
შოველგვარ პიროვნულ ურთიერთობას, დ. ბააზოვი პირდაპირ  
და არაორაზროვნად საუბრობს იმ ისტორიულ  
კეთილმეზობლურ თანაცხოვრებაზე, რომელიც საუკუნეთა  
მანძილზე დამკვიდრდა ხელშეუხებელ ტრადიციად ქართველ  
და ებრაელ ხალხებს შორის. მისი შეფასებით, საქართველოს  
ებრაელები იმდენად „მტკიცედ იყვნენ შეთვისებული  
ქართველებთან“, რომ მათგან არანაირი დევნა არ განუცდიათ.  
ქვემოთ კი განაგრძობს: „აი, ამიტომ არ მომისურვებია და  
არც მსურს საქართველოს ებრაელებში სიონისტობის ქადაგება.  
და ეს რომ ასევა, იმითაც მტკიცდება, რომ 13 წელიწადია  
რაბინათ ვარ დ. ონში და ნუთუ ვერ შევძლებ აქ სიონისტურ



ორგანიზაციების მოწყობას? თუ ბევრად არა ციფრული მასში მივიმზობდი. ვქადაგებ მუდამ შაბათს. აბა თუ ერთი აქაური ებრაელი იტყვის, რომ სიონისტობის წრეების დაარსებაზე მექადაგოს რამე. დავიარები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დაბებში. იქაც ვქადაგობ. ვერც იქაურ ებრაელებს შეუძლიათ სთქვან, რომ მე ეს მექადაგოს. ეს საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ მე სიონისტი არ ვარ?“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. სექტ. №17).

მიუხედავად დ. ბააზოვის კატეგორიული მტკიცებისა, თითქოს მას სიონიზმთან არაფერი პქონდა საერთო, ჩემის აზრით, ეს მთლად გულწველ განცხადებად მაინც არ უნდა მივიჩნიოთ. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი სიმართლის შენიდბვის მცდელობა უფროა, ვიდრე აშკარა და უტყუარი სინამდვილე. ეს რომ ნამდვილად ასეა, ეს პირველ ყოვლისა იმ აგრესიული დამოკიდებულებით დასტურდება, რომელსაც იმჟამინდელი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იჩენდნენ ხელისუფალნი სიონისტებისადმი. ამ მოძღვრების მიმდევარნი, როგორც წესი, მთავრობისაგან მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით, ცხადია, ვერც დ. ბააზოვი იქნებოდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი სიძნელეებს მაინც არ ეპუნდოდა და სიონისტური იდეების ქადაგება ცხოვრების უზენაეს იდეალად პქონდა დასახული.

მისი ამდაგვარი მოქმედების საფუძველთა საფუძველს ამ შემთხვევაში არსებითად განსაზღვრავდა რწმენა იმისა, რომ „სიონიზმი აერთიანებდა და ამჭიდროებდა ებრაელ ხალხს“. დ. ბააზოვის შეფასებით, ვისაც ეროვნული ერთობისა და სიყვარულის ეს გრძნობა არ გააჩნდა, „მისი სიონიზმი ნაკლული და უპერსპექტივო“ იყო.

დ. ბააზოვმა ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად სწორედ ამ ერთობისა და ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის ბრძოლა დაისახა. მისი აზრით, რესევოის იმპერიაში არსებულ პირობებში მისი და მისი თანამოაზრების საქმიანობა ამ მიზნის მისაღწევიდ,



გართალია, „საბრძოლო ველზე წარმოებულ ბრძოლას პგავდა გაგრამ იმხანად მათ სხვაგვარი მოქმედების უფლებაერობის შემდეგ პქონდათ.

სიონიზმთან დ. ბააზოვის დამოკიდებულების გასარტვევად გაზეთ „ჩვენ მეგობარ ში“ 1917 წლის 29 აგვისტოს გამოქვეყნებული მ. ხანანაშვილის წერილიც მინდა გავიხსენო - „რაბინი ბააზოვი - სიონიზმის „იდეოლოგი“ საქართველოში“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2002 წ. ოქტემბერი №3). მ. ხანანაშვილმა აღნიშნულ წერილში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დ. ბააზოვის სიონისტობას და ნათქვამის დახტურად ერთი ასეთი არგუმენტი მოიგანა: „დიდი ხნის უნახობის შემდეგ მე შემთხვევით შევხვდი მას ქუჩაში. მისალმების შემდეგ მან მაუწყა, რომ ის ამ დღეებში დაეხსწრო სიონისტების კონფერენციას ბაქოში. მე მეუცხოვა ეს ცნობა და ცოტა აჩქარებითაც შევეკითხე მას: - როგორ, თქვენ სიონისტი ხართ? მაინტერესებდა რას იტყოდა იგი თანადამსწრე ხალხში.- დიახ, ვარო, - განაცხადა მან.

მახლას, ვთქვი მე გულში. როგორ არ გადაედოთ რუსეთის მადლიანი რევოლუცია, რომელმაც მოგვანიჭა სიტყვის თავისუფლება და დ. ბაზაზაშვილსაც (ავტორი ამჯერად ასე მოიხსენიებს დ. ბააზოვს - ა. ხ.) მისცა საშუალება თამამად ეთქვა ის, რაც სასარჩულებ უდევს მის მახინჯ და ფარულ მოღვაწეობას ჩვენში“.

დ. ბააზოვის აღშფოთებას კიდევ უფრო ზრდიდა ის გარემოება, რომ მისი მოწინააღმდეგები შეგნებულად ამახინჯებდნენ სიონიზმის არსე და ებრაელი ხალხის ჭირვარამზე წამოწყებულ მის სევდიან და გულისტკივილით სავსე საუბარს სიონიზმის სახელით ნათლავდნენ.

თუმცა ხშირად იგი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოცი წლის წინათ პერცლის მეთაურობით დამკვიდრებულ და მსოფლიოში ფართოდ გაერცელებულ არც „პოლიტიკურ სიონისტობაში“ იყო რაიმე შემაშფოთებელი და მიუხედავად ჩვეული პოლიტიკური სიფრთხილისა, მას არც ამჯერად დაუმალავს მისი აშკარად კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ამ შემრაობისადმი. ამ კეთილგანწყობილების განმსაზღვრულ

უმთავრეს გარემოებას დ. ბააზოვი შემდეგნაირად განხარტავს: „რაც შეეხება იმას, რომ სიონისტების ორგანიზაციები“ „პილფსფერაინისამ“, „ორდენ იზრაილისამ“ იყიდონ მიწები პალესტინაში და იქ დაასახლონ ის პირნი, რომლებიც დევნილნი არიან თავიანთ ქვეყნებში და იძულებული ხდებიან, მოშორდნენ და გადასახლდნენ შორეულ ქვეყნებში, ამგვარი გადასახლების მოწყობაზე პალესტინაში მომხრეა უოველი ებრაელი, თუ იგი მოწყვეტილი არაა თავისი ერის სარწმუნოებას და ხმა მაღლა ვიძახი, რომ ამნაირი სიონისტი მეც გახლავართ და ძალიანაც მახარებს პალესტინის აყვავება და დევნილი ებრაელების იქ მოწყობა“ („სამშობლო“, 1916 წ. №431).

როგორც ვხედავთ, დ. ბააზოვისათვის სიონისტობა ებრაელთა, კონკრეტულად კი ქართველ ებრაელთა, საჭიროობოტო საკითხებზე მსჯელობასა და მათი დაძლევის გონივრულ გზათა ძიებას ნიშნავდა და არამც და არამც არ გულისხმობდა სხვა ხალხებთან, კერძოდ კი ქართველ ხალხთან, დაპირისპირებას. მისი თქმით, იგი თავის ქადაგებებშიც მხოლოდ იმაზე საუბრობდა და გაზეთებშიც იმას წერდა, „რაც საქართველოს ებრაელებისთვის მიაჩნდა აუცილებელ საჭიროებად – შესწავლას ებრაული კულტურისას, ქართული ლიტერატურისას, ხელოვნებისას, მტკიცე კავშირს ქართველ ხალხთან და მათთან ერთად მუშაობას“.

ცხადია, ეროვნული პრობლემის ამდაგვარ გაგებაში, რა სახელიც არ უნდა დარქმეოდა მას – სიონიზმი თუ სხვა რამ – მიუღებელი და საკამაოო არაფერია.

ასე რომ, როგორც თავად დ. ბააზოვი წერს იმავე წერილში, მისი წერილის უმთავრესი საგანი ებრაელი ხალხის ჭირვარამი და სამომავლო განვითარების უკეთეს გზათა ძიება იყო. რაც შეეხება სიონისტობას, განმსაზღვრელი მნიშვნელობა მისთვის ამ შემთხვევაში იმას კი არ ჰქონდა, კაცი მისი მომხრე იქნებოდა თუ მოწინააღმდეგებ, არამედ იმას, როგორც ყოველ ჭეშმარიტ ებრაელს, გულით გყვარებოდა შენი ენა, ისტორია, კულტურა და ლიტერატურა და ერთგულად მდგარიყავი ეროვნული ინტერესების სამსახურში.

დ. ბააზოვის აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობა ქართულ პრესაში 1915 წლიდან იწყება. დ. ხანანაშვილს ამ მოვლენისთვის სათავის დამდებ ფაქტად ამ წლის 30 მაისს გახეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული მისი წერილი „ებრაელის ამონაკვეთის“ მიაჩნია („მენორა“, 2001 წ. მაისი, №10). ამ დროიდან მოყოლებული ქართული პრესის ფურცლებზე უკვე სისტემატურად ქვეყნდება დ. ბააზოვის პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც ებრაელთა ყოფის მრავალი საჭიროობოტო საკითხია მოქალაქეობრივი სიმწვავით დასმულ-გააზრებული.

„ებრაელის ამონაკვეთის“ დ. ბააზოვმა პირველად ცადა მრავალ საუკუნოვანი ძილი დაეფრთხო თავისი ქართველი თანამემამულებისათვის და ფართო საზოგადოებისათვის ნათლად დაენახვებინა მათი ჭირ-ვარამი. მრავლისთქმელია ის ფაქტი, რომ ამ გულისტკივილის ასე ხმამაღლა და საჯაროდ გამოთქმას წინ უძღვდა პუბლიცისტის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რაც დ. ბააზოვს ამდაგვარი გულახდილი და მწვავე საუბრის მოქალაქეობრივ უფლებას აძლევდა.

მეტი სიცხადისათვის დავიმოწმოთ ფრაგმენტი დასახელებული წერილიდან: „მიუმართავ და შევეკითხები ჩვენს თანამომექ შეძლებულ ებრაელებს:

სად ხართ, მდიდრებო, რატომ არ მიხედავთ თქვენს თანამომებს, დღეს გაჭირვებულთ, ხად ხართ, დარიბნო ებრაელებო, რატომ შეა არ გაუყოფთ თქვენს ხმელ პურს ჭირში მყოფ ჩვენს ძმებს. სად ხართ ებრაელნო ქალებო, რატომ არ მოიხდით თავზე საფარს და არ გაუგზავნით თქვენს ტიტველ დებს... სად ხართ, რაბინებო, თქვენი ძალაგებით? თუ ხალხს უქადაგებთ ბიბლიის სიტყვებს, ერთი რომ წაიქცეს, უნდა მიეშველოთ და ფეხზე დააყენოთ. თუ ასე უნდა მოვექცეთ ერთ წაქცეულს, მთელი ერი როცა წაქცეულია ნუთუ იმას არ უნდა მიშველება და ფეხზე დაყენება?!“ (იქვე).



ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ კიტყვი, რომ „<sup>საქართველო</sup>  
ებრაელთა ეროვნული, სოციალური და კულტურულ-  
ზეობრივი პრობლემები ასეთი სიმწვავითა და  
მასშტაბურობით მანამდე ასე საჯაროდ არავის დაუსვამს.  
ასე რომ, პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით უსათუოდ უნდა  
მივაკუთვნოთ დ. ბააზოვს, რომელიც მამულიშვილური  
გულშემატკიცრობითა და ემოციური მგზნებარებით, ქართველ  
„სამოციანელთაგან“ ტრადიციად მიღებული პირდაპირობითა  
და შეულამაზებლობით, საუბრობს მშობელი ხალხის ჭირ-  
ვარამზე, საუბრობს იმის რწმენითა და იმედით, რომ  
ერთობლივი ძალისხმევითა და მონდომებით უსათუოდ  
მოიძებნებოდა ყველაზე გონივრული და რეალური  
გამოსავალი ქართველ ებრაელთა ამ მძიმე მდგომარეობიდან.

სწორედ ამ რწმენის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ  
ერთგვარი რომანტიკული პათეტიზმით გამოხატული ის  
იმედიანი განწყობილება, რითაც ხსენებული წერილი  
მთავრდება: „სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი  
ქართველი ებრაელობა შეიგნებს თავის მომმების გაჭირვებას  
და თავის წვლილს არ დაიშურებს მისთვის, მხოლოდ საჭიროა  
მეთაურობა და სიტყვის საქმეთ გადაქცევა.

შორს შური, შორს გულგაზებილობა, შორს სიმძულვარე,  
ერთმანეთს ყველამ სიყვარულით გავუწიოთ ხელი და  
შევუძგეთ ჩვენი ძმების დახმარებას... სრული იმედი მაქვს,  
რომ ქართველ ებრაელობას გაეღვიძება ძველი ებრაელობის  
შემბრალე გული და ჩვენს მოწოდებას უფრადდებოთ არ  
დასტოვებს“.

ახალგაზრდა პუბლიცისტის ეს იმედიანი მოლოდინი  
მართლაც არ გაწილებულა და მის ამდაგვარ მოწოდებას  
მხარდამჭერებიც უმალ გამოუწნდნენ. პირველი ბანქელ  
ებრაელთა რაბინი დ. აჯიაშვილი იყო, რომელმაც  
„სამშობლოს“ 1915 წლის სამ (116-ე, 117-ე და 118-ე) ნომერში  
პალესტინელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში  
„წერილი ონის ებრაელობას რაბინ დ. ბააზოვისადმი“ დ.  
ბააზოვის მიერ წამოწებულ საუბარს კიდევ უფრო ფართო  
მასშტაბი შესძინა. დ. აჯიაშვილის ეროვნულ-მოქალაქეობრივი

პოზიციისა და დ. ბააზოვისადმი მისი აქტიური მხარდაჭერის გასააზრებლად გავიხსენოთ ფრაგმენტი დასახელებულითავა წერილიდან: „წავიკითხე თქვენი მოწოდება, ბ. რაბინო, ქართველი ებრაელებისადმი, რომელთაც მოითხოვდი, დახმარებოდნენ გაჭირვებაში მყოფთ ჩვენს მოძმეებს.

ვისი ქვის გული არ გალღვებოდა ამ მოწოდების წაკითხვის შემდეგ. გულქვა უნდა იყოს ის ებრაელი, ვინც ის მოწოდება წაიკითხა, ან მისწვდა ყურთა სმენათ და ათრთოლებული არ ატირდა. სამწუხაოდ ქუთაისის ებრაელები კი გულგრილად შეხვედრიან ამ სისხლის ცრემლებით დაწერილ მოწოდებას. გავიგე ისიც, რომ არც ერთ სასულიერო წოდების პირს, არც ერთ ინტელიგენტს, არც ერთ მდიდარს ამაზე ყურადღება არ მიუქცევია...

მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც იმას გავიმეორებ, რომ ქართველი ისრაელების გული იმდენად გაყინულია, არა თუ გაზაფხულის სითბო, არამედ ზაფხულის დამწველი მზის სხივებიც კი ვერ გაათბობს მას“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. მაისი, №10).

დ. ბააზოვის განუზომლად დიდ როლს ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების გამოყენების საქმეში, გარდა ებრაელებისა, ქართველმა მოღვაწეებმაც მისცეს მაღალი შეფასება. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა, ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამოცემელი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) უნდა გავიხსენოთ, რომელიც მე-20 საუკუნის ათიან წლებში მისი რედაქტორობით ქუთაისში გამომავალ გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობს ებრაელთა ეროვნული ყოფისადმი მიძღვნილ წერილებს.

მრავალი სმთქმელია ის ფაქტი, რომ დ. ბააზოვის პუბლიცისტური შესაძლებლობების გამოვლენის ყველაზე დიდ ასპარეზად ამ პერიოდში უწინარესად სწორედ გაზეთი „სამშობლო“ იქცა, რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის წერილებში ქართველ ებრაელთა ყოფის მრავალი საჭირობოროგო პრობლემაა დასმული და გააზრებული. ია ეკალაძის აქტიური მხარდაჭერა დ. ბააზოვის ამდაგვარი მოქა-

ლაქეობრივი პოზიციისადმი არა მარტო მისი წერილების უკრობლემოდ გამოქვეყნებით დასტურდება, არაშედავამ შეფასებებითაც, რომელთაც იგი ქართველ ებრაელთა ამ დირსეული შვილის ეროვნულ მოღვაწეობას აძლევდა. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ამასთან დაკავშირებით ია ეკალაძე წერდა: „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ებრაელობა უკვე შედგა გამოფხიზლების გზაზე და თავის წვლილს შეიტანს ქართველთა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. საქმე ნავსის გატეხვა იყო. ეს ნავსი გატყდა და პირველი ჩაქუჩიც რაბინმა დავით ბააზოვმა დაჰკრა“ („სამშობლო“, 1915 წ. №240).

ქართველ ებრაელთა საჭირობოროტო ეროვნული პრობლემებისადმი ია ეკალაძის ამდაგვარ გულშემატყირულ დამოკიდებულებას საფუძვლად პირველ ყოვლისა იმის რწმენა ედო, რომ, როგორც თავადვე წერდა ერთგან, „თვითოვეულ ხალხს პქონდა უფლება თვითგამოკვლევისა, თავისი ისტორიული უფლებებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის დაცვისა“. ცხადია, ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ქართველი ებრაელები იყვნენ. ია ეკალაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ პრესაში გამოქვეყნებული თავიანთი წერილებით „ქართველი ებრაელები გამოაფხიზლებდნენ ქართველ ებრაელთა ახალგაზრდობას და განათლება-თვითშეგნების გზაზე დააყენებდნენ მას“. ამიტომაც თვლიდა იგი აუცილებლად ქართველ ებრაელთა ამდაგვარი მოქმედებისათვის აქტიურ მხარდაჭერას და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, ამ მოძრაობის ლიდერს – დ. ბააზოვს უკელანი მხარში ამოღომოდნენ და ერთადერთი გზა მიეცათ მისთვის სამოქმედოდ („სამშობლო“, 1915 წ. №40).

• • •

დავით ბააზოვის პუბლიცისტიკა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველი ჯგუფის წერილებში ავტორი მსჯელობის საგნად ხდის, საერთოდ, მთელი იმდროინდელი ებრაელობის წინაშე მდგარ ისეთ ზოგად პრობლემებს, როგორებიცაა: ებრაელი ხალხის წარსული, აწმყო და



მომავალი, პალესტინის (იგივე ისრაელის) სახელმწიფოს  
აღდგენის პერსპექტივა, მსოფლიო ომი, ებრაელობის დაცვულების  
შევიწროება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ა. შ.

მეორე ჯგუფს კი შეიძლება ის წერილები მივაკუთვნოთ,  
რომლებშიც უშუალოდ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა  
ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემებია დასმული და  
გაანალიზებული.

მაგრამ რაზედაც არ უნდა წერდეს ავტორი, მისი  
პუბლიცისტიკის შთაგონების უმთავრეს მასაზრდოებელ  
წყაროს, პირველ ყოვლისა, თავისი ერისადმი უსაზღვრო  
სიყვარული წარმოადგენს.

სწორედ ამ სიყვარულს ექვემდებარება მის პუბლიცისტიკაში  
ყველაფერი. აქედან ხედავს და აღიქვამს იგი მსოფლიოში  
მიმდინარე მოვლენებს, კაცობრიობის წარსულ ისტორიასაც,  
აწმყოსაც და მომავალსაც. დ. ბააზოვს ძალზე აწუხებდა ის  
გარემოება, რომ ებრაელ ხალხს მრავალი სახელოვანი შვილი  
ჰყავდა ისეთი, რომლებიც ხხვა ქვეყნების სამსახურში იყვნენ  
ჩამდგარი, „თავიანთი ერისთვის კი უსარგებლოები  
გამოდგენენ“. ეროვნულად გადაგვარებულ ამ კონდოტიერებს,  
მისი სიტყვით, დავიწყებული პქნონდათ ის ჭეშმარიტება, რომ  
„ოუ თვით არ აფასებ შენ ერს და გაურბიხარ სამარცხინო  
გადაგვარებით, კარგავ შენი ერის ფასს – კარგავ შენ ვინაობას  
და მაშინ ვერ გიშველის ვერც შენი დიდი ნიჭი, ვერც დიდი  
სასარგებლო მუშაობა საერთო კაცობრიობისათვის. და როცა  
შენ ერს აფასებ და მისთვის ფიქრობ, მისთვის იტანჯვი,  
მხოლოდ მაშინ შენს ყოველ თითოეულ მოქმედებას  
კაცობრიობისათვის ედება დაუვიწყარი ფასი“ („ებრაელის  
ფიქრები“, გამ. „სამშობლო“, 1916 წ. №289).

დ. ბააზოვმა თავიდანვე, სამოღვაწეო ასპარებზე  
გამოსვლისთანავე, გამოკვეთა ნათლად და მკაფიოდ თავისი  
ეროვნული მრწამსი, რომლის საფუძველთა საფუძვლად,  
პირველ ყოვლისა, ქცეული იყო ყოველი ჭეშმარიტი ებრაელის  
უზენაესი ეროვნული იდეალის აღსრულება –  
სახელმწიფოებრიობის აღდგენა. სწორედ ამ თვალთახედვით  
უდგებოდა იგი თავისი დროის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ



მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა კი პირველ მსოფლიო ომს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ცალიშესაჭრელ ამ სისხლისმდგრელ ომს დ. ბააზოვი უპირველესად ეროვნული პოზიციებიდან აფასებდა და ოცნებობდა მოვლენათა განვითარება იმდაგვარად წარმართულიყო, რომ კვლავ აღმდგარიყო ებრაელთა სახელმწიფოებრიობა და ამ უძველეს ერს ისევ დაებრუნებინა კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ხალხთა დიდ ოჯახში.

ამიტომაც იდგა დ. ბააზოვი მკვეთრად გამოხატულ ანტიგერმანულ პოზიციაზე. გარდა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებისა, მის ამდაგვარ თვალსაზრისს იმის შეუვალი რწმენაც განაპირობებდა, რომ ამ ომში „გერმანელების გამარჯვება ებრაელობის ნაციონალური იდეის დამხობა“ იქნებოდა, რითაც ჩაიფუშებოდა ებრაელთა ისტორიული მიზანსწრაფვა - „პალესტინის აღდგენა და ებრაელების ტრადიციათა და ეროვნულად ბიბლიის ენის გაცოცხლება“ („სამშობლო“, 1915 წ. №97).

დ. ბააზოვის პუბლიციისტიკიდან ნათლად ჩანს, რომ მისი ამდაგვარი ანტიგერმანული პოზიცია მოვლენათა საფუძვლიანი განსჯის შედეგი იყო და არა პოლიტიკურ-ემოციური კონიუნქტურის გამოვლინება. თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად იგი მრავალ საგულისხმო არგუმენტს იშველიებს და არაორაზროვნად დაასკვნის, რომ „გერმანელების მიღიბარიზმის დამხობა სრულიად ეთანხმებოდა „მათ ეროვნულ“ მისწრაფებას და იდეას“.

მაგრამ გერმანია და გერმანელი ანტისემიტები გამონაკლისი არ იყვნენ და დ. ბააზოვი ასეთივე დამოკიდებულებას იჩნდა, საერთოდ, ყველა სხვა ქვეყნისადმი, სადაც ანტისემიტიზმი ფართოდ იყო გავრცელებული. ამის მაგალითად გამოდგება მისი პოზიცია პოლონელი ანტისემიტებისადმი (იხ. წერილი - „ებრაელის აზრი“, გაზ. „სამშობლო“, 1915 წ. №112-113), რომლებიც იმხანად, პუბლიციისტის მტკიცებით, განსაკუთრებული გააფთრებით იბრძოდნენ „ებრაელების გაპოლონელებისათვის“.

ამ ფაქტით შეშფოთებული დ. ბააზოვი, ეხმაურებოდა რა

რუსულ პრესაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით  
გამოთქმულ გულისტყივილს, მხარს უჭერდა იმათ პოზიციაზე რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსეთის იმპერიისაგან მისი გამოყოფისა. თუ პოლონეთი ცალკე სახელმწიფო გახდებოდა, დ. ბააზოვისა და მისი თანამოაზრების მტკიცებით, მაშინ იქ ანგისემიტიზმი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიდა ფრთხებს.

ვფიქრობ, ამ ორი მაგალითითაც მკაფიოდ დაინახავს მკითხველი, რაოდენ ნათლად გამოკვეთილი ეროვნული თვალთახედვით აფასებს პუბლიცისტი მოვლენებს. როგორც ვხედავთ, დ. ბააზოვის პოლიტიკური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად, პირველ ყოვლისა, თავისი ხალხის ინტერესების დაცვა იყო ქვეული. იგი სწორედ ამ პოზიციებიდან აღვნებს თვალყურს მსოფლიოში იმსანად მიმდინარე მოვლენებს, ცდილობს სიღრმისეულად გაერკვეს მათ არსში და თავისი მოკრძალებული თვალსაზრისიც მოაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

მართალია, დ. ბააზოვის პუბლიცისტიკის უმთავრესი თემა ებრაელი ხალხის საჭიროობო პრობლემებზე დაუცხრომელი ფიქრია, მაგრამ, როგორც ითქვა, პუბლიცისტის ეროვნული თვალთახედვა მოწყვეტილი არ არის იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და განუყოფელადაა დაკავშირებული სხვა ხალხის ისტორიული განვითარების პროცესებთან. ასე რომ, დ. ბააზოვი არასოდეს იგეტება ვიწრო ეროვნულ ნაჯუჭჭში და მისი წერილების მთავარი ლაიტმოტივი იმის არადეკლარაციული აღიარებაა, რომ „ყველა ერს თავისი ნიჭი აქვს და თუ რომელიმე ერი ჩაიყლაპება, ეს კაცობრიობის ზარალია, რომლის კულტურასაც ვედარ აანაზღაურებს კაცობრიობა“ („სამშობლო“, 1915 წ. №55).

პუბლიცისტის რწმენით, „ნამდვილი კულტურა მხოლოდ მაშინ დამყარდება ქვეყნიერებაზე, როცა ეროვნება და კაცობრიობა ერთად იქნება გადაბმული რგოლივით... თუ ერთია და მეორე კი არა, ამას მახინჯი სულიერი ეთქმის, რადგანაც ვერ შეუთვისებია ადამიანის დირსება“ („სამშობლო“;



1915 წ. №176).

როგორც ითქვა, დ. ბააზოვის პუბლიციისტიკაში დიდ ადგილს იჭერს ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენაზამოყალიბების იდეა, ათასწლეულობით რომ ცოცხლობდა ყოველი ჰეშმარიტი ებრაელის გულში, როგორც უზენაესი ეროვნული იდეალი. მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს იდეა უფრო და უფრო ისხამდა ხორცს რეალურად და თანდათანობით დგებოდა მკვიდრ ნიადაგზე. ამ იდეით გულანთებული პუბლიციისტი იმედის თვალით შესცემოდა მომავალს და ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებინა ამასთან დაკავშირებული ინფორმაციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გამოქვეყნებული წერილები.

მსოფლიოში განვითარებული გლობალური პროცესები პუბლიციისტს კიდევ უფრო განუმტკიცებდა რწმენას იმისას, რომ ებრაელი ხალხის უზენაეს ოცნებას, ბოლოს და ბოლოს, ფრთხი შეესხმებოდა, ისტორიული სამართლიანობა გაიმარჯვებდა და მკვდრეოთი აღდგებოდა ისრაელის სახელმწიფო. ნათქვამისათვის დამაჯერებლობის მისაცემად მას მრავლად მოჰყავს მაგალითები ებრაელთა ისტორიიდანაც და თანადროული ყოფიდანაც, რითაც ცდილობს დაუსტევებლად დაარწმუნოს თანამემამულენი იმაში, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც დათრგუნავს და დაიმონებს ამ ტანჯული ხალხის ეროვნულ ცნობიერებას.

ამის ერთ-ერთ შთამბეჭდავ მაგალითად დ. ბააზოვი ასეთ ფაქტს ასახელებს: ეროვნული გრძნობების გამოდვიძებით აღტკინებულმა ხარკოვ-მოსკოვის უნივერსიტეტის ორასამდე სტუდენტმა ებრაელმა მიატოვა კარიერა, მშობლები, მშვიდი ცხოვრება და პალესტინის გზას გაუდგა. რა ტანჯვა-წამება არ გადაიტანეს ორი ათასი წლის მანძილზე გავერანებულ მშობლიურ ადგილებში მიბრუნებულმა ამ რომანტიკოსმა მამული შვილებმა, მაგრამ ეროვნულმა თვითშეგნებამ, პუბლიციისტის თქმით, მაინც თავისი გაიტანა და შეიქმნა სამოცამდე ახალშენი, სადაც კვლავ გაცოცხლდა, მკვდრეოთით აღდგა და ბავშვების დედაენად გადაიქცა ბიბლიის ენა

(„სამშობლო“, 1915 წ. №55,73).

ათიანი და ოციანი წლების პრესაში დ. ბააზოვი ხშირად აქვეყნებდა აგრეთვე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის წერილებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, პირველ ყოვლისა კი ქართველი ებრაელობისათვის, მიეწოდებინა ცნობები ებრაელთა ისტორიული და თანადროული ყოფა-ცხოვრებისა და სარწმუნოების შესახებ, გაეცნობიერებინა ხალხი იმუამინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების არსში, კონკრეტული ფაქტებისა და მაგალითების მოშველიებით ეწვენებინა მკითხველისათვის ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდნენ ებრაელები ანგისემიტური მოძრაობის აღზევების გამო.

აქვე უნდა დავასახელოთ ის წერილებიც, რომლებშიც პუბლიცისტი ეროვნული ხიამაყის გრძნობით ესაუბრება მკითხველს ებრაელი ხალხის სახელოვან შვილებსა და მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვან წვლილზე მსოფლიოს კულტურისა და ცივილიზაციის საგანძურში. ამით დ. ბააზოვს სურდა ქართველ თანამემამულებში უფრო მეტად აღეგზნო მითვლემილი ეროვნული ცნობიერება და ხელი შეეწყო მათი ინტელექტუალური გამოღვიძებისათვის.

დ. ბააზოვის ეროვნულ გულისტკივილს არსებითად განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ ებრაელი ხალხისადმი სხვა ერთა აგრესიული დამოკიდებულებისა და ანგისემიტიზმის შედეგად, რაც ამ ერის შვილებს უძველესი დროიდანვე დაგენერაცია მარადიულ ბედისწერად, მისი დროის ებრაელობა კვლავაც იტანჯებოდა ადრინდელი სისახტიკითა და დაუნდობლობით. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას იგი იმ ბარბაროსული რბევა-აწიოკებებითაც ნათლად ხედავდა, რასაც მისი თანამომეურები განიცდიდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში. ასე რომ, საუკუნეთა ცვალებადობის მიუხედავად, დ. ბააზოვის შეფასებით, ებრაელი ხალხისადმი დამოკიდებულებაში სასიკეთოდ თითქმის არაფერი იცვლებოდა.

ამ მოვლენისადმი თავის მტკიცნეულ დამოკიდებულებას

ერთ-ერთ ადრინდელ წერილში იგი ამდაგვარად გუმრიუქუჭმებული კავშირის „... რომელ მხარეზეც გაიხედავ, ყველგან ასევე მომდევნობა და გაზარალებულ ებრაელებს დაინახავ დედა შვილს ეძებს და ვედარ პოულობს, შვილი მამას ნატრობს, მაგრამ ვეღარ ნახულობს. ორიათას შვიდასი წლის წინათ ბაბილონის მდინარე ევფრატის ნაპირებზე სხედან და სტირიან“ (გაზ. „სამშობლო“, 1916 წ. №317).

## მროვნულ-საბანანათლებლო პროგრამა

დავით ბააზოვი არა მარტო სიტყვით ცდილობდა ერის საჭირბოროტო საკითხის მოგვარებას, არამედ აქტიური პრაქტიკული საქმიანობითაც. ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში, მან წარმატებით იტვირთა თავისი ხალხის ლიდერობის საპატიო მისია და ბევრი რამ გააკეთა ეროვნული თვითმყოფადობის განსამტკიცებლად.

აქტიური ქმედების ეს დიდი გზა დ. ბააზოვმა ონში მოღვაწეობის პერიოდში დაიწყო. შორეულ პროცეციანში ცხოვრებას ოდნავადაც არ შეუშლია მისთვის ხელი, თანმიმდევრულად ედევნებინა თვალი მოვლენათა მსვლელობისათვის და სისტემატურად გამოხმაურებოდა იმ პროცესებს, რომლებიც მაშინდელ მსოფლიოში ეპოქადურ გარდაქმნებს უყრიდა საფუძველს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუთაისში გამომავალ გაზეთ „სამშობლოში“ დასტამბული მისი წერილები.

მათგან, პირველ კოვლისა, გამორჩეული უურადდება მინდა მივაქციო 1915 წელს გაზეთის 176-ე ნომერში დასტამბულ მოწოდებას საქართველოს ებრაელთა რაბინებისადმი. დ. ბააზოვი თხოვნით მიმართავდა ებრაელ რაბინებს დაევიწყებინათ პირადი ანგარიშები ერთმანეთის მიმართ და დათქმულ დროს ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ ერის საჭირბოროტო პრობლემებზე სასაუბროდ. „მაშ, მოვიყაროთ თავი საქართველოს ებრაელობის რაბინებმა, - წერდა აღნიშნულ წერილში დ. ბააზოვი, - დავინახოთ ჩვენი ერის სულიერი ნაკლოვანება, მოვისმინოთ ერთმანეთის აზრები, ვილაპარაკოთ,



რა არის ჩვენთვის აუცილებელი საჭიროება, შევკრათ ერთი ჯგუფი, დავაარსოთ ცენტრალური იუშიძა, გავმართოთ ყამაზე პროგინციაში სასწავლებლები (თაღმუდ თორები), დავაარსოთ ფონდი სასწავლებლების სასარგებლოდ და გამოვარკვიოთ სხვა სადღეისო საკითხები... ამიტომ ველი, რომ დღეიდან თითოეული რაბინი, ვისაც გებრალებათ თქვენი ერის მომავალი მოზარდები, ენერგიულად ამოიღებთ ხმას და გვაცნობეთ: როდისათვეს სჯობია კრების გამართვა და სად უნდა მოხდეს იგი. ჩემი მხრივ, ვნიშნავ 5 ოქტომბერს, კრების ადგილათ ქ. ქუთაისს“.

იმავე შინაარსის მოწოდება დ. ბაზოვმა გაზეთ „სახალხო ფურცელშიც“ გამოაქვეყნა (1915 წ. №393), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შეკრების თარიღად აქ უკვე 13 ოქტომბერი იყო დასახელებული. იმის ნათელსაყოფად, რა მიზნით მოუწოდებდა იგი თანამემამულებს მთავრობის მიერ ნებადართული სარაბინო კრების ჩატარებას, მექითხველისათვის, ვფიქრობ, ამ პატარა ფრაგმენტის მოშველიებაც იქნება საკმარისი: „სარაბინო კრების დანიშნულებაა – გაუწიოს ანგარიში ქართველ ებრაელთა ცხოვრება-მდგომარეობას, იმსჯელონ და აღმოაჩინონ ის გზები, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველ ებრაელთა ზენობრივად და კულტურულად აღორძინება-წარმატებას. დაარსება რიგიანი სასწავლებისა და სამკითხველოებისა საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი ქართველი ებრაელები ცხოვრობენ, გავრცელება ქართველ ებრაელთა შორის მუშაობა-ხელსაქმიანობისა და მოსპობა მათ შორის ვაჭრობა-ჩარჩობისა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება და კიდევ სხვა მრავალი საკითხი განსახილველი, რომელთაც კრება ჯეროვან კურადღებას მიაქვევს“.

პირველი კაცი, ვინც აქტიურად დაუჭირა მხარი დ. ბაზოვის მოწოდებას, ცხინვალის რაბინი ხვოლესი იყო. „სახალხო ფურცელში“ დასტამბული წერილით, თავის მხრივ, მანაც მოუწოდა ქართველ ებრაელებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კრების მომზადებასა და ჩატარებაში.

თითქოსდა რა უნდა ყოფილიყო ამ პატრიოტული

წინადადების საწინააღმდეგო, მაგრამ, სამწუხაროდ უჭირული მოხდა. დ. ბააზოვის მოწოდებამ, როგორც იმდროს თუ პრეზიდენტი დასტამბული წერილებიდან ჩანს, ქართველ ებრაელთა შორის აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მომხრეებთან ერთად საკმაოდ მრავლად გამოჩნდნენ მოწინააღმდეგენიც, რომლებიც რაში აღარ ხდებდნენ ბრალს მოწოდების ავტორს - ეროვნულ სეპარატიზმში, ქართველებისადმი ღალატში, ნაციონალიზმში და ა. შ.

საზოგადოება, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. ვნებათა ღელვა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც პრესის ფურცლებიდან ცნობილი გახდა ქუთაისის რაბინის რ. ელუაშვილის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია. ქუთაისელ ებრაელთა სულიერმა თავკაცმა, პიროვნულად განაწყენებულმა იმის გამო, რომ „ვიდაც“ ახალგაზრდა „პროვინციელი“ ეროვნულ საქმეებში თავიაცობას იჩემდება და ამით მას, როგორც ებრაელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემის წინამდობას, ავტორიტეტს უმდაბლებდა, მკაცრად გაილაშქრა დავით ბააზოვის წინააღმდეგ. მან სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ მოთხოვნად მიიჩნია დ. ბააზოვის მოწოდება და რამდენიმე ისეთი ბრალდებაც წაუყენა მას, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების წინაშე ფაქტობრივად დასმუნას, დაბეჭდებას წარმოადგენდა.

ელუაშვილის მტკიცებით, დ. ბააზოვის მოწოდება მიზნად ისახავდა ქართველებისაგან ებრაელების გამოყოფას. ამდაგვარი ცილისწამებით გულნატკენი პუბლიცისტი თავის საპასუხო წერილში („პასუხი ქუთაისის რაბინს“, „სახ. ფურცელი“, 1915 წ. №458) ერთხელ კიდევ ხაზგასმით იმეორებდა მის მიერ სხვაგან მრავალგზის აღნიშნულ აზრს ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრული თანაცხოვრების სამაგალითო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შესახებ. „ჩვენ, ქართველი ებრაელები, - წერს დ. ბააზოვი ქუთაისის რაბინის ბრალდების პასუხად, - იმდენად ვართ შეერთებული ქართველებთან და ისე შეთვისებული მათ მიერ, რომ ჩვენი დაშორება ქართველებისაგან მხოლოდ თავის მტრობა



იქნებოდა“.

ელუაშვილი დ. ბააზოვს იმაში დებდა ბრალს, რომ მის მიერ „წარმოდგენილი სასწავლებელი სარწმუნოებელი შეარცევდა“, ხოლო „ხელობის გარცელება ქართველ ებრაელებს შორის სარწმუნოებას ეწინააღმდეგებოდა“. ამასთან, ელუაშვილის სიტყვით, ბააზოვი თავისი მდგომარეობითაც არ იყო უფლებამოსილი თავის თავზე აეღო ლიდერობის მისია, ვინაიდან მას ებრაულ საზოგადოებაში „პირველი აღგილი არ ეკავა“ და ამიტომ „სარწმუნოება არ აძლევდა“ ამის უფლებას.

ამდაგვარი ბრალდებებით გულნატკენი პუბლიცისტი საკმაო გაცხარებით ამხელს ქუთაისის რაბინის უსამართლობას და ამბობს, რომ რაბინად ყოფნის ოცდარვა წლის მანძილზე ელუაშვილს ერისთვის, მისი სწავლა-განათლებისა და პულტურული დონის ამაღლებისათვის, არათუ თავად არ გაუკეთებია რაიმე, არამედ სხვებსაც კვლანანირად ეღობებოდა წინ. „როდესაც ვინმე სწავლული მოვიდოდა, არ მოისვენებდა, სანამ არ გააგდებდათ“, - წერს დ. ბააზოვი მასზე და მშობელი ხალხის წინააღმდეგ ნებსით თუ უნებლიერ ამხედრებულ და პიროვნული ამბიციებით განაწყენებულ რაბინს მარკოვების, პურიშკევიჩების, ზამილოვსკების ამქრის წვერ შავრაზმელად მიიჩნევს. ასე რომ, დ. ბააზოვის მტკიცებით, ელუაშვილი, რომელიც, როგორც რაბინი, „თავისი წოდებით უნდა იყოს წყარო ყოველი სიმართლისა და ზნეობრიობისა“, თავისი მოქმედებით სინამდვილეში „ეწინააღმდეგება ზნეობრიობასაც და სარწმუნოებასაც“.

დ. ბააზოვსა და ქუთაისის რაბინს შორის წარმოქმნილი საკამათო საკითხების გასარკვევად და განსახილველად დ. ბააზოვის ინიციატივით ქუთაისში, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, 1915 წლის 16 ნოემბერს სპეციალური კრებაც გაიმართა (ამასთან დაკავშირებით იხ. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. №438), მაგრამ, სამწუხაროდ, მოუხედავად საგანგებო და სპეციალური მიწვევისა, ქუთაისის რაბინი და მისი თანამოაზრენი კრებაზე პრინციპულად არ გამოცხადნენ. სამაგიუროდ კრებას იმხანდ ქუთაისში გამომავალი გაზეობის



ქართველი წარმომადგენლებიც და ესწრენენ (იაკობ ეჭვათაძე, გრიგოლ გველესიანი და სხვები). ებრაული პროტლერიც იწოდებოდა ქართული საზოგადოებრიობის ცხოველ დაინტერესებაზე ისიც მეტყველებს, რომ კრების თავჯდომარედ გრ. გველესიანი იქნა არჩეული.

კრების მონაწილეთა წინაშე მოხსენებით დ. ბააზოვი წარდგა. მან კიდევ ერთხელ ისაუბრა ქართველი და ებრაული ხალხების ორი ათას წლოვან (კორესპოდენციაში ასევა აღნიშნული) მეგობრობაზე. მომხსენებლის თქმით, ამ ხნის განმავლობაში ქართველ „ებრაულებს ერთი შემთხვევაც კა არ ახსოვდათ ქართველებისაგან ურიგოდ მოპყრობისა“.

მაგრამ დ. ბააზოვის გამოსვლის უმთვარესი პათოსი და მიზანსწრაფვა ჩვენი ხალხების ისტორიული მეგობრობის შესახებ მსჯელობა კი არ იყო, არამედ იმ საჭირობო პრობლემებზე საუბარი, რითაც ქართველ ებრაულთა იმჟამინდელი ყოფა ხასიათდებოდა. მან დიდი გულისტკივილით ილაპარაკა იმ ინტელექტუალურ და მატერიალურ ჩამორჩენილობაზე, რითაც ქართველი ებრაულები გამოირჩეოდნენ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მათი მოძმებისაგან. დ. ბააზოვის აზრით, ამ მდგომარეობიდან მათი გამოყვანის ერთადერთი გზა სწავლა-განათლება იყო. სწორედ ამ მიზნით გამოვიდა იგი რაბინების წინაშე მოწოდებით, ჩაეტარებინათ დიდი შეკრება და ერთად მოექცნათ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი. მაგრამ მისი ეს მოწოდება რაბინების დიდმა ნაწილმა, რომელთაც სათავეში რ. ელიაშვილი ედგა, პრინციპულად ბრ მიიღო. უფრო მეტიც, ისინი დ. ბააზოვს ქართველთა დალატში დებდნენ ბრალს და აცხადებდნენ, რომ სინამდვილეში მისი უმთავრესი მიზანი „ქართველებისაგან ებრაულების გამოყოფა“ იყო.

ამდაგვარი ბრალდებით აღშფოთებულმა დ. ბააზოვმა კრების მონაწილეებს კიდევ ერთხელ ამცნო ის დიდი სიუვარული და პატივისცემა, რომელიც მათ და მის თანამემამულეებს ქართველ ხალხთან აკავშირებდათ. „ჩვენ, - განაცხადა მან, - უქართველებოდ ვერ ვიცხოვრებთ, როგორც უპუროდ; ვიზიარებთ ყოველივე მათ ჭირ-ვარამს, საერთო ძალით გვსურს



კულტურის აღორძინება. ჩვენი ყმაწვილები უნდა იცნობდნენ  
როგორც თავის კულტურას, აგრეთვე კულტურას ქართველობის კულტურისას. ნუთუ სასარგებლო არ იქნებოდა, რომ ებრაელი  
მწერლების ლექსები ქართულად იყოს ნათარგმნი, და  
ქართველ მგონების ლექსები ებრაულად?... ეს შესაძლებელი  
იქნება მაშინ, როცა ჩვენს ყმაწვილებს ქართული და ებრაული  
ლიტერატურა ქარგად ეცოდინებათ“.

დ. ბააზოვის განმარტებით, ასეთი იყო ერთ-ერთი უმთავრესი  
მიზანი ქუთაისის რაბინისადმი, როგორც უფროსი  
ხელმძღვანელობისადმი, მისი მიმართვისა. მაგრამ არც მისადმი  
და არც სხვა რაბინებისადმი მის ამ მიმართვას არა თუ  
სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, ამის გამო მათ  
იგი ქართველი ხალხის მტრად და სეპარატისტად  
გამოაცხადეს.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, როგორც  
„სამშობლოს“ 1915 წლის 18 ნოემბრის ნომერი იუწყება,  
„კრებამ ბ. ბააზოვის სამოქმედო პროგრამა სასურველად ცნო  
და არც კამათო გამოუწვევია. ყველა დამსწრემ სურვილი  
გამოთქვა, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს  
საშვილიშვილო კეთილი საქმე ქართველ ებრაელებისათვის.  
მაგრამ, რადგანაც ამ საქმის განსახორციელებლად საჭირო  
იყო ქუთათურ რაბინის მხურვალე დახმარება და თანაგრძნობა  
რაბინების კრების გასამართავად, კრებამ ამინირჩია დეპუტაცია  
მასთან მოსალაპარაკებლად და დასარწმუნებლად, რომ მისი  
გულგრილობა ამ საკეთილო საქმეში დიდი დანაშაული  
იქნებოდა ქართველი ებრაელების წინაშე“ (დ. ხანანაშვილის  
პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. ივლისი, №13).

მართლაც, კრების მიერ არჩეული დეპუტაცია გრიგოლ  
გველესიანის, იაკობ ფანცხავას, არონ ელიგულაშვილისა  
და შიმშონ იაკობაშვილის შემადგენლობით 19 ნოემბერს  
საგანგებო მისით ესტუმრა ქუთაისის რაბინს და გააცნო  
მას დ. ბააზოვის გეგმა („მენორა“, 2001 წ. ივლისი, №14).  
მაგრამ, მიუხედავად დეპუტაციის დიდი მცდელობისა,  
ელუაშვილს აზრი მაინც ვერ შეაცვლევინეს და იგი კვლავი-  
ნდებურად დაბეჯითებით ამტკიცებდა იმას, რომ „დ. ბააზოვს



სარწმუნოების მიხედვით ზნეობრივი უფლება მომავალი და ინიციატივის გაწევისა და პირველობის გამოჩებისა.

ამას გარდა, ელუაშვილი ბააზოვს იმაშიც დებდა ბრალს, თითქოს მას, როგორც სიონისტს, „ებრაელების ქართველებისაგან გამოყოფაც სურდა“, ჩვენ კი „ქართველებთან ერთად უნდა მოვავდეთო“.

ელუაშვილის გააფთრებული წინააღმდეგობა დ. ბააზოვის მიერ წარმოდგენილი პროგრამისადმი იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი შიშობდა, „ებრაელებში განათლების შეტანით მათი სარწმუნება არ შეცვლილიყო“.

რაც შეეხება იმას, რომ „ბააზოვს სურდა უურნალისა და ბიბლიოთეკის დაარსება“, ქუთაისის რაბინის აზრით, არც ამის გაკეთება შეიძლებოდა, რადგანაც ამით ბააზოვი საქართველოში სიონიზმის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს. „ამას კი ჩვენ ვერ ვიზამოო, - კატეგორიულად აცხადებდა იგი. - ჩვენ ჩვენს მამებს უნდა მიგზდიოთ კვალდაკვალ, მათ გზას ვერ ავცდებით, ქართველებთან უნდა მოვავდეთო. ისეთი სახწავლებლები, უურნალები და ბიბლიოთეკა, როგორიც ბააზოვს აქვს წარმოდგენილი, მავნებელია ჩვენთვის“.

ვფიქრობ, მკითხველი უკომენტაროდაც ნათლად დაინახავს ელუაშვილის მსჯელობის აშკარად კონსერვატულ ხასიათს. მიუხედავად ამისა, ებრაელ რაბინთა და სხვა გავლენიან პირთა შორის მას მაინც იმდენად ბევრი მომხრე გამოუჩნდა, რომ დ. ბააზოვის ეროვნულ ენთუზიაზმს პრაქტიკული გასაქანი და სამოქმედო ასპარეზი არ მისცეს.

დეპუტაციასთან შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებანი ელუაშვილმა პრესაშიც გამოაქვეყნა, რასაც დ. ბააზოვის საპასუხო წერილიც მოჰყვა „სამშობლოში“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. აგვისტო, №16). მასში დ. ბააზოვმა არგუმენტირებულად გასცა პასუხი ელუაშვილის მიერ მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას.

პირველი და მთავარი საკითხი, რომელმაც მისი აღშფოთება სავსებით მართებულად გამოიწვია, ქართველებისაგან ებრაელების გამოყოფის მცდელობის გამო მის დადანაშაულებას შეეხება, რასაც იგი აშკარა ცილისწამებაც

უწოდებს. იმის დასტურად, რომ ამდაგვარი რამის გაკეთება ყოვლად გაუმართებელი ამბავი იყო, დ. ბააზოვი ამასთან ული დაკავშირებით მარტო ქართველი ებრაელების შეუძლებელი გამოთქმულ მოსახრებებს კი არ იმოწმებს, არამედ ებრაელი ხალხის სხვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების მსგავს შეხედულებებსაც.

კიდევ ერთხელ საუბრობს რა ქართველ ებრაელთა გაუნათლებლობაზე, ჩამორჩენილობასა და უნუგეშო მდგომარეობაზე, დ. ბააზოვი მოუწოდებს მის მოწინააღმდეგებებს, სიმართლეს თვალი არ აარიდონ, თავი არ მოიტყონ და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ერთობლივი ძალისხმევით ეძებონ. ამდაგვარი მამხილებლობისა და მოყვრისხვის მწარე სიმართლის პირში თქმის უმაღური საქმის საფუძველს პირველ ყოვლისა ის დიდი სიყვარული წარმოადგენდა, რითაც დ. ბააზოვი მშობელ ხალხთან იყო შეხისხლხორცებული. როგორც თავადვე წერდა ერთგან, მას უგული უწესდა იმ ხალხისათვის, რომელიც თავის სულიერ ავადმყოფობას ვერ ხედავდა“.

ამიტომაც მოუწოდებდა იგი მის მოწინააღმდეგებებს, „დაექნებებინათ თავი კერძო ინტრიგებისათვის, გამოეჩინათ გაბედულება, დამორჩილებოდნენ ჭეშმარიტებას, დაეჭირათ ხელში ხალხის წინმსვლელობის დროშა, მოეწვიათ კრება და დაენახვებინათ ყველასხვის, რომ ჩვენში კიდევ ყოფილა ის ჩაუქრობელი ნაპერწყალი, რომლითაც თბება ჩვენი ერო“.

სამწუხაროდ, დ. ბააზოვის ეს მოუწოდებაც, ისევე როგორც ბევრი სხვა ქადაგებაც, კვლავინდებურად დარჩა ხმად მდადადებლისა უდაბნოსა ჸინა.

დ. ბააზოვის სურვილი რაბინთა კრების მოწვევის შესახებ ემოციური აღტკინების ნაყოფი კი არა ხანგრძლივი და საფუძვლიანი განსჯა-მოფიქრების შედეგი რომ იყო, ეს სადავო საკითხებთან დაკავშირებით მის მიერ სხვა წერილებშიც გამოთქმული მოსახრებებითაც ნათლად დასტურდება. ასე რომ, დ. ბააზოვმა არა მარტო იდეა შესთავაზა თავის თანამემამულებებს, არამედ კარგად გააზრებული სამოქმედო პროგრამაც. იგი კონკრეტულად საუბრობს იმ პრაქტიკულ

საქმეებზე, რომელთა მოსაგვარებელ გზათა ძიება უნდა გამხდარიყო.

დ. ბააზოვის მიერ შემუშავებული ამ სამოქმედო პროგრამის სიღრმისეულად და მასშტაბურად გააზრების ოვალსასწრისით მეტად მნიშვნელოვანია ის ახალი დოკუმენტური მასალები, რომლებიც ათიანი წლების ქართული პრესის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მოიძია და გამოაქვეყნა დ. ხანანაშვილმა. ქვემოთ შევვიდები ამ მასალებზე დაყრდნობით მკითხევლს უფრო ნათელი წარმოადგენა შეუქმნა დ. ბააზოვის ეროვნული პროგრამის მიზანდასახულებაზე.

უმთავრეს ფუნქციას ამ პრაქტიკული რეალიზმის საქმეში დ. ბააზოვი პირველ ყოვლისა რაბინებს აკისრებდა. ამიტომაც გამოვიდა იგი მოწოდებით 1915 წელს „სამშობლოში“ გამოქვეყნებული წერილით (№134) დაარსებულიყო რაბინების წრე, რომელიც საგანგებოდ შეიკრიბებოდა ქუთაისში ქართველი ებრაელობის წინაშე მდგარი საჭიროობო საკითხების განსახილველად. დ. ბააზოვი წინასწარ და კონკრეტულად ასახელებს იმ საკითხებს, რომელთა მოგვარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გადაუდებლად აუცილებელი იყო არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დ. ბააზოვის მოთხოვნებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმოთ ფრაგმენტები დასახელებული წერილიდან („მენორა“, 2001 წ. ივნისი, №11). „ყველა რაბინი ვალდებულია გახსნას თავის ქალაქში დასაწყისი ებრაული კლასი (ტალმუდტორ) და კრების მიერ შედგენილი პროგრამით ისწავლონ რუსულიც და ქართულიც. 2) რაბინების კრება ვალდებულია შექმნას ცენტრალური (იეშიბა) იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიც დაასრულებენ თავის ქვეყნის ტალმუდტორას. მათ უნდა შეეძლოთ გადასვლა იმ იეშიბაში... იეშიბას ადგილი იქნება ქუთაისი ან იქ, სადაც აირჩევს კრება“.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცევული სახელოსნო სასწავლებლების დაარსების აუცილებლობასაც. იმ ბავშვებს, რომლებიც იეშიბაში სწავლის



გაგრძელებას ვერ შეძლებდნენ, უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა ამ სასწავლებლებში პრაქტიკულად გამოსადეგი რაიმე ხელობის შესწავლისა, რაც „ცხოვრების უდელს შეუმსუბუქებდათ“.

როგორც ფრაგმენტულად გახსენებული ამ პროგრამითაც ნათლად ჩანს, დ. ბაზოვი ქართველ ებრაელთა უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ გზად განათლებას სახავდა. მან კარგად იცოდა, რომ მისი კონსერვატორი თანამემამულებისათვის ამდაგვარი განმანათლებლური იდეები ადვილად მისაღები არ იქნებოდა. ამიტომაც ჩათვალა საჭიროდ იქნებაზე საზღაბით იხიც ადენიშნა, რომ მის მიერ „ჩამოთვლილი მუხლები პროგრამისა სრულებით არ არდვევდნენ მათ სარწმუნოებას“. უფრო მეტიც, მათი პრაქტიკული განხორციელებით ებრაელ ბავშვებს შესაძლებლობა მიეცემოდათ თავიანთი ერის ენაც, ისტორიაცა და კულტურაც შეესწავლათ.

დ. ბაზოვის ამ პატრიოტულ მისწრაფებას თანამომმეთა უმძიმესი მდგომარეობიდან დახსნის უანგარო სურვილი რომ ედო საფუძვლად, ეს ემოციურად დამუხტული იმ სტრიქონებითაც კარგად ჩანს, რითაც სხენებული წერილი ბოლოვდება: „ოხ, ვინ აუხელს თვალებს ჩვენს საბრალო მქებს დაანახოს მისი ნაკლი, დაანახოს მისი საჭიროება, შეაგნებინოს მისი მომავალი და დააყენოს იგი მაშველ გზაზე გული კვდება, თვალები ცრემლებით ივხება, როდესაც ვხედავ ზოგიერთ სოფელში ჩვენი მქების ნივთიერათ და სულიერათ დაღუპვას. არა თუ იღვიძებენ, პირიქით, სწყრებიან, რატომ გვაღვიძებთო. კმარა ძილი, კმარა კერძოობა, კმარა შეუგნებლობა, კმარა გაუგებრობა ერთგულისა და დამდუპველისა. ს.

მოგმართავთ, რაბინებთ, თუ გიყვართ თქვენივე მამები, თუ გიყვართ თქვენი სარწმუნოებაც, დაანებეთ თავი შურსა და სიძულვილს, გაუწოდეთ ხელი ერთმანეთს, მოყვარეთ თავი მთავრობის ნება დართვით და გაიხილეთ თქვენი ერისა და საბრალო საქართველოს ებრაელების საჭიროება. შეუდექით მათ აღორძინებას, მათ სულიერად შველას...

აბა, ძმებო, შეადგინეთ ჯგუფები, გამოათვიდეთ  
ახალგაზრდობა, ამოიდეთ ხმა, ააფეთქეთ თქვენი სამუშავეთ  
აამუშავეთ თქვენი ძარღვები ჩვენი ერისათვის და ამით  
დაამტკიცეთ, რომ თქვენცა ხართ შვილები დიდი მოხუცი  
ისრაელისა“.

სამწუხაროდ, დ. ბააზოვის ამ მგზნებარე პატრიოტულ  
მოწოდებას, მიუხედავად მისი და მისი მცირერიცხვისანი  
თანამოაზრების (როგორც ებრაელების, ისე ქართველების)  
აქტიური მხარდაჭერისა, როგორც ითქვა, კონსერვატულად  
განწყობილი რაბინებისა და მათი თანამზრახველების  
გააფთრებული წინააღმდეგობის გამო აღსრულება არ ეწერა.  
მიუხედავად დიდი მცდელობისა, რამდენჯერმე დანიშნული  
და გადადებული კრების ჩატარება ვერაფრით მოხერხდა,  
რის შედეგადაც დ. ბააზოვის მიერ წამოყენებული  
საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას  
რეალური საფუძველი გამოეცალა.

ქუთაისის რაბინის საწინააღმდეგო პოზიცია, გარდა დ.  
ბააზოვისა, იმხანად სხვებმაც რომ არაორაზროვნად  
გამოხატეს, ამის დახტურად აქ ნ-გ-ჟ-ს (ნათან ელიაშვილის)  
სტატიაც მინდა გავიხსენო - „ქუთაისის რაბინის წერილის  
გამო“, რომელშიც მკაცრადაა დაგმობილი ქუთაისელ  
ებრაელთა სულიერი თავკაცის მოქმედება („სახ. ფურცელი“.  
1916 წ. №149). იგი მკაცრად აკრიტიკებს ქუთაისის რაბინის  
პასუხს დეპუტაციის მოთხოვნაზე, რატომ არ იდებდა იგი  
მონაწილეობას სარაბინო შეკრებაში (ელიაშვილის პასუხი  
დაიბეჭდა „სახ. ფურცლის“ 1915 წ. 439-ე ნომერში). ნ.  
ელიაშვილის აზრით, ქუთაისის რაბინის ეს პასუხი  
„შემაძრწუნებელი იყო და თითქმის მოულოდნელი“.

ის არგუმენტირებულად გმობს ქუთაისელ ებრაელთა  
სულიერი თავკაცის მიერ დ. ბააზოვისადმი წაყენებულ ოთხ  
მთავარ ბრალდებას: პირველი, დ. ბააზოვს, როგორც ონის  
რაბინს, თითქოს არ ჰქონდა კრების მეთაურობის უფლება;  
მეორე, დ. ბააზოვი სიონისტი იყო და მას ქართველებისაგან  
ებრაელთა ჩამოშორება უნდოდა; მესამე, ქუთაისის რაბინი  
წინააღმდეგი იყო საერო განათლებისა, ვინაიდან ამას



უკარნახებდა მას ებრაელთა სარწმუნოება; და ბოლოს, კრების წინააღმდეგი იქნებოდა მანამ, სანამ იგი უმაღლესობაზე ისხსრანციების ნებართვით არ იქნებოდა მოწვეული.

6. ელიაშვილს ქუთაისელი რაბინის ყველა ეს ბრალდება კრინციპულად მიუღებლად მიაჩნია და არგუმენტირებულად ასაბუთებს კიდევ თავის თვალსაზრისს. მისი აზრით, განზრახული კრება „სახალხო საქმეს შეეხებოდა“, სადაც საუბარი უნდა გამართულიყო „საერთო ჭირ-ვარამზე“ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისი თაოსნობით მოეწყობოდა იგი. ასე რომ, ოპონენტის თქმით, „ანგარიში უნდა გაეწიათ მხოლოდ იმისთვის, თუ რა ჰქონდა კრებას თავის მიზნად დასახული. ამ კრების მიერ დასახული მიზანი კი ფრიად საყურადღებო იყო“. ავტორი წესის იმის გამო, რომ ქუთაისის რაბინმა არა თუ აქტივობა არ გამოიჩინა, არამედ პოზიციაც კი დაიკავა ამ დიდი ეროვნული წამოწყების მიმართ და, ფაქტობრივად, საბოლოოდ ჩაშალა კიდევ იგი.

რაც შეეხება დ. ბააზოვისადმი წაყენებულ ბრალდებას მისი სიონისტობის შესახებ, 6. ელიაშვილის თქმით, ბააზოვის პირვენული პოზიცია აქ არაფერ შუაში იყო, ვინაიდან საქმე, ჯერ ერთი, სიონისტების კონგრესის მოწვევას კი არ ეხებოდა, არამედ ებრაელი ხალხის საჭიროობო საკითხების განხილვას; მეორეც, სტატიის ავტორი ვერც სიონისტურ იდეებში ხედავს რაიმე საგანგაშოს, რადგანაც, მისი აზრით, „სიონიზმი არ არის შოვინიზმი და სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი ერი მეორეს ჩამოშორდეს სრულიად და მასთან არაფერი დამოკიდებულება არა ჰქონდეს“.

კიდევ უფრო უსაფუძვლოდ მიაჩნია 6. ელიაშვილს ქუთაისის რაბინის აზრი იმის შესახებ, თითქოს ებრაელთა სარწმუნოება ეწინააღმდეგებოდეს საერთ განათლებას.

6. ელიაშვილის თვალსაზრისს რომ ბევრი ებრაელი (და არა მარტო ებრაელი) იზიარებდა იმხანად, ეს ნათლად ჩანს პრესაში გამოქვეყნებული სხვა მასალებიდანაც. მაგალითად, „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის 463-ე ნომერში დასტამბულ საჩხერელი ხაიმ თეთრუაშვილის წერილში გულისტკივილითაა საუბარი იმ იმედგაცრუებაზე, რაც განზრახული კრების



ჩაშლას მოჰყვა. ამის გამო აგტორი, პირველ ყოვლისა, რაბინგბის ადანაშაულებს, რომლებიც საქვეყნო ინტერესების უზრუნველყოფა „პირადობას“ აყენებდნენ და „ცდილობდნენ ხალხის დაბნელებასა და დაბეჩავებას. ხ. თეთრუაშვილის აზრით, „რამდენად ხალხი დაბნელებულია, იმდენად მათი არსებობა უზრუნველყოფილია. ამიტომაც არის, უნდათ ხელი შეუშალონ მოღვაწე პირებს, რომელნიც ცდილობენ ჩვენი დაბეჩავებული ხალხის ადორძინებას. არამც თუ მარტო ხელის შეშლით კმაყოფილდებიან, აქტიურ ომსაც უცხადებდნენ და დედამიწასთან ასწორებენ ხალხის მეგობრებს“.

ამავე თვალსაზრისზე დგას ა. ჩაჩაშვილიც, რომელიც ქუთაისის რაბინისადმი გაგზავნილ დია წერილში გარკვევით აღნიშნავს: „განა იქშიბა და თალმუდ თორა ან და ხელობის სწავლა რჯულის წინააღმდეგია? ბააზოვისაგან ამის მეტი არა გაგვიგონია რა. თუ თქვენ ამას რჯულის წინააღმდეგობად სცნობთ, ხსანს ჩვენ არა გაგვიგია რა სჯულისა. თქვენ გინდათ ფანატიკოსობით სარწმუნოებას შეაფაროთ თავი და ხალხი კი დადუპოთ... თქვენ გაშინებთ თქვენი არსებობა არ შეირყეს. ამიტომ ებრძვით არა მარტო ბააზოვს, არამედ ყველას, ვისაც პსურს ჩვენს ხალხში სწავლის შეტანა“ („ხახ. ფურცელი“ 1915 წ. №447).

დ. ბააზოვისა და მისი იდეიისადმი მხარდაჭერი წერილები, გარდა „სახალხო ფურცელისა“, გაზეთ „სამშობლოშიც“ მრავლად დაიბეჭდა.

ერთ-ერთი მათგანი იყო ფ. შიმშილაშვილის ხტატია „ქართველ ებრაელებს“ (1915 წ. №25), რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ბააზოვის მოღვაწეობასა და მის პუბლიცისტურ წერილებს. „ჩვენთვის, - ებრაელთათვის, - წერს ავტორი, - ცხადია, ვინც არ დაიხუჭავს თვალებს, რომ დ. ბააზოვი საკმაოდ არის მომზადებული და იბრძვის თავისი ერის კეთილდღეობისათვის“. ფ. შიმშილაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს მას, რომ დ. ბააზოვის „ამდენმა შრომამ და მხურვალე გულშემატკივრობამ“ საქართველოს ებრაელებსა და მათ რაბინებზე ვერავითარი სასიკეთო გავლენა ვერ იქონია. მისი აზრით, „ეს სულ რაბინებისა და ხალხის



წარმომადგენლების ბრალია, რომელთაც დამორჩილებული ყავთ ხალხი და ატარებენ მათ იმ გზაზე, რომელიც მხოლოდ მათ მოუხდებათ და მათ პირად ინტერესებს დააკმაყოფილებს“.

„თუ ასე არაა, სად არიან ეს ვაჟბატონები, რომ არ ამოუდგებიან გვერდში დ. ბააზოვს და მასთან ერთად არ იშრომებენ თავისი ერის კეთილდღეობისათვის?...“ - კითხულობს ავტორი და სტატიის ბოლოს მოწოდებით მიმართავს ახალგაზრდებს, თავი დაანებონ უფროსების პირად ინტერესებსა და კერძო საქმეებს, შეუერთდნენ ბააზოვს და მასთან ერთად იბრძოლონ ერის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად.

ებრაელთა ამ პოლემიკაში ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ამის დადასტურებაა, მაგალითად, ია ეკალაძის სტატია - „გაკვრით“ („სამშობლო“, 1915 წ. №40), რომელიც დ. ბააზოვის პოზიციების დასაცავად და ქუთაისის რაბინის ტენდენციური საპასუხო წერილის დასაგმობად დაიწერა. ია ეკალაძე მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხელს რ. ელუაშვილის მიერ წამოწყებული პაექრობის უსაფუძვლობას და მის წერილს პიროვნული „შურის, მტრობის, გაუტანლობისა და ერთისაგან მეორის დამცირების“ გამომხატველ გულსატკენ ფაქტად მიიჩნევს. „რაც უფრო დამონებული და დაბეხავებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მისი შეიღები ერთმანეთს ჭამენ და იმის მაგივრად, რომ ერთი მეორეს მიეშველონ და შეერთებული ძალით გაუმჯდომარენ საქვეყნო, საერთო ბოროტებას, ერთი მეორეს ემტერება, სახელს უტეხავს და ცდილობს გააბიაბუროს, ცოცხალი მიწაში ჩამარხოს, თვითონაც წახდეს და მეორეც წაახდინოს“.

სწორედ ამის ნიმუშად მიაჩნია ია ეკალაძეს ის დავიდარაბა, რომელიც დავით ბააზოვსა და ქუთაისის რაბინს შორის იყო ატებილი. ამ პაექრობაში იგი ერთსახოვნად უჭერს მხარს დ. ბააზოვს და აქტიურად იცავს მის პოზიციას. უფრო მეტიც, მისი თქმით, იგი „ჯერჯერობით ერთად ერთი ქართველი ებრაელია, რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურება ტანჯული და დევნილი ერის უფლებათა აღდგენას“ ამიტომ

„მას გამხნევება უნდა და არა დაცინვა. მას ყველა მასშე უნდა შევუწყოთ და არა შევუშალოთ, მას გზა უნდა გვიცის სამოქმედოდ და არა დავუჩეოთ გზა იგი!...“

ია ეკალაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბ. ელუაშვილი სულ ხევანაირად იქცევა, რაც „არ შეეფერება ხალხისა და ერის წინამდღოლს“. მან, როგორც ებრაელი ხალხისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით განწყობილმა კაცმა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ებრაელთა საჭირბოროგო პრობლემები ფართო საზოგადოებრივი განსჯის საგნად ექცია. ამ თვალსაზრისით, გაზეთი „სამშობლო“, ია ეკალაძის თქმით, „პირველი ქართული ბეჭდვითი ორგანო იყო, რომელმაც დაუთმო თავისი ფურცლები ქართველ ებრაელობას და საშუალება მისცა მათ თამამად გამოეთქვათ თავისი აზრი“. ამ საქმეებში ნავსის გამტებს პირველ მოღვაწედ იგი რაბინ დავით ბააზოვს თვლის, რომელმაც „პირველი ჩაქუჩი დაპკრა“ და სათავე დაუდო ებრაელთა ინტელექტუალურ გამოღვიძებას.

მით უფრო გულსატკენად მიაჩნია ია ეკალაძეს ის მტრული და უსაფუძვლო პოზიცია, რომელიც ქუთაისის რაბინმა გამოხატა დ. ბააზოვის მიმართ. „თქმა იმისა, რომ ბააზოვი „მეტიხრობსო“, - სინახულით შენიშნავს პუბლიცისტი, - არამც თუ არ არის მართებული, არამედ ცოდვაც არის!...“

კაცი თავისი ერის გამოფხიზლებაზე, თავისი ერის სარწმუნოებრივობასა და ეროვნულ-ზნეობრივ ამაღლებაზე ფიქრობდეს და იმას კი „მეტიხრობა“ უკიუინო, ეს, ჩვენი აზრით, შეგინებაა ადამიანის წმინდათა წმინდისა“.

ია ეკალაძე ელუაშვილის მიერ ბააზოვისადმი წაყენებულ ბრალდებას – თითქოს მას ებრაელობის ქართველებისაგან ჩამოშორება და გათიშვა სურსო, „მტკნარ ცილისწამებას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ეს დაბეზდებაა დ. ბააზოვისა ხალხთან – როგორც ქართველ ებრაელებთან, ისე ქართველ ქრისტიანებთან. ეს, დასასრულ, დამცირებაა თვით იმ გაზეთისა, სადაც ბააზოვი და მისი ამხანაგები თანამშრომლობენ, ვინაიდან ჩვენ ბინა მიგვიცია ხალხის მტრისათვის. მაგრამ არა, ეს ასე არ არის!“ ამდაგვარ ბრალდებას ია ეკალაძე

„ქაცის უცეცხლო დაწვად და უანგარო შრომის შეგინებად“  
მიიჩნევს.

მაგრამ, როგორც ითქვა, დ. ბააზოვის ამ პატრიოტულ თაოსნობას, ქუთაისის რაბინის გარდა, ებრაელთა შორის სხვებიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. ერთ-ერთი მათგანი იყო ვინძე ნორა, რომელიც „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის 398-ე ნომერში დასტამბულ წერილში დ. ბააზოვისა და მის თანამოაზრეთა მიერ განზრახული კრების ჩატარებას „ნაადრევად მიიჩნევდა“ და ამბობდა, რომ ამდაგვარი კრების ჩატარებამდე აუცილებელი იყო სახოგადოების მოზადება. ამიტომაც, - აღნიშნავდა ავტორი, - ჯერ-ჯერობით „საჭიროა ლექციების გამართვა ყველა დაბაში, რათა გააცნონ წარსული უმუშობა და მომავლის საჭიროება და მას შემდეგ მოეწყო არჩევნებით“.

ნორას წერილის საპასუხოდ გამოქვეყნებულ სტატიაში („სახალხო ფურცელი“, 1915 წ. №421) დ. ბააზოვი ერთხელ კიდევ განუმარტავდა საზოგადოებას სარაბინო კრების მიზანდასახულობას და აღნიშნავდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო დონისძიება „საქართველოს ებრაელობის კულტურულად ასაღორძინებლად და „ჩვენი ჩამორჩენილი ძმების სიბრძნიდან გამოსაყვანად“.

სამწუხაროდ, დ. ბააზოვის ამ აქტიურ მამულიშვილურ მცდელობას იმხანად წარმატება არ მოჰყვა და განზრახული კრების ჩატარება, როგორც გაზეთები იუწყებიან, „განუსახლდვრელ ვადამდე გადაიდო“.

ამ პატრიოტული წამოწყების ჩაშლას, თავის მხრივ, დიდად შეუწყო აგრეთვე ხელი ტომსეკელმა სტუდენტმა მიხაკო ხანანაშვილმაც, რომელიც „სახალხო ფურცელში“ დასტამბულ კრცელ წერილში - „ცოტა რამ ქართველ ებრაელების შესახებ“ (1916 წ. №477) ქართველი რაბინების შეკრებას ისეთივე მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევს, „როგორიც იქნებოდა, მაგალითად, ქართველი „მოლების“ (და არა მარტო მაჰმადის მორწმუნეთა) კრება“. სტატიის ავტორის მტკიცებით, დ. ბააზოვისა და მის თანამოაზრეთა ღწვა ებრაული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის შესასწავლად



ვიწრო ნაციონალისტური გრძნობების გამოვლენისადაც და სარაბინო კრების საწინააღმდეგო მთავარ არგუმენტების ასახელებს, რომ ერის საჭიროობო პრობლემებზე სასახლოდ შეკრებილი რაბინები „ჯერ მოისურვებენ ჩვენს ყმაწვილებს ებრაული ლიტერატურა და ენა ასწავლონ და ებრაული კულტურის (?) აპები მიაღებინონ. მერე ჩვენს ქართველ ებრაელობაში შეეცდებიან ებრაულ ნაციონალურ „თვითშეგნების“ შეტანას და მერე კი იერუსალიმში – პალესტინაში გადასახლებას ებრაული სახელმწიფოს დასარსებლად“.

როგორი პოზიციისა და განწყობილების გამომხატველიც იქნება სარეცენზიო წერილი, ვფიქრობ, ამას ციტარებული ფრაგმენტებითაც ნათლად დაინახავს მკითხველი. სტატიის ავტორის ეროვნული ნიპილიზმი და დ. ბააზოვის პატრიოტული თვალთახედვა დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაშინ, როცა ებრაელთა ეროვნულ ერთობასა და გამთლიანებაზე მეოცენებე დ. ბააზოვი თავდადებით ეძებდა გზებს ამ ერთობის მისაღწევად და ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად, მ. ხანანაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ქართველ ებრაელებს მსოფლიოში მცხოვრებ დანარჩენ 14 მილიონ ებრაელთან „იმდენივე პქნონდათ საერთო, რამდენიც ციმბირში მცხოვრებ მაჰმადიანებს ჩვენს აჭარლებთან – მხოლოდ რჯული“.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბააზოვის კეთილშობილური განზრახვა ჩაიშალა და სარაბინო კრების ჩატარება ვერ მოხერხდა, მას გული მაინც არ გაუტეხავს, უიმედოდ ხელი არ ჩაუქნევია და კვლავაც აქტიურად განაგრძო პრაქტიკული საქმიანობა თავისი ხალხის მთვლემარე ეროვნული ცნობიერების გამოსაფხიზებლად. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გაზეთ „სამშობლოში“ 1915 წელს (№355) გამოქვეყნებული მიმართვა „ქართველ ებრაელს“, რომელშიც დ. ბააზოვმა ერთხელ კიდევ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა კონკრეტულად მისი მიზანსწრაფვის არსებითი პრინციპები.

ის ფაქტი, რომ განზრახული შეკრების ჩატარება ვერა და ვერ მოხერხდა, დ. ბააზოვის აზრით, პირველ ყოვლისა, იმათი

კალი იყო, რომლებიც „ხალხის უფიცობით ცხოვრობდნენ“  
დათარეშობდნენ და ბატონობდნენ. ასეთი პირების წყალობრივი განვითარების  
- განაგრძობს პუბლიცისტი, - ხიმართლის მთქმელი ადამიანის მიერთება  
უფლების იჩაგრება. როგორც კი იგი ხმას ამოიღებს ჩვენი  
ხალხის გამოღვიძებაზე, ამ ვაჟბატონებს ხელში უჭირავთ  
ერთნაირი მათრახი. ეს არის „ხარწმუნოება“ და ამის სახელით  
ამათრახებები უკელას, ვისაც კი ამ სარწმუნებისა და ჩვენი  
ერის ამაღლება გულითა და სულით სურს“.

ვფიქრობ, მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება,  
თავისი ამ გაბეჭდული მხილებით ვის, რა უფლებამოსილების  
პირებს უპირისპირდებოდა იმხანად დავით ბააზოვი და რაოდენ  
ძნელიც იქნებოდა ეს ბრძოლა. მაგრამ ეროვნულ-  
პატრიოტული შეგნებით გულანთებული ახალგაზრდა რაბინი,  
თავის ხალხზე უზომოდ შეევარებული და დიდ საქმეთა  
საკეთებლად უანგაროდ შემართული, უკან მაინც არ იხევდა  
და გაბეჭდულად ებმებოდა ამ უთანასწორო, მაგრამ ლუთისა  
და ერის სახიკეთოდ წამოწყებულ ბრძოლაში.

დ. ბააზოვის ეს დიდი მაულიშვილური მიზანსწრაფვა,  
როგორც ითქვა, მხოლოდ სიტყვიერი ქადაგებების დონეზე  
როდი რჩებოდა. ამავე მიმართვიდან მკითხველისათვის იხიც  
ნათელი ხდება, რომ თავისი ერის სწავლა-განათლებაზე  
მეოცნებე რაბინი ჯერ ონში შეხვედრია ახალგაზრდა  
ებრაელებს და მათთან ერთად შეუმუშავებია სწავლა-  
განათლების სამოქმედო პროგრამა, შემდეგ ასეთივე საუბარი  
ქუთაისელ ახალგაზრდებთან გაუმართავს, ბოლოს კი  
თბილისელ ებრაელობას მოსაუბრებია. ამ შეხვედრების დროს  
მას წინანდელი განზრახვა კიდევ უფრო განმტკიცებია და  
მიუხედავად იმისა, რომ მისი ამდაგვარი აქტიურობით  
შემფოთებულმა „ძეელმა და ბნელმა ძალებმა“ მის წინააღმდეგ  
„ქუჩური აურზაური ასტეხეს“ და „ხარწმუნოების სახელით“  
დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს, დავითს უკან მაინც  
არ დაუხევია და ამ „ვაჟბატონების გულდრძეობისათვის“  
ქუდი არ მოუხრია. იგი დაბეჯითებით მოუწოდებდა ქართველ  
ებრაელებს საქართველოს უკელას კუთხეში შეექმნათ ებრაელი  
ახალგაზრდების ჯგუფები, რომლებიც დააარსებდნენ

დაწყებითი ტიპის სასწავლებლებს ე. წ. თალმუდ-თორაჟებს, მათ ბაზაზე კი ქუთაისში გაიხსნებოდა ცენტრალური ფარაუნია. „ასეთი სასწავლებლები, - პუბლიცისტის ოწეულით, - აამაღლებდნენ ჩვენს ახალ თაობას, ეკონომიკურად წინ წასწავლდნენ და თავიდან ააშორებდნენ იმ სიდუხებირებს, რომელ შიც იმყოფებოდნენ ისინი სოფლად თუ ქალაქად“. აქვე დ. ბააზოვი იმის შესახებაც სვამდა საკითხს, „სწავლის შესაფერის ნიჭს მოკლებული ახალგაზრდობისათვის ქუთაისში დაეარსებინათ სახელოსნო სასწავლებელი, სადაც რაიმე ხელობას შეასწავლიდნენ მოზარდებს“.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბააზოვი სასულიერო პირი იყო, თავისი ცხოვრებითა და მოქალაქეობრივი მრწამსით იგი უპირველეს ყოვლისა დიდი საზოგადო მოღვაწეა, მშობელი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად აქტიურად მებრძოლი პიროვნება, დიდი განმანათლებელი, რომლის მოღვაწეობა მარტო სიტყვიერი ქადაგებებით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ ენერგიული პრაქტიკული საქმიანობითაც გამოირჩეოდა. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საამისოდ საჭირო მუხტი და შინაგანი ენერგია მას იმ დიდი საზოგადოებრივ-მამული შვილური მოღვაწეობის მაგალითებმაც შესძინეს, რომელთაც ქართველი ერის მამამთავრები, პირველ ყოვლისა კი ი. ჭავჭავაძე, ეწეოდა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ეროვნული და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემების გადასაწყვეტად. ამდაგვარი კეთილისმყოფელი და სტიმულის მიმცემი ზეგავლენის გამოძახილი, ვფიქრობ, აშკარად ისმის დ. ბააზოვის პუბლიცისტურ წერილებში. მათ პათოსსა და ეროვნულ სულისკვეთებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის მძლავრი ეროვნულ-პატრიოტული შემართება, რითაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი დიდი მამული შვილები იბრძოდნენ და იღვწოდნენ ერის სასიკეთოდ.

როგორც დ. ბააზოვის პუბლიცისტითაც და პრაქტიკული საქმიანობითაც დახტურდება, ღვთისმსახურება მისთვის, როგორ რაბინისათვის, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მოღვაწეობის ასპარეზად იყო ქცეული, თავისი დიდი საგანმა-

ნათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის ეფექტურ საშუალებად. ამიტომაცაა, რომ მის ნააზრევსაც და კრაქტიკულ ქმედებაში ეროვნული და სარწმუნოებრუნვით მხარეები განუყოფლად ერწყმის ერთმანეთს.

ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეების ამდაგვარ ორგანულ მთლიანობასა და ერთმანეთისაგან განუთოშველობას დ. ბააზოვი განსაკუთრებულ ყურადღებას ათიან წლებში გამოქვეყნებულ მის იმ წერილებშიც აქცევს, რომლებმაც იგი ქუთაისელი რაბინის – რ. ელუაშვილისა და ებრაელ „ასიმოლატორთა“ ყალბ და არამეცნიერულ შეხედულებებს დაუპირისპირდა.

დ. ბააზოვის რწმენით, ებრაელი რაბინების მოღვაწეობის უაღრესი მიზანდასახულება მარტო ლოცვით კი არ უნდა შემოფარგლულიყო, არამედ ისინი იმავდროულად „მთელი კულტურული, ანუ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრებისათვის თვალყურისმდევნებელი“ ის პიროვნებებიც უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც „მოზარდი ვაჟები და ქალიშვილები ეროვნულადაც უნდა აღეზარდათ და რელიგიურადაც“ (იხ. ფ. ბააზოვის დასახ. კრებული, გვ. 51). საყოველთაოდ ცნობილი ამ ჭეშმარიტების ამდაგვარ ხაზგასმასა და მრავალგზის განმეორებას დ. ბააზოვი აუცილებლად იმიტომაც თვლიდა, რომ მისი დროის საქართველოს რაბინები ყოველთვის ვერ ხედავდნენ ამ ჭეშმარიტებას.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, დ. ბააზოვი ამაში ნათლად და საფუძვლიანად იმ კამათმაც დაარწმუნა, რომელიც მას ქუთაისის რაბინმა და მისმა მომხრეებმა გაუმართეს ათიანი წლების შუა ხანებში ქართველ ებრაელთა მისეული საგანმანათლებლო პროგრამის გამო.

ამ ამბით უსაზღვროდ შეწუხებული პუბლიცისტი 1916 წელს გაზეთ „სამშობლოს“ 355-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „ქართველ ებრაელს“ წერდა: „ეს ორი წელიწადია გულნატკენი ვლაპარაკობ თქვენ წინაშე, ძმებო, მაგრამ თქვენ არ ისმინეთ სიმართლე, არ დაინახეთ ჭეშმარიტება. მიუხედავად ამისა, თქვენ მე არ გამტყუნებთ, რადგან თქვენ იმყოფებით

ისეთი პირების გავლენის ქვეშ, რომელიც ცხოვრობენ ხალხის  
უკუცობით, დათარეშობენ და ბატონობენ თვალისწინებულ  
ხალხზე... ამ ვაჟბატონებს ხელში უჭირავთ ერთნაირი მათრახი.  
ეს არის „სარწმუნოება“ და ამის სახელით ამათრახებენ ყველას,  
ვისაც კი ამ სარწმუნოებისა და ჩვენი ერის ამაღლება გულითა  
და სულით სურს. „ამ სარწმუნოების“ სახელით ხალხს  
უქადაგებენ, რომ ყოველივე წინსვლა უდიდესი ცოდვაა და  
ჯოჯოხეთში წახვალოთ“.

პირველ ყოვლისა სწორედ სარწმუნოებისადმი დალატად  
მიიჩნიეს ელუაშვილმა და მისმა თანამოაზრე რაბინებმა დ.  
ბააზოვის მოღვაწობა ქართველ ებრაელთა კულტურულ-  
საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად საჭირო დონის-  
ძიებათა შესამუშავებელი თავყრილობის გამართვის შესახებ.  
მათი შეფასებით, დ. ბააზოვის ეს აზრი „ეწინააღმდეგებოდა  
სარწმუნოებას“. როგორც თავად დ. ბააზოვი წერს, „მათ  
ისარგებლეს ჩვენი ხალხის შეუგნებლობით და დაგვაშორეს  
მიზანს, რომელიც დიდ ბედნიერებას მოუტანს ჩვენ ხალხს  
როგორც სარწმუნოების მხრით, ისე უკონომიურად“.

ყოველივე ზემოთქმულით გულნატები დ. ბააზოვი  
დაბეჯითებით არწმუნებდა თანამემამულებს, რომ მისი  
საქმიანობის უმთავრესი მიზანი ებრაელი ხალხის ეროვნული  
გამოფხიზდებისათვის ბრძოლა იყო და მის ამდაგვარ  
ქმედებაში „იოტისოდენაც კი არა ერია-რა სჯულის  
საწინააღმდეგო“.

ასეთია, მოკლედ, იმ ძირითადი მსოფლმხედველობრივი  
პრინციპების არსი, რომლებიც მრავალსაუკუნოვანი ძილიდან  
და უმოქმედობიდან ქართველ ებრაელთა გამოყვანის დ.  
ბააზოვისეულ ეროვნულ-საგანმანათლებლო პროგრამას უდევს  
მკვიდრ საფუძვლად.

ათიანი წლების მეორე ნახევრის ქართულ პრესაში ცხოველი პოლემიკა გაჩაღდა ქართველ ებრაელთა ეროვნული წარმომავლობის თაობაზე, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო დავით ბააზოვმაც. ამდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული თავისი წერილებით იგი პრინციპულად დაუპირისპირდა ასიმილაციონთა სახელით მონათლულ იმ პიროვნებებს, რომლებიც საქართვლოში მცხოვრებ ებრაელებს ქართველებად თვლიდნენ და მხოლოდ სარწმუნოებით მიიჩნევდნენ მათ ებრაელებად.

ადნიშნული თვალსაზრისის ავტორები თავიანთ პუბლიკაციებში „საშინელი ადშფოთებით იღაშქრებდნენ „ებრაელი ნაციონალისტების“ წინააღმდეგ და არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ქართველებისაგან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოება განასხვავებდათ და მეტი არაფერი. ამ პოლემიკაში ყველაზე მეტად ძმები – მიხაკო და იოსებ ხანანაშვილები აქტიურობდნენ, რომელნიც მეტისმეტი აგრესიულობით უპირისპირდებოდნენ დ. ბააზოვის ეროვნულ პოზიციას.

ხანანაშვილების ამდაგვარ თვალსაზრისს ქართველ ებრაელთა ეთნიკურ წარმომავლობაზე დ. ბააზოვმა „დიდი შეცდომა და გაუგებრობა“ უწოდა და ძმებს ისტორიის ოცნებასა და გაყალბებაში დასდო ბრალი. ამის დასტურად მას მრავალი კონკრეტული ფაქტი მოჰყავს ებრაელი ხალხის წარსულიდან.

„ახალგაზრდა ასიმილაციონებისაგან“ განსხვავებით, ეროვნულად შეურაცხეყოფილი დ. ბააზოვი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „მთელი ქართველი ებრაელობა ისეთივე ებრაელები არიან, როგორნიც არიან რუსეთ-ამერიკის და თვით პალესტინისა. არავითარი იოტის ოდენა განსხვავება ჩვენში არ არსებობს ეროვნულად და სარწმუნოებრივადაც“ („სამშობლო“, 1916 წ. №399).

დ. ბააზოვის თქმით, ებრაელობა მსოფლიოში ერთადერთი ხალხია, რომელიც „თვით სარწმუნოებამ შექმნა ერთადერთი თუ სარწმუნოებას გამოაცლიდი ებრაელს, ის მთლად მოწყვეტილია ებრაელობას ყოველმხრივ, მაგრამ თუ სარწმუნოება ებრაელს სწამს, მხოლოდ მაშინ უკავშირდება ჩვენს ერს, რადგანაც ებრაელთა ერი, სარწმუნოება და ეროვნება განუყოფელია“. დ. ბააზოვს, როგორც თავად ამბობს, მართალია „ეს ჰეშმარიტება“ სხვისი ნააზრევიდან აქვთ დამოწმებული, მაგრამ მისი მტკიცებითაც, „ებრაელი ერის სარწმუნოება ისეთნაირად არის შემოხვეული ირგვლივ ებრაელთა ცხოვრებაზე, რომ ძალაუნებურად, თუკი იგი გწამს, გაკავშირებს მთელი დედა-მიწის ებრაელობას და თუკი გინდა ებრაელებს ჩამოშორდე ეროვნულად, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ თვით სარწმუნოებაზე ხელს აიღებ“.

დ. ბააზოვი, როგორც ცნობილია, რაბინი იყო, თავისი ხალხის სულიერი მოძღვარი, და კარგად ერკვეოდა ებრაული სარწმუნოების არსში. ასე რომ, მისი მსჯელობა რელიგიური რიტუალების შინაარსსა და მიზანსწრაფვაზე გაუცნობიერებელი ფანატიზმის ნაყოფი კი არ იყო, არამედ სიღრმისეული განსჯის შედეგი. ეს პოლემიკაში ჩაბმული პუბლიცისტის თუნდაც დამოწმებული წერილიდანაც ნათლად ჩანს, სადაც მრავალი კონკრეტული მაგალითია მოშველიებული და სათანადოდ განმარტებული ებრაელთა რელიგიიდან (ფეხახი, სუქოთი, მათან თორა, ხანუქა). ავტორი არგუმენტირებულად მსჯელობს მათ ეროვნულ წარმომავლობაზე და ებრაელი ხალხის სარწმუნოებრივ რიტუალებს, პირველ ყოვლისა, „ისტორიული ხსოვნისა და წმინდა ეროვნულობის“ გამოვლინებად მიიჩნევს. ისინი, მისი აზრით, უწინარესად, სწორედ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდნენ და მხოლოდ შემდგომში შეიძინეს სარწმუნოებრივი შინაარსი ყოველი ჰეშმარიტად მორწმუნე ებრაელის გულში.

თავიანთი ნიპილისტური თვალთახედვით ზემოთაღნიშნული „თეორიის“ ავტორები, დ. ბააზოვის თქმით, არა მარტო ებრაელობას ატყუებდნენ, არამედ ქართველ ხალხსაც ეფარისევლებოდნენ. „ეგებ თქვენ გგონიათ, რომ



ამით მეტ სიყვარულს დაიმსახურებთ ქართველ ხალხში, გიმართავს პუბლიცისტი ოპონენტებს და იქვე განაგრძოს მე სრულიად არ მწამს ეს, ქართველი ხალხი ამას ჩვენს მოგვთხოვს და არც მოუთხოვიათ. არც დიდი სისარგებლოა მათვის, რომ ასე მოვიქცეთ... ქართველი ერი სწორედ ამაშია საქები. სწორედ ამიტომ გვიყვარს, რომ მათ არ მოსწონს ის, ვინც სამშობლოს დალატობს. მათ იციან, რომ ასიმილაციის წესი ასეა, დღეს ქართველად აღიარებ თავს. ხვალ რუსები მოგეწონება და მათან გაიქცევა...“ (იქვე).

დ. ბააზოვი ხაზგასმით შეახსენებს ოპონენტებს, რომ ქართველი ერისათვის ამდაგვარი დესპოტიზმი სრულიად უცხოა, მას არასოდეს გაუხდია იძულებული ვინმე, საკუთარ ეროვნებაზე უთქვა უარი და ამით მოეპოვებინა საქართველოში მშვიდი ცხოვრების უფლება. პუბლიცისტის ამდაგვარ მხჯელობას ლოგიკურად მოსდევს მადლიურების გამოხატვა ქართველი ერისადმი მისი სულგრძელობისა და შემწყნარებლობის გამო და აღიარება-მოწოდება იმისა, რომ „ახლა საჭიროა წვენი ვალი გადავუხსადოთ მათ მაგარი ფრაზებით, ყვირილითა და ლაპარაკით კი არა, არამედ საქმით. წვენი ეროვნება თუკი წვენში შეგნება გაძლიერება, არამც თუ ხელს არ შეგვიშლის ქართველი ერის სიყვარულში, არამედ ნათლად დაგვანახებს წვენს ვალს მათს წინაშე“. დ. ბააზოვს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის აზრი, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელობის მომავალი კეთილდღეობა მხოლოდ ქართველი ხალხის ხვალინდელ დღეზე იქნებოდა დამოკიდებული. ამიტომაც მიაჩნდა მას თავის ეროვნულ და პატრიოტულ მოვალეობად, მოეწოდებინა თავისი თანამემამულეებისათვის, აქტურად ებრძოლათ ქართველი ერის თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის, რაც იმავდროულად აქაურ ებრაელთა ნათელი ხვალინდელი დღისათვის ბრძოლაც იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ებრაელების გარდა ბევრი სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობს, ქართველი ხალხისადმი ამდაგვარი ეროვნული თანადგომა, სამწუხაროდ, არავის გამოუხსატავს. პირიქით, წვენს ტრაგიკულ ისტორიაში

  
საძებარი როდია იმის მაგალითები, უცხო ტომის შვიდები, ჩვენს მიწა-წყალს სამუდამოდ შემოხიზული დაპატრონებული, ხშირად არა თუ ჩვენს ჭირ-ვარამს არ იზიარებდნენ და ერთგულად არ გვეღგნენ გვერდით, არამედ სეირის მაყურებლის, უფრო მეტიც, მოღალატის როლშიც კი გამოდიოდნენ და ქვეყანას ზურგში სცემდნენ მახვილს.

საბედნიეროდ, ქართველი ებრაელობა ასეთ ღალატსა და მზაკვრობაში არასოდეს გარეულა და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე, „თუმცა საქართველოს ებრაელები იყვნენ ვაჭრები და მოსიარულენი შორეულ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, სპარსეთში, ინდოეთსა და ოსმალეთში იმ დროს, როცა ესენი საქართველოს რკალიფით ჰყავდა საომრად შემორტყმული, მაგრამ არასოდეს არ ჰქონია შემთხვევას ადგილი, რომ შორს მოსიარულე ებრაელ ვაჭარს გაეცეს საქართველოს საიდუმლოება“.

დ. ბააზოვის ეროვნული თვალთახედვის გასაცნობად და ებრაელ ასიმილატორებთან კამათის არსში გასარკვევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაზეთ „სამშობლოს“ 1916 წლის 17 აგვისტოს ნომერში დასტამბული მისი ის წერილიც იძენს, რომელიც ერთ-ერთი ოპონენტისადმი - სტუდენტ იოსებ ხანანაშვილისადმი სადაც საკითხებთან დაკავშირებით გაცემულ პასუხს წარმოადგენს.

წერილში არგუმენტირებულადაა დახასიათებული ის უმნიშვნელოვანების ნიშან-თვისებები, რომლებიც ერს დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად ამკვიდრებენ და მის თვითმყოფად ბუნებას განსაზღვრავენ. დ. ბააზოვი ცდილობს ეროვნულობის არსის განმსაზღვრელი ფაქტორების დახასიათების დროს მაგალითები უწინარეს ყოვლისა ებრაელი ხალხის ცხოვრებიდან მოიშველიოს და ამით ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს.

მისი განმარტებით, „პირველი ფაქტორი ეროვნებისა სამშობლოა. სარწმუნოების მიღებამდე ჩვენ არ გვქონდა სამშობლო. თვით სარწმუნოებამ მიგვითოთა იმისაკენ, სარწმუნოებამ დაგვისახა საზღვარი იმ ქვეყნებისა და რომ

სამუდამოდ შთანერგილიყოს მისი სიყვარული ისრაელის გულში, უნდა მას „წმინდა ქვეყანა“ ... ამით სარწმუნო ებრაული გულში მიაღწია მიზანს. ებრაელი სადაც არ უნდა იყოს, მათ შეუძლია იქ გული იმის იქითქენ მიიღობის. თუ მას არ შეუძლია იქ თავის ცხოვრება მოიწყოს, სიყვარული მაინც აქვს შეუწყვეტელი“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. სექტ. №17).

ეროვნების განმსაზღვრელ მეორე ფაქტორად დ. ბააზოვმა გშობლიური ენა გამოყო. მართალია, სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ებრაელებმა, რომლებიც ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილები იყვნენ, იქაური ენა შეითვისეს, მაგრამ ამაში უჩვეულო, მისი აზრით, არაფერია და, როგორც თავადვე ამბობს, „ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყოველი ებრაელის ცხოვრება ეკონომიურად თუ პოლიტიკურად შეკავშირებულია იმ ქვეყნებთან, სადაც მას ბედმა არგუნადასახლება“.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, „საერთო ქველი ენა“, როგორც „შემაკავშირებელი ძალა“ ყოველი ებრაელისათვის, მაინც ხელუხლებელი დარჩა და „ამ ენით კვლავაც იწერება ებრაული სალიტერატურო წიგნები, გამოდის ჟურნალები და გაზეთები, ამ ენით კაწავლობთ ჩვენ „თორას“ და სარწმუნოებას, ... ამ ენით კლოცულობთ, კაწავლობთ და კარგად გვესმის“.

ეროვნულობის განმსაზღვრელ მესამე ფაქტორად დ. ბააზოვმა ხვეულება გამოყო. მისი თქმით, „სარწმუნოებამ აქაც რკინის გალავანი შემოარტყა ებრაელებს“.

მაგრამ, ამდაგვარი შეუვალი ეროვნული თვითმყოფადობის მიუხედავად, დ. ბააზოვის აზრით, ებრაელებს ქართველ ხალხთან ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. უფრო მეტიც, ქართველობის გვერდით „ძმურ-ამხანაგური, ათასწლოვანი ცხოვრების“ შედეგად ებრაელმა ხალხმა ქართველი ერის ბევრი ზნე-ჩვეულებაც შეითვისა, მაგრამ ამას ოდნავადაც კი არ შეუბრალავს მისი ეროვნული თავისთავადობა.

ასე გრძელდება სენებულ წერილში ეროვნების განმსაზღვრელი უმთავრესი ნიშან-თვისებების დ.

  
ბააზოვისეული დახასიათება, რითაც ავტორი დამაჯიშვილი უპირისპირდება მისი მოწინააღმდეგების ასიმიურულებულობის თეორიას ქართველ ებრაელთა ეთნიკური წარმოშვალობის შესახებ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დ. ბააზოვმა თანამოაზრებთან ერთად 1918 წელს ქუთაისში პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „ხმა ებრაელისა“ გამოსცა, სადაც გამოქვეყნებულ სტატიაში - „ჩვენ და ქართველები“ (№2) ერთხელ კიდევ განსაზღვრა მისი ეროვნული მიზანსწრაფვის ძირითადი პრინციპები.

ხსენებულ წერილში დ. ბააზოვი ისევ დაუპირისპირდა იმ ებრაელ „ასიმილაციონებს“, რომლებიც, „აგერ რამდენი ხანია, ჩასძახიან ქართველებს და არწმუნებენ მათ, თითქოს ჩვენ წმინდა ქართველები ვიყოთ და ებრაელებთან არავითარი კავშირი არ გვქონდეს გარდა ... სარწმუნოებისა. ისინი ისე შორს წავიდნენ, რომ უნდათ დაამტკიცონ, რომ ჩვენ არამც თუ ეროვნებით, არამედ შთამთავლოთ აც ქართველები ვართ და „აბრამ, იცხაკ, იაკობის შთამომავლობაზე“ უარს აცხადებენ. დღეს დღეობით ქართველების ერთი ნაწილი შეიყვანეს შეცდომაში და დაარწმუნეს, რომ მთელი საქართველოს ებრაელობა ვითომც მათი თანამოაზრე იყოს, მხოლოდ ერთი ბააზოვია მათი გამაებრაელებელიო.“

დ. ბააზოვის აზრით, საქართველოში მცხოვრებ ებრაელ ასიმილაციონთა ამ თვალსაზრისს თავისი შეფარული ქვეტექსტი ჰქონდა. კერძოდ, ისინი ასე სვამდნენ საკითხს: „ან უნდა ქართველებად გამოვაცხადოთ ჩვენი თავი, ანდა, თუ ებრაელები დაგრჩიოთ, ვითომ ჩვენ საქართველოს და ქართველებს ერთგულებას ვედარ გავუწევთო“. დ. ბააზოვი პრინციპულად ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენდა საბედნიეროდ ქართველები არ არიან შოვინისტები და არც ანგისემისტები არიან მათში.“ ამიტომ ებრაელ ასიმილაციონთა ქადაგებანი ქართველ ებრაელთა ქართულ წარმომავლობაზე მას სელოვნურად შეთხულ სიყალბედ მიაჩნია. „თუ აქამდე ჩვენს ებრაელობას

არაფერი დაუშავებია ქართველებისათვის, - წერს დ. ბააზოვი, „**უკრაინული გამოცდის გადასახმარებელი**“ გიმედოვნებით, რომ არც მომავალში დააშავებენ.“ დ. ბააზოვის გულისტკივილს განხსაკუთრებით ზრდიდა ის გარემოება, რომ ებრაელთა ჭირ-ვარამზე მისი „ სევდიანი ლაპარაკი“ ოპონენტებმა „უსამართლოდ გადააბრუნეს“, წამოყენებული აზრი დაამახინჯეს და ნამდვილი მიზანი კი გოდორში დამარხეს და სიონისტებად ისიზმრეს“. მიუხედავად იმისა, რომ დ. ბააზოვი არასოდეს გამიჯვნია სიონისტების პატრიოტულ მიზანსწრაფვას, თავისი ეროვნული თვალთახედვით იგი ყოველთვის ცდილობდა ყოველგვარ პარტიულ თუ ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო და აქტიურად დაეჭირა მხარი ყველასათვის, ვინც ებრაელი ხალხის თავისუფლებისა და ნათელი მომავლისთვის იღვაწებდა. ასე რომ, მისი ეროვნული მიზანსწრაფვა ამ შემთხვევაში არამც და არამც არაა შებოჭილ-შემოფარგლული მხოლოდ რომელიმე ერთი მოძღვრებით.

როგორც რვალისტურად მოაზროვნე პიროვნება, დ. ბააზოვი რომანტიკულ ილუზიებს არასოდეს აპყოლია და აქტიურად ეძებდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მხოლოდ ყველაზე ოპტიმალურ გზებს. სწორედ ამდაგვარი ცხოვრებისეული რეალიზმის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნებებისაგან განსხვავებით, რომლებიც კადნიერი ფორმით გამოხატავდნენ თავიანთ ნაციონალისტურ ამბიციებს, დ. ბააზოვი მშობელი ხალხის სახელით ხელისუფლებას მხოლოდ იმ საქმეების პრაქტიკულ მოგვარებას თხოვდა, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო მათი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

დავით ბააზოვის პუბლიცისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ქართველი და ებრაელი ხალხების ორი ათას ექვსას წლოვანი მეგობრული თანაცხოვრების გამდიდრებაცაა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთმანეთის გვერდიგერდ მცხოვრები ამ ორი ხალხის ურთიერთგანუთიშველობისა და მეგობრული ერთობის დასტურად პუბლიცისტს მრავალი მაგალითი მოჰყავს საქართველოს ისტორიიდანაც და სხვა ქვეყნების წარსულიდანაც. დ. ბააზოვი ხშირად ხაუბრობს ხოლმე უდიდესი გულისტკივილით დროდადრო აღზევებულ ანგისებიზემზე, რასაც ათასობით ებრაელის ხიცოცხლე შეწირვია მსხვერპლად. ებრაელი ხალხისადმი ამდაგვარი ბარბაროსული დამოკიდებულების მაგალითები პუბლიცისტს მრავლად მოჰყავს როგორც ისტორიიდან, ისე მისი დროის მხოლოდის სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებიდანაც.

ამ ფონზე იგი ხაზგასმული ხიამაყით აღნიშნავს იმ გამორჩეულ მდგომარეობას, რომელშიც ქართველი ებრაელები იმყოფებოდნენ საქართველოში ისტორიულად. ამის დასტურად აქ მინდა ერთხელ კიდევ მეც გავიხსენო დ. ბააზოვის ფართოდ გახმაურებული გამოსვლა 1913 წელს გერმანიაში, ფრანგულებრში გამართულ ებრაელი ახალგაზრდებისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 400 დელეგატი დასწრებია. კონფერენციაზე სიტყვით გამოსული დავით ბააზოვი სხდომის თავმჯდომარეს, გენერალ ლიფშონს ამდაგვარად წარუდგენია დელეგატებისათვის: „ძმებო! თქვენ წინ დგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან მოსული. ეს ქვეყანა შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს ყველა ებრაელის გულში (კონფერენცია დიდი აღტაცებით ვეხზე წამოდგა, საშინელი სიტუაცია ხამოვარდა). ევროპა დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას. ეს კი ქართველებს 2000 წლის წინათ პქონდა შეთვისებული. ამის მოწმეა მცხეთის ქალაქი

და მათი პრეზიდენტი (მამასახლისი), რომელიც დაუხვდა  
იერუსალიმიდან გამორეკილ ებრაელებს პურ-მარილით შემოქმედდა  
ისტუმრა ძმურად და დღევანდლამდე. თუმცა ბუნებრივი მართვის  
პოლიტიკური ცელილება მოხდა კეპლუც ერში, მაგრამ თავისი  
იდეალი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა მათში  
შეუცვლელია.

ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოსთქვას: „ჩვენც  
გვყავდა მეფეები, სამდგველოება, მწერლობა, მაგრამ სხვა  
ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვხვდია.

აი, ასეთია ქართველი ერი, საიდანაც ჩვენი სტუმარიაო“.  
კრებამ საშინელი ტაშის ცემა ასტეხა და ხმამაღლაც  
გაიძახოდა: „გაუმარჯოს ქართველ ხალხს, სიცოცხლე და  
ბელნიერება ქართველ ხალხსაო“. ბევრის თვალზე ცრემლი  
გამოხნდა. საზოგადოება დიდხანს ვერ დამშვიდდა. გენერალმა  
თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „შვილებო! თქვენ ანდერძად  
გქონდეთ, ვისაც რით შეგეძლოთ, იმით გამოხატეთ სიყვარული  
ქართველი ერისაო“. როდესაც კრებას მივესალმე და გავაცანი,  
რომ დღესაც ძმურად ვცხოვობთ და მათთან მეგობრობა და  
ძმობა სულ მუდამ გვექნებაო, საზოგადოება კვლავ  
აღფრთვისანებით შეხვდა ამ სიტყვებს და უსურვა ქართველ  
ერს კეთილი წარმატება“ („სამშობლო“, 1915 წ. №125-127).

ეს ვრცელი ამონაწერი აქ იმიტომ მოვიტანე, რომ იგი  
კარგად გამოხატავს არა მარტო დ. ბააზოვის, არამედ მთელი  
ქართველი ებრაელობის მადლიერ დამოკიდებულებას  
ქართველი ერისადმი.

მშობელი ხალხისადმი სიყვარულსა და ეროვნული  
ინტერესების დასაცავად აქტიურ ბრძოლას, რასაც დ. ბააზოვი  
მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ეწეოდა, ვიწრო  
ნაციონალისტური შებოჭილობის ხასიათი არასოდეს მიუდია  
და სხვა ერებთან შინაგან დაპირისპირებამდე არ მისულა. ამ  
თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება პირველ  
ყოვლისა იმ ურთიერთობას მინდა მივაქციო, რომელიც დ.  
ბააზოვს ქართველ ხალხთან ჰქონდა.

დ. ბააზოვის პუბლიცისტური წერილების კითხვის დროს  
ნათლად ვგრძნობთ იმ სიყვარულიან დამოკიდებულებას,

რომელსაც იგი ქართველი ხალხისადმი იჩენს კარაბახის ტერიტორიაზე და თვალის ასახვევად გამოხატული ხიყვაზე მაღლიერება. თავისი ერისადმი თავდავიწყებამდე მისულ ხიყვარულს დ. ბააზოვისათვის არახოდეს შეუშლია ხელი, ხიცოცხლის ბოლომდე ქართველი ხალხის ღრმად პატივისმცემელ პიროვნებადაც რომ დარჩენილიყო. ამ პატივისცემის საფუძველი პირველ ყოვლისა მაღლიერებაა იმის გამო, მისი თანამემამულეები საუკუნეთა მანძილზე ქართულ მიწაზე ყოველგვარი ეროვნული დევნა-შევიწროების გარეშე რომ ცხოვრობდნენ ქართველ ხალხთან ერთად.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ხაზგასმულად პატივისმცემლური დამოკიდებულება, რომელსაც იგი ხშირად გამოხატავს ხოლმე ქართველი ერისადმი თავის წერილებში. „ჩვენ, ქართველი ებრაელობა, - წერდა დ. ბააზოვი 1915 წელს „სამშობლოს“ 18 ნოემბრის წერილში, - გარემოებამ დიდი ხნიდან მტკიცედ შეგვაკავშირა, შეგვაერთა ჭირსა თუ ლხინში ქართველებთან და თუ ქართველი ებრაელობა თავისუფლად ცხოვრობს და ისეთი ტანჯვა არ განცდია მას, როგორიც განიცადეს სხვაგან ჩვენმა მომქებმა, ხწორედ იმის ბრალია, რომ ქართველი ერი ფსიქოლოგიურად, ბუნებრივად კაცომოვარეა, რომელი კაცომოვარებაც მან გამოიჩინა ქართველი ებრაელებისადმი და შეუთვისებია იგი, როგორც მკვიდრი მა“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. ივლისი, №13).

ქართველი ერის შემწყნარეგებლურ ბუნებასა და არაშოვინისტურ დამოკიდებულებას სხვა ეროვნებებისადმი დ. ბააზოვის პუბლიცისტურ წერილებში სხვაგანაც ხშირად ესმება ხოლმე ხაზი. მისი შეფასებით, „ქართველი ერი იმითაც ნაქები, რომ არ ცდილობს სხვა ერების გათქვევას და არც თვალის გაითქვითოს სხვა ერებში“. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, „ჩვენში ებრაელობა არახოდეს ყოფილა დევნილი და ემიგრაციაც არ ხდებოდა. და თუ საქართველოს რაიმე ბედი ეწეოდა, დ. ბააზოვის თქმით, მაშინ მოძმე ქართველების დახმარებით მათი ცხოვრებაც სულ უკეთ

## მტკიცდებოდა“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. სექტ. №18).

დ. ბააზოვის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც უნდა მივაჭიოთ, რომ ისინი ნათლად და ობიექტურად გამოხატავენ ქართველი ხალხის ტოლერანტულ ეროვნულ ბუნებას არა მარტო ებრაელი, არამედ ჩვენს ქვეყანაში მრავლად მცხოვრები სხვა ეროვნებისადმიც. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა არსებითად ის, რომ მეზობელ ქვეყნებში (მათ შორის საქუთარ სამშობლოშიც!) დევნილ-შევიწროებულმა ბევრმა ადამიანმა საქართველოში პოვა მარადიული თავშესაფარი და მისთვის აქედან წასვლა არავის დაუძალებია.

რაც შეეხება 70-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა უმგეტესობის თავის ისტორიულ სამშობლოში გადასახლების ფაქტს, ამ პროცესს სულ სხვა გლობალური საფუძველი ჰქონდა და იგი არამც და არამც არ ყოფილა განკირაფებული საქართველოში ებრაელობის ეროვნული დისკრიმინაციით. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას გამორჩეულად თბილ ის ურთიერთობაც ნათლად ადასტურებს, რაც არა მარტო წვენი ქვეყნიდან ისრაელში ემიგრირებულ ებრაელებსა და ქართველ ხალხს შორის არის დღეს დამკვიდრებული, არამედ საზოგადოდ ჩვენს ქვეყნებს შორისაც.

ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრული თანაცხოვრების შეფასების დროს დ. ბააზოვი ცდილობს ამ მოვლენის დამადასტურებელი ისტორიული მასალებიც მოიძიოს და ამ გარემოებას სხვა ქვეყნებში მცხოვრები ებრაელების ტრაგიკულ ბედოან შეპირისპირებით კიდევ უფრო მკვეთრად გაუსვას ხაზი. ნათქვამის დასტურად თუნდაც 1916 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილი – „ორი უკიდურესობა“ გავიხსენოთ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. სექტ. ოქტ. №18, 19), რომელშიც ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ბევრ საგულისხმო მოვლენაზეა ყურადღება გამახვილებული.

ევროპისაგან განსხვავებით, სადაც „ბნელმა ძალებმა ებრაელებზე ათასნაირი ცილისწამება გაავრცელებს და იწყეს

მათი დევნა“, დ. ბააზოვის თქმით, მსგავსი რამ საქართველოში არასოდეს მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ ამ უმცირესობის საუკუნეების საქართველოშიც მიუღწევია, ჰმან ჩუქნი ხალხების ურთიერთობაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია, რადგანაც „ქართველი ერის სუფთა და ნაზი გული ამდაგვარ უსამართლო ხმებს“ არასოდეს პეტოლია.

დ. ბააზოვი სწორედ ამის დასტურად მიიჩნევს იმ მზრუნველ დამოკიდებულებას, რომელსაც ქართველი მეცენები იჩენდნენ ხოლმე მათი ქვეშევრდომი ებრაელებისადმი. ისინი მათ „ყოველთვის დიდი პატივისცემით უყურებდნენ და ცდილობდნენ მათ დაფარვას დევნისაგან“.

დ. ბააზოვი არაერთგზის გამოხატავს თავისი ერის თბილ და სიყვარულიან დამოკიდებულებას ქართული ენისადმი. საუკუნეთა განმავლობაში მისმა თანამემამულებმა ქართული ენა დედაენად შეითვისეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით მათ მშობლიური ენის პატივისცემა დაპკარგეს. დ. ბააზოვი რეალისტი კაცი იყო, კითარების რეალურად შემფასებელი, და კარგად იცოდა, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები „ებრაულ ენაზე მათ ეროვნულ ცხოვრებას ვერ მოაწყობდნენ, რადგანაც ეს ენა მარტო მათვის იყო ნაცნობი და მას სხვა ერი არ იცნობდა“. ამიტომაც ყოველდღიური ცხოვრებისეული სინამდვილე მათ ლოგიკურად ავალდებულებდათ დედაენად ქართულის შეთვისებას. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ებრაელი ერის მოწინავე ნაწილს ისიც არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ქართულთან ერთად მათ თავიანთი მშობლიური ენაც უნდა ცოდნოდათ, „ის ენა, რომლის ისტორიაც ებრაელის ისტორიად ითვლება“. დ. ბააზოვის თქმით, პირველ ყოვლისა სწორედ ეს ენა იყო ის ძალა, რომელიც მსოფლიოში მიმოფანტულ 14 მილიონ ებრაელს ერთ ერად ადუდაბებდა.

დ. ბააზოვის „ასიმილატორი“ მოწინააღმდეგენი ეროვნულობისადმი მის ამდაგვარ დამოკიდებულებას ქართველი ერის დალატად ნათლადვნენ.

ამდაგვარი ცილისწამებით გულნატკენი, იგი თავის აპონენტებს დასახელებულ წერილში ამ სიტყვებით

მიმართავდა: „მე თუ ჩემს თავს ებრაელად ვაღიარებ, ამით თქვენზე ნაკლები ქართველი პატრიოტი ვარ? სცდებით. თუ გადავხედავთ ებრაელთა მოდვაწეებს ევროპაში, ნაფრიანული დავინახავთ, რომ გამოხენილი პოლიტიკოსები, დაპლომატები, მეცნიერები და სხვები 90 პროცენტით მხოლოდ იმხაირი პირები არიან, რომლებსაც თავიანთი ერი არ მიუტოვებიათ. მათ მეტი დვაწლი მიუძღვით სამშობლოსთან, ვიდრე ასიმილაციებს“.

ასე რომ, დ. ბააზოვის დასკვნით, „კაი ებრაელი კაი ქართველის მოძმეა და კაი მამულიშვილიც იქნება საქართველოს და არასოდეს ნაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინგერესებს, ვიდრე თვით ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღეს ჩვენს კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულიად ხელს არ უშლის ჩვენი ებრაელობა და არც ქართველობა შემიშლის ხელს, ხოლო დაგრჩი ძველებულიად რაც ვარ“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრიქონები თითქმის საუგუნის წინათ დაიწერა, მათში გამოთქმული მოსაზრება დღესაც მთლიანად მისაღებია და უკამათოდ გასაზიარებელი. და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც ქართველი ხალხისადმი ერთგულების ის ბრძნული ქადაგებაა, რომელსაც სხვა ეროვნების პიროვნება ახდენს, ადამიანი, ვინც საქართველოს თავის დვიძლ სამშობლოდ მიიჩნევს და მზად არის არა მარტო სიტყვით გამოხატოს მისდამი ერთგულება, არამედ მთელი თავისი ცხოვრებითაც და საქმიანობითაც იდგეს მის სამსახურში.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში სხვა ეროვნებათა მცხოვრებლების დიდი სიმრავლისა, საქართველოსადმი ამდაგვარი პატრიოტული შემართებითა და მადლიერებით განმსჭვალული არაქართველები მაინც სანთლით საძებნი არიან.

დ. ბააზოვის მოქალაქეობრივი დვაწლი, ჩემის აზრით, ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულად ფასეულია და მნიშვნელოვანი.

დ. ბააზოვის სიყვარული ქართველი ხალხისადმი და მისი



აქტიური თანამონაწილეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგრად მდგარი ეროვნულ-სახელმწიფო ბრივი პროტესტული მოგვარების საქმეში განსაკუთრებული ძალით ათიანი წლების მეორე ნახევარში განვითარებული ისტორიული მოვლენების პერიოდში გამოჩნდა. იგი იმთავითვე აქტიურად დადგა იმ ქართველ მამულიშვილთა გვერდით, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგენისათვის იბრძოდნენ.

თავდაპირველად, როცა ისინი რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით გამოდიოდნენ, დაბაზოვი არა მარტო პირადად უჭერდა შხარს ამ იდეის აღსრულებას, არამედ თანამემამულებსაც რაზმავდა საამისოდ.

ეს რომ მართლაც ასე იყო, იმჟამინდელ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციებითაც ნათლად ჩანს. მაგალითად, როგორც გაზეთები „საქართველო“ (1916 წ. №117) და „სამშობლო“ (1916 წ. №366) იუწყებიან, ამიერკავკასიის ერობის შემოდების გამო ონში დაბაზოვის თავიაცობით ებრაელთა სალოცავში 400 კაცი შეკრებილა. შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას თავის „მგრძნობიარე სიტყვაში“ მან „უღრმესი მადლობა გამოსთქვა ქართველი ერისადმი და დაამტკიცა ისტორიულად, რომ ქართველი ერი ატარებს კაცომოვარების დროშასაო და ამ დროშის ქვეშ ებრაელი ერიც იყო შეფარებული. ქართველი ერი მათი მფარველია დღემდე. დღესაც ერთგულად ესარჩლებიან მათ ინტერესებს“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია. „მენორა“, 2001 წ. აგვისტო, №16).

თავისი გამოსვლა და ბაზოვს ამ სიტყვებით დაუმთავრებია: „უფალო ღმერთო, მოგვასწარი საქართველოს აყვავებას, ქართველი ერის ბედნიერებას. მაშინ ჩვენც ბედნიერი ვიქნებითო“. „ძმებო! მიმართა მან ხალხს: ხელჩართული უნდა წავიდეთ ქართველ ერთან ერთად სამშობლო საქართველოს ასაყვავებლად და ამით უნდა გადავიხადოთ ის ვალი, რაც ჩვენ გვემართა მათ წინაშე“.

რაც უფრო ახლოვდებოდა 1917-18 წლების ცნობილი ისტორიული მოვლენები და იცვლებოდა ვითარება, და



ბააზოვის მოქალაქეობრივი აქტიურობა, მიმართული როგორც თავისი ხალხის ეროვნული პრობლემების მოგვარებისადმით დამდგენისადმით ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 13 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ეს ინფორმაციაც ნათლად ადასტურებს: „14 მარტს ონის (რაჭაში) ებრაელებმა რაბინ დავით ბააზოვის მეთაურობით დ. ონში გამართა ადგილობრივ შეგნებულ ახალგაზრდა ებრაელთა კრება ბ. ა. ჩახაშვილის თავმჯდომარეობით. რაბინმა ბააზოვმა დაუსურათა კრებას ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მიუთითა მმურ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფეს საქართველოში ქართველებსა და ებრაელებს შუა. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ექნებათ სრული შეება და თავისუფლება. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიმართოს ქ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტატებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ კადეტთა პარტიაში, მედგრად დაუჭირონ მხარი სამართლიან ქართველი ერის მოთხოვნილებას, როგორც ტანჯულმა ებრაელი ერის შვილმა თანაუგრძნოს ტანჯულ ქართველ ერს და ამით გააძლიეროს ჩვენში ძმობა და ამხანაგობა. დეპეშა იმ დღესვე იქნა გაგზავნილი“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2002 წ. ოქტომბერი, №3).

ჩვენი საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის მსგავსად, დ. ბააზოვი დიდი სიხარულით შეხვდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას, რამაც რუსეთის იმპერიის ნგრევას მისცა დასაბამი. გარდა იმისა, რომ ეს მოვლენა რეალურ საფუძველს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, იგი რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ე.წ. „წვრილ“ ერებსაც უსახავდა თავისუფალი განვითარების პერსპექტივას. როგორც დ. ბააზოვის წერილებიდან ჩანს, ორივე ეს გარემოება მის დიდ აღფრთვანებას იწვევდა.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას 1917 წლის 27 აპრილს



გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი  
„ებრაელების სიხარულიც“ ნათლად ადასტურებს სიუკურანტურობას  
ზემოთ აღნიშნული მოვლენებისადმი დ. ბააზოვის ღრმად  
ოპტიმისტური დამოკიდებულება ემოციური აღტკინებითაა  
გამოხატული. რუსეთის მონარქიული ხელისუფლების  
დამხობას დ. ბააზოვი „ყოველი ადამიანისათვის საინტერესო  
დროს“ უწოდებს, რადგანაც მისი დამხობით „მისი უსამართლო  
საქციელიც მოკვდა“.

ამ უსამართლობის უპირველეს გამოვლინებად დ. ბააზოვი  
იმ გარემოებას თვლის, რომ ქველი ხელისუფლების რეაქიმის  
პირობებში იმპერიაში „უსამართლოდ იტანჯებოდნენ წვრილი  
ერები, იხაგრებოდნენ, იხრჩობოდნენ ბიუროკრატიის ხელში“.  
მის გულისტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება,  
რომ ამდაგვარად დახაგრულ ერთა შორის ებრაელებიც იყვნენ.

დ. ბააზოვი სიხარულს არ მალავდა იმის გამო, რომ „ახალი  
მთავრობა ტანჯულ ერებს თავისუფლებას უქადა“. როგორც  
თავად წერდა, მისი ეს სიხარული იმავდროულად მთელი  
ებრაელი ხალხის სიხარულიც იყო, იმის მოლოდინით  
განპირობებული, ახალ ვითარებაში ებრაელებიც რომ  
„ამოისუნთქავდნენ თავისუფლად სხვა ერებთან ერთად“.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ დ.  
ბააზოვმა ქართველ ებრაელთა ეროვნული განმტკიცების ეს  
დიდი მოლოდინი საქართველოს სახელმწიფოებრიობის  
აღდგენასა და რუსეთის მონობისგან მის განთავისუფლებას  
დაუკავშირა. სხენებულ წერილში ეს აზრი ნათლად და  
მკაფიოდ, ყოველგვარი შენიდვის გარეშეა გამოხატული. „117  
წელიწადია, რაც საქართველო, - წერს იგი, - რუსეთს  
შეუერთდა! მას შემდეგ იტანჯება... დაკარგბა თავისი  
ბედნიერება... ჩვენ, ქართველი ებრაელები, მასთან ერთად და  
კიდევ უარესად ვიტანჯებოდით... ჩვენდა სასიხარულოდ  
ქართველმა ერმა გამოიღვიძა, თავის თავი იცნო...  
სრულწლოვანი შეიქნა და თავისი მამა-პაპის სამკვიდროს  
ითხოვს... ყველა ჯგუფის პირით გაისმის ავტონომია  
საქართველოსაო! ეს არის სამართლიანი მოთხოვნილება...  
და თუკი რუსეთის ახალი მთავრობა სამართლიანობას

ქსახურება, მან უნდა შეასრულოს ქართველი ერის  მოთხოვნილება. ქართველი ერი საქმაოდ მომზადებული რომ თვით მოაწყოს თავის ტურფა მშვენიერი სამშობლოს საქმეები... ჩვენ ქართველი ებრაელები ვალდებული ვართ ერველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ მას“ (დ. ერველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ მას“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2001 წ. დეკემბერი).

№24).

როგორც დასახელებული წერილიდან ჩანს, დ. ბააზოვი ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვიერი მოწოდებებით არ იფარგლებოდა და ცდილობდა მასაც მიეღო აქტიური კრაქტიკული მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო ებრაელობის ადდგენისათვის ბრძოლაში. სწორედ ამის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მისი ხელმძღვანელობით ონის ებრაელებმა ებრაელ დეპუტატებს: ფრიდმანსა და მის ამხანაგებს ქ. პეტროგრადში სპეციალური დეპუტატ გაუგზავნეს იმის თხოვნით, „როგორც დაჩაგრულ ერის შვილთ, ყოველი ღონისძიებით დაეცვათ ქართველი ერის მოთხოვნილება, რადგან კადეტთა პარტიაში მათი გავლენა დიდი იყო“.

დ. ბააზოვი გამოთქვამდა იმედს, რომ ებრაელი დეპუტატები მათი ქართველი ოანამემამულების თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ და „ქართველ ერს მხარს დაუჭერდნენ“. „ჩვენ, - წერდა დ. ბააზოვი წერილის ბოლოს, - დიდის სიხარულით ვალით, რომ საქართველომ ავტონომია მიიღოს! ჩვენ მზად ვართ ქართველ ერთან ამას თავი შევსწიროთ... მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ქართველება ებრაელებმა თავისი უფლებები სამოქალაქო თუ ეროვნული რელიგიონური, ახლად გამოვარევიოთ და ყველა მოქმედ პარტიებში წარმოვადგინოთ, დროა, ბატონებო, ის დიდი მშვენიერი მზე, რომელიც ამოუვიდა რუსეთს და რომელიც საქართველოსკენაც მოდის, ჩვენც გვინათებდეს.

მივესალმოთ განთავისუფლებულ რუსეთს! მივესალმოთ საქართველოს ავტონომიას, რომელიც მოგვიტანს სრულ ბედნიერებას და ქართველებთან ერთად ჩვენც გვახილინებს ბედნიერ წამს!“



სამწუხაროდ, ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწყლი კვლავ ასიურობას იჩენდა და სათანადოდ ვერ ერკვეონ მდგომარეობაში, რაც დ. ბააზოვის დიდ გულისტკივილს იწვევდა. სწორედ ამ გარემოების შედეგია ის ფაქტი, რომ ზემოთ დამოწმებულ წერილში გამოხატული სიხარული სულ მაღვე რამდენადმე ცხრება და დ. ბააზოვი კვლავ დაბეჯითებით თხოვს თანამომმეჯბს, გამოფხილდნენ, სათანადოდ გაერკვნენ ვითარებაში და მეტი ეროვნული აქტიურობა გამოიჩინონ.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ურადღებას გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ 1917 წლის 8 ივნისს გამოქვეყნებული წერილი - „საქართველოს ებრაელნო! დროა, თქვენც შეგეტყრო რაიმე „მოძრაობა!“.

რუსეთის იმპერიაში განვითარებული იმედისმომცემი მოვლენების კიდევ ერთხელ შეფასების შემდეგ დ. ბააზოვი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ ქართველი ებრაელები, მათი სხვა თანამომმეჯბისაგან განსხვავებით, კვლავაც მიძინებულ მდგომარეობაში იყვნენ. მათ „ვერ უშველა ვერავითარმა ცვლილებამ, ვერავითარმა მოძრაობამ ვერ გამოადვიძა იგინი, ვერ დაანახვა თავიანთი ნაკლი. ვერ გააგებინა თავიანთი საჭიროება... ნუთუ მხოლოდ საქართველოს ებრაელობა გამოვიდა ასეთი „არსება“, რომ მას არც ჩვენ დროში და არც ახალ დროში არა გამოუჩნდათ რა საერთო?“ - აღშფოთებანარევი გულისტკივილით წერს დ. ბააზოვი და წერილის ბოლოს კიდევ ერთხელ, ვინ იცის, ეს მერამდენედ, ცდილობს მრავალსაუკუნოვანი ბურანისაგან თანამომმების გამოყვანას.

„კმარა! კმარა! დვთის გულისათვის! გაიღვიძეთ ახალგაზრდებო და მოხუცებულნო! რაბინნო და ერის კაცნო! შეიგნეთ, შეუშვით სინათლე თვალში, გონება თავში. ნუ გიპყრობთ ეგოიზმი. ნუ გიპყრობთ ჟინიანობა! თორებ დაიღუპებით!“ (დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2002 წ. იანვარი, №1).

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ თანამემამულეთა ამდაგვარი მდგომარეობიდან გამოხსნის საქმეში დ. ბააზოვს უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის დიდი იმედი ჰქონდა.



სწორედ ამ იმედით ძალმიცემული თხოვდა იგი ქართველი ხალხს ეროვნულ თანადგომასა და მხარდაჭერას: „მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო!“ იქნება სასარგებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო! მოგმართოთ ქართველობის მიზანით განვითარეთ სახარებლო!“ (იქვე).

სამწუხაროდ, იმჟამინდელი რთული პოლიტიკური ვითარება ხელსაყრელ საფუძველს არ ქმნიდა იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომელთა მოგვარებაზეც ასეთი დიდი გულისტკივილით წუხდა დ. ბააზოვი. გარდა მეტად გამწვავებული და აბურდულ-დაბურდული საშინაო და საგარეო ვითარებისა, ამ ვარემოებას ის მწვავე შინაგანი დაპირისპირებაც განაპირობებდა არსებითად, რომელიც თავად ქართველ ებრაელებში არსებობდა. როგორც ცნობილია, დ. ბააზოვის პროგრესულ ეროვნულ-საგანმანათლებლო იდეებს იმხანად ებრაელთა შორის მომხრეზე მეტი მოწინააღმდეგებ ჰყავდა – კონსერვატორი ებრაელი რაბინები, ასიმილაციორთა სახელით ცნობილი ჯგუფის წევრები და სხვები. დიდი საზოგადოებრივი გავლენის მქონე ეს პიროვნებები გააფთრებული ძალით იძრძოდნენ დ. ბააზოვის წინააღმდეგ და ყველაფერს აკეთებდნენ მისი ეროვნულ-საგანმანათლებლო პროგრამის ჩასაფუშად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დ. ბააზოვის მოწინააღმდეგები ამ ჟემთხვევაში არც ცილისმწამებელ ბრალდებებს ერიდებოდნენ. მათგან განსაკუთრებით გულსატკენი მაინც ის იყო, თითქოს თავისი ამდაგვარი მოქმედებით დ. ბააზოვი ქართველ ხალხს დალატობდა და მისი საქმიანობის უმთავრეს მიზანს ქართველებისაგან ებრაელების ჩამოშორება წარმოადგენდა.

ეს ბრალდება განახლებული ძალით საქართველოს სახელმწიფო ებრივი სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენის ხანაშიც გაისმა. მხედველობაში მაქვს ის პოლემიკა, რომელიც ამჯერად ი. სანამაშვილმა გაუმართა დ. ბააზოვს „საქართველოს



რესპუბლიკის“ ფურცლებიდან (1919 წ. 25 ოქტომბერის მანიშვილის სიონისტობისა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შტატის ბრალდებებით დ. ბააზოვი ამჯერად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინაშე დაასმინა.

თავის საპასუხო წერილში, რომელიც გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 7 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა, დ. ბააზოვმა კონკრეტული ფაქტების მოშველიებით გააქარწყლა ოპონენტის ბრალდებანი და დამაჯერებლად წარმოაჩინა თავისი დავაწლი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მინისტრის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

დ. ბააზოვი, ადრინდელი წერილებისაგან განხხავებით, უკვე ცხადად და არაორაზროვნად აცხადებს იმას, რომ სიონიზმის იდეებს არა მარტო იგი ემსხობოდა და იზიარებდა, არამედ ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილიც. თუ „ხუთი წლის წინათ ქუთაისში არც ერთი სიონისტი არ იყო, მისი თქმით, დღეს იქ უკვე ძლიერი ორგანიზაცია არსებობს შეგნებულ ამხანაგებიდან, რომელთა რიცხვი 200 აღემატება. სუჯუნა, ახალციხე, ბანბა, ქარელი, ონი, ფოთი, თბილისი - ნუთუ ყველგან არ არსებობს ამ ქვეყნებში ძლიერი სიონისტური ორგანიზაციები?“ (დ. ხახანაშვილის პუბლიკაცია, „მენორა“, 2002 წ. აპრილი, №8).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, სიონიზმთან დამოკიდებულების საკითხში ქვეყანაში ვითარება იმდენად რადიკალურადაა შეცვლილი, რომ დ. ბააზოვი ყოველგარი შენილების გარეშე, პირდაპირ და აშეარად, გამოდის ამ მოძღვრების მხარდაჭერის როლში. ამ გარემოებამ მის ბრძოლას მშებ ხანანაშვილებისა და სხვა ასიმილაციონისტების წინააღმდეგ კიდევ უფრო მეტი სიმბაფრე შესძინა, რაც აღნიშნული წერილიდანაც ნათლად ჩანს. ქართველ ებრაელებში სიონიზმის მიმდევართა რაოდენობის ასეთი მკევრი ზრდის პარალელურად, დ. ბააზოვის თქმით, ასიმილაციონისტები რელიგიური მიმდევართა შემცირებულა, რომ იგი ფაქტობრივად მხოლოდ მშებ ხანანაშვილებით შემოფარგლულა. „მესამე ვინც გყავდათ, ისიც ქუთაისის



სიონისტების ორგანიზაციაში ჩაწერილა და ამდენი ჭიბული სახელით ლაპარაკობორ“, - აღმფოთებით მიმართავს განვითარებისა და განვითარების მინისტრის ბააზოვი ოპონენტს.

რაც შეეხება იმის ბრალდებას, თითქოს დ. ბააზოვი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება იყო, ამის უარსაყოფად დასახელებულ წერილში მას მრავალი კონკრეტული არგუმენტი მოჰყავს. მეტი სიცხადისათვის მოვიშველიებ რამდენიმე ფრაგმენტს სტატიიდან: „მე თქვენ დაგიმტკიცებთ მრავალი საბუთებით, რომ მე დიდი მომხრე ვიყავ საქართველოს დამოუკიდებლობისა... როცა ავტონომიაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, გან. „საქართველოს“ ფურცლებზე იყო დაბეჭდილი დიდი ასოებით შინაარსი იმ დეპეშისა, რომელიც გაგზავნა ონის ებრაელობამ ქ. პეტროგრადში დეპ. ფრიდმანის სახელზე, სადაც ითხოვდა ებრაელების სახელით ყოველი დახმარება გაეწია საქართველოს ავტონომიის განხორციელებისათვის... რომ მე ავტონომიის მომხრე თავიდან ვიყავი, ამას დაამტკიცებს ჩემი წერილები ქართულ გაზეთებში 1915-16-17 წლებში. დაამტკიცებს ჩემი ერთი წლის მუშაობა ქ. ახალციხეში ქართველთა ინტერპარტიულ საბჭოში... დაამტკიცოს შემდგომმა ამბავმა. ქ. ახალციხე თაორებიდან ალექსანდრე ბერი იყო წასულ წელს. იმ დროს გავიგეო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მთელმა ქ. ახალციხის მაცხოვრებლებმა თავი მოიყარა ქალაქის თვითმმართველობაში და იქ რუსეთის სოც. დემებმა გაილაშქრეს ჩვენი ბელადების წინააღმდეგ, დაამტკიცებს იმ დღის მრავალრიცხოვანი კრების ოქმი, როგორ ვიბრძოდი მათ წინააღმდეგ და ვიცავდი ჩვენი დამოუკიდებლობის სამართლიანობას“ (იქვე).

ეს ვრცელი ამონაწერი მე აქ იმიტომაც მოვიტანე, რომ იგი კიდევ ერთხელ გამოხატავს ნათლად და არაორაზროვნად დ. ბააზოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მის რეალურ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

მისი ამდაგვარი ქმედების მყარი საფუძველი უპირველეს ყოვლისა ქართველი და ებრაელი ხალხების ისტორიული



მეგობრული თანაცხოვრებით იყო განპირობებული და სამართლის მიერ მიერილში კიდევ ერთხელ ესმება დაბეჯითებით მისამართობა, მეტად სადაც ვიცხოვრე, - წერს დ. ბააზოვი სტატიის ბოლოს, - ყველგან დიდი ძმობა, სიყვარულობა სუფევს ქართველებსა და ებრაელებს შორის. ეს ასედაც იქნება შემდეგში. თქვენ კი, - მიმართავს იგი მის ოპონენტს, - ხელოვნურად აგდებთ ამ შურს. თქვენ უნერგავთ ქართველებს გულში ისეთ აზრს, ვითომც ვინც ქართველად არ თვლის თავს, ის საქართველოს და მისი მთავრობის მტერი იყოს... თქვენი ბოროტი ენა ვერ შეძლებს ჩვენი „ორპირობის“ დამტკიცებას“. რასაც ვამბობდით წინათ, იმას ვამბობთ ახლაც, იმას ვიტყვით შემდეგ შიაც. ჩვენ ებრაელები ვართ და ვიქნებით კიდეც. ჩვენ, ებრალებს, გვმართებს ვალი საქართველოსი. არ გავკოტრდებით, სახელს არ შევიცვლით იმიტომ, რომ ჩვენ გვწამს ჩვენი ვალი და მას პირნათლად შევასრულებო საქართველოს წინაშე. ჩვენ გვიყვარს საქართველო – გვევარება კიდეც. ჩვენ ძმები ვიყავით ქართველებისა – ვიქნებით კიდეც“ (იქვე).

ჩემის ღრმა რწმენით, ციტირებულ ფრაგმენტში გამოთქმული დ. ბააზოვის პოზიცია დღესაც არა თუ მთლიანად სწორია და უყოფმანოდ მისადები, არამედ იგი ერთგვარად იდეალიზებული ფორმითაც კი გამოხატავს ურთიერთობათა იმ მოდელს, რომელიც ქართველებსა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის უნდა იყოს დამკვიდრებული. თუ საქართველოს მკვიდრად ქცეული არაქართველი მოსახლეობა ასეთი გულშემატკიცვრობით არ მოეკიდება ჩვენი საერთო სამშობლოს აწმუოსა და მომავალს და, მსგავსად დ. ბააზოვისა, მის საკეთილდღეოდ ბრძოლას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად არ ჩათვლის, ისე საქართველოს სახელმწიფო ძლიერების საფუძველი ყოველთვის სუსტი და მერყევი იქნება.

ოციანი წლებიდან დაწყებული, დ. ბააზოვის სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა ჯერ მცირდება, შემდეგ კი მთლიანად წყდება. გარდა გაზეთ „მაკავეელსა“ და „კომუნისტი“ დასტამბული რამდენიმე წერილისა, ამ



დროიდან მოყოლებული მას პრესაში აღარაფერი გამოუქვეყნებია. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს ყმას რომ იგი ჩამოშორდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამ პერიოდში დ. ბააზოვი უფრო კრაქტიკული საქმიანობით აღმოჩნდა დაკავებული.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში დამკვიდრებულმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ იგი, ეტყობა, ისეთი გულგატებილობითაც შეიძყრო, რომ წერის სურვილი გაუნხლა. აქვე 30-იან წლებში მისი ოჯახისათვის თავდატებილი ის რეპრესირებაც არ უნდა დავივიწყოთ, რომელიც საბედისწერო მოვლენად იქცა მისთვისაც და მისი შეილებისათვისაც.

## გოლომა

ასეთია, მოკლედ, დავით ბააზოვის პუბლიცისტიკაში დასმულ პრობლემათა უმთავრესი მიმართულებანი. მიუხედავად იმისა, რომ მათი წემეული ანალიზი შეიძლება რამდენადმე ფრაგმენტულიც ეჩვენოს კაცს და არასაკმარისიც, დაინტერესებული მკითხველი, ვფიქრობ, ერთხელ კიდევ მაინც ნათლად და გამოკვეთილად დაინახავს იმ დიდსა და გამორჩევით მნიშვნელოვან დამსახურებას, რომელიც თავისი პუბლიცისტური წერილებითა და აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით მიუძღვის დავით ბააზოვს ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოღვიძებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში.

1994-2002 წწ.

# გერცელ ბააზოვი

## ვინათქმა



მოხდა ისე, რომ ქართველმა ებრაელებმა საქართველოში, მათ მეორე სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში, ქართველი ხალხის გვერდით ოცდაექვს საუკუნოვანი კეთილმეზობლური თანაცხოვრების მანძილზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ფაქტობრივად, სრულად ვერ შეძლო თავისი დიდი პოტენციის გამოვლინება. ამ თვალსაზრისით არსებითი გარდატეხა მათ სულიერ ცხოვრებაში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ხდება, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ამ ერის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი, რომელთაც საგულისხმო წვლილი შეიიტანეს ქართული კულტურისა და სახელმწიფო ებრიონის ისტორიაში.

ფართოდ ცხობილი ეს ფაქტი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინების საქმეში თუ ვინგებ შეასრულა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი, მათ შორის, პირველ რიგში, ქართული მწერლობის ისეთი აღიარებული ოსტატი უნდა დაგასახელოთ, როგორიც გერცელ ბააზოვია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ებრაელთა შორის მანამდეც იპოვებიან ლიტერატურული ნიჭით მაღლცხებული ისეთი პიროვნებანი, რომელთა მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები დროდადრო იბეჭდება ხოლმე ქართული პრესის ფურცლებზე, გერცელ ბააზოვი სამართლიანადაა აღიარებული პირველ თვალსაზრისით ქართველ ებრაელ მწერლად.

თავისი ხანძოელები, მაგრამ მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული მწერლობის ისტორიაში. მართალია, დრომ, ისტორიული განვითარების პროცესმა, მისი შემოქმედების პრობლემატიკა საგრძნობლად მოაძველა და გააფერმკრთალა, მაგრამ ამ თვალსაზრისით გ ბააზოვი გამონაკლისი არ არის და მან, როგორც მწერალმა



და პიროვნებამ, მთლიანად გაიზიარა ის ტრაგიკული ხვედრი, რომელიც იმ პერიოდში მოღვაწე ჩვენს არაერთ შემოქმედებული არგუნა განგვიამ.

გ. ბააზოვს ისტორიამ ერთი დიდი მოვალეობის აღსრულებაც დაკისრა: თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით იგი იმ წმინდა და უდალატო მეგობრული ერთობის კიდვე უფრო განმამტკიცებელ პიროვნებადაც მოგვვლინა, რომელიც ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე მკიდრდებოდა ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითა და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით მან ღირსეულად აღასრულა ეს დიდი ადამიანური მოვალეობა და თავის შემოქმედებაში თრი ერთობლივი თანაცხოვრების არაერთი შთამბეჭდავი და ამაღლელვებელი მაგალითი გვიჩვენა.

ქართველი ლიტერატურის ისტორიაში, ფაქტობრივად, იგი პირველი მწერალია, რომელმაც სიღრმისეულად, მაღალი პროფესიონალიზმითა და დახვეწილი ლიტერატურული ოსტატობით ასახა ებრაული თემა, ნიჭიერი შემოქმედის მახვილი თვალით დაგვანახა ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-ტრადიციები, მათი ეროვნული ფსიქიკისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მხარეები, სარწმუნეობრივი და სულიერი ისტორიული სიწმინდეები.

დღეს, როდესაც თავის ისტორიულ სამშობლოში უაუქცეველი ქართველი ებრაელების ცნობიერებაში ახალი ძალით აღზევდა საქართველოსადმი სიყვარულის სათუთი გრძნობა, გ. ბააზოვის შემოქმედებისადმი ინტერესმა სხვა განზომილებაც შეიძინა. კერძოდ, ჩვენს წარმოსახვაში მისი სახელი თრი ხალხის ისტორიული მეგობრობის სახელი სახელი სამშობლოდაც იქცა, რომელიც არა მარტო განმამტკიცებელ სიმბოლოდაც იქცა, რომელიც არა მარტო წარსულსა და დღვენდელობას აკაგშირებს ერთმანეთან, არამედ ჩვენი მომავალი ერთობისთვისაც ქმნის მკვიდრ საფუძველს.

## გიოგრაფიული მსპობე

გერცელ ბააზოვი დაიბადა 1904 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და რელიგიური მსახურის, რაბინ დავით ბააზოვის ოჯახში. დავით ბააზოვი ებრაელი ერის სახელოვანი შვილი

იყო, მწერლური ნიჭით მადლცხებული კაცი, რომელმაც  
აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და პრესულურ  
პრესაში გამოქვეყნებული მრავალმხრივ საინტერესო  
პუბლიცისტური წერილებით დიდი როლი შეასრულა  
ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი  
მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დავით ბააზოვის ქალიშვილის – ფანის თქმით, გერცელი „პირველი შეიჭრა წყვდიადით მოცულსა და შუასაუკუნეობრივ დონეზე გაყიდულ საქართველოს ებრაულ დიასპორაში კულტრულ-ეროვნული განმანათლებელი ჩირადლინით ხელში“. მისი „მგზებარე პრაქტიკული მოღვაწეობა და ბასრი პოლემიკური კალამი“ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში „ღრმა ძვრებისა და მძლავრი ეროვნული აღორძინების ფაქტორად იქცა... ათეული წლების მანძილზე იგი ეწეოდა ფართო სამწერლო მოღვაწეობას. გარდა ქართული უურნალგაზეთებისა და ქართულენოვანი გაზეთებისა, თავის პუბლიცისტურ სტატიებს აქვეყნებდა აგრეთვე რუსულ და ებრაულ ენებზე რუსეთში და საზღვარგარეთ გამომავალ ბეჭდვით ორგანოებში“ (ფანი ბააზოვი, წინასიტყვაობა წიგნისა - „დავიდ და გერცელ ბააზოვები, კრებული, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ფანი ბააზოვმა, იერუსალიმი,“ 1976 წ. გვ. 6-7).

ასეთი იყო ის ოჯახური გარემო, სადაც გერცელი დაიბადა და აღიზარდა. მამამ მას ეს სახელი მსოფლიოში სიონისტური მოძრაობის მამამთავრის – პეტლის საპატივცემულოდ დაარქვა. პირველდაწყებითი განათლება მან ონის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო, რომელიც შემდგომ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ დროისათვის გერცელი უკვე იჩენდა ლიტერატურით განსაკუთრებულ დაინტერესებას და წერდა ლექსებსა და პატარ-პატარა მოთხოვნებს, რომელთაც დროდადრო ბეჭდავდა კიდეც პრესაში. ონის გიმნაზიაში გერცელთან ერთად სწავლობდნენ ცნობილი მხატვარი უხა ჯაფარიძე და ოქატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძე. 1922 წელს მწერლობით გატაცებულმა ახალგაზრდებმა „ცისფერყანწელი“ პოეტის, უხა ჯაფარიძის უფროსი ძმის – გრიგოლის (გრიშას)

თავკაცობით ნაბეჭდი ლიტერატურული ალმანახის („ონის“) გამოცემაც მოახერხეს, სადაც გ. ბააზოვის ნაწარმოებებიც ული იყო დასტამბული.

1922 წელსვე გერცელი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და სწავლა განაგრძო ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1924 წელს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განკუთილებაზე, რომელიც 1927 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა დროს, გ. ბააზოვი მუშაობდა მოსამართლედ, უურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მდივნად, მწერალთა კავშირის დრამატული სექციის ხელმძღვანელად.

გ. ბააზოვის ბიოგრაფიაზე საუბრის დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი აქტიური პედაგოგიური საქმიანობა თბილისის 102-ე ებრაულ სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ სახსავლებელში მცირე დროის მანძილზე მუშაობდა, ეს დრო მისი ცხოვრების მაინც მეტად საინტერესო პერიოდია. იქ მას პრაქტიკულად მიეცა შესაძლებლობა ებრაელ ბავშვებში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გადგივებისა. გ. ბააზოვი გატაცებით ასწავლიდა მოსწავლეებს ებრაელი ხალხის ენას, ლიტერატურასა და ისტორიას, რითაც თავიდანვე ცდილობდა მათი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

სამწუხაოროდ, მისი ეს პატრიოტული ენთუზიაზმი სათანადო ორგანოებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და 1926 წელს იგი იძულებული გახადეს სკოლიდან წასულიყო და სამუდამოდ ჩამოშორებოდა საყვარელ საქმეს.

როგორც მართებულად აღნიშნავს მწერლის და – პოლინა ბააზოვი, გერცელისადმი, საერთოდ, ეროვნულად განწყობილი ებრაელი მასწავლებლისადმი, ამდაგვარი დამოკიდებულება იმ პოლიტიკის შედეგი იყო, რომელსაც მაშინდელი ხელი-სუფლება ატარებდა საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ. მაგრამ მთავრობის ეს პოლიტიკა დიამეტრულად რომ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ნება-სურვილს, იმ დამოკიდებულებითაც ნათლად ჩანს, რომე-

ლიც სკოლაში მომუშავე ქართველ მასწავლებლებს პუნქტი  
ებრაელი ბავშვებთან.

პოლინა ბააზოვის გადმოცემით, ეს დამოკიდებულება  
იმდენად თბილი და კარგი ყოფილა, რომ პრინციპულად  
შორს მდგარა ყოველგვარი ანტისემიტიზმისაგან (პ. ბააზოვი,  
ფურცლები წარსულიდან, ბააზოვების ოჯახი, თელ-ავივი,  
2000 წ. გვ. 42).

პ. ბააზოვმა ეს ყველაფერი ასე კარგად იმიტომაც იცოდა,  
რომ იგი იმხანად თავადაც სწავლობდა 102-ე სკოლაში და  
უშუალო თვითმხილვები იყო იმ ვითარებისა, რომელიც იქ  
სუფევდა.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ამდაგვარ  
მეგობრულ დამოკიდებულებას ბევრი ქართველი უხვამს ხასს  
და ამ თვალსაზრისით პ. ბააზოვი გამონაკლისი სულაც არ  
არის. ამ შემთხვევაში მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი  
ისიცაა, რომ მის მრავალმხრივ საინტერესო წიგნში  
ბააზოვებისადმი ქართველი ხალხის წარმომადგენელთა  
ამდაგვარი პატივისმცემლური დამოკიდებულება კიდევ უფრო  
შთამბეჭდავად აღიქმება იმ ადამიანურ ბოროტებათა და  
ავკაცობათა ფონზე, რომელთაც დავით და გერცელ  
ბააზოვებისადმი იჩენდა არც თუ იშვიათად მისი ბევრი მოძმე.  
ამის თაობაზე წიგნში ბევრი უაღრესად საგულისხმო  
ფაქტობრივი მასალაა მოცემული.

იმისათვის, რომ ნათქვამა მეტი კონკრეტულობა შეიძინოს,  
მოვიშველიებ ორიოდე ამონაწერს პ. ბააზოვის წიგნიდან:  
„საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა სხვადასხვა  
ქვეყნებიდან ჩამოსახლებული ებრაელობა. ეს ისტორიული  
ფაქტი უმთავრესად თავად ქართველი ხალხის  
სჯულთშემწყნარებლობით აიხსნება“ (დასახ. წიგნი, გვ. 136).

ან კიდევ: „საქართველოში ებრაელები არ განიცდიდნენ  
ჩაგვრას რწმენის ან ეროვნული წეს-ჩვეულებების გამო. მათ  
წმინდად და სრულად შემონახეს თავიანთი ტრადიციები  
და რელიგია... საუკუნეთა განმავლობაში ისინი შეეზარდნენ  
ქართველ ხალხს და მათგან შეითვისეს არა მარტო ენა,  
ქცევის მანერა და ჩაცმულობა, არამედ შეხედულებათა

გათებური სისტემაც... ქართველი ებრაელები მუდამ იჩენდნენ  
ერთგულებას თავიანთი ზე-ჩვეულებებისადმი, ღრმა  
მოწიწებას თავიანთი რელიგიისა და თვითმყოფადობისადმი, ებრაელთა ამ თვისებებს ძალიან აფასებდა  
კულტურისადმი, ებრაელთა ამ თვისებებს ძალიან აფასებდა  
სხვა ხალხების მიმართ მეტად მომომქნი ქართველი ხალხი“  
(იქვე, გვ. 475-476).

გარდა მასწავლებლობისა, 102-ე სკოლაში მუშაობის  
პერიოდში გ. ბააზოვი აქტიურ კლასგარეშე საქმიანობასაც  
ეწეოდა. კერძოდ, მისი ინიციატივით დაარსებულ იქნა ბავშვთა  
დრამატული წრე „კადიმა“, სადაც მოწვეული რეჟისორის -  
დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით წარმატებით იდგმებოდა  
ებრაელ ავტორთა პიესები.

მაგრამ 1926 წელს სკოლაში ებრაული ენის, ისტორიისა  
და ლიტერატურის სწავლება აიკრძალა, რამაც  
მასწავლებელთა და მოსწავლეთა დიდი უკმაყოფილება  
გამოიწვია. შექმნილი მდგომარეობიდან გერცელმა ის  
გამოიწვია. შექმნილი მდგომარეობიდან გერცელმა ის  
გამოსავალი მოძებნა, რომ ყველაზე მეტად დაინტერესებული  
ბავშვებისაგან შემდგარ ჯგუფს ამ დროიდან მოყოლებული  
ებრაული ენის გაკვეთილებს მოსწავლეთა ბინებში უტარებდა  
არალეგალურად.

გ. ბააზოვის ლიტერატურული გზა 1918 წლიდან იწყება.  
ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე იგი ინტენსიურ  
შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. 1923 წელს მან  
ძელებრაულიდან თარგმნა და გაზეთ „ტრიბუნაში“ დაბეჭდა  
პოემა „გალობათა გალობა“, რომელიც 1927 წელს ცალკე  
წიგნადაც გამოიცა. ოციანი წლებიდან დაწყებული გ.  
ბააზოვის ნაწარმოებები სისტემატურად იძებლებოდა ქართულ  
პერიოდულ პრესაში. იგი ავტორია არაერთი ლექსისა, პიესისა,  
მოთხრობისა, რომანისა და პუბლიცისტური წერილისა.

გ. ბააზოვის შემოქმედებითი მოღვაწეობა განსაკუთრებული  
აღმავლობის ფაზაში შევიდა 1928 წლიდან, როდესაც  
მკითხველმა მიიღო მიერ გადმოქართულებული და  
ორიგინალურად გააზრებული ცნობილი პოლონელი  
მწერლის - ბენ-აბრამის პიესა - „დილლებამარი“. არსებითად,  
ეს იყო გ. ბააზოვის პირველი უველაზე მნიშვნელოვანი და

ფასეული განაცხადი დიდ ლიტერატურაში, რასაც წარმოიქმნა  
მოპყვა მწერლის არაერთი საგულისხმო მხატვრული ან  
ნაწარმოები.

ამ დროიდან დაწყებული, გ. ბააზოვის ნაწარმოებები  
სისტემატურად იბეჭდებოდა პრესაში და გამოდიოდა ცალკე  
წიგნებად, ხოლო პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული  
თეატრის სცენაზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, მწერლის ეს ნაყოფიერა  
შემოქმედებითი მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე გამოდგა. 1938  
წელს იგი გახდა ტრაგიკული მსხვერპლი იმდროინდელი  
სისხლიანი პოლიტიკური ოპერესიებისა.

გ. ბააზოვის დების – ფანისა და პოლინას ზემოთ  
დამოწმებულ წიგნებში გერცელის ამ ტრაგედიასთან  
დაკავშირებით ბეჭრი შემაძრუნებელი ამბავია მოთხრობილი.  
ისინი უდიდესი სინაცელითა და გულისტკივილით საუბრობენ  
იმის შესახებ, რომ ხალხისა და ქვეყნის მტრად შერაცხეული  
მათი მმის საბრალდებო საქმე თითქმის მთლიანად ცარიელი  
იყო და მასში ერთი ღოკუმენტიც კი არ აღმოჩნდა ისეთი,  
რაც მისი დასჯის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ქნ პოლინას  
თქმით, „საქმე იყო ცარიელი, ე. ი. ვილაცას სჭირდებოდა,  
რომ გერცელი ცოცხალი აღარ ყოფილიყო. ასეთად ჩვენს  
ოჯახში მიაჩნდათ იმა ქვეყნისა ძლიერი გამგებელი – საგანა  
– ბერია. ამ უკანასკნელს გამოუყენებია შეთითხნილი და  
ანონიმური წერილები გერცელის წინააღმდეგ, რომელთა  
ავტორებიც, ჩვენდა სავალალოდ, იყვნენ ქართველი ებრაელები.  
ეკველას სახელები ვიცი, მაგრამ ახლა არ დავასახელებ –  
„შეგნებულად“ (პ. ბააზოვი, ფურცლები წარსულიდან,  
ბააზოვების ოჯახი, თელ-ავივი, 2000 წ. გვ. 164). დაწყებული  
1938 წლიდან, გ. ბააზოვის ტრაგიკული დაღუპვიდან საქმარე  
დიდი ხნის განმავლობაში, გ. ბააზოვის, როგორც ხალხის  
მტრად შერაცხეული პიროვნების, სახელის ხევნებას უმკაცრესი  
ტაბუ ჰქონდა დადებული. მისი რეაბილიტაცია 1955 წელს  
მოხდა და ამ დროიდან მოყოლებული გ. ბააზოვის  
შემოქმედებითი მექანიდრეობა თანდათანობით იმკვიდრებს  
კუთვნილ ადგილს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის  
ისტორიაში.

რეაბილიტაციის შემდეგ გ. ბააზოვის ლიტერატურულ-  
თეატრალური დვაწლის პირველ დიდ აღიარებად 1964 წელს  
გამართული ის იუბილე იქცა, რომელიც მისი დაბადების 60-იანი წლისთვის იყო. აღმართვის დაკავშირებით აღინიშნა მთელს საქართველოში. საგანგებოდ შექმნილმა საიუბილეო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში იმჟამინდელი ქართული კულტურისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები შედიოდნენ, ბევრი რამ გააგეთა ტრაგიკულად დაღუპული ამ ნიჭიერი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დამსახურების დირსეულად წარმოსახენად. კერძოდ, საიუბილეო საღამოები ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ონში, ქართული თეატრის სცენაზე ისევ დაიდგა მისი პიესები, გამოიცა რჩეული ნაწერები ქართულ და რუსულ ენებზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მწერლის შემოქმედებითი მექანიზმების შესწავლის გზაზე და ა. შ.

კიდევ უფრო ფართოდ და მასტებაბურად აღინიშნა გ. ბააზოვის დაბადების 80 წლის იუბილე 1984 წელს. გარდა საქართველოსა, ეს თარიღი ქართველმა ებრაელებმა ისრაელშიც აღნიშნეს დიდი ზეიმით და სათანადო პატივი მიაგეს უდროოდ დაღუპული ამ მრავალმხრივი შემოქმედის დვაწლს ებრაელი და ქართველი ხალხების ისტორიაში.

1998 წელს კი თბილისში მდებარე იმ სახლზე, რომელშიც 1933-38 წლებში ცხოვრობდა გერცელ ბააზოვი (ბართაშვილის ქ. №5) სახეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა.

როგორც ფ. ბააზოვის წიგნიდან ვგებულობთ, 1938 წლის ტრაგედიამ არა მარტო გ. ბააზოვის სიცოცხლე შეიწირა, არამედ მისი გამოუქვეყნებელი ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილიც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით იგი: „გერცელის მდიდარი ლიტერატურული არქივი (სადაც, გარდა უამრავი ლექსებისა, ისტორიული პიესებისა და რომანებისა, გამოსაცემად გამზადებული „ფეთხინის“ მეორე წიგნისა, ბევრი დაუმთავრებელი ნაწარმოები და ჩანაფიქრის ხორცშესახელები შეგროვილი მასალები და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტი იყო), მოსკოვში მისი დაპატიმრების უმაღ, თბილისში მისსავე ბინაზე განუკითხავად

განადგურებულ იქნა მათი გადარჩენის ყოველგვარი ცდის გარეშე“ (ფანი ბაზოვი, წინასიტყვაობა წიგნისა უძრავი განვითარებისა და გერცელ ბაზოვები“ გვ. 6).

როგორც ითქვა, გ. ბააზოვის რეაბილიტაცია 1955 წელს მოხდა. ამ დროიდან მოყოლებული, მის შემოქმედებას კვლავ გაეხსნა გზა მკითხველთა ფართო საზოგადოებისაკენ. რამდენჯერმე გამოიცა მწერლის ნაწარმოებები. დაიბეჭდა წერილები და გამოკვლევები მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ მიმართულებით უფრო დიდი სამუშაო სამომავლოდაა შესასრულებელი. გარდა იმისა, რომ მწერლის ნამოღვაწარი სრულყოფილი სახით ჯერაც არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის და მრავალი მასალა სახვალით დაა მოსაპოვებელ-გამოსამზეურებელი, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იდეოლოგიური შტამპისა და დოგმატიზმის ხუნდების მსხვრევამ გ. ბააზოვის შემოქმედების ახლებური თვალთახედვით გაანალიზებისა და შეფასების საკითხიც აქტიურად დასვა დღის წესრიგში.

### შემოქმედება

გერცელ ბააზოვის შემოქმედება, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, დღევანდელი მკითხველისათვის განსაკუთრებული დაინტერესების საგანი, პირველ ყოვლისა, იმითაც ხდება, რომ მასში სიღრმისეულად, ნიჭიერი მწერლის თვალითად დანახული ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებისა და სარწმუნოების სპეციფიკური მხარეები. ამ თვალსაზრისით მას ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, ფაქტობრივად, ვერავინ შეეძრება.

დათით ბოძებულ შემოქმედებით ნიჭითან და თავისი ერისადმი განსაკუთრებულ სიყვარულთან ერთად, ამ გარემოებას არსებითად განსაზღვრავდა ისიც, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა ებრაელი ხალხის ფსიქიკას, ყოველდღიურ ყოფას, ეროვნულ და სარწმუნოებრივ



ტრადიციებს, კარგად იყო დაუფლებული ებრაულ ენას. ეს ყველაფერი გ. ბააზოვის შემოქმედებაში უდირესობით სიყვარულითაა ასახული; ოუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერალი არასოდეს ექცევა ეროვნული კარჩაკეტილობისა და განკერძოებულობის ჩარჩოებში, მშობელი ერის ადათ-ტრადიციათაგან ბევრ რაიმეს კრიტიკული თვალითაც ხვდავს და იმ ნაკლოვანებასაც დაუფარავად წარმოაჩენს, რაც, მისი აზრით, ბოჭავდა და აფერხებდა ებრაელი ხალხის გონებრივ და სოციალურ განვითარებას.

გ. ბააზოვის ლიტერატურული შთაგონების უმთავრესი საგანი თანამედროვეობა იყო. მწერალმა თავისი შემოქმედების ძირითად თემად იმ სოციალური ძვრებისა და გარდაქმნების აღწერა აქცია, რომლებიც 20-იანი და 30-იანი წლების ჩვენი ცხოვრების სახეს განსაზღვრავენ. მის მიერ დახატული პერსონაჟები, პირველ ყოვლისა, ამ უმნიშვნელოვანების სოციალური მოვლენების ცენტრში არიან მოქცეულნი და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების პროცესში.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „გერცელ ბააზოვის შემოქმედებით ცხოვრებას ორი უმთავრესი მომენტი განსაზღვრავდა და წარმართავდა – მისი ეროვნული ფეხვები და დრო, რომელშიც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა და მოღვაწობა მოუხდა. მთელი მისი შემოქმედება ამ ორი ფაქტორის პროდუქტია“ (გურამ ბათიაშვილი, „გერცელ ბააზოვი“, „მნათობი“, 1986 წ. №10).

მაგრამ კროვნული ფაქტორისთვის ამდაგვარი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც ითქვა, ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს გ. ბააზოვის ნაწარმოებები ეროვნული განკერძოების ჩარჩოებით იყოს შებოჭილი. ასეთი საშიშროება, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, გ. ბააზოვის შემოქმედებაში, ფაქტობრივად, არც იგრძნობა.

მწერლის ნაწარმოებთა პერსონაჟები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, უწინარეს ყოვლისა



კი ქართველები და ებრაელები არიან და მათ ყოფილ უძლებელებები უფით ურთიერთობებში შეულამაზებლად და მათ უძლებელებები კლინდება ამ ორი ერის მეგობრობისა და თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ბააზოვის შემოქმედებაში, ამგვარი გულითადი მეგობრობისა და ნაციონალური განუთიშველობის გვერდით, შიგადაშიგ, თითქოსდა ეროვნული წინააღმდეგობანიც იჩენენ ხოლმე თავს, მწერალი მკითხველის ყურადღებას ყოველთვის მიაპყრობს იმას, რომ ამ დაპირისპირებისა და შეჯახების საფუძვლად, ფაქტობრივად, კლასობრივ-ხოციალური კონფლიქტებია ქცეული და არა ეროვნული წარმომავლობა.

ასე რომ, გ. ბააზოვის შემოქმედებაში აღწერილი წინააღმდეგობანი ძირითადად კლასობრივ და ხოციალური ნიადაგზეა აღმოცენებული და მწერლის მიერ დახატული პერსონაჟებიც ერთმანეთს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით ემიჯნებიან და უპირისპირებიან.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ებრაული ყოფისა და ადათ-ტრადიციების აღწერას გ. ბააზოვის შემოქმედებაში მეტ კოლორიტურობასა და შთამბეჭდაობას ხდებს ავტორის მიერ ებრაული ლექსიკისა და ებრაელთა ყოფით-სარწმუნოებრივ ტრადიციებთან დაკავშირებული სპეციფიკური სიტყვა-გამოთქმების ზომიერი გამოყენება. ამდენად, მწერლის ნაწარმოებების გაცნობა მკითხველისათვის ამ თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა და მრავლისმთქმელი.

პერსონაჟთა პიროვნული ინდივიდუალობის დახატვის დროს გ. ბააზოვი მათ მეტყველებასაც დიდ დატვირთვას სძენს. ეს განსაკუთრებით მის დრამატურგიულ ნაწარმოებებში იგრძნობა. გმირის დახასიათების ამდაგვარი ხერხი „წითელ ზოლად გასდევს“ გ. ბააზოვის მთელ შემოქმედებას (შალვა წიწუაშვილი, მხატვრული სახეების გახსნისა და სიტუაციის გაშლის ხერხები გერცელ ბააზოვის დრამატურგიაში, „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1989 წ. №4, გვ. 70-71). პერსონაჟთა მეტყველებაში ავტორი ხშირად გამოკვეთდა ხოლმე იმდაგვარ სპეციფიკურ გამოთქმებს, რომლებიც ღრმად



აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში. მათ ემოციურ დატვირთვას, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდიდა მწერლების მიერ პირების მიხედვით შექმნილ სკექტაკლებში მსახიობების მრეწველობას პიროვნული ინდივიდუალობის ეფექტური ფორმით წარმოსახენად.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ბააზოვის გმირებისათვის ფართოდ დამახასიათებებული ამდაგვარი სიტყვიერი „აჩემებები“ სშირად კუთხური თუ ყოფით-ეთნოგრაფიული ნიუანსებითაცაა ხოლმე აღბეჭდილი.

პერსონაჟთა მეტყველებისთვის დამახასიათებებული ზემოთ ხაზგასმული სპეციფიკა მკაფიოდ შეინიშნება, მაგალითად, მწერლის გახმაურებულ პიესებში - „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და „იცა რიენაშვილი“. გავიხსენოთ დანიელის გაუთავებებული „იანგარიშე, ყაზარია“, იოხაძეის ქრისადმი სისტემატიურად მიმართული სიტყვები - „ჩემო კაცო“, ხანიას - „აწონ-დაწონე... ეს ქვეყანა სახსოვრია“, ხადელის - „სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთოა“, პოლიციელ აბრამიას გლახა ჭრიაშვილისებური უთავბოლოდ აზრდაბნეული მეტყველება და ა. შ.

როგორც ვხედავთ, პერსონაჟთა ლიტერატურული ინდივიდუალიზების ამ ხერხს, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულს იმდროინდელ ქართულ დრამატურგიაში, ბ-ბააზოვიც მოხერხებულად იყენებს და ამ თვალსაზრისით მხოლოდ დასახელებული პიესები როდი გამოირჩევიან.

როგორც ითქვა, გ. ბააზოვის შემოქმედებაში ხაზგასმულადაა წინა პლანზე წამოწეული ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ტრადიციები. მწერალი მხატვრული დამაჯერებლობით უჩვენებს მკითხველს ამის შთამბეჭდავ მაგალითებს და მის ნაწარმოებებში აღწერილი სიუჟეტური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის საფუძვლად არასოდეს არაა ქცეული ეროვნული გათიშულობა.

თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გ. ბააზოვი არც ეროვნულ ურთიერთობათა რომანტიკულ იდეალიზებას



ახდენს და მის შემოქმედებაში იმდაგვარ პირულებულობა მხატვრულ სახეებსაც ქმნის, რომლებიც უსაკუთრებული ეროვნული შუღლისა და დაპირისპირების გაღვივებას. ესენი ხშირად ქართველი და ებრაელი ხალხების იმ ბნელ წარმომადგენლებს განასახიერებენ, ქვეყნად დატრიალებულ სოციალურ კატაკლიზმებს უფსკრულის პირამდე რომ მიუყვანიათ და კლასობრივი ბრძოლის სიმწვავის შესანიღბად ყველანაირად ცდილობენ საზოგადოების ყურადღება ეროვნულ და სარწმუნოებრივ დევნა-დისკრიმინაციას მიაპყრონ.

ასე შემოდის გ. ბააზოვის შემოქმედებაში, მაგალითად, ებრაელთა ერთი ნაწილის მიერ აშკარად გამოხატული ანტიქრისტიანული განწყობილება. მაგრამ მწერალი ყველთვის დამაჯერებლად გვიჩვენებს იმას, რომ ამდაგვარი ანტიქრისტიანული და ანტიქართული დაპირისპირების გამოვლინებებს სინამდვილეში ღრმა კლასობრივ-სოციალური ფესვები მოეპოვებათ და ამ შემთხვევაში ეროვნული განთოშულობა არაფერ შუაშია. გ. ბააზოვის შემოქმედებაში გამოყვანილი ე. წ. პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელნი, რომელთა ცხოვრებისეულ უპირატესობასა და კეთილდღეობას ახალი სოციალური ვითარება ანგრევდა და აცამტვერებდა, ყველანაირად ცდილობდნენ ხალხის განწყობილება მათვის სასურველი კუთხით წარემართათ და მოვლენათა არსში გაუცნობიერებელი ებრაელობა იმაში დაერწმუნებინათ, რომ ბოლშევიკური მალაუფლების დამყარება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მამაპაპურ სარწმუნოებაზე ხელის აღებასა და გაქრისტიანებას ნიშნავდა. ამის დამადასტურებულ მაგალითებს უხვად იპოვის დაინტერესებული მკითხველი გ. ბააზოვის შემოქმედებაში.

იგივე უნდა ითქვას ებრაელთა მიმართ სიტყვა „ურიის“ ხმარების შესახებაც. უნაპირო ზიზდით, გესლითა და დამცინავი ინტონაციით ამ სიტყვას ხშირად წარმოთქვამენ ხოლმე გ. ბააზოვის პერსონაჟები – ქართველებიცა და ებრაელებიც. მაგრამ მწერალი ამ შემთხვევაშიც დამაჯერებლად გვარწმუნებს იმაში, რომ ეროვნულ

დაპირისპირება აქ არაფერ შეაშია.

გ. ბააზოვის მთელ შემოქმედებას ხაზგასმულად მსჭვალავი ავტორის ღრმა და ფაქტი სიყვარული მშობელი ებრაული ხალხისადმი. როგორც ითქვა, იგი პირველი მწერალი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ფართოდ დაამკიდრა ებრაულ თემასთან განუყოფელად შესისხლხორცებული ეს სიყვარული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ სიყვარულის გამოვლინების დროსაც მწერლის მსოფლმხედველობა აშკარად პოლიტიზებულია და ებრაელი ხალხის ბედნიერ მომავალზე ოცნება საბჭოთა ეპოქის ეროვნულ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული.

მწერალი ამჯერადაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, ბევრ რაიმეს რომანტიკული თვალთახედვით იაზრებს და, ნებსით თუ უნებლიერ, ეროვნული თავისთავადობის არსებითად განმსაზღვრელ ზოგ ფაქტორთანაც კი გამოდის დაპირისპირებული.

ასეთია, მაგალითად, გ. ბააზოვის შემოქმედებაში, პირველ ყოვლისა კი „ფეთხაინში“, გამოვლენილი ანტისარწმუნოებრივი განწყობილება. ავტორი, უნდოდა მას ეს თუ არა, ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან თიშავს ებრაელი ხალხის ეროვნულ ცნობიერებასა და სარწმუნოებას და ებრაელი ხალხის ბედნიერი მომავლის გარანტიად, იმჟამინდელი სოციალისტური იდეოლოგიური პოლიტიკის შთაგონებით, სარწმუნოებაზე უარის თქმას მიიჩნევს.

ამ შემთხვევაში, იქნებ უნებურადაც და შემთხვევითაც კი, დავიწყებული და უბუღვებელყოფილია ის განმსაზღვრელი როლი, რომელიც ებრაულმა სარწმუნოებამ შეასრულა ისტორიულად ამ ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის საქმეში. მთელ მსოფლიოში მიმოფანტულმა, ათასგზის დევნილმა, დარბეულმა და აწიოკებულმა ებრაელობამ თუ მაინც მოახერხა თავისი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება, ეს ხომ, პირველ ყოვლისა, სარწმუნოებისადმი მათი უდალატო ერთგულების შედეგია, იმ სარწმუნოებისა, რომელიც მათ მარტო დვოის რწმენას კი არ უნერგავდა, არამედ ეროვნული ისტორიის ყველაზე

შთამბეჭდავ ეპიზოდებსაც უმკვიდრებდა მარადიული დღისგისა  
და თაყვანისცემის საგნად.

იმ შინაგანი წინააღმდეგობისა და გაორებული შიდგომის  
დახტურად, რასაც გ. ბააზოვი იჩენდა ზემოთ აღნიშნული  
პრობლემისადმი, მინდა ერთი ფრიად საგულისხმო ეპიზოდი  
გავიხსენო „ფეთხაინიდან“. ცხრა აბის დამეს, რომელიც  
ებრაელთათვის ეროვნული გლოვის დამეს წარმოადგენს და  
უკველწლიურად აღინიშნება მთელი მსოფლიოს მორწმუნე  
ებრაელობის მიერ, რომანის მთავარი გმირი – ნათან  
ჯანაშვილი მამასთან ერთად სალოცავში მიდის. მიუხედავად  
იმისა, რომ ნათანის მთელი ცხოვრებისეული მიზანწრაფვა  
მშობელი ერისადმი, მისი წარსულის, აწმყოსა და  
მომავლისადმი უწმინდესი სიყვარულითაა განსაზღვრული,  
ებრაელთა ისტორიის ეს ერთ-ერთი ყველაზე წმინდა და  
თაყვანისაცემი მოვლენა მას სარწმუნოებრივი სიბრმავისა და  
უმეცრების გამოვლინებად მიაჩნია.

სალოცავში მიმავალი ნათანი უქმაყოფილოდ ფიქრობდა,  
რისთვის მიდიოდა იქ, ვინ უნდა ეტირა და რატომ. მიდიოდა  
და ვერ აეხსნა, რა იყო ეს, „მამის სიყვარული? დაბრუნება  
ბავშვობასთან? ნათანს ეშინოდა განსაზღვრის, ეშინოდა  
ფიქრებში ჩაღმავების, უკან მისდევდა უშედეგო ბრძოლა,  
წინ – ბუნდოვანი მომავალი. აწმყოს მიჰყავდა მის მიერ  
უარყოფილ სალოცავთან“.

როგორც ამ პატარა ფრაგმენტითაც დაინახავს მკითხველი,  
აქ ყველაფერზე დაფიქრება, გარდა იმ უმთავრესისა, რამაც  
ეროვნული გლოვის ეს დამე საუკუნეების მანძილზე  
გაუნელებელი გოდების საგნად დაამკვიდრა ებრაელთა  
ცხობიერებაში.

მწერალი თავადვე განუმარტავს მკითხველს ამ რიტუალის  
საკრალურ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ ამ განმარტებას  
იგი, ფაქტობრივად, თავისივე ხალხის წინააღმდეგ  
ამხედრებული და ბნელი ადამიანური ზრახვებით  
გონებააღრეული რელიგიური მსახურის – მელამედის პირით  
გვაწვდის, ამით ცხრა აბის დამის ტრაგიკული მნიშვნელობა  
ებრაელთა ისტორიაში მაინც შთამბეჭდავი ემოციურობით

აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. საღოცავის /  
ტრიბუნიდან მელამედი ხალხს მოუთხრობდა იმაზე, როგორც უფლება  
დაკარგა ამდამინდელ დამეს ებრაელმა ერმა „თავისუფლება,  
სამშობლო, დამოუკიდებლობა და მონა გახდა ძლიერი  
თვითმპყრობელისა“. მელამედი ექსტაზში შესულ მორწმუნებს  
მოუწოდებდა ეგლოვათ თავიანთი სივაგლახის, გაოხრებული  
საყვარელი ქვეყნისა და „მთელ ყოლამზე“ უსამშობლოდ  
ახერიალებული ებრაელობის ტრაგიკული ხელდრის გამო.  
მლოცველთა ამ ღმუილმა, არაადამიანურმა გლოვამ და უაზრო  
ქვითინმა ნათან ჯანაშვილი მოულოდნელად „ფეხზე  
წამოაგდო“ და „დაკლული პირუტყვივით სულგამწარებულმა  
საზარელი ხმით შეჰქვირა:

- გაჩუმდით! ნუ სტირიხართ, საცოდავებო!“ და პროტესტის  
ნიშნად დაუკოვნებლივ დატოვა საღოცავი, სადაც იგი  
თავიდან იმ განზრახვით იყო მისული, როგორმე რიტუალის  
დასასრულამდე გაეძლო და მამის ხათრითა და სიუვარულით  
„ბოლომდე შეეხვა ეს სიმწრის ფიალა“.

ვფიქრობ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ  
თავისი ამდაგვარი მოქმედებით, სურდა ეს მას თუ არა, ნათანმა,  
პირველი ყოვლისა მშობელი ერის წარსულს მიაყენა  
შეურაცხოფა და აქ სარწმუნოებრივი ფანატიზმი არაფერ  
შუაშია.

ალბათ არ შევდები, თუ ვიტყვი, რომ გ. ბააზოვის რომანში  
გამოხატული ეს თვალსაზრისი იდეოლოგიზმებური  
გამოძახილია იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური  
კითარებისა და არსებითად უპირისპირდება მწერლის  
ადრინდელ ეროვნულ და სარწმუნოებრივ თვალდახედვას.  
ეს რომ ნამდვილად ახეა, ამის დახტურად აქ 1923 წელს  
დაწერილი მიხილი ლიტერატურული ესე - „დამეცხრა აბის“  
მინდა გავიხსენო, რომელშიც რომანტიკული გზებითაა  
დახასიათებული ებრაელი ხალხის ისტორიის ამ ერთ-ერთი  
უველაზე დიდი ტრაგედიის თვითგანცდის შედეგად  
წარმოქმნილი განწყობილება.

როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან მოყოლებული  
ამ ტრაგიკულ მოვლენას ყოველწლიურად უდიდესი გლოვითა

და წუხილით აღნიშნავს ყოველი ჭეშმარიტი ებრაელთა განკუთხულება ბაზოვის ესეც ამის ნათელი დადასტურებაა. ახლაუგამომდებარებული მწერალი ემოციური შთამბეჭდამით აღწერს ცხრა აბის დამეს ამ ტრაგედიის მოსაგონებლად შეკრებილი 12 ებრაელის მწუხარებას. „მათ თვალებში კრთის რადაც იდუმალება. მათი თვალები ცეცხლივით ელვარებენ. მათ თვალებში შეიძლება კაცმა წაიკითხოს ისტორია ორი ათასი წლისა. მათი თვალები ლაპარაკობენ, მეტყველებენ, ენა კი დადუშებულია. მათ თვალები გამოსჭვივის საოცარი მწუხარება, ანარეპლი წინაპართა წამების.

ერთი შეხედვით შეიძლება ისინი უსულო, გაქვავებულ არსებებს ჰგავდნენ, მაგრამ მათი თვალები მოძრაობენ...

ცრემლები.

ამაღამ დაიღვრება ცრემლების ოქვანე.

აგარაკის 12 ებრაელი შეუერთებს თავის ცრემლებს თოთხმები მიღლიონი მოძმების ცრემლებს!...

ამაღამდელ დამეს ერმა დაკარგა თავისუფლება, სამშობლოს დამოუკიდებლობა და მონა გახადა ძლიერი თვითმპურობელობისა“ (ფ. ბააზოვი, დასახ. კრებული, გვ. 214).

ვფიქრობ, ციტირებული ფრაგმენტითაც ნათლად დაინახავს მკითხველი, რა დიდი ზღვარი დევს გ. ბააზოვის დამოწმებული ესეს ეროვნულ სულისკვეთებასა და „ფეთხინის“ მთავარი პერსონაჟის ზემოთ აღწერილ საქციელს შორის.

როგორც ითქვა, გ. ბააზოვის შემოქმედება მწერლის თანამედროვეებმა 20-30 –იანი წლების ქართული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ საგულისხმო შენაკადად აღიარეს. სწორედ ამ აღიარების დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ინტერესიც, რომელიც მისი დრამატურგიისადმი ქართული თეატრალური ხელოვნების ცნობილმა ოსტატებმა გამოიჩინეს. გ. ბააზოვის პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების წარმატებას ხელი მნიშვნელოვანწილად იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ მათში იმუამინდელი ქართული სცენის ისეთი ცნობილი ოსტატებიც ასრულებდნენ მთავარ როლებს, როგორებიც ვერიერ ანჯაფარიძე, შალვა დამბაშიძე, პიერ კობახიძე და სხვა მსახიობები იყვნენ.

## ა) „გელათის ქუჩის დასასრული“

გერცელ ბააზოვის პირველი თვალსაჩინო პროზაული ქმნილება, რომლითაც მკაფიოდ გამოვლინდა ავტორის, როგორც ბელეტრისტის, შემოქმედებითი ნიჭი, 1929 წელს დაწერილი მოთხოვნა „გელათის ქუჩის დასასრული“ იყო (ნაწარმოები იმავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ „ოქროს საათის“ სათაურით). გ. ბააზოვმა მასში პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციებიდან ცადა დაუჩახა და გაეგაზრებინა ის რთული სოციალური მოვლენები, რომელებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხდებოდა წვენში. მწერლის მიზანია სიღრმისულად წარმოაჩინოს ამ მოვლენათა ფართო მასშტაბები და ის მძაფრი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც რევოლუციის მიერ ორ ბანაკად გაყოფილ საზოგადოებაში მიმდინარეობდა იმხანად. იგი ენერგიას არ იშურებს იმ დიდი ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველობრივი ძვრების საჩვენებლად, რის შედეგადც ინგრეოდა ადამიანთა ძველი ფსიქიკა და საფუძველი ეყრდნობა თვისებრივად სრულიად ახალ ცნობიერებას.

ეს უკელაფერი გ. ბააზოვის მოთხოვნაში აშკარა იდეოლოგიური ტენდენციურობით ვლინდება. მწერალი სწორხაზოვნად, იმჯამინდელი პარტიულ-რევოლუციური პრინციპების ერთგულებით, აღწერს ამ მოვლენებს და ერთნიშნა, დადებით შეფასებას აძლევს მათ. ამ თვალსაზრისით უკერძოდ მოთხოვნაში, ისევე როგორც მის მთელ შემოქმედებაში, გამოკვეთილად იგრძნობა მოვლენათა პროპაგანდისტული, ცალმხრივი გააზრების ტენდენცია.

სწორედ ამის მიზეზია ის გარემოება, რომ, როგორც გ. ბათიაშვილი წერს, მწერლის პერსონაჟთა ქცევასა და აზროვნებაში ბევრი რამ დღევანდელ მკითხველს შეიძლება „გულუბრყვილოც კი ეჩვენოს, მაგრამ თუ ჩვენ გერცელ ბააზოვის მიერ შექმნილ მხატვრულ პროდუქციას შევხედავთ იმ დღეებისა და მათი მოთხოვნების თვალით, რომელშიც

ისინი იწერებოდნენ, ხოლო ამას კიდევ დავუმატებთ. რომ მწერალს არ ჰქონია საშუალება გარკვეული დრუჟს შემოდიდა და ემუშავებინა ისინი, რედაქტორება გაეწიოთ მომლენის ნაწარმოებებისათვის, მაშინ დავრწმუნდებით, რომ გ. ბააზოვ სამართლიანად ითვლებოდა პირველხარისხოვან შემოქმედთა შორის“ (გ. ბათიაშვილი, ხიცოცხლე წიგნებში, ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1965 წ. №10, გვ. 61).

ქვემოთ შევაცდები, უოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მკითხველის ყურადღება გ. ბააზოვის მოთხოვნის სწორედ იმ მხარეებს მივაპყრო, რომლებიც პირველ ყოვლისა დღევანდველი თვალთახედვითაა საინტერესო და ჩვენს წარმოსახვაში ემციური სიმძაფრით აცოცხლებს ოციანი წლების რთულ ხოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მართალია, ბევრი მოვლენა ნაწარმოებში აშენარად გამოხატული კლასობრივ-იდეოლოგიური ტენდენციურობითაა დანახული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, „გელათის ქუჩის დასასრული“, როგორც იმდროინდელი სინამდვილის ამსახველი მხატვრული ნაწარმოები, მაინც რჩება გ. ბააზოვის შემოქმედების საინტერესო ნიმუშად.

დავიწყებ იმის აღნიშვნით, რომ მოთხოვნის ცენტრალურ სამოქმედო აღგილად შერჩეული გელათის ქუჩა – ქუთაისში ებრაელთა ფართოდ ცნობილი საცხოვრებელი უბანი – მწერლის მიერ დახატულია როგორც სიმბოლო ძველი, ყავლგასული კოფისა. მირითადად ებრაელებით დახახლებული გელათის ქუჩა გ. ბააზოვმა დახავსებული ცხოვრების სწორედ ასეთ სიმბოლოდ წარმოადგინა, ახალ ცხოვრებას დაუპირისპირა და მისი გარდაქმნა-განახლების პროცესი რევოლუციური გარდაქმნების ბუნებრივ შემაღენელ ნაწილად მიიჩნია.

ამ შემოხვევაში მწერალმა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, მოხერხებულად გამოიყენა ქუთაისში, ებრაელთა უბანში, 1928 წელს გრანდიოზული ხანძრის გაჩენის ფაქტი, რის შედეგადაც ქალაქის ეს ნაწილი თითქმის მოლიანად გადაიწვა. გ. ბააზოვმა ეს ტრაგიკული მოვლენა სიმბოლური მნიშვნელობის ფაქტადაც გაიაზრა და მას ერთგვარი

იდეოლოგიური დატვირთვაც შესძინა – ყოველივე ძველი, დახავსებული, ყოფით სიღუხტირესთან ჩამორჩენილობასთან დაკავშირებული, უნდა მოისპოვა, ჩამორჩენილობასთან დაკავშირებული, უნდა მოისპოვა, ერთიანად აღიავოს პირისაგან მიწისა და მის ადგილზე ახალი, ძლევამოსილი ცხოვრება დამკვიდრდეს – ასეთია ავტორის აზრი.

გელათის ქუჩაზე გაჩენილმა ხანძარმა არა მარტო ებრაელთა დუხტირი ყოფის ნაშთი გაანადგურა მატერიალურად, არამედ აქაურთა ბნელ ზრახვებსაც ჩასცა სასიკვდილო ლახვარი. მწერალი მკვერტად მიჯნავს ერთმანეთისაგან სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს. გელათის ქუჩა ამ შემთხვევაში ამ ორ ძალას შორის გამართული უკომპრომისო ჭიდილის სიმბოლურ ასპარეზადაა ქცეული.

როგორც ცნობილია, ახალი, რევოლუციური პრინციპების დამკვიდრებამ თრ ნაწილად გაჰყო საზოგადოება. კლასობრივი იდეოლოგია იმდენად შეიჭრა ადამიანთა ცნობიერებაში, რომ ზოგჯერ მამა-შვილიც კი გადაჰყიდა ერთმანეთს საკვდრო-სასიცოცხლოდ. ამ თვალსაზრისით გ. ბააზოვის მოთხრობა უაღრესად ხაინტერესო მასალას გვაწვდის. მართალია, დღევანდებული მკითხველისათვის საგსებით მიუდებელია ის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა, რომლის საფუ-მგელზეც მწერალი ამ იდეოლოგიურ და კლასობრივ ბრძოლას წარმოაჩენს, მაგრამ ნაწარმოების გაცნობით მაინც ნათელი წარმოდგენა გვექნება იმაზე, როგორ ბარბაროსულად ანგრევს რევოლუციური ცნობიერება ტრადიციულ ზნეობრივ ნორმებს, ადამიანს ადამიანურ ხახეს უკარგავს და მას იდეის მონად, მის ფანატიკურ მსახურად აქცევს.

ქვემოთ შევცდები სწორედ ამ თვალსაზრისით მივაქციო ყურადღება იმ დაუნდობელ ბრძოლას, რომელსაც ლევი კაკიაშვილი – მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი – უცხადებს არა მარტო მამამისს – რეუბენს, არამედ ფაქტორივად მთელ თავის ოჯახს.

რევოლუციური იდეებით გატაცებულმა ლევიმ მამის ოჯახი მიატოვა და რუსეთში გაჰყვა შემთხვევით გაცნობილ რუს ბოლშევიკს - „ამხანაგ ვასილს“. მამა-შვილს შორის თავჩენილ

კონფლიქტს მწერალი თავიდანვე, მოთხოობის ფასა-  
წყისიდანვე, მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. გრძელი მუშა-  
ლევი, რევოლუციური იდეებს ნაზიარები და სოციალურ  
სამართლიანობაზე მეოცნებე ჭაბუკი, პრინციპულად ვერ  
ურიგდება კულაკი მამის მიერ მშრომელი ხალხის ჩაგვრა-  
შევიწროებას და კლასობრივი დაუნდობლობით ამხელს მას.

იმის ნათელსაყოფად, როგორი იდეოლოგიური ედურადობა  
აქვს შეძენილი ლევის დაპირისპირებას მშობელ მამასთან,  
გავიხსენოთ ფრაგმენტი მოთხოვობიდან: ნაჩუქარი ოქროს  
საათის გასხვისების გამო უკიდურესად აღშფოთებულმა  
რეუბენმა შვილს ქურდობაც დააბრალა. ამაზე ლევიმ, თითქოს  
არც არაფერი მომხდარაო, მამას მშვიდად მიუგო: „ჩვენ ორივე  
ქურდები ვართ, დიახ, მამაჩემო, მომისმინე და განსხვავებასაც  
გეტყვი. შენ ჰპარავ აშკარად მთელ ქვეყნიერებას და მათ  
შორის მოჰკარე საწყალ დარიბ ისრაელსაც... შენ იპარავ,  
რადგანაც შენი მიზანია სხვის ხარჯზე ააგო შენი სიმდიდრე.  
მე კი, თუმცა მოვიპარე ფარულად, მაგრამ ჩემი მიზანი იყო  
გადამერჩინა დაღუპული და დაქცეული ოჯახი შენისთანა  
ადამიანის და შენი მეგობრის ვანოს კლანჭებიდან“.

ასეთი კლასობრივი სწორხაზოვნებით ავლენს მწერალი  
მოთხოვობაში სათქმელს. ამ დროიდან მოყოლებული, ლევის  
„ბოლშევიკური შეგნება“ და „რევოლუციური სიმტკიც“ უფრო  
და უფრო იზრდება. იგი თანდათანობით ყალიბდება, როგორც  
კლასობრივი, რევოლუციური პრინციპების ბრმად მონა-  
მორჩილი ფანატიკოსი, რომელსაც მთლიანად აქვს დაკარგული  
პიროვნული ინდივიდუალობის გრძნობა.

ამ თვალსაზრისით მრავალი საინტერესო ეპიზოდი  
შეიძლება გავიხსენოთ ნაწარმოებიდან. მაგალითად: საბჭოთა  
ხელისუფლების დამყარებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ  
ლევი რუსეთიდან საქართველოში, კერძოდ ბათუმში ბრუნდება.  
წითელარმიელის მაზარაში გამოხვეულ ამ ახალგაზრდა კაცს  
ერთი შეხედვითვე ეტყობა, რომ რევოლუციონერის რთული  
გზა გაუვლია. ახლა იგი კონტრაბანდით ვაჭრობის წინააღმდეგ  
ბრძოლას ჩადგომია სათავეში და ბათუმშიც ამ მიზნით  
იმყოფება. იმის გასარკვევად, რა შეცვალა დრომ ლევის

არსებაში ამ ხნის მანძილზე, მეტად საინტერესოა ეს ავტორის კომენტარი: „იგი არ ცხოვრობდა პირადული სიამოვნებისთვის. დიდი ხანია მას გამოესალმა. ეს ჭრია რდესლაც სიზმარივით გაქრა. ახლა იგი ცხოვრობდა საერთო ინტერესებით, სახელმწიფო ინტერესებით. ყოველთვის, როდესაც მას შეატყობინებდნენ, რომ დაჭერილია კონტრაბანდისტთა ესა თუ ის ჯგუფი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. იგი მთელი თავისი არსებით გატაცებული იყო მხოლოდ ამ ხაქმით. იგი ხევაზე არ ფიქრობდა, უფრო სწორად, ცდილობდა არ ეფიქრა“.

ასე ჩაკლა რევოლუციამ, საბჭოთა იდეოლოგიისადმი ფანატიკურმა ერთგულებამ, ადამიანში პიროვნება და იგი პოლიტიკური იდეის ბრძან მსახურად აქცია.

ლევისთან დაკითხვაზე მიყვანილ კონტრაბანდისტთა შორის ერთ-ერთი მისი დვიძლი ძმაც აღმოჩნდა – ისაკი. წლობით უნახავი ძმის ნახვამ თავდაპირველად ლევის გულში ადამიანური გრძნობა გააღვიძა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთით. ლევი მაღალ გამოერკვა მდგომარეობიდან, მთელი მისი მოქმედება „მოვალეობის გრძნობასა და გონებას დაუმორჩილა“ და ძმას ხელიც კი არ ჩამოართვა, პირდაპირ შეუდგა დაკითხვას: „ნუთუ, ისაკ, - მკაცრი ხმით ეუბნება იგი ძმას, - საბჭოთა ხელისუფლებამ და შვიდმა წელიწადმა ვერაფერი გახსავლა? ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ წავიდა ძველი დრო, რომ დღეს იოლად და უსინდისოდ აღარავის შეუძლია იცხოვროს, რომ დღეს ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია იშრომოს, იშრომოს და მხოლოდ იშრომოს?“

ასე პოლიტიზებულია ამ „კაცი-იდეის“ მთელი ადამიანური ბუნება. იგი „პოლშევიკური“ გულგრილობით ისმენს ძმისგან მამამისის ოჯახის დაქცევა-განადგურების ამბავს და ცივი ხმით ეუბნება ისაკს: „ტყუილად ნუ მიცქერი საცოდავი თვალებით. მე არ შემიძლია შენი გადარჩენა. მე გული მკვდარი მაქვს, გეხმის, ისაკ? მე აღარ ცხოვრობ დღეს ოჯახისათვის, მე ვცხოვრობ დღეს მშრომელი ხალხისათვის. ბევრი რამ გადავიტანე ამ შვიდი წლის განმავლობაში. სულ ცოტა ხანია

რაც ჩამოვედი რუსეთიდან. არ მეგონა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაჭირდებოდა ჩემი საკუთარო გასამართლება. მაგრამ აუცილებლობას ვერავინ ვერ გვამტკვებ. პროლეტარიატის კანონები ულმობელია. ნათესაური გრძნობა უნდა დავმორჩილოს კლასობრივ ინტერესებს“.

ამ სიტყვებით მწერალი წარმოაჩენს კლასობრივი ცნობიერების ტყვეობაში მოქცეული კაცის ფსიქოლოგიას. ლევის მხატვრული სახისადმი ინტერესს დიდად ზრდის ის გარემოებაც, რომ მისი რევოლუციური ფანატიზმი ერთი ადამიანის კლასობრივი ავადმყოფობა კი არ იყო, არამედ ახალი ეპოქის სამსახურში ბრმა ერთგულებით ჩამდგარი ასობით რევოლუციონერის პიროვნული დეგრადაციის გამოხატულებაც. ასეთ პიროვნებათა სახეები მრავლად შექმნა 20-30-იანი წლების ჩვენმა მწერლობამ და მათ მიმართ ორი განსხვავებული მსოფლმხედველობრივი პოზიცია გამოიკვეთა. ახალი იდეოლოგიის მსახურნი მათ აფეტიშებდნენ და სამაგალითო გმირებად უსახავდნენ საზოგადოებას, ეროვნული ინტერესების დამცველი მწერლები კი, რამდენადაც დრო და ვითარება იმხანად ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ამგვარ ზნეობრივ გადაგვარებას ამხელდნენ და უპირისპირდებოდნენ. სამწუხაროდ, გ. ბააზოვი პირველი კატეგორიის მწერალთა რიგს „უფრო მიეკუთვნება, რისი დადასტურებაცაა არა მარტო ეს მოთხოვბა, არამედ მისი სხვა ნაწარმოებებიც.“

გარდა ლევისა, მოთხოვბაში რევოლუციის სამსახურში ჩამდგარი სხვა პიროვნებანიც დახატა მწერალმა. მათგან, პირველ ყოვლისა, ყურადღებას ლევის შეგობრები – ნეთანელი და ლევანი იქცევენ, რომელთა ცხოვრებისეულ მიზანსწრაფვას რევოლუციურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული პოლიტიკური რომანტიზმი უდევს საფუძვლად. მწერალი ლოზუნგურ-პროპაგანტისტული პათეტიზმით წარმოაჩენს მათ კლასობრივ ინტერესებს და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ დაუოკებელ სწრაფვას. „მტკიცე კლასობრივი ხაზის“ ერთგულად გამტარებელი ეს ფანატიკოსი ენთუზიასტები იდეოლოგიური აგრესიულობით უპირისპირდებიან ყოველივე ძველსა და, ამათი აზრით,

დრომოჭმულს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ  
რევოლუციურ რადიკალიზმს მაინც ლევანი იჩენს, რომინიშნული  
პოლიტიკური მაქსიმალიზმი არაფრით ჩამოუვარდება ლე-  
ვის პარტიულ პრინციპულობას. მას დაუკვებლად სწამს,  
რომ „ისტორიას მხოლოდ ორი გზა აქვს: ან ბურჟუაზიასთან,  
ან პროლეტარიატთან. არ არსებობს მესამე გზა, და ისინი,  
ვინც ეძებს ან ეპოტინება მესამე გზას – ებრძვის პროლე-  
ტარიატს“.

კლასობრივი პრინციპებისადმი ერთგულება იმდენად  
ბოჭავს და ზღუდავს ლევანის მსოფლმხედველობას, რომ  
იგი ადამიანის, მათ შორის, უახლოესი მეგობრის,  
საზოგადოებრივ როლსა და დანიშნულებას მისი სოციალური  
წარმომავლობის მიხედვით აფასებს. „მიუხედავად იმისა, რომ  
შენ მთელი არსებით მუშათა კლასის მხარეზე ხარ, - ეუბნება  
იგი ლევის, - შენ მაინც გამოხული ხარ ბურჟუაზიის წრიდან.  
შენ გჭირია ასპარუცენტიანი გადახარშვა პროლეტარულ  
სამზარეულოში. დღეს, როდესაც ძალაუნებურად გაწყდა  
კავშირი შენსა და შენს მშობლებს შორის, მე საშუალება  
მეძლევა გელაპარაკო ამ საკითხზე“.

ასე იქცევა კლასობრივი დოგმატიზმით შებოჭილი ეს  
ფანატიკოსი ენთუზიასტი ხელისუფლების ასპარეზზე  
აღზევებულ იმ რევოლუციონერთა ერთ-ერთ ტიპიურ  
წარმომადგენლად, რომელთაც დრმად სწამდათ, რომ  
რევოლუციური საქმის კეთება მხოლოდ დაბალი სოციალური  
წრიდან გამოხულო შეეძლოთ. ესენი ის ადამიანები იყვნენ,  
რომელთა იდეოლოგიური სულისკვეთება მოგვიანებით ასე  
გამოხატა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ: „თუ მშვიდობა და  
ახალი ქვეყნის აშენება გვწყურია, თავადაზნაურობის ერთი  
პრცენტიც არ უნდა დარჩეს საქართველოში“ (მოთხოვბა  
„სიტყვა იყო დმერთი“).

მართალია, გ. ბააზოვის მოთხოვბის პერსონაჟი ასეთ  
უკიდურეს რადიკალიზმამდე არ მიდის, მაგრამ ზემოთ  
ციტარებულ მის სიტყვებში, ვფიქრობ, იმასაც უთუოდ  
იგრძნობს მკითხველი, რომ მას, თუ სამისო გარემოება  
შეიქმნებოდა, არც ამ თვალსაზრისამდე „ამაღლება“  
გაუჭირდებოდა.

ასე მკვეთრად იმიჯნება მოთხოვბაში ერთმანეთსაგან ორი განსხვავებული კლასობრივი ბანაკი. ერთ კლასის მაცხოველები და განანი „დიდცხვირა კლერიკალი“ რეზტენი და ვაჭარი ვანო, რომელთა სამოქმედო ასპარეზად ქცეულა „დმერთითა და არ შინით შეზავებული საკუთარი იდეოლოგიით“ დაბნელებული გელათის ქუჩა – ეს „საუკუნეების სიმძიმისაგან დანოტივებული, სიღატაკის, უმეცრების და სიბნელის სიმბოლო, ანტისანიტარიის საბუდარი და სხვადასხვა ჯურის ორფეხა პარაზიტების სათარეშო“, მეორე მხარეს კი ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად მებრძოლი ლევი, ლევანი, ნეთანელი და მათი თანამოაზრენი დგანან. მწერლის შეფასებით, ამ ორ ბანაკს შორის საერთო ენის გამონახვა ყოვლად შეუძლებელია. ესაა კლასის ბრძოლა კლასთან. საზოგადოების „სხვაგვარი დაყოფა, გ. ბააზოვის რწმენით, აღარ არსებობს“.

მოთხოვბაში მწერალმა ცადა მკითხველისთვის ბარიკადის იქით მდგომთა კლასობრივ თვალსაზრისზეც შეექმნა ნათელი წარმოდგენა. ამ მხრივ ყურადღება, პირველ ყოვლისა, რეზტენისა და ვანოს მხარვრულ სახეებს უნდა მივაქციოთ. ბოლ შევიზმი უდიდესი ტრაგედია გამოდგა მათთვის. საქართველოს „გაწითლებაში“ მათი ცხოვრების ჩარხი უკუდმა დაატრიალა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლ შევიკებმა კულაკებად და ხალხის მხაგვრელ-მყვლეფელებად შერაცხულ ამ კლასობრივ მტრებს უბოდიშოდ წაართვეს კველაფერი, რისი წადებაც შეიძლებოდა. დარჩა მხოლოდ „მომავალი უიმედობა... გაბზარული გული და... მოგონება ძველისა... კოშმარად ქცეულ ამ ახალ სინამდვილეს ასე ახასიათებს რეზტენი ერთგან: „სინაგოგები და ეკლესიები დალეწეს... რაბინები და მდვდლები საჯაროდ ჩამოახრჩვეს... ვაჭრებისათვის გარეთ გამოსვლა აკრძალულია... სანოვაგა აღარ იშოვება... გირვანქა პური ღირს ხუთი მილიონი მანეთი... ქრისტიანები იძახიან მეორედ მოსვლაა... ისრაელები ამბობენ მაშიახის (მესიის) მოსვლის ნიშნებიაო“...

მამები შეძრწუნებული ხედავენ, როგორ დაუნდობლად ხელყოფენ წინაპრების მიერ დამკვიდრებულ ზნეობრივ,

ეროვნულ და რელიგიურ სიწმინდეებს მათი შეიღება, რომელთაც ქრისტესა და აღონაის „სამაგიეროდ ლენინი და სტალინი გაუღმერთებიათ“. ახალმა ვითარებამ მამაშვილი სტალინი და დედმამიშვილურ სიყვარულსაც გამოუთხარა ძირი. „ვის და დედმამიშვილურ სიყვარულსაც გამოუთხარა ძირი. „ვის გაუგონია, ვის მოსწრებია, რომ მმას დაეკლას თავისი ღვიძლი მმა ვიდაც ურჯულო ბოლშევკიების გულისათვის?“ - თავზარდაცემული ფიქრობს ამის გამო რეუბენი, კაცი, ვის ოჯახსაც პირადად დაბრუდა თავს ასეთი უბედურება.

ჩემის აზრით, ამ არასრული ანალიზითაც ნათლად შეიგრძნობს მკითხველი იმ როლი სოციალური ვითარების არსეს, რომელსაც მხაფრი მხატვრული შთამბეჭდაობით აღწერს გ. ბააზევი.

გარდა სათქმელის პირდაპირი ფორმით გამოხატვისა, მოთხოვთაში იგი მარტივ, აღვილად შესაცნობ აზრობრივ ალეგორიუმებსაც იყენებს ხოლმე. ასეთია, მაგალითად, რეუბენის ოქროს საათი და მასთან დაკავშირებული სიმბოლური ქვეტექსტის მრავალგზისი აქცენტირება ნაწარმოებში. რეუბენის საათი - სიმბოლო პატრონის ადრინდელი მატერიალური სიმდიდრისა და კეთილდღეობისა - ახალმა ეპოქამ მისი მფლობელისათვის უსარგებლო ნივთად აქცია. საათთან დაკავშირებული სიმბოლიკის არსი ნათლად კლინდება ცხოვრებასთან ჭიდილ ში საბოლოო ხელმოკარული რეუბენის ამ სასოწარკვეთილ მიმართვაში ცოლისადმი: „არაფერია, სარა... ჩემი ოქროს საათი დადგა... გაჩერდა... და აღარ მუშაობს“. საათთან დაკავშირებული სიმბოლიკა მოთხოვთაბის ბოლო სტრიქონებშიც გაიჟდერებს, როცა მომაკვდავი რეუბენი უკანასკნელად გადაეხვევა შეიღს, ოქროს საათი ხელიდან გაუვარდება და ეტყვის: „ჩემი დრო გათავდა... მომავალი შენია“...

ამ მომავალს, მოთხოვთას მიხედვით, ბედნიერებასთან და სინათლესთან ერთად, ღიღი უბედურებაცა და ტრაგედიებიც მოჰყვება თან. თუ, ერთის მხრივ, ესაა ბრძოლა უწიგნურობასთან, სიღარიბესთან, სოციალურ უსამართლობასთან, მეორეს მხრივ, რევოლუციური ფანატიზმით შეპყრობილი პიროვნებანი ახალი დროის ვანდალებიც ხდებიან, რომლებიც კლასობრივი

დაუნდობლობით ებრძვიან საუკუნეობით დამკვიდრებულ  
ეროვნულ, სარწმუნეობრივ და ტრადიციულ უძველესობების  
ადამიანურ ნორმებს. „არაფერია, მამავ! ამ უბედურებას  
გადავაქცევთ ბედნიერებად. გელათის ქუჩის ნაცვლად ჩვენ  
გავაშენებთ ახალ ქუჩას, ახალ სახლებს და რასაც ჩვენ  
გავაშენებთ, იმას უკვე ცეცხლი ვერ დასწავს, იმას შევე  
ხანძარი ვერას დააკლებს“, - უბედა ლევი მის მიერვე  
„მოსისხლე კლასობრივ მტრად“ შერაცხულ მომაკვდავ მამას  
გელათის ქუჩაზე გაჩენილი გრანდიოზული ხანძრის ჩაქრობის  
შემდეგ.

მაგრამ მის ამ ხმამაღალ ოპტიმიზმს და თვითდაჯერებულ  
რწმენას, ნებით თუ უნგებლივედ, თითქოს ერთგვარ ხიმოლურ  
ჩრდილად ეფინება მოთხრობის ბოლო წინადაღებით  
აქცენტირებული აზრი: „დაღამდა, დამწვარ ქუჩას გადაეფარა  
შავი ნისლი“.

მიუხედავად იმისა, რომ გადამწვარ ქუჩაზე ჩამოწოლილი  
ეს შავი ნისლი ხანძრის ჩაქრობის შედეგად დარჩენილი  
კვამლია, ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ მწერალმა,  
ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ამით ნაწარმოებში დასმული  
სოციალური პრობლემებისადმი თავისი პროტესტანტული  
დამოკიდებულებაც გამოხატა სიმბოლურ-ალეგორიული  
ფორმით.

აქვე მინდა მოთხრობის ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო  
დეტალსაც მივაქციო ყურადღება: რუსი ბოლშევიკის - „ამხანაგ  
ვასილის“ შესახებ მწერალი გვეუბნება, რომ იგი რუსეთიდან  
საგანგებო დავალებით იყო საქართველოში გამოგზავნილი  
პარტიის მიერო და იქვე განმარტავს, რა დავალებაზეცაა  
საუბარი - საქმე ეხება 1921 წლის თებერვალში ჩვენთან  
დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. „საქართველოში მაღვ  
უნდა მომხდარიყო საბჭოთა გადატრიალებაო“, - გვამცნობს  
ავტორი და ამით ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, თუ სად და  
ვის მიერ იყო დაგეგმილი ჩვენი ქვეყნის „გაწილება“ -  
რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლი ანექსიის ეს  
ბოლშევიკური ვარიანტი.

## ბ) „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“

როგორც აღინიშნა, გერცელ ბააზოვის შემოქმედებით კრობდებატიკას, პირველ ყოვლისა, ის მოვლენები განსაზღვრავენ, რომლებიც 20-30-იან წლებში ხდებოდა ჩვენში. მათგან მწერალმა განსაკუთრებით დიდი დაინტერესება გამოიჩინა საკოლმეურნეო მოძრაობისადმი და ამ თემას ორი ფართოდ გახმაურებული ნაწარმოები მიუძღვნა – პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და მოთხოვთ „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“.

ორივე მათგანი ერთსა და იმავე დროს – 1931 წელსაა დაწერილი და რომანტიკული გზებით მოგვითხოვს საკოლმეურნეო მშენებლობის გარდამქმნელ როლზე დარიბ ებრაელთა დუხხირი ყოფის გაუმჯობესების საქმეში. ნიჭიერი მწერლის ხელით დაწერილმა ამ ნაწარმოებებმა იმთავითვე განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად პიესას - „მუნჯები ალაპარაკდნენ“, რომლის მიხედვით დოდო ანთაძემ შესანიშნავი სპექტაკლიც შექმნა.

და მაინც, მიუხედავად ამგვარი მაღალი ლიტერატურული დონისა, მხატვრულ სახეთა კოლორიტულობისა და ღრმა შთამბეჭდაობისა, გ. ბააზოვის ამ ნაწარმოებთა პრობლემატიკა დღეს უკვე იძღენადაა ყავლგასული და მოქველებული, რომ მათ მხოლოდ წმინდა ისტორიული თვალთახედვით თუ გავიაზრებთ და შევაფასებთ. ეს გარემოება ორი უმთავრესი მიზეზითაა განპირობებული: ჯერ ერთი, იმით, რომ საკოლმეურნეო ცხოვრება კარგა ხანია იქცა ჩვენი ცხოვრების განვლილ და საკმაოდ უსიამოვნო მოგონებათა აღმძღველ მოვლენად, რომელმაც ოდნავადაც კი ვერ გაამართლა ის იმედები, რითაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იქო თავდაპირველად ამ მოძრაობისადმი განწყობილი. პარტიული დირექტივებითა და ადმინისტრაციული ძალადობით შექმნილი კოლმეურნეობები ფაქტობრივად ხალხის ორგანიზებული ჟულეფის, ჩაგრა-შევიწროებისა და სოციალური დაბენავების ხელსაყრელ საშუალებად იქცა.

მეორეც, გ. ბააზოვის ნაწარმოებებში, როგორც უკუცით, ებრაელთა კოლმეურნეობის შექმნისა და მის პირველურნეობის ეკონომიკურ წარმატებებზეა საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მართლაც იყო ამგვარი მცდელობა, ამ საქმეს არავითარი წარმატება არ მოჰყოლია და მკაფიო ეროვნული ნიშნით გამოკვეთილი ასეთი კოლმეურნეობის შექმნის იდეაც კი იმთავითვე აღმოჩნდა განწირული.

ყოველივე ამის შესახებ დღეს იოლია მსჯელობა, რადგანაც დრომ, მოვლენათა ისტორიული განვითარების პროცესმა, ნათლად დაგვინახა დასახელებულ სოციალურ მოვლენათა თვითმიზნურობა და არაპერსპექტიულობა. მაგრამ გ. ბააზოვისა და მის თანამედროვეთა იდეოლოგიური მრწამსი, თუ გესურს ჩვენი საუბარი ობიექტური განსჯის ფარგლებში მოექცეს, მხოლოდ დღევანდელობის პოზიციებიდან არ უნდა დავინახოთ და მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარებაც უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გ. ბააზოვი იმ პირვენებათა რიგში დგას, რომელთაც იმხანად მართლა სჯეროდათ გულწრფელად და მიამიტურად იმ სასიკეთო სოციალური გარდაქმნებისა, რაც საკოლმეურნეო მშენებლობას უნდა მოჰყოლოდა ჩვენში. მწერალი, ეტყობა, ნამდვილად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სიღარიბით გაწამებული მისი თანამემამულების დახსნა დუხშირი ეკონომიკური მდგომარეობიდან კოლმეურნეობების შექმნით შეიძლებოდა. ეს ილუზიური რწმენა და რომანტიკული მოლოდინი ბედნიერი მომავლისა, სამწუხაროდ, გ. ბააზოვის მხოლოდ დასახელებულ ნაწარმოებებს როდი მსჯვალავს.

მწერლის მიერ დახატული პერსონაჟები, მოქალაქეობრივი თავგანწირვით მებრძოლნი პარტიისა და ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იდეების ხორცშესახებმელად, ფანტაზიით წარმოსახული პიროვნებანი კი არ არიან, არამედ რეალური ადამიანები, მკვეთრად გამოხატული კლასობრივ-რევოლუციური თვალთახედვით რომ ასახავენ იმდროინდელ სინამდვილეს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალ-პოლიტიკურ მისწრაფებებზე.



ამდენად, გ. ბააზოვის შემოქმედებას, მიუხედავად იმის, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით მასში დღეს ბევრი რამდენიმე მოძველებული და ყავლგასული, მაინც ინტერესით გაეცნა კოლეგიუმის მკითხველი თუნდაც იმის გამოც, რომ იგი ისტორიული სიმართლითა და ემოციური შთამბეჭდაობით აცოცხლებს 20-30-იანი წლების საქართველოს არსებულ სოციალ-კოლიტიკურ ვითარებასა და საზოგადოებრივ განწყობილებას.

გ. ბაზოვის შემოქმედებაში კონტრასტული სწორხაზოვნებით იმიჯნება ერთიმეორისაგან სიკეთე და ბოროტება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაფეტიშებული კლასობრივ-რევოლუციური მსოფლმხედველობრივი პრინციპების ერთგული მწერალი, ჩვეულებრივ, სწორედ ასეთი სწორხაზოვნებით თიშავს ხოლმე თავის პერსონაჟებს ერთმანეთისაგან. მის შემოქმედებაში გამოყენილი ავალა მდიდარი ადამიანი, როგორც წესი, ბოროტ, გულქვა, უსამართლო, ხალხის მყვალეფელ და სოციალური ძალმომრეობით აღზევებულ პიროვნებადაა წარმოსახული.

ასე რომ, მწერლის ნაწარმოებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოროტება სიმდიდრის, მატერიალური კეთილდღეობის დამახასიათებელი თვისებაა. რაც შექხება სიკეთეს, იგი, ჩვეულებრივ, სიდარიბესთანაა ასოცირებული. მართალია, გ. ბააზოვს დარიბთა შორისაც გამოჰყავს ზნედაცემული, მოღალატე, შურიანი და სხვა ადამიანური სიმდაბლეებით სულდამიმებული პიროვნებები, მაგრამ ეს გარემოება ზემოთ ხაზგასმული დაპირისპირების არსე არსებითად ვერ ცვლის.

აზროვნების ამდაგვარი სწორხაზოვნება პირდაპირი შედეგი იყო იმ კლასობრივი იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელიც იმხანად ტარდებოდა ჩვენში. სამწუხაროდ, ბევრი იმდროინდები მწერლის მსგავსად, ვერც გ. ბააზოვი აცდა ამგვარ ტენდენციურობას და მის შემოქმედებაში დასმული სოციალური პრობლემები სწორედ ასეთი მსოფლმხედველობრივი ცალმხრივობით იქნა განსჯილი.

„შემარიას უკანასკნელი სიტყვაც“ ამის ნათელი დადასტურებაა. მასში ზემოთხაზგასმული კონტრასტულობით



უპირისპირდებიან ერთმანეთს სოციალისტური კულტურული დამამკვიდრებელი და მათი მოწინააღმდეგებული ცხოვრების გამარჯვების მთავარ პირობად მოთხოვთაში კოლმეურნეობის შექმნაა მიჩნეული. ამ საქმის პრაქტიკული განხორციელებისათვის თავდადებით იბრძვიან სერგო იაშვილი, მიშაელ თეთრუაშვილი და ერთ პროვინციულ დაბაში მცხოვრებ დარიბ ებრაელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, უდიდესი ენთუზიაზმით რომ ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომაში. მათ წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა აქვს გაჩაღებული მთელს დაბაში სიმდიდრით განთქმულ ებრაელ კულაკს შემარია შაფთოშვილს.

მწერალი დაწვრილებით აღწერს მძაფრი კლასობრივი წინააღმდეგობით აღბეჭდილ ამ ბრძოლას და მკაფიოდ გამოვლენილი ტენდენციურობით გვიჩვენებს საკოლმეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს როლს მველი, დუხშირი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში.

მოთხოვთაში სიუჟეტურ ხლართს, პირველ ყოვლისა, კლასობრივ-სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული ის მწვავე დაპირისპირება წარმოქმნის, რომელიც შემარიასა და მიშაელს შორის ჩნდება. ამ დაპირისპირების განმსაზღვრელ ფაქტორად მწერალმა ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ფაქტი აქცია. მოთხოვთაში მთავარი პერსონაჟი – მიშაელ თეთრუაშვილი – ფანატიკური ენთუზიაზმით გულანთებული ახალგაზრდა ებრაელი კაცი, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ თავის დიდ ოჯახს ძლივძლივობით არჩენდა ვაჭრობა-მეწვრილმანეობით, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების აქტიური თავკაცი ხდება. შემარია, რომელიც ხალხის ყვლელით ცხოვრობდა, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა ამ ფაქტს, რადგანაც ამით საფუძველი ეცლებოდა მის ეკონომიკურ ძლიერებას.

როგორც აღინიშნა, კლასობრივ-სოციალური დაპირისპირებული ამ ორი პიროვნების მხატვრული სახის გააზრების დროს გ. ბააზოვი ბოლომდე ერთგული რესტაურაცია სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისაგან კონტრასტული გამიჯვნის პრინციპისა. ასე რომ შემარიას ბოროტი ადამიანური ბუნება, რომლის გამოვლენის უმთავრეს ასპარეზად საკოლმეურნეო მოძრაობასთან და მის დამამკვიდრებლებთან გაჩადებული მწვავე კლასობრივი ბრძოლაა ქცეული, მთლიანად შეესაბამება ჩვენს ცნობიერებაში განზოგადებულად დამკვიდრებული ბოროტების ცნების შინაარსს.

ასეთივე იდეოლოგიური ცალმხრივობითაა გააზრებული მიშაელის სახეც, როგორც პიროვნული სიკეთის, პატიოსნებისა და საქვეყნო საქმისადმი თავდადების გამოვლინება. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ამგვარი იდეოლოგიური სქემატიზმისა და ზედაპირულობისა, ნაწარმოების სიუჟეტი მაინც საკმაოდ დრამატულად ვითარდება.

ცენტრიდან რაიონში სამუშაოდ გამწესებულმა სერგო იაშვილმა თავისი გულითადი დამოკიდებულებით მალე მოიპოვა მიშაელის ნდობა და იგი ახალი ცხოვრების აქტიურ მსახურად აქცია. მიშაელმა თავი დაანება ვაჭრობას, „სალოცავში სიარულს უკლო“ და საღამობით კლუბში მისვლა დაიწყო. მორწმუნე ებრაელთა დიდი ნაწილი თავდაპირველად უქმაყოფილოდ შეხვდა ამ ამბავს, რადგანაც მიშაელის ამდაგვარი მოქმედება მის „გაქრისტიანებად“ და მამაპაპური რჯულის უარყოფად მიიჩნიეს. მაგრამ მიშაელმა მალე დაარწმუნა თანასოფლელები იმაში, რომ ეს ასე არ იყო და მისი თავკაცობით დაბაში საფუძველი ჩაეყარა ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას.

მიშაელის ენთუზიაზმი და შემართება სხვებმაც გაიზიარეს და მის მიერ დაწყებულმა საქმემ თანდათანობით ფართო მასშტაბები შეიძინა.

რა გზით არ ეცადა შემარია წინ აღდგომოდა მიშაელსა და მის თანამოაზრებს, მაგრამ ამაოდ. მის ძახილს, ებრაელს

არასოდეს მიწა არ უთოხნია, მისი ხელობა ვაჭრობა ჟყვა და არისო, შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ შემარიამ უკუკერძებელი მიშაელისათვის სიკვდილით გაესწორებინა ანგარიში და ამ მიზნით კოლმეურნეობაში გაერთიანებული ერთ-ერთი დარიბი ებრაელის მოსყიდვაც მოახერხა, მაგრამ მისი უოველგვარი ცდა განწირული აღმოჩნდა.

საბოლოოდ იგი, კლასობრივადაც დამარცხებული და ეკონომიკურადაც საფუძველგამოცლილი, თავადვე წარმოთქვამს იმ სიტყვებს ხმამაღლა, მისივე ცხოვრების საბედისწერო განაჩენად რომ აქცია საბჭოურმა ყოფაშ „კოლექტივი იმარჯვებს“ – ეს იყო შემარიას უკანასკნელი სიტყვები, რომელთა აქცენტირებითაც კიდევ უფრო ნათლად მიგვანიშნებს მწერალი ნაწარმოების უმთავრეს სათქმელსა და სულისკვეთებას.

### გ) ანტისემიტიზმის მამხილებელი მოთხოვობები

გერცელ ბააზოვის როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა ანგისემიტიზმის მხილება და დაგმობაა. თავის ერზე უსაზღვროდ შევვარებულ მწერალს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ქველადაც და მის დროსაც, რეაქციული ძალები დაუნდობლად არბევდნენ და აწიოკებდნენ ებრაელობას. მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და სხვა სახელმწიფოთა ხიზნებად ქცეული ამ ტანჯული ერის უდანაშაულო შვილების სისხლი, უწყვეტ ნაკადად მომდინარე საუკუნეთა წიაღიძან, დაუცხრომელი ტკივილით უვსებდა და უფორიაქებდა მწერალს სულს. ამიტომაც იყო, რომ ეს მძაფრი შინაგანი ნადველი უდრმესი წუხილით ავსებდა მთელ მის შემოქმედებას.

სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა გ. ბააზოვის ნაკლებად ცნობილი მოთხოვობები – „ალვარ როდრიგო“ (1924 წ.) და „ნიკანორ ნიკანორიჩი“ (1930 წ.). ფანი ბააზოვის მიერ შედგენილ და გამოცემულ ზემოთ დასახელებულ კრებულში შეტანილი ეს ნაწარმოებები იმდროინდელ პრესაში

გამოქვეყნების შემდგომ აღარ დაბეჭდილა. მიუხედავად იმის, რომ მათგან „ალვარ როდრიგო“ დაუსრულებელი მოთხოვთ მოღწეული ვარიანტიც საკმაო სიღრმეთ და დამაჯერებლობით ნათელყოფს ავტორისეული სათქმელის მთავარ სულისკვეთებას.

ამ ისტორიულ მოთხოვბაში გ. ბააზოვმა ჩვეული სიუჟეტური დრამატიზმით მოგვითხრო შუა საუკუნეების ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში – პორტუგალიაში ებრაელთა ბარბაროსული დევნისა და აწიოკების სისხლიანი ამბავი. ნაწარმოების მთავარი გმირების – ალვარ როდრიგოსა და დონი როზას ტრაგიკული თავგადასავალი ესაა იდეალიზებული ნიმუში ამაღლებული სიყვარულისა, ურთიერთისადმი ერთგულებისა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობისადმი უღალატობისა. თავიანთი გმირული თავგანწირვით ისინი მწერალმა წმინდანთა შარავან-დედით ნათელმოსილ და ციურ ღვთაებრიობასთან ზიარებულ იდეალურ პიროვნებებად წარმოსახა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეული რომანტიზმი და ნაწარმოების მთავარ გმირთა იდეალიზება შიგადაშიგ სიუჟეტურ არადამაჯერებლობასაც და გულუბრყვილობასაც არაა მოკლებული, ვფიქრობ, მწერლის ამაღლებული პატრიოტული განწყობილება მკითხველის სულის ნაწილადაც იქცევა და მოთხოვბის უმთავრესი სათქმელის არსი ჩვენთვისაც ხდება მახლობელი და მისაღები.

დონ ალვარისა და დონი როზას ცხოვრების მაგალითზე მწერალმა განზოგადებულად გვიჩვენა ტრაგიკული ხვედრი მთელი ებრაელობისა. ებრაელობა, როგორც ერთსა და იმავე დროს, ღვთის სასჯელიცა და წყალობაც, უმაღლესი ტრაგიზმიცა და ადამიანური ზნეკეთილობის იდეალური გამოვლინებაც – ასეთია, გ. ბააზოვის შეფასებით, ამ წმინდა სიტყვის საკრალური შინაარსი ყოველი ჭეშმარიტი ებრაელისათვის.

მოთხოვბა იწყება იმის აღწერით, რომ პორტუგალიაში, ლისაბონის მახლობელ ერთ-ერთ ქალაქში, ახალგაზრდა ებრაელები – როდრიგო და როზა თავდავიწყებით ეფიცებიან ერთმანეთს სიყვარულს და იმ დღეზე ოცნებობენ, როცა

სჯულისმიერი ცოლ-ქმარი გახდებიან. ეს დროც მაღვე და  
მთელს პორტუგალიაში თავისი სიმდიდრით განიჭრა კატასტროფა  
როდრიგო, სამეფო კარზე დაწინაურებული ჰიუსტონის  
პატივდებული „საამაყო გმირი“, ჯვარს იწერს მშვენიერ  
როზაზე. ქალაქში გრანდიოზული ზეიმია გამართული. მთელი  
კვირა გაგრძელდა სახალხო დღესასწაული და მხიარულება.  
ასეთია ნაწარმოების პირველი ორი თავის სიუჟეტური ქარგა,  
დაიდ ხილული მხარე მწერლის მიერ აღწერილი მოვლენებისა.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ექსპოზიციური ნაწილია  
მოთხოვობისა. მთავარი სათქმელი, რის შედეგადაც მკითხველის  
თვალწინ რომანტიკული გზნებით უნდა გადაიშალოს  
როდრიგოსა და როზას ადამიანური ტრაგედია და ამაღ-  
ლებული სულიერი სამყარო, ჯერ წინაა. სწორედ ამის შემდეგ  
ხდება ცხადი, რომ ნაწარმოების მთავარი გმირები ებრაელები  
არიან, რომ მთელს ქვეყანაში ინკვიზიციის ცოდვილი ცეცხლი  
გიზგიზებს და ყოველ ებრაელს, მით უფრო, თუ იგი  
წარჩინებული პიროვნებაა, უმკაცრესად სჯიან და  
მოწამეობრივი სიკვდილით უსწორდებიან.

ამ ბრძოლის თავკაცებად გ. ბააზოვის მოთხოვობაში  
სასულიერო პირები არიან გამოყვანილნი. ინკვიზიტორთა  
იმ ჯგუფს, რომელიც ახალდაქორწინებულთა საგულდაგულოდ  
დაფარულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ წარმომავლობას  
გაარკვევს და მათი დასჯის პრაქტიკული აღმსრულებელი  
ხდება, მამა ბერნარდო თავკაცობს. მის მხატვრულ სახეში  
მწერალმა უდიდესი ზიზღითა და ანტიპატიურობით  
გამოავლინა ადამიანური ბოროტების, მზაკვრობისა და  
ავსულობის შემაძრწუნებელი ნიშან-თვისებები.

მამა ბერნარდოს თავგამოდებული მცდელობის შედეგად  
სატუსაღოში გამომწყვდეული და სასიკვდილო განაჩენის  
მომლოდინე როდრიგოს წინაშე მძიმე არჩევანი დგება: თუ  
იგი მოინანიებს თავის წარსულს და უარყოფს საკუთარ  
რწმენასა და ეროვნულობას, მძიმე სასჯელსაც აიცდებს,  
წინააღმდეგ შემთხვევაში კი წამებით მოუსწრაფებენ  
სიცოცხლეს. გ. ბააზოვის მოთხოვობის ერთ-ერთი უმთავრესი  
მიზანსწრაფვა როდრიგოს სულიერი სიმტკიცის ჩვენებაა.



ეჭვრალი რომანტიკული გზნებით აღწერს უმწვავესი დილემის უძველესი პინაშე მდგარი როდრიგოს შინაგან განცდებს სანტიმენტალური პათეტიზმით გვიჩვენებს თავისი გმირის სანტიმენტალური სიმტკიცეს: „დონ ალვარდა კარგად იცოდა, რომ თუ ის თავის ცოდვებს შეინახებდა, მევე სასჯელს აპატიუბდა. მაგრამ ამას დონ ალვარს ახლა ერჩია სიკვდილი მამაპაპური სარწმუნოებისათვის, ვიდრე ეცოცხლა ტკბილად სხვა სარწმუნოების ნიღაბქვეშ“.

და მან ჰითო ურყევი და მტკიცე გადაწყვეტილება: „  
- ყოველი ისრაელისათვის სანეტაროა ის წამი, როცა „ეხადის“ თქმით კისერს მიუშვებს ჯალათს. ახლა, როდესაც ჩემი საიდუმლო გამომედავნებულია, არაფრის გულისათვის მე ადარ უარვყოფ მას და სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ისრაელი დავრჩები. ვიცი და ვგრძნობ, რომ ერთ კვირაში მომელის საშინელი აუტო-და-ფე, მაგრამ ეს მხოლოდ სხეულისთვისაა საშინელება, სულისთვის კი უკვდავებაა“.   
ასეთია ამ რომანტიკოსი გმირის ეროვნულ-მამულიშვილური შეგნება, მიწიერ ცლუნებათაგან პიროვნების განმწმენდელ-ამამალლებელი და გამაკეთიდ შობლებელი.

ჩემი ღრმა რწმენით, დონ ალვარისათვის დამახასიათებელი გმირული პატრიოტული თვითშეგნება და სარწმუნოებრივი თავგანწირვა თავისი შინაგანი არსით, სულისკვეთებითა და მიზანდასახულებით შეიძლება ქართული აგიოგრაფიული მწერლობის მიერ იდეალიზებული გმირის ეროვნულ და რელიგიურ ფანატიზმისაც შევადაროთ. პირადად მე სავსებით შესაძებლად მიმაჩნია იმის თქმაც, რომ შემოქმედებითი იმპულსი თავისი მოთხოვობისათვის გ. ბააზოვმა ებრაელი ხალხის ტრაგიკულ ისტორიულ წარსულთან ერთად ქართული აგიოგრაფიული მწერლობის წიაღმიც პპოვა.

მსგავსად ჩვენი აგიოგრაფიული მწერლობის მიერ იდეალიზებული გმირებისა, გ. ბააზოვის მოთხოვობის მთავარი პერსონაჟებიც სარწმუნოებისა და ერისთვის თავიანთი თავგანწირვით შთამომავლობას სულიერი წმინდანობისა და პატრიოტობის ამაღლებებელ მაგალითებს აძლევენ.   
ანტისემიტიზმის პრობლემას სვამს, აგრეთვე, მწერალი

1930 წელს დაწერილ ნოველაშიც – „ნიკანორ ნიკანორიშია“ არყოს გამუდმებული სმით გონებაარეული და გაბრძოს ნიკანორ ნიკანორისი გ. ბააზოვმა რუსი ანტისემიტების „ღირსეულ“ მემკვიდრედ წარმოგვიდგინა. მართალია, ებრაელობისადმი უსაზღვრო სიძულვილით განწყობილი ნიკანორი რამდენადმე თითქოს განმარტავს კიდეც ამ სიძულვილის გამომწვევ ძირითად მიზეზს (როგორც თავადვე ამბობს, ებრაელები მას იმიტომ სძულს, რევოლუცია რომ მოაწყვეს), მაგრამ სინამდვილეში ეს იმ გაუცნობიერებელი შინაგანი ზიზღის გამოვლინებაა, რომლითაც შეკერობილი პიროვნებანი არასოდეს ყოფილან საძებარნი რუსეთის იმპერიაში.

ნაწარმოებიდან, თუმცა ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც, კარგად ჩანს, ნიკანორ ნიკანორისისა და მისი თანამოაზრე ანტისემიტების წყალობით რამდენი უმწეო და უდანაშაულო ებრაელის ცხოვრება დასრულდა ტრაგიკულად. ნიკანორ ნიკანორისი, მოსკოვში რიგელ მეჩექმედ ცნობილი კაცი, სინამდვილეში ვასილ გრომკობოვევი გამოდგა, უკრაინაში ებრაელთა მხეცური რბევა-ჟლეტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომლის სადისტური ბუნების ტიპურად წარმომჩენ მაგალითად ხოველაში ის ფაქტია დასახელებული, როგორ ამოჭრა მან ერთ-ერთ ებრაელს, ჯერ კიდევ ცოცხალს, სხეულზე თავისი სახელი და მხოლოდ შემდეგ ამოხადა წამებით სული. ასეთია ამ „კაციჭამია ანტისემიტის“ ნიღაბახდილი სახე.

#### დ) „ფეთხაინი“

1929-33 წლებში გერცელ ბააზოვმა შექმნა პირველი წიგნი ვრცელ ეპიკურ ტილოდ ჩაფიქრებული რომანისა – „ფეთხაინი“. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები დასრულებული არ არის და, ამდენად, მასში დასმული პრობლემებიც ბოლომდე გაუაზრებელია, „ფეთხაინი“ მაინც უნდა შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება გ. ბააზოვი შემოქმედებაში. მართალია, რომანში

აღწერილი ბევრი სოციალური პრობლემა ისტორიული  
განვითარების პროცესმა მოაძველა და გააფერმკრთალა,  
გაგრამ ნაწარმოებისადმი თანამედროვე მკითხველის ინტერესებით  
გაინც საქმაოდ დიდია.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „ფეთხაინი“ მთელი  
ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე  
საყურადღებო მხატვრული ქმნილებაა, თითქმის  
ენციკლოპედიური ყოველისმოცველობით რომ გვაცნობს  
ქართველ ებრაელთა ყოფას, სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებებსა  
და ადათ-ტრადიციებს.

და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის  
გარემოება, რომ ეს ყველაფერი რომანში აღწერილია  
ცოცხლად, იმჟამინდელ მოვლენებთან ორგანულ კაგშირში  
და არა თვითმმარცერად, მშრალად და განყენებულად. მეორეც,  
მანამდელი ქართული ლიტერატურისათვის არსებითად  
სრულიად უცნობი ეს ყოფით-ეთნოგრაფიული და რელიგიური  
სამყარო დახატულია არა გარეშე კაცის მიერ, არამედ თავად  
ამ სამყაროში აღზრდილი და მისი ყოველი წვრილმანის  
ზედმიწევნითი სიზუსტით მცოდნე ნიჭიერი მწერლის მიერ.

ასე რომ, „ფეთხაინის“, ისევე როგორც გ. ბააზოვის სხვა  
ნაწარმოებების, წაკითხვის შემდეგ მკითხველი უფრო  
სიღრმისეულად და გააზრებულად ხედავს და შეიგრძნობს  
ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას.

აქვე ხაზგასმითაა, აგრეთვე, აღსანიშნავი ერთი გარემოებაც:  
მიუხედავად იმ განსაკუთრებული სიყვარულისა, რითაც ბ-  
ბააზოვი იყო შესისხლხორცებული თავის ხალხთან, ებრაელთა  
ადათ-ტრადიციების აღწერა-დახასიათების დროს მწერალი  
რომანტიკოსის, გამაიდეალებლის როლში არ გამოდის და  
იმავდროულად მოვლენათა კრიტიკული თვალთახედვით  
აღქმის უნარსაც საქმაოდ ხშირად ავლენს ხოლმე. ამდენად,  
გ. ბააზოვის ნაწარმოებების მკითხველი არა მარტო უბრალო  
ინფორმაციას იღებს ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ,  
არამედ არაორაზროვნად ხედავს იმასაც, რაც, მწერალის  
შეხედულებით, საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციათგან  
გასაფრთხილებელ-დასაცავია ან დასაგმობ-უარსაყოფა.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი ფაქტორისათვის ხაზისმიზ  
რომანზე საუბარი იმიტომაც დავიწყე, რომ „ფონ შტატი“,  
უწინარეს ყოვლისა, სწორედ ებრაელთა ყოფა-ცუსტებუბა  
აღწერილი, თავად განსაჯეთ: ნაწარმოების მრავალრიცხოვან  
პერსონაჟთაგან მხოლოდ ორი პიროვნებაა (და ისიც  
ეპიზოდური) არაებრაელი – ირაკლი გორგაძე და პროფესორი  
მელიტონ გობეჯიშვილი. დანარჩენები კი ებრაელები,  
უპირატესწილად ქართველი ებრაელები არიან.

სხვადასხვა მრწამსისა და მისწრაფების გამომხატველ  
მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან რომანში პირობითად სამი  
მთავარი მსოფლმხედველობრივი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ.

პირველის წარმომადგენლებად ცხოვრების ძველი წესის  
შენარჩუნებისთვის გააფთრებით მებრძოლი ბნელი ძალები  
გვევლინებიან. თავიანთი სოციალური და სარწმუნოებრივი  
მდგომარეობით საზოგადოების პრივილეგირებულ ფენად  
ქცეული ამ ჯგუფის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ  
იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ ყოველგვარ ცხოვრებისეულ  
პროგრესს და კვლავაც შეინარჩუნონ თავიანთი  
გაბატონებული დამოკიდებულება დუხშირი ყოფითა და  
უმეცრებით დათრგუნულ-დაბეჩავებულ თანამომქმედში.

ეკონომიკური, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ხუნდებით  
შებოჭილ და ილაჯგაწყვეტილ მათ თანამემატულებებს ისინი  
ყურებს უჭედავენ და გონებას ურევენ იმის გამუდმებული  
ქადაგებით, რომ „ქვეყნად არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა:  
ებრაელები და არა ებრაელები. რაც შეეხებათ ებრაელებს,  
არ არსებობს არავითარი დაყოფა, ვინაიდან ნათქვამია: „ქოლ  
ისრაელ ხაბერიმ“ („კველა ებრაელი ამხანაგები არიან“).“

რომანში ამ ბნელი ძალების აქტიურ სამოქმედო ადგილად  
ფეთხაინია ქცეული – ებრაელთა ძველისძველი უბანი,  
დახაგსებული და ყავლგაბული ადათ-ტრადიციებით შებოჭილი  
და გზადახშული. წინათ აქ ებრაელთა სასაფლაო ყოფილა,  
მაგრამ შემდეგ ხალხი დასახლებულა, ძველებრაული სახელი  
- ბეთ-ხაიმი ფეთხაინად გადაკეთებულა და ებრაელთა ერთ-  
ერთ მთავარ საცხოვრებელ უბნად ქცეულა მთელ თბილისში.  
მეწვრილმანე ვაჭრებითა და დარიბ-დატაკი მცხოვრებლებით

დასახლებული უბნის მმართველობის სადაც გეშტი მოხერხებულად ჩაუგდია ხელთ თანამომეთა ძარცვა-გლეჭენი გალადებულ რამდენიმე კაცს, ერისა და თანამომებების ბქეზე უანგაროდ მზრუნველ და მოჭირნახულე პიროვნებათა ნიღბები რომ მოურგიათ, სინამდვილეში კი დაუფიქრებლად გაწირავენ ყველას, ვინც მათი ბნელი ზრახვების აღსრულებას ოდნავადაც კი გადაედობება წინ. ესენი არიან ბენიამინ ბერიძე, ყეზრა შათაშვილი, კოჭლი მელამედი, მენაშვი.

გ. ბააზოვი 20-30-იანი წლების ბევრი კ. წ. საბჭოთა მწერლისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ტენდენციურობით აღწერს ამ პიროვნებათა ადამიანურ ბოროტებას და მკვეთრად უარყოფითი თვალთახედვით წარმოაჩენს მათ ბუნებას. მათი ცხოვრების ეული თავგადასავლების მოთხრობა მწერალმა ორგანულად დაუკავშირა იმ რთულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც ოციანი წლების დასაწყისში - საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ხანებში - ხდებოდა საქართველოში.

ამ მოვლენებთან დამოკიდებულების დროს, როგორც მართებულად შენიშნავს გ. ბათიაშვილი, გ. ბააზოვისათვის „არსებობდა მხელოდ ორი ფერი“: შავი და თეთრი, შავი - ეს იყო ბურუჟაზია, ჩარჩულ-მევახშური საზოგადოება, რომელსაც მტკიცედ გაუდგამს ფეხვები რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ ქართველ ებრაელთა ყოფაში. სოლო თეთრი - ეს იყო ფიქრი ნათელ მომავალზე, რომელსაც ბადებდა ქართველ ებრაელობაში ხალხის რევოლუციური სულისკვეთება, ბრძოლა რევოლუციისათვის, თავგანწირვა მისი იდეების გამარჯვებისათვის („მნათობი“, 1986 წ. №10, გვ. 137-138).

სახელწოდება „ფეთხაინი“ მწერლის მიერ მოაზრებულია, როგორც განზოგადებული და სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა. მისი შეფასებით, ესაა სიღატაკისა და სიბნელის საუფლო, რომელიც უსათუოდ უნდა დაინგრეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უფრო ადრე ამგვარი

სიმბოლური დატვირთვა გ. ბააზოვმა გელათის ქუჩაში შესძინა  
ცნობილ მოთხოვობაში „გელათის ქუჩის დასკანდრებულის უკუნისადმის ფერთან და მის გარეთ განვითარებულის უბანის გერბის დასკანდრებულის უბანი – წინაპართა საფლავებზე დამკვიდრებული დარინი ებრაელობის დუხხირი ყოფით შეჭირვებულ ებრაელთა უბანი – ძველებური ცხოვრების წესით აღარ შეიძლება განაგრძობდეს არსებობას. ამიტომაც იგი უნდა განახლდეს და გარდაიქმნას – ასეთია მწერლისა და მისი რომანის ე. წ. დადებით პერსონაჟთა უდალატო მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა.

„ფერთანის“ ამ „ბნელ სამყაროს“ მწერალმა ძველი ცხოვრების გარდასაქმნელად აქტიურად მებრძოლ პიროვნებათა ორი განსხვავებული ჯგუფი დაუპირისპირა. მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ქვეყნის გარდაქმნა-აღორძინების პროცესს ახალი ხელისუფლების დამკვიდრებას უკავშირებენ მეტ-ნაკლები ძალით, მათ შორის მაინც საქმაოდ დიდი განსხვავება და შინაგანი წინააღმდეგობაა. ერთი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის თავაკაცად რომანში აქტიური ბოლშევკი შაულ ათანელაშვილია გამოყვანილი, მეორისა კი ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟი ნათან ჯანაშვილი.

გ. ბააზოვის რომანის უმთავრეს იდეურ-მსოფლმხედველობრივ მიზანსწრაფვად ამ სამ დაპირისპირებულ ძალას შორის უკომპრომისო ჭიდილია ქცეული. ასე რომ, „ფერთანიში“ ერთმანეთის პირისპირ დგანან, ერთის მხრივ, ძველი ცხოვრების გადასარჩენად მებრძოლი ბნელი ძალები, მეორეს მხრივ, სოციალისტური იდეოლოგიური პრიციპებისადმი ბრმად და ფანატიკურად ერთგული შაულ ათანელაშვილი და მისი მომხრეები, მესამეს მხრივ კი ნათან ჯანაშვილი, რომლის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა მწვავე შინაგანი წინააღმდეგობებითა და არათანმიმდევრულობით ხასიათდება.

რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან მწერლის უურადღების ცენტრში, პირველ ყოვლისა, ნათანი და მისი წინააღმდეგობრივი ადამიანური ბუნების ჩვენებაა მოქცეული. ნაწარმოებში მოქმედება იმდაგვარად ვითარდება, რომ

შეაფიოდ იკვეთება ავტორის მიზანსწრაფვა – ბოლოს და გოლოს, რომანის ცენტრალურმა პერსონაჟმა უნდა დაძლობდეს გის ცნობიერებაში არსებული ყოველგვარი კლასობრივი ქსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა და არა თუ უბრალოდ მივიღეს რევოლუციასთან, სოციალისტურ ეპოქასთან, არამედ გისი აქტიური თანამდგომიც გახდეს.

მართალია, გ. ბააზოვის რომანი ფაქტობრივად დაუსრულებელია და ავტორისეული ჩანაფიქრი ბოლომდე არაა სრულყოფილი სახით გამოხატული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ერთი რამ, ვფიქრობ, მაინც შეიძლება დაუქმებლად ითქვას: ნაწარმოებში მოქმედების განვითარების ლოგიკა იქითვენ მიემართება, რომ ნათან ჯანაშვილი უსათუოდ მივიღეს ახალ ეპოქასთან და გაითავისოს მისი კლასობრივ-პარტიული პრინციპები.

ამდაგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა არა მარტო „ფეთხიანში“ აღწერილი სოციალური მოვლენების განვითარების პერსპექტივა, არამედ, საერთოდ, მწერლის მთელ შემოქმედებაში ნათლად გამოხატული კლასობრივ-სოციალური თვალთახედვა.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ, შიგადაშიგ, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც, გ. ბააზოვის რომანში მოვლენებისადმი ავტორის ოპოზიციური დამოკიდებულებაც პოულობს გამოვლინებას და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, სოციალისტური ყოფის არაერთი მხარეა ქცეული კრიტიკული განსჯის საგნად.

რა თქმა უნდა, ამით სრულებითაც არ ვაპირებ იმის მტკიცებას, თითქოს გ. ბააზოვის შემოქმედების მთავარი მიზანი ახალი ეპოქის კრიტიკა იყოს, მაგრამ მწერლის ნაწარმოებებზე საუბრის დროს არც ეს კრიტიკულ-ოპოზიციური გამოვლინებანი უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

მართალია, იმუამინდელი სოციალური მოვლენების ბააზოვისეული ადქმა ხშირად აშკარად რომანტიზებულიცაა და მკაფიოდ გამოხატული იდეოლოგიური ტენდენციურობითაც აღბეჭდილი, მაგრამ მწერალს არც სინამდვილის კრიტიკული განსჯის უნარი დალატობს, რის

შედეგადაც მის შემოქმედებაში, შიგადაშიგ, არა უკრთხებული გზით, საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებისას დამახასიათებელი კლასობრივ-სოციალური, ეროვნულ-სარწმუნეობრივი და ზნეობრივი წინააღმდეგობანიც იკვეთება ხოლმე საქმაო სიღრმით.

აქვე ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება: მწერლის მიერ იდეოლოგიური ტენდენციურობით შექებულ-განდიდებული ბევრი სოციალური მოვლენა დრომ, ისტორიული განვითარების პროცესმა, სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა, რის გამოც რადიკალურად შეიცვალა მათი შესაფასებელი კრიტერიუმები. ასე რომ, გ. ბააზოვისა და მისი ბევრი თანამედროვის შემოქმედებაში გამოვლენილი სოციალ-პოლიტიკური ოგალთახედვის მრავალი ასპექტი პრინციპულად მიუღებელია დღევანდელი მკითხველისათვის.

და მაინც, ამისდა მიუხედავად, 20-30-იანი წლების ქართული მწერლობის ის ნიმუშები, რომლებიც იდეოლოგიური ტენდენციურობით ხატავენ იმდროინდელ სინამდვილეს, კვლავაც რჩებიან ჩვენი ლიტერატურის საგულისხმო ძეგლებად თუნდაც იმიტომაც, რომ არაპირდაპირი ფორმით წარმოაჩენენ მაშინდელი ხაზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიზებულ სულისკვეთებას.

ასეთია, მაგალითად, სოციალისტური ეპოქის სამსახურში ჩამდგარი ბევრი ფანატიკოსის მიერ განდიდებული ეროვნული ნიშილიზმი, სარწმუნეობრივი სიწმინდეებისადმი მტრული დამოკიდებულება და შეურიგებლობა, კლასობრივი პრინციპების დაპირისპირება ტრადიციულ ზნეობრივ ნორმებთან და ა. შ. ყოველივე ამაზე იმიტომაც ვამახვილებ ყერადღებას, რომ გ. ბააზოვის შემოქმედებაში ეს მოვლენები საქმაოდ ფართოდ და შთამბეჭდავადაა ასახული.

კელავ დაუბრუნდეთ „ფეთხინის“ პერსონაჟთა მსოფლმხედველობრივ მიმართულებებზე საუბარს. როგორც ითქვა, რომანის ცენტრალურ გმირად მწერალს ახალგაზრდა ებრაელი კაცი ნათან ჯანაშვილი ჰყავს გამოყვანილი „პროვონციალურ დაბაში“, დარიბი მეწვრილმანე ებრაელი ვაჭრის



ოჯახში, დაბადებულმა და აღზრდილმა ნათანმა, ოომელსაც ნიჭიერების გამო „ისრაელის ერის ამომავალ ვარსკვლავათვა უწოდებდნენ, ცხოვრების რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო. უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისში ჩასული ნათანის ცხოვრება არსებითად განსაზღვრეს იმ მოვლენებმა, ოომლებიც ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შედეგად განვითარდა საქართველოში. მისი ცხოვრება, ეკონომიკურ სიღუხჭირესთან და სიბენავესთან ერთად, ბავშვობიდანვე შებოჭა ეროვნული შეურაცხყოფის მტანჯველმა გრძნობამაც. იგი დიდი შინაგანი წუხილით ისმენდა ებრაელთა მიმართ არცთუ იშვიათად გამოთქმულ „ბრალდებებს“ იმის შესახებ, თოთქოს ისინი „განმარტოებული ცხოვრების მოტრფიალენი და რელიგიური ფანატიზმით დაავადებულნი“ იყვნენ.

ნათანის ერთ-ერთ უმთავრეს ცხოვრების ეულ მისანსწრაფებად მშრომელი ერის პრესტიჟის შემდაცველი ამ უსაფუძვლო ბრალდებების გაქარწყლება იქცა. მას სურდა, ერთის მხრივ, თავისი პირადი ცხოვრებით დაემტკიცებინა ყველასთვის ამდაგვარი თვალსაზრისის სრული უნიადაგობა, მეორეს მხრივ კი ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ უმეცრების ბურუსიდან დაეხსნა თანამომქები და თავისი წვლილი შეეტანა სამომავლო ეროვნული პერსპექტივების დასახვის საქმეში.

ნათანი ძალასა და ენერგიას არ იშურებს ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, თუმცა მისი ცხოვრებისეული იდეალები და მათი პრაქტიკული რეალიზების გზები, ფაქტობრივად, გამიჯნულია ერთმანეთისაგან. მართალია, თავისი ცხოვრების გარევეულ პერიოდში ნათანმა შეძლო მის ირგვლივ შემოეკრიბა თანამოაზრეთა მცირერიცხოვანი წრე, მაგრამ მაღლე აღმოჩნდა, რომ მათი ჯგუფი მსოფლმხედველობრივ თანამოაზრებას მოკლებული გაერთიანება იყო, ამიტომაც მაღლე დაიშალა და მშობელი ხალხის ბედნიერ მომავალზე მეოცნებე ეს რომანტიკოსი გმირი სრულიად მარტო აღმოჩნდა თავისი ამაღლებული იდეალებისა და დიდი მიზანსწრაფვის პირისპირ.

რომანში ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებითა /და რეალისტური დამაჯერებლობითაა ნაჩვენები გამორჩეული გაორებული აღამიანური ბუნება, მისი ბრძოლა იღებული მოწინააღმდეგებთანაც და საკუთარ თავთანაც.

ცხოვრებამ, შეძენილმა ცოდნამ, ის ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ „ძველი გზით სიარული“ აღარ შეიძლებოდა და „იგი ისტორიას უნდა ჩაბარებოდა“. მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, მისთვის ფაქტობრივად ბოლომდე რჩება გაურკვეველი. ნათანი რომანტიკულად ოცნებობს იმაზე, რომ „დაანთოს დიდი, დიდი, ძალიან დიდი ლამპარი, ხანძარი, კოცონი, რომელიც შეუბრალებლად გადასწვავს წარსულ საუკუნეთა წყეულ ნაშთებს და გამოგვიყვანს ახალ, ფართო შარაგზაზე“, მაგრამ ამ ოცნების აღსრულების რეალურ გზას, არსებითად, ვერ პოულობს. მართალია, ნაწარმოების პირველი ნაწილის ბოლოს იგი ასეთ გზად ბოლშევიკებთან და მათ ერთ-ერთ ფანატიკოს წარმომადგენელთან – შაულ ათანელაშვილთან თანამშრომლობას მიიჩნევს, მაგრამ ბევრი რამ მის ცხოვრებაში მაინც რჩება ბურუსით მოცული და გაურკვეველი.

ძიების ეს პროცესი მეტად რთულიც აღმოჩნდა და დახლართულიც. რაც უფრო მძაფრდება საკუთარი ცხოვრებისეული საზრისის მიგნების ინტერესი, მით უფრო იზრდება და ამ პროცესის განუყოფელ, განმსაზღვრელ ნაწილად იქცევა საქვეყნო საზრუნავით ნათანის გატაცება. მის გულში ღრმად იჭრება მშობელი ხალხის სამსახურში აქტიურად და უანგაროდ დგომის ამაღლებული აღამიანური გრძნობა.

ასე იქცევა მისთვის ცხოვრება უზარმაზარ ბრძოლის ველად. მიუხედავად იმისა, რომ ნათანი ამ ბრძოლაში ხშირად მარტოდმარტოდაცაა დარჩენილი და ზოგჯერ არა თუ გამარჯვების, არამედ ვითარებიდან თავის დახსნისა და გამოსავლის მოძებნის არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, იგი მაინც არ ეცემა სულით, სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და ბრძოლის ველიდან რწმენადამსხვრეული კაცივით არ გარძის. მართალია, ნათანის მსოფლმხედველობრივი ეკოლუციის

გზა რევოლუციისაკენ, ბოლშევიზმისაკენ მიემართება, მაგრამ გ. ბააზოვმა თავისი რომანის ცენტრალური პერსონაჟებულება კლასობრივი სიბრძავით გონებადანისლულ პირვენებადან არ დაგვიხატა, არამედ ისეთ ადამიანად, რომელიც ცდილობს ხელადებით არ უარყოს მოვლენებთან ინდივიდუალური, მისეული დამოკიდებულების პრინციპები. ასე რომ, მწერალი ნათანს მექანიკურად არ უკავშირებს პროლეტარულ იდეოლოგიას და ღრმა ფსიქოლოგიზმით გვიჩვენებს მისი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების რთულად მიმდინარე პროცესს.

რომანის პირველ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაწარმოების მთავარი გმირის მსოფლმხედველობრივი გაორებიდან თავდასახსნელ გზათა ძიებას. მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ნათანის სულიერი ევოლუციის ჩვენება ფართო მასშტაბებს მოიცავს, მარტივი სწორხაზოვნებით არ ხასიათდება და პირდაპირ თუ არაპირდაპირ რომანში არაერთი ისეთი ხაკითხიც დგება ეჭვეჭვეშ, ბოლშევიკური იდეოლოგიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანების საყრდენებად რომ იყო იმხანად ქცევული.

ასეთია, მაგალითად, ის ნიპილისტური დამოკიდებულება, რომელსაც ახალი იდეოლოგიის ბევრი წარმომადგენელი იჩენდა თციან და იცდაათიან წლებში სარწმუნოებისადმი, ეროვნული პრობლემისა თუ ინტელიგენციისადმი. ნათქვამმა რომ მეტი კონკრეტულობა შეიძინოს, გავიხსენებ ერთ ფრაგმენტს რომანიდან, სადაც ნათანსა და შაულს შორის გამართული საუბარია აღწერილი.

შაულ ათანელაშვილი, როგორც უკვე აღინიშნა, იდეოლოგიური ფანატიზმით შეკყრობილი პიროვნებაა, ვისთვისაც ახალი ეპოქის სამსახური ცხოვრების ერთადერთ მიზნად ქცეულა. იგი შიშველი კლასობრივი სწორხაზოვნებით სჯის მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ნაწარმოების პირველ ნაწილში შაულის მხატვრული სახე მოქმედების განვითარების ცენტრში არა ჰყავს მოქცეული, ავტორის მრწამსის გასააზრებლად, პირველ ყოვლისა, სწორედ მისი პიროვნებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. რომანში

მოქმედების განვითარების ლოგიკური გზა და მიმდევად მიემართება, რომ შაულ ათანელაშვილის მსოფლმხედვების იქნას დასახული ყველაზე პერსპექტიულ და ახალი ეპოქისათვის მისაღებ თვალთახედვად.

ოციანი წლების საბჭოური იდეოლოგიური დოგმებით შებოჭილ ამ ახალგაზრდა კაცს სხვა ცხოვრება, გარდა ახალი ეპოქის სამსახურში ფანატიკური ერთგულებით დგომისა, ფაქტობრივად, არც გააჩნია. მის ცნობიერებაში ყველანაირი საკითხი, იქნება ეს ეროვნული, სარწმუნოებრივი თუ სულაც პირადინტიმურიც კი, მხოლოდ და მხოლოდ ერთი საზომით ფასდება – კლასობრივ-იდეოლოგიური თვალთახედვით. შაულს საფუძველშივე განწირულად მიაჩნდა ნათანისა და მისი სტუდენტი მეგობრების კეთილშობილური განზრახვა - თავდადებით იღვაწონ დარიბი ხალხის ხოციალური და ეროვნული ინტერესების დასაცავად – მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ინტელიგენტები არიან.

იგი შეუვალი თვითდაჯერებით უმტკიცებს ნათანს, რომ „ინტელიგენცია ხშირად დაბნეული გზებით დადის“. თავისი ხალხის ბედნიერი მომავლის დამკვიდრების ერთადერთ საშუალებად შაულს იმ ეტაპზე „ებრაელთა შორის მუშათა რიცხვის მომრავლება და კომუნისტური უჯრედის ჩამოყალიბება“ მიაჩნდა. ყოველგვარი სტუდენტური და ინტელიგენტური ჯგუფი კი, მისი აზრით, უნდა დაიშალოს, როგორც ნათელ კლასობრივ მიზანსწრაფვას მოკლებული გაერთიანებანი. „ინტელიგენტური ჯგუფები და ორგანიზაციები მე არ მწამს... მათ ჩხუბისა და კინკლაობის მეტი არსად და არასოდეს არაფერი გაუკეთებიათო“, - ამტკიცებს შაული და ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ინტელიგენცია მოწყვეტილია ხალხს, არა აქვს მტკიცე ფესვები, მისი არსებობა არ ემორჩილება არავითარ აუცილებლობის კანონებს და იგი შემთხვევითი მოვლენაა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს საპნის ბუმბივით გასკდება“.

რასაკვირველია, დღეს ამგვარი მსჯელობის უაზრობაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ თუ მაინც ვაქცევ მას ყურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ქვეყნის ბევრი მშენებელი

ომხანად სწორედ ასე ფიქრობდა და მათმა ასეთმა ნიპილი ზმა  
და კლასობრივმა სიბრძავემ უდიდესი ვნება მოუტანა ჩვენს  
გაშინდელ საზოგადოებას.

შაულ ათანელაშვილი, შეიძლება ითქვას, ტიპურად  
გამოხატავს ოციანი წლების კლასობრივი დოკუმენტი  
ფანატიზმით შებოჭილი საბჭოთა ადამიანის სახეს. ფეთხაინში,  
დატაკ ებრაელთა წრეში, განვლო შაულმა გზა ცხოვრებით  
დაბეჭავებული ადამიანის ყოფიდან ახალი ეპოქის აქტიურ  
შექნებლად ჩამოყალიბებამდე. საბჭოთა ხელისუფლებამ მის  
ცნობიერებაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა  
ერთმანეთს „პარტია და ფეთხაინი, ტრამვაი და ლმერთი“ და  
მან ამ დაპირისპირების დროს უყოფმანოდ გააკეთა არჩევანი  
– პარტია და ტექნიკა.

სწორედ შაულის ინიციატივით ყალიბდება ფეთხაინში  
დარიბ ებრაელთა პირველი კოლექტიური არტელი –  
ფეხსაცმელების სახელოსნო. რაც დრო გადიოდა, არტელში  
დასაქმებულთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა,  
შესაბამისად მატულობდა შაულის ავტორიტეტიცა და  
პოპულარობაც დარიბ მოსახლეობაში. ეს მაშინ, როცა მასთან  
ფარულ იდეოლოგიურ ჭიდილში ჩაბმულ ნათანს უფრო და  
უფრო იპყრობდა ხელმოცარულობისა და სასოწარკვეთის  
განცდა. მწერლის სიტყვით, ბრძოლის ველზე დიდის  
შემართებით გამოსული ნათანი სულ მაღე მარტოდმარტო  
აღმოჩნდა ურიცხვი მტრის პირისპირ, „არც ჯარი ჩანდა  
სადმე და არც სარდალი“.

გ. ბააზოვი ნათანის ხელმოცარულობისა და შინაგანი  
წინააღმდეგობების ფონზე რომანტიკული პათოსით აღწერს  
შაულისა და მისი თანამოაზრების შრომით ენთუზიაზმსა  
და პარტიულ მისწრაფებებს, რასაც ბოლშევიზმი ე.წ. ახალი  
ადამიანის ჩამოყალიბების აუცილებელ იდეოლოგიურ  
პირობად მიიჩნევდა. ასე რომ, რომანში იმდროინდელი  
კლასობრივი პოზიციებიდანაა ნაჩვენები ადამიანთა ძველი  
ფსიქიკის რდვევისა და ახალი „სოციალისტური შეგნების“  
ჩამოყალიბების პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ ნათანი, როგორც ითქვა,

მრავალმხრივ წინააღმდეგობათა რკალში მოჭრული პიროვნებაა. იგი მაინც არ თმობს პოზიციებს და მისი ცხოვრება მსოფლმხედველობრივი კრიტიკულს გამოსავლისა და სამომავლო გზის ძიებაა. სწორედ ძიების ერთ-ერთ ასეთ რომანტიკულ ეტაპად იქცა მისთვის მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებული სტუდენტური ჯგუფი „დავიდის ფარი“, რომელსაც ამაღლებული ეროვნული იდეალები დაუსახა მიზნად.

ნათანის რწმენით, „დავიდის ფარის“ იდეალად „ებრაული კულტურის უმაღლეს საფეხურზე აყვანა“ უნდა ქცეულიყო. მისი ეს მიზანსწრაფვა რადიკალურად განსხვავდებოდა შაულის საქმიანობისაგან. რადგანაც, ნათანისავე შეფასებით, „შაული აკეთებდა პატარა საქმეს და მისი დიაპაზონი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა“ ნათანის იდეალამდე, მის საწარმოს „გარდამავალი მნიშვნელობა“ ჰქონდა, ხოლო ნათანის „იდეალებსა და პრინციპებს მარადიული, საისტორიო“. შაულისადმი ამდაგვარ აგრესიულ დამოკიდებულებას დიდად განსაზღვრავს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ათანელაშვილი იმ მოძრაობის წარმომადგენელია, რომელიც „ძირშივე სპობს ყოველივე ეროვნულს“ და საზოგადოებას მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით ყოფს – მდიდრებად და დარიბებად.

„დავიდის ფარში“ გაერთიანებული შველა სტუდენტი ებრაელია და მათი მიზანსწრაფვის უმთავრესი საგანიც ებრაელთა, პირველ ყოვლისა ქართველ ებრაელთა, კულტურული და მატერიალური დონის ამაღლებისთვის ბრძოლაა ქცეული. „ჩვენი ხალხი, - ამბობს ერთგან ნათანი, - ჯერ კიდევ ძილს შეუყრია, სძინავს მას ათეული საუკუნეები. ჩვენი ვალია გავაღვიძოთ სამკითხველოებით, სკოლებით, გაზეობით, კულტურის ათვისებით“. ასე ცდილობს იგი, თანამოაზრებთან ერთად, „კულტურული რევოლუციის მოხდენას“ და ამაში ხედავს ქართველ ებრაელთა ეროვნულ ხსნას.

როგორც აქედანაც ნათლად ჩანს, ნათანიცა და მისი თანამებრძოლებიც, პირველ ყოვლისა, ებრაელთა ეროვნული ინტერესების დასაცავად იბრძვიან და მათი მთელი



შოდვაწეობა ამ თვალსაზრისით თითქმის მთლიანადაა გორგვეტილი გარემომცველი ქართული სამყაროს კულტურული ეროვნული განკურძოების ეს ტენდენცია მარტო ნათანის საქმიანობის მთავარ მიმართულებად როდია ქცეული. განსხვავებით გ. ბააზოვის სხვა ნაწარმოებებისაგან, „ფეთხაინში“ ეს ტენდენცია სხვა პერსონაჟთა ცხოვრებაშიც განმსაზღვრელ ადგილს იკავებს. როგორც შეკვე ითქვა, რომანის მრავალრიცხოვან მოქმედ პირთაგან მხოლოდ ორი არამთავარი პერსონაჟია ქართველი. ყველა დანარჩენი კი ებრაელია და ნაწარმოების მიხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც შეგექმნეს კაცს, თითქოს მოქმედება მხოლოდ ებრაელებით დასახლებულ ქვეყანაში მიმდინარეობდეს. მართალია, რომანის ძირითადი სამოქმედო სივრცე ფეთხაინად წოდებული ებრაული უბნითაა შემოფარგლული, მაგრამ ეროვნული იზოლირების ზემოთ ხაზგასმული ტენდენცია, ჩემის აზრით, აშკარად აცალმხრივებს სინამდვილეს.

ეროვნული განკურძოების საფრთხე ვლინდება არა მარტო ფეთხაინელება და „დავიდის ფარის“ წევრთა ცნობირებაში, არამედ რომანის ყველაზე აქტიური ბოლშევიკის – შაულ ათანელაშვილის მოქმედებაშიც. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მის ირგვლივ შემოკრებილ პიროვნებათაგან ყველა, გარდა ირაკლი გორგაძისა, ებრაელია. შაულის მიერ დაარსებული არტელის წევრებიც – უკლებლივ ყველანი – მხოლოდ ებრაელები არიან.

ბოლშევიკური იდეოლოგიის გამომხატველ პიროვნებათაგან რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ, აგრეთვა, ირაკლი გორგაძე და იულია ბერგერი. შაულ ათანელაშვილთან ერთად, ისინი მკვეთრად გამოხატული ფორმით ავლენენ ქლასობრივი პრიციპებისადმი ფანატიკურ ერთგულებას. მსგავსად 20-30-იანი წლების ჩვენს მწერლობაში დახატული იდეალიზებული საბჭოთა ადამიანებისა, ისინი ხშირად მხოლოდ შიშველი ქლასობრივ-იდეოლოგიური პოზიციებიდან სჯიან და აფასებენ მოვლენებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მაინც ირაკლი გორგაძის მხატვრული სახეა. მართალია, მისი



შეხედულებანი დღევანდელი მკითხველისათვის ქრებული  
მიუღებელიცაა და გაუგებარიც, მაგრამ ქვემოთ უმცირესიც  
ვიტყვი მათზე რამდენიმე სიტყვას, მხოლოდ იმიტომ, რომ  
ირაკლი გორგაძის მხატვრული სახე გარკვეულ წარმოდგენას  
გვიქმნის ოციანი წლების ჩვენი საზოგადოების იმ  
წარმომადგენლებზე, რომელთა პოლიტიზებულ ცხოვრებას  
ბრძა რევოლუციური ფანატიზმი ედო საფუძვლად. ამგვარად  
მოაზროვნე ადამიანები, მოგვწონს თუ არა დღეს ჩვენ ისინი,  
რეალურად არსებობდნენ 20-30-იან წლებში და ბევრი  
იმუამინდელი ჩვენი მწერალი სწორედ მათდაგვარ ტიპებს  
უსახავდა საზოგადოებას იდეალურ გმირებად.

სამწუხაროდ, ამ იდეოლოგიურ სტერეოტიპს ვერც ბ-  
ბააზოვი აღწევს თავს, რის დასტურადაც ირაკლი გორგაძისა  
და იულია ბერგერის მხატვრული სახეების გახსენებაც იქნება  
საკმარისი.

მოულოდნელი შემთხვევის წყალობით გაცნობილ  
იულიასთან სტუმრად წვეული ირაკლი ერთბაშად უცნაურ  
პოლიტიკურ გარემოში აღმოჩნდა. მარტოხელა ახალგაზრდა  
ქალის ოთახის კედლები მარქსის, ლენინისა და სტალინის  
სურათებით იყო დამშევნებული. აქვე შეიტყო მან ისიც, რომ  
იულიას ყველა ახლობელი პეტლიურასა და დენიკინის მიერ  
ებრაელთა დარბევის დროს დაღუპულიყო და შემთხვევით  
გადარჩენილ ქალიშვილს თბილისისათვის შეეფარებინა თავი.

მშობლიური უკრაინიდან უცხო გარემოში გადმოხვეწილმა  
იულიამ, რომელსაც არათუ ახლობელი ადამიანი, არამედ  
უბრალო ნაცნობ-მეგობარიც კი აღარვინ გადაურჩა, მარტოობის სატანჯველს იმით დააღწია თავი, რომ, როგორც  
თავად ამბობს, ახალი „კოლექტიური ნათესავი“ გაიჩინა: „მე  
ახლა პარტიის წევრობის კანდიდატი ვარ და როდესაც  
ვმუშაობ უდიდესი მიზნებისათვის, ვიცი, რომ სიცოცხლე  
დირს, უკეთ რომ ვთქვა, ჩემი სიცოცხლე საჭიროა“, - უუბნება  
იგი ირაკლის. მას დრმად სწამს, რომ „საბჭოთა სისტემა ეს  
არის ერთადერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია მოსპონ  
მთელ მსოფლიოში უსამართლობა ეროვნული ჩაგვრისა და  
მდიდართა ექსპლოატაციისა“.

ვფიქრობ, იულიას ამ სიტყვებიდანაც ნათლად დაინახავთ /  
მკითხველი, როდენ მძაფრია რომანის პოლიტიკური სულისკვეთება. იულია რომანტიკული აღტექინებით უმტკრებს  
ირაკლის, რომ პარტია მისთვის სიცოცხლის აზრისა და  
რწმენის მიმნიჭებელი ძალაა. „რომ არ ყოფილიყო პარტია,  
მაშინ ჩემი უნუგეშო ისტორია დამთავრდებოდა ჩვეულებრივი  
თვითმკვლელობითო“, - ესბნება იგი ირაკლის და თვითი ამ  
პოლიტიკური აღსარებით, ფაქტობრივად, ირაკლის ბედიც  
გადაწყვიტა – ისიც მოაქცია „ბოლშევიკების მაგნიტური  
ძალის“ ტევეობაში.

ამ დღიდან მოყოლებული, იულია ირაკლისთვის იქცა  
მასწავლებლად, რომელმაც მირვესვიანად შეცვალა მისი  
მთელი ცხოვრება. „ამიერიდან ირაკლიმ იცოდა რა იყო მიზანი,  
სად იყო ბედნიერება, რისთვის უნდა ებრძოლათ“, - გვამცნობს  
მწერალი და ამ მიზნის სიცხადე განუყოფელად დაუკავშირა  
ლენინსა და საბჭოთა ხელისუფლებას. როგორც ითქვა,  
პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის გამომხატველი  
ამდაგვარი ეპიზოდები საქმაოდ მრავლად გვხვდება  
ნაწარმოებში. აქევ ვიტყვი იმასაც, რომ ამ თვალსაზრისით  
გ. ბააზოვის რომანი გამონაკლისი არ არის და ეს ტენდენცია  
ფართოდ დამახასიათებელი მოვლენაა 20-30-იანი წლების  
მოედი ჩვენი ლიტერატურისა.

გ. ბააზოვის რომანში გარკვეულწილად კლასობრივ  
ნიადაგზე წარმოქმნილი ის კონფლიქტური  
დამოკიდებულებაც აისხა, რომელმაც ახალ ეპოქაში იხინა  
თავი უახლოეს ადამიანებს, თვით შვილებსა და მშობლებს  
შორისაც კი. ამის დამადასტურებელ მაგალითებს საქმაოდ  
იპოვის დაინტერესებული მკითხველი 20-30-იანი წლების ჩვენს  
ლიტერატურაში. ბოლშევიკური იდეოლოგია მწერლობას,  
საერთოდ, მთელ საზოგადოებას, იდეალად უსახავდა ისეთ  
ადამიანს, რომლის ცნობიერებაში კლასობრივ-რევოლუციური  
ფანატიზმი უფრო მაღლა იდგა, ვიდრე დვიძლი  
ადამიანებისადმი სიყვარული. ასე შექმნა ჩვენმა ე. წ.  
პროლეტარულმა მწერლობამ ახალი ეპოქის სამსახურში  
ჩამდგარ ისეთ პიროვნებათა სახეებიც, რომელნიც

რევოლუციასა და კლასობრივი სამართლიანობის  საკუთარი მშობლების წინააღმდეგ მებრძოლი და ~~უსტარებელი~~  
მტრები ხდებიან.

მართალია, გ. ბააზოვის რომანში ამ დაპირისპირებას არც  
ასეთი მასშტაბები შეუძენია და არც ამდაგვარი მკვეთრად  
გამოვლენილი კლასობრივ-სოციალური შინაარსი, მაგრამ  
ნაწარმოებში ამ თვალსაზრისითაც ირეკლება იმუამინდელი  
იდეოლოგიური ვითარება.

ამის დასტურად ყურადღება მინდა მივაქციო ესთერის  
კონფლიქტს მამასთან – ბენიამინ ბერიძესთან. მიუხედავად  
იმისა, რომ მამა-შვილს შორის თავშენილი წინააღმდეგობა  
კლასობრივ დაპირისპირებამდე არ დაიყვანება, გაცილებით  
უფრო ღრმაა და სულ სხვა საფუძველზეა წარმოქმნილი,  
მწერალი ამ დაპირისპირების დროს იდეოლოგიურ მომენტსაც  
რომ არ გამორიცხავს, ეს, ვფიქრობ, ნათლად ჩანს რომანიდან.  
ნათქვამმა რომ მეტი სიცხადე შეიძინოს, გავიხსენოთ  
ზოგიერთი დეტალი ნაწარმოებიდან.

ესთერის მამა – ბენიამინი – ფეხსანის ერთ-ერთი ყველაზე  
ავტორიტეტული თავკაცი და შეძლებული პიროვნება – თავის  
თანამოაზრებთან ერთად გააფთრებით იბრძვის ცხოვრების  
ძველი წესის შესანარჩუნებლად. რევოლუცია მის სახელ-  
დიდებასა და წლობით ნაგროვებ სიმდიდრეს დაღუპვა-  
განიავებით ემუქრება. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია,  
მისთვის სრულიად მიუდებელია ძველი წეს-ჩვეულებების  
შეცვლა და იგი მთელი თავისი შესაძლებლობებით  
ეწინააღმდეგება ახალი ცხოვრების დამკვიდრების პროცესს.  
ბენიამინს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი ერთადერთი  
ქალიშვილი მასავით პრივილეგირებულ და შეძლებულ კაცს  
– ყეზრა შათაშვილს მიათხოვოს. მაგრამ მამის სურვილს  
კატეგორიულად აღუდგა წინ ესთერი, რომელსაც გატაცებით  
უყვარს ნათან ჯანაშვილი. მამასა და შვილს შორის  
კონფლიქტი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ საფუძველზე  
წარმოქმნება, მაგრამ შემდგომში მათი ეს დაპირისპირება  
თანდათანობით იდეოლოგიურ ხასიათსაც იძენს.

ესთერის დახასიათებით, მამამისი „შეძლებული კაცია, თან



მეტად თავისებური. მოსწონს ძველი ცხოვრება, ახალს კური ეგუება. კოსტუმი გამოიცალა და წვერი გაიპარსა. ესაა მთელი მისი პროგრესი. შინაარსი კი ძველი დარჩა. ამგვარად მათი ოჯახი ნახევრად გაევროპიელებულია და ნახევრად ისევ გაელურებული“.

მამა-შვილს შორის თაგზენილი წინააღმდეგობა უფრო და უფრო ღრმავდება იმის გამო, რომ ესთერს უნდა დაარღვიოს ძველებრაული დახავსებული ტრადიცია, თავი დააღწიოს პიროვნულ მონობას და საკუთარი ნება-სურვილით მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით იმოქმედოს. მამისთვის კი ეს ყველაფერი პრინციპულადაა მიუღებული. ამ დაპირისპირების არსეს კარგად გამოხატავს სიყვარულით გადაწყვეტილი ქალის მიერ შეყვარებულისადმი გაგზავნილი წერილის თუნდაც შემდეგი ფრაგმენტი: „იცი, ნათან, რას ნიშნავს ებრაელი ქალი! გიფიქრია ამ საკითხზე? მნელია ამ პატარა წერილში გადაგიშალო სრული სურათი იმ ტრაგედიისა, რომლის გმირებიც ჩვენ ვართ. ჩვენი ქალი უბრალო ნივთია, რომელსაც მამაკაცი, ოჯახის უფროსი ისე ატრიალებს, როგორც მას მოესურვება. საუკუნეებმა განამტკიცეს ეს ჩვეულება. ფოლადის კედელივით აღმართულია გარდაუვალი ზღუდე ჩვენს წინაშე. ჩვენი ქალი დაემორჩილა თავის ბედს. უფრო მეტიც: მათ არც კი წარმოუდგენიათ სხვანაირი ბედი“.

და აი, ამ ჩვეულების წინააღმდეგ ამხედრებულმა ესთერმა გადაწყვიტა მის წინ აღმართული ეს „ფოლადის კედლის ზღუდე“ გაენგრია, თავი დაეღწია სულიერი მონობისათვის და თავადვე ქცეულიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონად. მისი ეს მისწრაფება სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეწინააღმდეგება მამის ნებას და ამ დაპირისპირებამ, როგორც ითქვა, გარკვეულწილად, იდეოლოგიური დატვირთვაც შეიძინა.

ასე გადაწყვიტა ესთერმა „თავისი მამისათვის ნიდაბის ახდა და მისი ნამდვილი სახის გამოჩენა“. მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე ამ შემთხვევაში ესთერის მხარეზეა, მამასთან მის დამოკიდებულებაში ანტიზნეობის ელემენტებიც საქმაოდ იჭრება და სამართლიანობისათვის ბრძოლის მიხეული გზა ყოველთვის როდია მისაღები და გამართლებული. ამის

დადასტურებაა, თუნდაც, საკუთარი მამის ამდგმარი დახასიათებაც: „ამასაც მოვესწარ, ჩემმა განათლებული მცემა მცემა. გასვლისას საყელო გაისწორა. ევროპული ბაზი აქვს დაკიდებული... გველი... ენა აქვს მარტო გამოცვლილი, რომ ქვეყანა ატყუოს... გულით ისევ აზიელია, ბარბაროსია, განდალია...“

მამისადმი ამგვარი დამოკიდებულება რომ აფექტური აფეთქების შედეგი არ არის და კარგად გაცნობიერებული თვალ საზრისია, ეს ნათლად ჩანს რომანის სხვა ეპიზოდებიდანაც. გავიხსენოთ, მაგალითად, ის სიტყვები, რომლებითაც ესთერი უხასიათებს საკუთარ მამას ქალაქში ახლადჩამოსულ და ქუჩაში სრულიად შემთხვევით შეხვედრილ მისთვის მანამდე უცნობ ნათანის მშობლებს: „ბენიამინ ბერიძეს ჯავრისა და ბოლმის მეტი აღარაფერი დარჩენია. ამიტომაც არის, რომ ასე იყბინება შემოდგომის ბუზივით...“

მოკლედ, ასეთია „ფეთხაინის“ ტიპაჟი და პრობლემატიკა. მიუხედავად იმისა, რომ დროშ, ისტორიული განვითარების პროცესმა, რომანში დასმულ პრობლემათა ავტორისეულ გააზრებაში, როგორც უკვე ითქვა, დღევანდელი თვალთახედვით ბევრი რამ მოამველა და გააუფასერა, განავითარებაში მაინც რჩება ცოცხალ ლიტერატურულ ფასეულობად და მრავალ ისეთ საკითხესაც წამოჭრის, რომელნიც მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით როდის საგულისხმო და საინტერესო.

### დრამატურბია

#### ა) „დილლეამარ“

გერცელ ბაზოვის პირველი მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილება, რომელმაც ლიტერატურული საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესება გამოიწვია, პიესა „დილლეამარი“ იყო. ამ ნაწარმოების მსატვრულ სრულყოფას მწერალმა საკმაო დრო მოანდომა. როგორც შალვა დადიანისადმი გაგზავნილი წერილით ირკვევა, „დილლეამარის“ წერას იგი 1925 წელს შედგომია და 1928 წელს დაუსრულებია. 1929 წელს კი პიესა ცალკე წიგნად გამოქვეყნდა.



„დელლეამარ“ ორიგინალური ნაწარმოები არ არის შეტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ესაა პოლონების მიერ მწერლის – ბენ-აბრამის მიხტერის - „ამბავი უძველეს კუშკში“ გადმოკეთებული ვარიანტი. პიესის ქართულ ვარიანტში გ. ბააზოვმა რამდენადმე შეცვალა ნაწარმოების სიუჟეტი, „გაამრავალფეროვნა შინაარსობრივად და მიანიჭა თანამედროვეობის შესატყვისი უდერადობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ბააზოვმა ფაქტობრივად შექმნა ახალი ნაწარმოები, რომელსაც დაარქვა პიესაში მის მიერვე შეყვანილი გმირის დილლეამარის სახელი“ (გ. წიწუაშვილი, გერცელ ბააზოვის პერსონაჟები, „კრიტიკა“, 1988 წ. №5, გვ. 47).

ბ. უდენტის აზრით, ხწორედ ეს ფაქტი – დილლეამარის მიერ „მიწიერი ბედნიერების ძიება და ხალხის საბრძოლო აღფრთოვანება“ - უნდა იქნეს მიხნეული „იმ დიდ უპირატესობად, რომელიც გ. ბააზოვის პიესას ახასიათებს მის ლიიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით“ (გ. ბააზოვი, პიესები, 1962 წ. გვ. 310).

მართალია, სალიიტერატურო კრიტიკა თავიდანვე ინტერესით შეხვდა გ. ბააზოვის პიესას, მაგრამ ნაწარმოების ლიიტერატურულ დირსებებზე ხაუბარს ხშირად ახლდა ხოლმე საყვედურნარევი ხაზგასმაც იმისა, რომ მწერალი ასცრაქტულად, დროსა და სივრცეში დაუკონკრეტებლად აღწერდა მოქმედებას. ამასთან, ზოგიერთმა კრიტიკოსმა კამათის საგნად აქცია „დილლეამარის“ „მხატვრულ ფორმაც, ჩანაფიქრის მხატვრული გადაწყვეტის ხასიათიცა და ხერხებიც“ და ისინი ოციანი წლების დამლევის საბჭოთა ლიიტერატურისათვის დამახასიათებელ სტილთან და ფორმასთან მიმართებაში ანაქრონიზმად მიიჩნია. ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად იმას ასახელებდნენ, რომ გ. ბააზოვის პიესა იმ პერიოდისათვის უკვე „სრულიად მოძველებული სიმბოლისტური დრამის ძქსესუარებისა და ხერხების გამოყენებით“ იყო შესრულებული.

ასე რომ, კრიტიკოსთა ერთი ნაწილის შეფასებით, „გ.

ბააზოვმა საკითხის ახლებური იდეური გაშუმება იქ ხანისათვის უკუგდებულ და დრომოჭმულ ფორმაში მოხდა და ამიტომ მისი ნაწარმოებიც თანადორული ლიტერატურული პროცესისაგან განხე გაირიყა, იმ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალური გზის მიღმა დარჩა.

ფორმის შეუსაბამობამ „დილლეამარს“ აბსტრაქტული იერი მისცა და მეტისმეტი ფილოსოფიური სიმშრალე შესძინა. ეს განეკუნებულობა ვნებს პიესას და მას რადაც წმინდა რაციონალურ ხასიათს სძენს (გ. ციციშვილი, ქართული საბჭოთა დრამატურგია, 1962 წ. გვ. 539-540). ოუმცა, ამდაგვარი შეფასების მიუხედავად, გ. ციციშვილი იქვე იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დილლეამარი“ „თავისი არსით რეალისტური ნაწარმოებია“.

მკითხველისათვის ადვილად გასაგები მიზუნების გამო, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულმა კრიტიკამ გ. ბააზოვის შემოქმედების განხილვა-შეფასების დროს გამორჩეული ყურადღების საგნად, პირველ ყოვლისა, ის ნაწარმოებები აქცია, რომლებიც იმ პერიოდის კლასობრივ-სოციალური პრობლემებისადმია მიძღვნილი. ამ გარემოებამ რამდენადმე შებოჭა და ცალმხრივი გახადა „დილლეამარისადმი“ კრიტიკოსთა დამოკიდებულება, რის გამოც, ჩემის აზრით, ბოლომდე სრულფასოვნად ვერ შეფასდა ამ ფრიად საინტერესო პიესის ადგილი და მნიშვნელობა მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

როგორც ქვემოთ შევვდები ვაჩვენო, გ. ბააზოვის ეს პიესა არა მარტო მისი შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშია, არამედ ოციანი წლების ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი საგულისხმო ქმნილებაც. ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის მყარ საფუძველს იძლევა ნაწარმოების პრობლემატიკაცა და მხატვრული ოსტატობის დამაკმაყოფილებელი დონეც.

პიესა არაა შებოჭილი კონკრეტული დროული ლოკალითა და მოქმედების ადგილით და აგტორისეული ჩანაფიქრი სიმბოლურ-ალეგორიული განზოგადებულ ობითაა გამოვლენილი. ამ ფაქტორმა დიდად განაპირობა ის გარემოება, რომ, განსხვავებით მწერლის სხვა ნაწარმოებთაგან, რომლებიც



კონკრეტული მოვლენებისადმია მიძღვნილი, „დილლემართხა“ და მასში დასმული პრობლემებისადმი გვითხველის ინტერესების დრომ, ისტორიული განვითარების პროცესმა, ვერ მოაძულების და ვერ გადაფასა.

მართალია, ნაწარმოებში იმდროინდელი კლასობრივი იდეოლოგიის გამოძახილიც ისმის, მაგრამ ეს გარემოება მწერალს ხელს არ უშლის, პიესაში დასმულ პრობლემებს გააზრების ზოგადადამიანური მასშტაბები შესძინოს და ისეთი მოვლენების მიმართაც გამოამჟღავნოს ფარული კრიტიკული დამოკიდებულება, რომელთა დამკვიდრებისთვისაც აქტიურად იბრძოდა იმხანად ხელისუფლება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დილლემარის“ ავტორი არ იზღუდება თავისი ნაწარმოების ყანრობრივი სპეციფიკით და პიესაში გაბედულად შემოაქვს წმინდა ბელებრისტული ელემენტებიც, რომლებიც ნააზრევის გამოხატვას უფრო მეტ სიმძაფრესა და ემოციურ შთამბჯჭდავობას სძენენ. ბრიციშვილის შეფასებით, მხატვრული პროზის ამდაგვარი „ნიშანდობლიობა განსაკუთრებით ემჩნევა რემარკებს, რომელთა გამოყენება „დილლემარში“ სცილდება მათ ვიწრო დანიშნულებას და ისინი მხატვრულ დეტალების მდევრულ საშუალებამდე მაღლდებიან“ (გ. ციციშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 540).

როგორც აღინიშნა, გ. ბააზოვის პიესის ძირითადი საქმელი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმითა და ფართო მხატვრული განზოგადებულობითაა გააზრებული და სწორედ ესაა მისი უმთავრესი ღირსება.

„დილლემარის“ ძირითადი პრობლემა - იდეალად დასახული მიზნის ვერმიწვდენა და იმედგაცრუება - სხვადასხვა დროისა და ქვეყნის არაერთ მწერალს უქცევია შემოქმედებითი შთაგონების მთავარ თემად. ეს პრობლემა რომ არც ქართულ მწერლობას დაუტოვებია უყურადღებოდ, ამის დასტურად საკმაო მაგალითების დასახელება შეიძლება ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდანაც.

გ. ბააზოვი პოეტურ-რომანტიკული ფორმით, მძაფრი სიუჟეტური დრამატიზმითა და ზეაწეული პათეტიზმით

მოგვითხრობს ხალხის ბედნიერებისათვის გულანიებული პიროვნებების დაუოკებელ სწრაფვას ოცნებით წარმოადგინა იდეალისაკენ. მათი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად მოყვასის ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვა, მოძმისათვის თავდადებისა და თავგანწირვის ამაღლებული კეთილშობილური ჰუმანისტური გრძნობაა ქცეული.

სასახლის მოედენაზე შეკრებილი ხალხი მთავრის დღესასწაულს ზეიმობს. თავად მთავარი – ხალხში ჯადოსნის სახელით ცნობილი – ძველისძველ კოშკშია გამოკეტილი და იქიდან მართავს ქვეყანას. ყოველწლიურად გამართულ ასეთ დღესასწაულზე უამრავი ადამიანი იკრიბება და მოწიწებით შეთხოვს ჯადოსნის შველას. მათი რწმენით, ჯადოსნი ყოვლისშემდლეა და ყოვლისმცოდნე. მართალია, მისთვის არავის მოუკრავს ოდესმე თვალი და სასახლეცა და კოშკიც, სადაც იგი ბინადრობს, მუდამ იხეა კარდახშელი, რომ შიგ სიცოცხლის ნასახიც კი არ იგრძნობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ხალხი ყოველთვის დიდი რწმენითა და სასოებით შეპყურებს ჯადოსნის საუფლოს და სწამს, რომ მათი პატრონი უნუგეშოდ არ დატოვებს ადამიანებს.

დღესასწაულზე შეკრებილთა შორის მრავლად არიან ბრძები, მუნჯები, კოჭლები, ყრუები და ათასგარი სხეულებით დაუძლურებული ავადმყოფები. მათ წინაშე გამოსული და ქადაგად დავარდნილი კარისკაცთა უფროსი – იოაკიმი ხალხს განუმარტავს მთავრის დღესასწაულის დანიშნულებას და ზეიმზე მოსულ ადამიანებს, ვინ იცის, მერამდენედ, შთააგონებს, რომ ჯადოსნი მათი დიდი მამა, მან „არ იცის მოსვენება და მთელი მისი ფიქრები მხოლოდ მის საყვარელ შვილებზეა. ამ სასახლიდან ის იცქირება და ხედავს ყოველს... არაფერია დაფარული მისთვის“. იოაკიმი არწმუნებს ხალხს, რომ ისინი ვერასოდეს ჩაწვდებიან მთავრის დაფარული სიბრძნისა და მოქმედების არსს. იგი ხედავს იმას, რასაც ადამიანები ვერასოდეს იხილავენ, ესმის ის, რასაც ისინი ვერ გაიგონებენ და იცის ის, რასაც ვერც ერთი იმათგანი ვერ შეიცნობს ვერასოდეს. ამიტომაც უნდა იყვნენ „დიდი



მამის ძვირფასი „შვილები“ მადლიერნი თავიანთი უფლისა. მართალია, რეალურად არავითარი არგუმენტი მოგვეპოვება იმის სამტკიცებლად, რომ გ. ბააზოვმა ჯადოსნისა და მისი ერთგული მსახურების მხატვრული სახეების შექმნის დროს იმ პერიოდის საბჭოური სინამდვილიდანაც აიღო ბევრი რამ, მაგრამ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ეს რომ ნამდვილად ასე გამოვიდა, ვფიქრობ, ეს გარემოება საკამაოო არ უნდა იყოს.

ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ეპოქაში, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანაში, ხელისუფლების მიერ მიწიერ ღვთაებებად დასახული ბელადების გაფეტიშება, მშრომელთა იმედად მათი გამოცხადება და იმდროინდელი ჩვენი ყოფის არაერთი სხვა მომენტი, ჩემის აზრით, აშკარად მიესადაგება გ. ბააზოვის პიესაში აღწერილ მოვლენებს. საბჭოთა ეპოქასთან „დილლეამარი“ სხვა კუთხითაც შეიძლება დავაკავშიროთ. კერძოდ, ნაწარმოებში აღწერილი სახელმწიფოს მოდელი, მისი მართვა-გამგეობის სტრუქტურა და პრინციპები, ვფიქრობ, ასევე ზუსტად ემსგავსება საბჭოურ სინამდვილეს.

თუმცა აქევ, ამ თვალსაზრისის გამოთქმასთან ერთად, არამც და არამც არ მავიწყდება იხიც, რომ პიესის უმთავრესი სათქმელი სულ სხვა მიზანსწრაფვითაა შთაგონებული, კონკრეტული სინამდვილით არ შემოიფარგლება და ასევე შეიძლება დავუკავშიროთ ნებისმიერი დროისა და ქვეყნის დიქტატორული მმართველობის ხანას.

ბრძოდ, უპიროვნო მასად ქვეული და მონურად მორჩილი ხალხის წიაღში თანდათანობით გროვდება უქმაყოფილებისა და არსებულ ვითარებასთან შეურიგებლობის განწყობილება. ამ თვალსაზრისით პიესაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ რიზაელი და დილლეამარი თავიანთ თანამხლებ პირებთან ერთად. დიდი მთავრის საპატივცემულოდ გამართულ დღესასწავლზე მოსული რიზაელი მოულოდნელად გამოეყოფა ხალხს, კათედრაზე ავა და კარისკაცების უფროსს – იოაკიმს საპროტესო სიტყვით მიმართავს. თანამომეთა უმძიმესი მდგომარეობით შეწუხებული

ეს ომანტიკოსი გმირი ითაკიმს განუცხადება  გადაწყვეტილებას, პირადად ინახულოს დიდი მომარტინა, აუქსენას ხალხის უნუგეშო ვითარება და თბილობა დახმარება, „ვინაიდან გამოილია მოთმინების ძალა და აღარ შეიძლება მეტის ატანა“.

კარისკაცთა უფროსი შეშფოთებით აცნობს რიზაელს, რომ სასახლეში შესვლა სასტიკადაა აკრძალული და მისი ამდაგვარი მოქმედება დანაშაულია. თანაც, სასალხის კარებიც რომ გაულონ, კოშკის წვერისაკენ მიმავალი გზა, სადაც ჯადოსანი იმყოფება, იმდენად დახლართულია, იქამდე კაცი ვერ მიაღწევს. მაგრამ რიზაელისა და მისი თანმხლები პირების გადაწყვეტილება იმდენად შეუვალია, რომ ისინი ძალით გააღებენ სასახლის კარს და დიდ მთავართან შესახვედრად გაემართებიან. იწყება უძნელესი და ურთულესი გზა, ათასგვარი ხიფათითა და წინააღმდეგობით სავსე, გზა, რომელსაც რიზაელის თანმხლებ პირთაგან თითქმის ყველა შეეწირა. გ. ციციშვილმა რიზაელის ჯგუფის „პნელში სიარული“ სიმბოლური მნიშვნელობის ფაქტად აღიარა და იგი კაცობრიობის „განვითარების კიბეზე“ ასვლის გამომხატველ აღეგორიად მიიჩნია (გ. ციციშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 544).

გ. ბააზოვი უმძაფრესი ექსპრესითა და დინამიურობით აღწერს რიზაელისა და მისი თანმხლები პირების ამ ომანტიკული მოგზაურობის ამბავს. რწმენით, შემართებით, მოყვასისადმი თანადგომისა და სიკეთის ზეაღმტაცი სურვილით გულანთებული რიზაელი და მისი თანამოაზრენი ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მიზნის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით გზა უფრო და უფრო რთულდება, წინ ახალ-ახალი დაბრკოლებები ჩნდება და რიგრიგობით იღუპებიან კოშკის წვერისაკენ მავალი გმირი ვაჟკაცები, რიზაელის ნება მაინც ურყევია. იგი თავისი მობრდდვიალგ ჩირადდნით ხელში მუხლაუხერელად მიიწევს წინ დიდ მთავართან შესახვედრად და თავისი კეთილშობილური ჰუმანისტური მისის აღსასრულებლად.

მაგრამ, რაც უფრო დრმად შედიან კოშკში ეს ომანტიკოსი

რაინდები, მით უფრო იპყრობთ სასოწარკვეთა. ირგვლივ  
შეოლოდ მკვდარი სიცარიელეა გამეფებული და სიცოცხლის ნიშანიც კი არ იგრძნობა. არსად ჩანს სინათლისა და სუკრძალების სხივი. ასეთმა მდგომარეობამ თანდათან გაუნელა მომავლის რწმენა რიზაელის თანმხლებთ. მხოლოდ რიზაელი არ იხევს უკან და კვლავ ძველებური შემართებით მიიღის კოშკის წევრისაკენ. და ეს ხდება იმის გამო, რომ ცხოვრებით დაჩაგრულ და დაბეჭავებულ ადამიანებზე ზრუნვა მისი სიცოცხლის უმთავრეს მიზნადაა ქცეული.

ამ წმინდა მიზნისაკენ სავალ გზაზე თავიდან მას გვერდით ედგა და რწმენას განუმტკიცებდა მშვენიერი ქალწული – დილლეამარი - „ეს ზეცით მოფრენილი არსება“. „ხალხის შველა და დილლეამარ – აი, ჩემი სიცოცხლის მთელი შინაარსი“, - პათეტიკურად აცხადებს რიზაელი. ასეთივე პათეტიზმითაა სავსე დილლეამარის სიტყვებიც. მისი ცხოვრების მთავარი აზრიც ადამიანების კეთილდღეობისთვის უანგარო ბრძოლა და თავგანწირვაა. ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის ამ წმინდა გზას რიზაელი და დილლეამარი თავიდან ერთად ადგებიან, მაგრამ ქალი მალე დარწმუნდა იმაში, რომ დიდმთავრის არსებობა იღუზია იყო ხალხის თვალის ასხავევად და მოსატყუებად შეთხული ზდაპარი, რომ ბედნიერება არ შეიძლება ვინმეს წყალობა იყოს; მის მოსაპოვებლად ბრძოლა, ქმედებაა საჭირო და არა ცრუ იღუზიებს გამოდევნება. ამ რწმენით გულანთებული დილლეამარი გადაწყვეტს ჩამოშორდეს რიზაელს, დატოვოს კოშკი, უკან დაბრუნდეს ხალხთან და მასთან ერთად იბრძოლოს ბედნიერების მოსაპოვებლად.

ასე ითიშება ერთმანეთისაგან ამ ორი რომანტიკოსი გმირის გზა. რიზაელის აზრით, ხალხმა თავისუფლება და ბედნიერება შეიძლება მხოლოდ ღვთაებად დასახული დიდი მთავრის წყალობით მოიპოვოს, დილლეამარი კი ფიქრობს, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ მიღიონების ამოქმედებითაა შესაძლებელი და ადამიანებმა თავად უნდა შექმნან და გამოჭედონ თავიანთი მომავალი ბედნიერება. იღუზიური ოცნებებისაგან თავდახსნილი დილლეამარი უკვე ღრმადაა დარწმუნებული

იმაში, რომ რიზაელის გზა ყალბია, რომ „ერთეულები“ ვარ იხსნიან მილიონებს და მილიონები თვითონ იხსნიან უსაფრთხო თავს. საჭიროა მხოლოდ ამ მილიონების ამოქმედება“.

სალიტერატურო კრიტიკაში მართებულად მიექცა უფრადდება იმ გარემოებას, რომ დილლეამარის მხატვრული სახე, მისთვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული საბრძოლო სულისკვეთება, ჰუმანისტური პათოსი და დაუცხრომელი სწრაფვა უსამართლობის ბრძოლის გზით დათრგუნვისაკენ მწერალის ეპოქის დროინდელი რევოლუციური მოვლენების უშუალო გამოძახილი იყო. გარდა იმისა, რომ ამდაგვარი სიუჟეტური ცვლილებით გ. ბააზოვმა კიდევ უფრო გააფართოვა ბენ-აბრამის პიესის სამოქმედო სივრცე და მეტი სიცხადე შესძინა ავტორის ეულ მიზანსწრაფვას, ამით მან თავისი მსოფლმხედველობრივი მრწამსიც უფრო ნათლად გამოავლინა – თავისუფლება და ბედნიერება მხოლოდ ბრძოლისა და აქტიური ქმედების გზით მოიპოვება, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ბრძოლა ადამიანთა ფართო მასებს მოიცავს და ინდივიდუალური მასშტაბებით არაა შემოფარგლული.

მართალია, რიზაელიც ადამიანების ბედნიერებისათვის ისეთივე თავგანწირვით მებრძოლი გმირია, როგორც დილლეამარი, მაგრამ მისი მარცხისა და ხელმოცარულობის უმთავრესი მიზეზი ის გამოდგა, რომ იგი მოწყდა ხალხს და იდეალი, საითკენაც მიისწრაფოდა, ყალბი აღმოჩნდა. კოშკის წვერს წამებით მიღწეული რიზაელი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ თურმე არავითარი ჯადოსანი არ არსებულა, ხოლო ის ჩირალდანი, რომელიც მას წამების ამ გზაზე ეჭირა ხელთ და ეგონა, რომ სავალ ბილიკს უნათებდა, თურმე სიცრუის ჩირადდანს წარმოადგენდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, გაწბილებული რიზაელი შურით შენატრიის მისი ჯგუფიდან ჩამორჩენილ გზადაბნეულ მოწაფეებს, რომლებიც უიმედოდ დაეხეტებიან კოშკის ლაბირინთში და იქიდან გამოსავალს ეძებენ. „ნეტავი მე ვიყო მათ აღგილას! – ამბობს იგი, - ვიფიქრებდი, რომ არის გზა და მხოლოდ მე ვცდები და ვერ ვნახულობ მას. დავიწყებდი სწრაფვას

გადლისაკენ მიუდწევლად... მაგრამ მე მივაღწიე. ჩემს  
საუბედუროდ მივაღწიე. მივაღწიე – რათა დამენახა, რომ აქ  
არაფერია... ჩემთან ერთად მოტყუებულია მთელი ხალხის მიერთება  
რომელიც დაბლაა. მოტყუებული არიან კარისკაცებიც. რას  
ყარაულობენ ისინი იქ?“.

ასე იმსხვრევა რიზაელის იმედები და ოცნებები და  
უიდეალოდ დარჩენილი ეს რომანტიკოსი გმირი, აწ შევე  
დასაღუპავად განწირული, კოშკის გაუდაბურებული წვერიდან  
სასოწარევეთილი ხედავს ქვევით, დედამიწაზე, ღვთაებად  
დასახული მთავრის თაყვანის საცემად გამართულ სიცრუის  
დიდ დღესასწაულს, ხადაც ათასობით უმწეო ადამიანი  
შეკრებილ ზეციური წყალობის მოლოდინში.

რაც შეეხება დილლეამარს, მისი საბრძოლო შემართების  
მიზანსწრაფვად სახალხო მოძრაობა იქცა. ხალხმა შეიყვარა  
და გააღმერთა იგი, ბელადად აღიარა და მისი თავკაცობით  
დაიწყო ბრძოლა უხამართლობის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის სიმბოლურ აკორდად ნაწარმოებში კოშკის  
დანგრევის ეპიზოდია ქცეული. დილლეამარის მიერ  
ამბოხებული ათასობით ადამიანი დაუნდობლად ამსხვრევს  
ძევლისძველ კოშკს, რომელიც სიბნელის, სიცრუის, მონური  
მორჩილების სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენდა  
ხანგრძლივი დროის მანძილზე.

პიესა გმირულ-რომანტიკული პათოსით ამაღლებული ასეთი  
სცენით მთავრდება: კოშკი, როგორც ცრუ იმედებისა და  
ფუჭი დაპირებების სიმბოლო, დანგრეულია, მის ნანგრევებზე  
წითელი დროშა ფრიალებს, ძველი ხელისუფლების ერთგული  
მსახურნი იღუპებიან და „ჩაგრული ხალხი“ თავადვე ცხადდება  
თავისი თავის ბატონ-პატრონად.

სამწუხაროდ, ახალმა ცხოვრებისეულმა ვითარებამ სულ  
მალე გააქარწყლა და დაამსხვრია გ. ბააზოვის ეს  
რევოლუციური ოპტიმიზმი და ქვეყნის სათავეში მოსულმა  
საბჭოთა ხელისუფლებამ სიცრუის, სიბნელის, მონური  
მორჩილებისა და პიროვნული დამთრგუნველობის ალეგორიად  
დასახული ამ სიმბოლური კოშკის ნანგრევებზე ახალი, უფრო  
პირქუში და შეუვალი კოშკი აღმართა. ასე გამოაცალა მკაცრმა

ცხოვრებისეულმა სინამდვილემ საფუძველი გ. ჭავჭავაძის რომანტიკულ ოცნებას ადამიანის თავისუფლების და ბენიერებაზე და კვლავაც მიუწვდომელ იდეალზე ჩერელი დილლეამარის მიზანსწრაფვა რიზაელის სასოწარმკვეთმა იმედგაცრუებაშ დათრგუნა.

### ბ) „მუნჯები ალაპარაკდნენ“

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1931 წ.) გერცელ ბააზოვის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პიესაა, რომელთანაც 30-იანი წლების ქართული თეატრის წარმატებაცაა დაკავშირებული. თავდაპირველად იგი თბილისისა და ქუთაისის თეატრების სცენებზე დაიდგა (1932 წ.) და, ამ დროიდან მოყოლებული, დიდხანს არ განელებულა ნაწარმოებისადმი ინტერესი. პიესის პოპულარობას, ლიტერატურულ ღირსებებთან ერთად, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში არაერთმა ცნობილმა მსახიობმა შექმნა შთაბეჭდავი და დრმა კოლორიტულობით აღბეჭდილი სცენური სახე.

პიესით ამდაგვარ დაინტერესებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. ჯერ ერთი, მასში ცოცხლად და სიღრმისეულად იყო დახატული ფართო მკითხველისათვის ლიტერატურულად თითქმის სრულიად უცნობი ახალი სამყარო – ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრება, მეორე, ნაწარმოები ეძღვნებოდა 30-იან წლებში საყოველთაო ყურადღების საგნად ქცეულ ისეთ პრობლემას, როგორიც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია იყო და, ბოლოს, ეს ყველაფერი გ. ბააზოვის პიესაში მაღალი მხატვრული ოსტატობითა და სიუჟეტური დრამატიზმით გახლდათ აღწერილი.

იმის გამო, რომ „მუნჯებში“ დასმული უმთავრესი სოციალური პრობლემა დღესდღეობით ყავლგასული და მოძველებულია, ნაწარმოები დღევანდელი მკითხველისათვის ისტორიული თვალთახედვით უფრო საინტერესო და მას ადრინდელი ლიტერატურული ღირებულება აღარ გააჩნია.

ამ პიესაში, მსგავსად სხვა ნაწარმოებებისა, გ. ბააზოვი ქლასობრივი სწორხაზობრიობითა და ტენდენციურობით აღწერს იმ რთულ სოციალურ მოვლენებს, რომლებმაც ცალკეული კოლექტივიზაციის პერიოდში იჩინეს ჩვენში თავი. ამ მოვლენათა გააზრება მთლიანადაა დაქვემდებარებული გაშინდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კურსს, რის გამოც ნაწარმოები მკაფიოდ გამოვლენილი აროპაგანდისტული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ამ თვალსაზრისით გ. ბააზოვის პიესა გამონაკლისი არ არის ანალოგიური ვითარება 30-იან წლებში მოღვაწე ბევრი ჩვენი მწერლის შემოქმედებაშიც იჭერს გაბატონებულ ადგილს.

და მაინც, მიუხედავად ყოველივესი, გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომელიც მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის ამსახველ მაღალმხატვრულ ქმნილებად უნდა იქნეს მიწნეული.

ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ საზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გ. ბააზოვის პიესაში შთამბეჭდავი კოლორიტულობითაა დახატული მანამდელი ქართული მწერლობისათვის თითქმის სრულიად უცნობი ქართველ ებრაელთა ყოფა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღათ-ტრადიციები. მწერალი ფსიქოლოგიური სიღრმით ძერწავს კოლორიტულ ებრაულ ფსიქოლოგიკური სიღრმით ძერწიკის სპეციფიკურ მხარეებს. ხასიათებსა და ეროვნული ფსიქიკის სპეციფიკურ მხარეებს.

აქევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის და ზემოთ აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ ვლინდება გ. ბააზოვის მთელს შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არასოდეს არ იზღუდება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით, მისი ნაწარმოებების კითხვის დროს მაინც აშეკარად ვგრძნობთ ხოლმე ამ ფაქტორის წინა პლანზე წამოწევას. კერძოდ, როგორც წესი, მის მიერ დახატული პერსონაჟების უმეტესობა ებრაელები არიან და მოქმედებაც ძირითადად ებრაულ გარემოში ხდება, რის შედეგადაც

თითქმის ყოველთვის იქმნება ერთგვარი ტემატიკული მიკროსამყარო. ამ მიკროსამყაროს აღწერა-დახსახმაურებელი დროს, ჩვეულებრივ, როგორც ითქვა, ადგილი ეთმრის ჸირაულ წეს-ჩვეულებებზე, ადაო-ტრადიციებსა და სარწმუნოებრივ რიტუალებზე საუბარს. თხრობის პროცესში საგულისხმო დატვირთვა აქვს აგრეთვე შეძენილი ენიდან შემოტანილი სიტყვებისა და ებრაელთა უარგონული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმების ზომიერ გამოყენებას.

ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა მწერალი მოქმედი გმირების გვარ-სახელების შერჩევას და თავისი ნაწარმოებების ებრაელ პერსონაჟებს ყოველთვის მკვეთრად გამორჩეულ სახელებს არქმევდა ხოლმე. ფართო საზოგადოებრიობისათვის თითქმის სრულიად უცნობ ამ სახელებს, ჩვეულებრივ, თავისებური კოლორიტი და ეროვნულ-ეთნოგრაფიული ხიბლი შემოაქვთ გ. ბააზოვის შემოქმედებაში.

მაგრამ ეროვნული ფაქტორისათვის ამდაგვარი საზგანმა ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს მწერალი ეროვნული ნიშნის მიხედვით თიშავს ადამიანებს ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, არა. პერსონაჟთა ურთიერთგამიჯვნისა და დაპირისპირების უმთავრეს საფუძვლად გ. ბააზოვის შემოქმედებაში ძირითადად კლასობრივი პრინციპებია ქცეული და ყოველგვარი ნაციონალისტური განკერძოებულობა სრულიად უცხო მოვლენაა მისი მსოფლმხედველობისათვის.

მ. მამისთვალოვის მართებული მოსაზრებით, მართალია „მუნჯები ალაპარაკდნებ“ „პირდაპირი სახით საკოლმეურნეო მოძრაობისადმი მიძღვნილი პიესაა, მაგრამ არაპირდაპირი სახით იგი შემდეგ ფაქტზე მიგვანიშნებს: საზღვარი დაედოს მრავალ საუკუნოებრივ დუმილს და დარიბ ებრაელთა შერიგებას ბედუკულმართ ცხოვრებასთან...“

ადსანიშნავია, რომ პიესას ავტორმა თავდაპირველად შემდეგი სათაური მისცა: „როცა მუნჯები ალაპარაკდებიან“. ნაწარმოების დასათაურება ბიბლიური ფრაზეოლოგიიდან არის შერჩეული და ამ გზით ავტორი პიესის პირდაპირ



შინაარსზე მითითებასთან ერთად აყენებს მოთხოვნას შეუმნევლად დატოვებული და მივიწყებული არ იქნებოდა ნაწარმოებისათვის მის მიერ საფუძვლად დადებული ისტორიული თვალსაზრისი“ (პ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ. 373).

პიესის სიუჟეტზე საფუძვლად ებრაელთა კოლექტივის ჩამოყალიბების ფაქტია ქცეული. ნაწარმოები იმ დროს იწერებოდა, როცა ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი და მთელი მაშინდელი იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მის მხარდასაჭერად იყო მიმართული. ეს გარემოება თავის წარუხოცელ დაღს ასვამს პიესას და მას იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული სულისკვეთებით მსჭვალავს. პირველ ყოვლისა, სწორედ ამითაა განკირობებული ის გარემოება, რომ გ. ბააზოვის პიესაში მოვლენები კლასობრივი სწორხაზოვნებითაა დანახული და თითქმის მთლინადაა უგულვებელყოფილი მათი კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით განსჯა-შეფასება.

საზოგადოება, ნაწარმოებში აღწერილ პერსონაჟთა საკმაოდ მრავალრიცხვანი წრე, გ. ბააზოვმა თავიდანვე გამიჯნა ორ, ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებულ კლასობრივ ბანაკად. ერთ მხარეზე დგანან საკოლმეურნეო იდეისათვის თავდადებით მებრძოლი ადამიანები, მეორეზე კი მათი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი. მწერალი დიდი ფსიქოლოგიური ძალისხმევით აღწერს ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების რთულ პროცესს, სიყვარულით ხატავს იმ პიროვნებათა მხატვრულ სახეებს, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ამ იდეის ხორცშესახსებმელად.

დარიბ ებრაელობაში ამ დიდი საქმის თავკაცად მწერალმა მეირ სეფიაშვილი გამოიყვანა. ამ ახალგაზრდა ენთუზიასტის პიროვნული სახის ხორცშესხმის დროს გ. ბააზოვმა ხაზგასმულად წამოწია წინა პლანზე იდეისათვის თავდადებული გმირის ნიშან-თვისებანი. მიუხედავად იმისა, რომ



ამ იდეალურ ნიშან-თვისებათა ინდიგიდუალიზაციაზე პიროვნულ თავისთავადობად გარდასახვა პიესაში ჭრულობის კერ ხდება სასურველ დონეზე, მეირ სეფიაშვილის მხატვრული ტიპი მაინც შთამბეჭდავად აისახება ჩვენს ცნობიერებაში, როგორც განსახიერება 20-30-იანი წლების სოციალურ მოვლენებთან აქტიურად დაკავშირებული პიროვნებისა.

პიესაში ნაჩვენებია მეირის მსოფლმხედველობრივი ევოლუცია უკიდურესი სიძეჩავიდან კოლმეურნეობის თავკაცობამდე. იგი პირველი ებრაელი კომკავშირელია, მტკიცე ნებისყოფის პიროვნება, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ კლასობრივ პოზიციაზე დგას და უცომპრომისო ბრძოლა აქვს გაჩადებული ბოლშევიკური იდეოლოგიის მოწინააღმდეგებთან. მწერალი რომანტიკული ტენდენციურობით აღწერს, როგორ იზრდება მეირის თანამოაზრეთა რაოდენობა დარიბ ებრაელობაში, როგორ ისხამს ფრთხებს კოლმეურნეობის შექმნის იდეა მათში და როგორ ამსხვრევენ საუკუნეების მანძილზე სიღარიბითა და უფლებობით დაბეჩავებული ეს ადამიანები დუხვირი ცხოვრების ხუნდებს.

ასეთია პიესის ძირითადი სათქმელის არსი, რომლის გამოხატვასაც დიდი ძალისხმევა მოახმარა გ. ბააზოვმა. სამწუხაროდ, დრომ, ისტორიული განვითარების პროცესმა, აჩვენა, რომ ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ საფუძვლად ქცეული ეს რომანტიკული იდეა ყალბი გამოდგა და ის იმედები, რომლებსაც გ. ბააზოვი და, საერთოდ, მაშინდებლი ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ამჟარებდა საკოლმეურნეო მშენებლობაზე, უსაფუძვლო ილუზიად იქცა. მაგრამ ეს სიყალბე და იდეოლოგიური სიცრუე ბევრისათვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცხადი.

რაც შეეხება გ. ბააზოვს, ვფიქრობ, არავითარი საფუძველი არ არ სებობს იმის სათქმელად, მის შემოქმედებაში გამოვლენილი იდეურ-მსოფლმხედველობრივი სიყალბენი სპეციულაციურ კონიუნქტურად მივიჩნიოთ და ავტორის მოქალაქეობრივ კეთილსინდისიერებაში ეჭვი შევიტანოთ.



შწერლის შემოქმედების გაცნობით, ჩემის აზრი  
დაუჭირებლად დარწმუნდება მკითხველი იმაში, რომელიც ცნული  
გააზოვს იმხანად სწორედ ამდაგვარად სწამდა და სჯეროდა.  
ამიტომაც კლინდება მწერლის ნაწარმოებებში ასეთი ბასრი  
სწორებაზონებით ავტორისეული იდეოლოგიური  
თვალთახედვა.

სოციალური გარდატეხის ზღურბლთან დამდგარი მეირი  
ერთგან ამბობს: „მე ორი გრძნობა მაქვს: სიძულვილი და  
სიყვარული. ამ ორი გრძნობით სული მიღვია, თორემ სხვა  
მეტი ადარაფერი დამრჩენია. მძულს, მეზიზდება უველა  
რჯულის მდიდრები, რომლებმაც ღარიბები გადაგვაქციეს  
თვითინ ყურმოჭრილ მონებად და მუნჯებად“...

მდიდრებისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება,  
ფაქტობრივად, გ. ბააზოვის მოელ შემოქმედებას გახდეს  
გამჭოლ ხაზად. ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ვერც იგი  
აცდა იმ იდეოლოგიურ ჟაბლონს, რაც ასე მძლავრად  
კლინდება 20-30-იანი წლების არაერთი ჩვენი მწერლის  
შემოქმედებაში. გ. ბააზოვის ნაწარმოებების მიხედვით თუ  
კიმსჯელებთ, მდიდარი – კვალი ერთიანად – ბოროტია და  
ხალხის ყველეფელი, გულჭვა და სასტიკი, შეუბრალებელი  
და ყოველგვარი სიახლის დაუნდობელი მტერი... დარიბთა  
და ცხოვრებით დაბეჭავებულთა უმუტესობა კი შინაგანად  
კეთილი და პატიოსანი პიროვნებაა, ახალი ცხოვრების  
სამსახურში უდალატო ერთგულებით ჩამდგარი...

პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – დანიელ  
შათარაშვილის თქმით, მთავრობამ „რაც მდიდარი და  
პატიოსანი ხალხი იყო, შავ სიაში მოახველდრა, ხოლო რაც  
დარიბოხერი და გატიტვლებული – ოეთრ სიაში ჩაყარა...“  
ხარიბონ აბზიანიძის სიტყვით კი „ვისაც დარიბის პატენტი  
ჰქონდა, ის წითელი თავადიშვილი გახდა“, ხოლო მირიამის  
შეფასებით, მდიდრები, უკლებლივ უველანი, „წურბელები,  
სისხლის მწოველები და ტყის მხეცები“ არიან.

„მუნჯებში“, საერთოდ, გ. ბააზოვის მოელ შემოქმედებაში,  
სათქმელი, არც თუ იშვიათად, ლოზუნგურ-პროპაგანდისტული  
სტილითაა გამოხატული. ამდაგვარად მწერლის

ნაწარმოებებში, პირველ ყოვლისა, ის პირდაწყვეტილი მეტყველებენ, რომლებიც ახალი ცხოვრების დასამუშავებელი გამართული კლასობრივი ბრძოლის თავკაცები არიან.

მე აქ შემთხვევით არ მიხმარია სიტყვა ბრძოლა. დიახ, ეს სიტყვა ზუსტად მიესადაგება იმ მძაფრ კლასობრივ დაპირისპირებას, რომელიც საზოგადოების ორ ნაწილს შორის არსებობს. ამბობს კიდევ ამის თაობაზე გარკვევით პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი: „საჭიროა ბრძოლა. ორი ბანაკია ქვეყნად: დანიელ შათარიშვილი და მეირ სეფიაშვილი“. ასე იქცევა ქვეყნა კლასობრივი ბრძოლის ასპარეზად, სადაც ადამიანური გრძნობები და ზნეობრივი ნორმები ხშირად იდეის დანამატად იქცევიან ხოლმე.

პიესაში დიდი აღგილი ეთმობა იმის ჩვენებას, რაოდენ ძნელია ქველი ცხოვრების ხუნდებისაგან ადამიანის განთავისუფლების პროცესი. ამ თვალსაზრისით გ. ბაზოვი ყურადღების ცენტრში იქცევს დარიბი ებრაელის – იეხისკიელ ყვითელაშვილის ტრაგიკულ თავგადასავალს. იეხისკიელი, მისი ბევრი თანამემამულის მსგავსად, შიშით ხვდება ქვეყნად მიმდინარე რევოლუციურ გარდაქმნებს და საერთოდ არაა გარკვეული ამ მოვლენათა არსები. მისთვის „გაბალშვიკება“, ხელისუფლების მიერ ნაქადაგევი იდეებისადმი ერთგულება, გაქრისტიანებას, წინაპართა სარწმუნოებასა და ეროვნულობაზე უარის თქმას ნიშნავს.

ამიტომაც არჩევს იგი ძველებურ სატანჯველში დარჩენას და დანიელ შათარაშვილის ნაწყალობევი ლუკმით მიათრევს, წუთისოფელს. „შიმშილით კუჭგამხმარმა“ იეხისკიელმა ოჯახის გადასარჩენად საკუთარი შვილიც კი გაწირა – მშვენიერი მირიამი და იგი კულაკ დანიელის ვაჟს – გაზარიას მიათხოვა. ქმრის გადაწყვეტილებით თავზარდაცემული ცოლის სიტყვებზე – მირიამს დანიელის ოჯახში სამ თვეში ამოხდება სული, რა თავში ვიხდი იმის სიმდიდრეს, თუ იმისგან რაიმე ხეირი არ იქნებაო, იეხისკიელი უპასუხებს: „ხეირი ჩვენ გვექნება, დანიელ შათარაშვილი კიდევ მომცემს ნისიად წვრილმანებს, მისი შვილი კიდევ ხუთ-ათ თუმანს გვასესხებსო“.

ასე დაედო სათავე მირიამისა და იქნისკიელის ოჯახის  
ხალ უბედურებას. ამ ტრაგიული მდგომარეობიდან უცდებია  
გამოსვლის ერთადერთ საიმედო გზად მწერალი კოლექტივის  
შექმნასა და მასში დარიბების გაერთიანებას მიიჩნევს. იგი  
დიდ ადგილს უთმობს იმ შრომითი ენთუზიაზმის აღწერას,  
როთაც მძიმე ცხოვრებით დაბეჭავებული ებრაელები  
საკოლმეურნეო ცხოვრებაში ებმებიან.

დანიელი და მისი თანამოაზრენი თავზარდაცემულნი არიან  
მ ამბით და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს საქმე  
ჩაშალონ. ამ მიზნით ისინი ცდილობენ მოისყიდონ და  
თავიანთ სამხასურში ჩააყენონ იქნისკიელი და მისი  
ქალიშვილი. ასე იწყება, პიესის მიხედვით, კლასობრივი  
ბრძოლის გადამწყვები ეტაპი, რომელიც ახალი ცხოვრების  
გამარჯვებით მთავრდება.

გ. ბაზოვის ნაწარმოებში ეს ყველაფერი, როგორც ითქვა,  
იმდროინდელი იდგალობიური ტენდენციურობითა და  
კლასობრივი სწორხაზოვნებითაა აღწერილი.

### გ) „განურჩევლად პიროვნებისა“

სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად, გ.  
ბაზოვის შემოქმედებაში ზნეობრივი პრობლემატიკაცაა  
ქცეული ლიტერატურული წარმოსახვისა და დაფიქრების  
საგნად. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პიესა  
„განურჩევლად პიროვნებისა“ (1933 წ.). ხაზგასმით უნდა  
აღინიშნოს ის გარემოება, რომ მასში ზნეობრივი პრობლემის  
ავტორისეული განხჯა განუყოფელადაა დაკავშირებული  
იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან და  
მძლავრად გამოხატული კლასობრივ-პარტიული  
თვალთახედვით არის აღბეჭდილი.

„განურჩევლად პიროვნებისა“, ფაქტობრივად, იმის  
ლიტერატურული ილუსტრაციაა, კლასობრივ-რევოლუციური  
პრინციპებისადმი ბრძა ერთგულება და სოციალისტური  
ეპოქის მიერ დამკვიდრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ცხოვრების წესი როგორ კლავს პიროვნებას, თრგუნავს მის

ადამიანურ ინდივიდუალობას და აქცევს მას იდეოლოგიურად ეგზალტირებული მასის უსახურ ნაწილად. ხელუანებულება ადამიანებს პირველ ყოვლისა სწორედ კუთხისტრიუმ-პოლიტიკური იდეალებისადმი ამდაგვარი თავდადებისაგან მოუწოდებდა და ისეთ პიროვნებებს უსახავდა მაგალითად, რომლებიც საკუთარ მისწრაფებებზე უარის თქმით პარტიულ ინტერესებს წირავდნენ თავს. 20-30-იანი წლების ე. წ. პროლეტარულმა მწერლობამ ამდაგვარი იდეოლოგიური იდეალებისათვის ფანატიკურად თავდადებული არაერთ პიროვნების სახე შექმნა.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ გ. ბააზოვის შემოქმედებაშიც, მათ შორის, დასახელებულ პიესაშიც, საქმაოდ ხელშესახებად იგრძნობა ეს ტენდენცია.

აქვე ვიტევი იმასაც, რომ „განურჩევლად პიროვნებისა“, ჯბააზოვის განხილულ დრამატულ ნაწარმოებებთან შედარებით, მხატვრული თვალსაზრისითაც სუხტი პიესას. მისთვის დამახასიათებელი „ნაკლოვანი მხარეებიდან, განსაკუთრებით, აღსანიშნავია ერთგვარი ხელმატურობა. რამდენიმე ხასიათის გარდა, უმრავლესობა ნაკლებად ინდივიდუალიზებულია. მართალია, თითოეული მათგანი გარკვეული იდეის მატარებელი და შინაარსობრივად საქმაოდ დატვირთულია, მაგრამ ადამიანური ცხოველმჟოფფელობის თვალსაზრისით მკრთალია და ვერ არის ჯეროვნად გაცოცხლებული... მოქმედი პირები, განსაკუთრებით დადებითად, ხშირად საჩვენებელ ლაპარაკს შიმართავენ. ამის შედეგად გვხვდება წმინდა აგიტაციური ხასიათის რეპლიკები და მონოლოგები“ (გ. ციციშვილი, ქართული საბჭოთა დრამატურგია, 1962 წ. გვ. 579).

პიესის მიხედვით, მოქმედება ერთ-ერთ პოლიგრაფიულ საწარმოში ხდება. სტამბის დირექტორი ზურაბი წარსულში ცნობილი რევოლუციონერი იყო. ძველი დამსახურების გამო პარტიის მიერ დაფასებულ-პრივილეგირებული და მეტისმეტად გაამაჟებული ეს ბიუროკრატი ხელმძღვანელი, რომლისთვისაც ახლა პირადი კეთილდღეობა ქცეულა ცხოვრების უმთავრეს მიზნად, მწერალმა დაუპირისპირა მისსავე მოადგილეს,

საქმისთვის, პარტიულ-რევოლუციური იდეებითვის, თავდადებულ კორნელის. დრამატურგმა ცადა აქტორული დაპირისპირებისათვის, პირველ ყოვლისა, სოციალური დოკუმენტისა და კორნელის პრძოლა ზურაბის დატვირთვა მიეცა და კორნელის პრძოლა ზურაბის უსაქმერობისა და ფუქსავატობის წინააღმდეგ სოციალისტური ქოქის სამსახურში აქტიურად დამდგარი კაცის სამაგალითო ქმდებად წარმოებახახა.

მართალია, კორნელის დაპირისპირებას ზურაბთან სხვა საფუძველიც მოქმედება – მისი ცოლი ზურაბის საყვარელი ხდება – მაგრამ კორნელის პიროვნული აღშფოთება, რაც ხდება – მაგრამ კორნელის პიროვნული აღშფოთება, რაც ხდება – მეტისმეტად ზედაპირულად და სუსტად ვლინდება, პიესაში მეტისმეტად ზედაპირულად და სუსტად ვლინდება, მთლიანადაა დაქვემდებარებული საქმეები ინტერესებს. იმის შეშით, რომ მისი მოქმედება „ბოლშევიკისათვის უმართებულო საქციელად“ არ ჩაეთვალათ, კორნელი, ვაქტობრივად, ერიდება, საქვეყნოდ დასდოს ბრალი ზურაბს მის ცოლთან ინტიმურ ურთიერთობაში. გამომძიებლის შეკითხვაზე - „იქნებ თქვენ ეჭვიანობა, შურისძიების სურვილი გალაპარაკებთო“, იგი მშვიდად პასუხობს: „ეს იქნებოდა ბოლშევიკისათვის უმართებული საქციელიო“.

კორნელი ღელავს და აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ზურაბის უსაქმერობით სტამბა დავალებებს ვერ ასრულებს, მაგრამ იმის თაობაზე, რომ მან მისი ოჯახური სიწმინდე შეურაცხყო და გათელა, სიტყვის სმამალდა თქმაც კი ბოლშევიკისათვის შეუფერებელ საქციელად მიაჩნია.

კორნელი ამ თვალსაზრისით გამონაჯლისი არ არის და იმავე პოზიციაზე დგას პიესის მეორე პერსონაჟიც – კანტორიც, რომელსაც მსგავსი ამბავი ადრე გადახდენია თავს. ამდაგვარ პიროვნულ საკითხებზე დარღი და გლოვა კანტორს ბოლშევიკისათვის შეუფერებელ მოქმედებად მიაჩნია. კორნელის შეკითხვაზე – მაშ, „შენის აზრით, ბოლშევიკს გრძნობა არ უნდა ჰქონდეს?“ - კანტორი უპასუხებს: „გრძნობა - ერთია, ხოლო მისი ათვისების პროცესები სხვადასხვა-ნაირია. კაპიტალისტური სისტემის პირობებში ადამიანს, რომელსაც შეემთხვა ოჯახური ტრადედია, სხვა გამოსავალი არ რჩება თუ არა თვითმკვლელობა. ეს გასაგებიცაა. იმ

ადამიანებს მიზანი არა აქვს. მაგრამ ჩვენში...  სხვ / სხვ  
ამბავია... ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას... ჩვენა სამყაროს. პარტია - ეს არის ის უძლეველი ძალა, ორმლის თვალებით მზერა იხსნის ყოველ მის წევრს პირადი განსაცდელის ფამს: „როგორი სიმართლეა“, - ძალამიცემული წამოიძახებს ქანტორის სიტყვების მოსმენით გამხნევებული კორნელი და, თითქოს არაფერიც არ მომხდარა, თავის ოჯახურ ტრაგედიაზე შემდგომ თითქმის აღარაფერს აღარ ამბობს.

ვფიქრობ, დასახელებული მაგალითიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმაზე, რამდენად იდეოლოგიზებულია ნაწარმოები.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ერთი მხარე პიესისა. მწერალი მკითხველის უურადღებას მიაპყრობს აგრეთვე ზურაბის საზოგადოებრივ უსაქმურობას და ფუქსავაგაბურ ცხოვრებას. პიესაში მკაცრადაა მხილებული და დაგმობილი ერთ დროს თავდადებული რევოლუციონერის უმოქმედობა და ის აზრია გატარებული, რომ „ძველი დამსახურებით ცხოვრება დღეს აღარ შეიძლება“, რომ წესრიგის დაცვა, დაკისრებული მოვალეობისთვის პასუხისმგებლობა, უკლებლივ ყველას ევალება, „განურჩევლად პიროვნებისა“. თავდაპირველად, ძველი დამსახურებისა და იმის გამოც, რომ ზურაბს „დიდი გავლენა და ნაცნობობა“ პქონდა, იგი ხელშეუხებელ და საყოველთაო პატივისცემით გარემოსილ პიროვნების წარმოადგენდა. კორნელი თავიდან ბევრს ეცადა დადუჭვისაგან დაეხსნა უფსკრულისაკენ დაქანებული მეგობარი. იგი გულწრფელად წუხდა იმის გამო, რომ წარსულში სახელგანთქმული რევოლუციონერი „თვითქმაყოფილების გრძნობაშ შეიპყრო“ და „წინანდელი ცეცხლი და ენერგია გაუქრა“. მაგრამ არაფერი გამოვიდა და მის ამ მცდელობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ზურაბმა ახლა კორნელისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ წამოიწყო ბრძოლა და სტამბიდან მათი გაშვება მოინდომა.

მაგრამ საბოლოოდ „ფხიზელმა პარტიულმა თვალმა“ თავისი ქნა და ზურაბის ნამდვილი სახეც გამოაშკარავდა.

პიესის ბოლოს მწერალი წარმოგვიდგენს სტამბის კოლექტიფის  
წინაშე ცრემლნარევი აღსარებით გამოსულ ზურაბს შემცირებული  
რომელიც გულახდილად აღიარებს დაშვებულ შეცდომის მიზანთვა  
და პატიებას ითხოვს მათ გამო: „მე ვუდალატე პარტიას,  
კირად მეგობრებს, თვით შრომის ორდენს... ამხანაგებო,  
მაპატიეთ... ყველამ... მე დავძლევ თავს... დავიწყებ კვლავ  
თავიდან... ამხანაგებო... ოღონდ ნუ დამტოვებო პარტიის  
გარეშე... ნუ მომისპობო ჩემი ცხოვრების მიზანს“...

ზურაბის ამ სიტყვებით ნათლად იკვეთება არა მარტო  
მისი სულიერი სასოწარკვეთა და ამ სასოწარკვეთის  
განმაპირობებელი მიზეზები, არამედ მთელი ის პათოსიცა  
და სულისკვეთებაც, როთაც გ. ბააზოვის პიესაა განმსჭვალული.  
აქევ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ თვალსაზრისით გ. ბააზოვი  
გამონაელისი არ არის და იმ პერიოდის გაბატონებულ  
იდეოლოგიად დამკვიდრებული ამდაგვარი თვალთახედვა 20-  
30-იანი წლების ე. წ. საბჭოთა მწერლობის მრავალი  
წარმომადგენლისათვის იყო შემოქმედებითი მოღვაწეობის  
უმთავრეს მსოფლმხედველობრივ მიზანს წრაფვად ქცეული.

#### დ) „იცკა რიჟინაშვილი“

გ. ბააზოვის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი  
უჭირავს ტრაგედიას „იცკა რიჟინაშვილი“, რომელიც 1936  
წელსაა დაწერილი და, ფაქტობრივად, მწერლის უკანასკნელ  
თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. პიესის  
რევოლუციურმა თემატიკამ იმთავითვე განსაზღვრა მისადმი  
გამორჩეული ინტერესი, რაც იმით გამოიხატა, რომ იგი  
წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

„იცკა რიჟინაშვილი“ ისტორიულ-დოკუმენტური მასალით  
შთაგონებული პიესაა. კერძოდ, იგი ეძღვნება ცნობილი  
ებრაელი რევოლუციონერის - იცკა რიჟინაშვილის ცხოვრებას  
და რომანტიკული პათოსით მოგვითხრობს იმ მოვლენებზე,  
რომლებიც 1904-1906 წლებში დატრიალდა ჩვენში. მიუხედავად  
იმისა, რომ ნაწარმოების ცენტრალური გმირი იცკა  
რიჟინაშვილია, დრამატურგი არ იფარგლება მხოლოდ მისი  
ცხოვრების აღწერით და პერსონაჟთა მრავალფეროვან სახეებს

ქმნის, რის შედეგადაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოებრივი კითარების ნაირუცხულება უკავშირი

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პიესაში, მართალია, უკავშირი მაგრამ მაინც, უკვე იგრძნობა მოვლენათა არასწორხაზობრივი მსოფლმხედველობრივი განსჯა-გააზრების ტენდენცია, რის შედეგადაც მთავარი პერსონაჟის რეცოლუციური ფანატიზმის გვერდით მკაფიოდ იკვეთება სხვადასხვაგვარად მოაზროვნე პიროვნებათა მხატვრული სახეებიც და მწერალიც აღარ ცდილობს მსოლოდ შიშველი ტენდენციურობითა და იდეოლოგიური ცალმხრივობით გაიაზროს მოვლენები.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გ. ბააზოვის პიესა გაბატონებულ სახელმწიფო ორგანიზაცია პოლიტიკასთან ოპოზიციურად დაპირისპირებული ნაწარმოები იყოს და დრამატურგი მიზნად ისახავდეს რეცოლუციური იდეოლოგიის კრიტიკული თვალთახედვით განსჯას. რასაკვირველია, არა. გ. ბააზოვი თავისი ამ ნაწარმოებითაც ძირითადად ერთგული რჩება მისი შემოქმედების მსოფლმხედველობრივი პრინციპებისა.

„იცკა რიუინაშვილში“ მეტი ძალმოსილებით გამოვლინდა ავტორის მხატვრული ოსტატობა, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა ლიტერატურული ტიპაჟი, მეტი სიმკვეთრითა და შთამბეჭდაობით გამოიკვეთა პერსონაჟთა ინდივიდუალური ადამიანური ბუნება.

ვინაიდან აქაც, მწერლის სხვა ქმნილებების მსგავსად, მოქმედ პირთა უმეტესობა ებრაელები არიან, გ. ბააზოვი კვლავ დიდ უურადღებას აქცევს ებრაელთა ეროვნული, სარწმუნოებრივი და ყოფითი ადათ-ტრადიციების აღწერა-დახასიათებას.

პიესაში მოქმედ პირთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გალერეა გამოყვანილი. აქ არიან როგორც ისტორიულად ცნობილი პერსონაჟები, ისე მწერლის ფანგაზიით შექმნილი გმირებიც. მათგან ცენტრალური ადგილი იცკა რიუინაშვილს ეთმობა და ყველა სხვა პერსონაჟის მხატვრული ფუნქცია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მისი სახის გამოკვეთასთანაა დაკავშირებული.



როგორც ითქვა, ამ მიზანს მწერალმა ისტორიულად ცნობილ პიროვნებათა მხატვრული სახეების გამოძერების შესრულებისათვეს მცდელობაც დაუკავშირა (მაგალითად, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ლადო მესხიშვილი), მაგრამ მისი ეს სურვილი პიესაში ფაქტობრივად სათანადოდ ხორცშეუსხმელ განზრახვად დარჩა და მათი ხასიათების ინდივიდუალიზება ვერ მოხერხდა. თხრობის პროცესში ეპიზოდურად ჩართული ისტორიული პიროვნებანი, სამწუხაროდ, სქემატურად მოხაზული ფრაგმენტული სახეების დონეზე დარჩნენ. ავტორმა ვერ გამოკვეთა მათი ადამიანური ბუნება, ვერ მიანიჭა მათ ის ინდივიდუალობა, რომელიც ისტორიულად კარგად ცნობილ ამ პიროვნებებს ცოცხალ სახეებად დაამკვიდრებდნენ ჩვენს ცნობიერებაში და ამით მნიშვნელოვან ფუნქციურ დატვირთვას შესძენდნენ ნაწარმოებს.

პიესის მთავარი მოქმედი გმირის მხატვრულ სახეში მწერალმა განსახიერა იდეისათვის თავდადებული პიროვნება, რომელიც ჟველაფერს, თვით სიცოცხლესაც კი, სწირავს თავის რომანტიკულ იდეალს. ეს იდეალი ხალხის ბედნიერებისათვის რევოლუციური ბრძოლაა. გ. ბააზოვმა ძალა და ენერგია არ დაიშურა საიმისოდ, რომ იცა რიუინაშვილის სახით სწორედ ამდაგვარად იდეალიზებული ადამიანის ტიპი გამოეძერწა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გმირის ადამიანური ბუნებისა და რევოლუციური საქმიანობის იდეალიზების ავტორისეული მიზანსწრაფვა მყაფიოდაა აღბეჭდილი 30-იანი წლების იდეოლოგიური პოლიტიკით. ასე რომ, იცკას პიროვნული ინდივიდუალობის განსაღიძებლად დრამატურგის მიერ წინა პლანზე წამოწეული ზოგიერთი ნიშან-თვისება უშუალო ანარეკლია იმდროინდებული პოლიტიკური ვითარებისა, რაშიც, ცხადია, არაფერია მოულოდნელი. 20-30-იანი წლების ჩვენმა მწერლობამ ხომ განსაკუთრებით დიდი ძალის ხმევა მოახმარა რევოლუციონერის, ხალხის ბედნიერებისათვის თავგანწირვით მებრძოლი პიროვნების განდიდებას და იდეალური სქემაც კი შექმნა მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა. გ. ბააზოვის ტრაგედიის

მთავარი გმირის პიროვნული პორტრეტი თითქმის მთლიანად ექცევა ამ სქემის ფარგლებში და მწერალი იმდოორი იდეოლოგიური თვალთახედვით წარმოაჩენს მისი დადასტურული ბუნებისა და რევოლუციური მსოფლმხედველობის არსებით მხარეებს. ეს ენია: ეროვნული გრძნობის სრული დაქვემდებარება ინტერნაციონალიზმის პრინციპებთან, ადამიანის პიროვნული ცხოვრების პოლიტიზება და სუბიექტურ მისწრაფებებზე, ფაქტობრივად, უარის თქმა, ნაპილისტური დამოკიდებულება რელიგიისადმი, ეროვნული და ყოფითი ტრადიციებისადმი გულგრილობა...

ამ პრობლემების იცა რეჟინა შვილისეული განსჯა, შეიძლება ითქვას, ტიპურად შეესაბამება იმდროინდელ რევოლუციურ იდეოლოგიას. გ. ბააზოვი რომანტიკული გზნებითა და დიდი ადამიანური სითბოთი აღწევს თავისი გმირის თავგანწირულ ბრძოლას ხალხის ბედნიერებისათვის და ცდილობს გარევაეულ წილად პიპერბოლიზებული ფორმითაც კი გამოკვეთოს ყველა ის პიროვნული ნიშან-თვისება, რომელიც აღამაღლებს და მონუმენტურობას შესძენს მას.

მოქმედება 1904 წელს იწყება ქუთაისში. ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სახალხო მოძრაობა თანდათანობით იკრებს ძალას და ფართო მასშტაბებს მოიცავს. ამ მოძრაობის ცენტრში თავიდანვე ექცევა ახალგაზრდა გიმნაზიელი იცა რიჟინა შვილი. თავის მეგობრებთან ერთად იგი სათავეში უდგება ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მოწაფეთა გამოსვლას. მალე კითარება იმდენად გამწვავდა, რომ „ბურჟუებთან მოჩხუბარი“ ახალგაზრდა რევოლუციონერი იძულებული გახდა არა მარტო ქუთაისი დაეტოვებინა, არამედ რუსეთიც და ლაიპციგისთვის შეეფარებინა თავი. ქუთაისშიც და გერმანიაშიც იცა ირგვლივ ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ ახალგაზრდათა მრავალრიცხოვანი ჯგუფია შეკრებილი. ისინი ხშირად განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე დგანან და სხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი ქვეყნისა და ხალხის სამომავლო გზათა ძიება. მწერალი ცდილობს მთელი თავისი მრავალსახოვნებით წარმოაჩინოს ამ ახალგაზრდების

იდეური მრწამსი და ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას სამაც ურთიერთდაპირისპირებაზე, რომელიც მათ შორის არსებობდა შეხედულებათა განსხვავებულობის გამო.

იცკა რიჟინა შვილი თავიდანვე მოაქცია ავტორმა მრავალმხრივ წინააღმდეგობათა რკალში. ერთის მხრივ, მას დასაჭერად დასდევს ხელისუფლება იმის გამო, რომ იგი აქტიურად იძრძვის მის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, მწვავე შეჯახება უწევს გიმნაზიის შავრაზმელ მასწავლებლებთან, რომლებიც შეურაცხყოფენ და ძაღლის ენას უწოდებენ იცკასათვის მშობლიურ ენად ქცეულ ქართულს, მესამეს მხრივ, მასზე აღრენილი არიან მისივე ერის წარმომადგენლებიც, კინაიდან ის უპატივცემულოდ ეკიდება მათ ეროვნულ და სარწმუნოებრივ ტრადიციებს. მდგომარეობა იმდენად მწვავდება, რომ იცკა იძულებულია დროებით გერმანიას შეაფაროს თავი.

როგორც ზემოთ ითქვა, თავისი პიესის გმირი მწერალმა იდეისთვის თავშეწირულ ისეთ პიროვნებად დახატა, რომლის მთელი ცხოვრება, თვით ყველაზე ინტიმური გრძნობებიც კი, პოლიტიზებულია. ამის დასტურად მინდა ნაწარმოებიდან შემდეგი გამოხილი გავიხსენო: საზღვარგარეთ მიმავალი იცკა, წეთით მიჯნურთან გამოსამშვიდობებლად განმარტოებული, ქალს იმის პირობას ართმევს, რომ იგი მარტო სინუსისა და კოსინუსის ფორმულების დაზეპირებით არ დაიღლის თავს და სისტემატურად წაიკითხავს ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ლენინის წიგნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკან დაბრუნებული „ხმას არ გასცემს“. სხვანაირად ის „ჩამორჩება მის საუკეთესო მეგობრებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში“. იცკა პათეტიკური თვითდაჯერებით არიგებს სატრიუმოს, რომ „რევოლუციონერი სევდამ არ უნდა დახდლიოს... რევოლუციონერი ბედს კი არ უნდა ურიგდებოდეს... რევოლუციონერი უნდა იბრძოდეს ბედის გარდასაქმნელად...“

იცკას დრმად სწამს, რომ რევოლუცია ცხოვრებით დაბეჭავებულ იდამიანთათვის ერთადერთი ხსნაა. რაც შეეხება ეროვნულ პრობლემას, იგი თუმცა ერთგან ამბობს, „ებრაული

საკითხი მაშინ გადაწყვდება, როცა სოციალური რევოლუცია მოხდება“, მაგრამ, ფაქტობრივად, ამ საკითხით არა არავითარ დაინტერესებას არ იჩენს. ამ შემთხვეულების მსოფლმხედველობა თითქმის მთლიანად თავსდება სოციალდემოკრატთა ინტერნაციონალური მოძღვრების არეალში და მას ეროვნული პრობლემა განსაკუთრებული ყურადღების საგნად არასოდეს უქცევია.

ამ ოვალსაზრისით შეტად მნიშვნელოვანია იცკასა და მისი სტუდენტი მეგობრის – იქნიელ ჩიკვაშვილის პაექტობა, რის შედეგადაც მკაფიოდ იკვეთება ეროვნული პრობლემისადმი ორი არსებითად განსხვავებული მიდგომა. იქნიელი, თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა ებრაელი, წებეს იმის გამო, რომ რევოლუციური იდეებით გატაცებული მისი მეგობარი, ესოდენ „განათლებული, ჭიშვიანი და ნიჭიერი კაცი“, ასე შორს დგას თავისი ერისაგან და არასოდეს გაუჰკეთებია მშობელი ხალხის „ისტორიული ბედ-იდბლის ღრმა ანალიზი“.

იცკა მისი მეგობრის ამდაგვარ პატრიოტულ აღტკინებას ძილისმომგვრელ „ლირიკას“ უწოდებს, ისტორიის რომანტიკულად, ზერელედ შესწავლის შედეგს, რადგანაც სწამს, რომ „ისტორიის მანძილზე იჩაგრებოდა მხოლოდ ღარიბი ხალხი. ინკვიზიციის, პაგრომების და ყველა უბედურების დროს მდიდრები ახერხებდნენ გადარჩენას, ღარიბები კი წყდებოდნენ“. როგორც კხედავთ, იცკას ამ მსჯელობაში ეროვნული პრობლემა, მთელი თავისი ისტორიული განზომილებით, მთლიანადაა დაქვემდებარებული მხოლოდ სოციალური და კლასობრივი უსამართლობის მხილებით და მისთვის სრულიად უცხოა პატრიოტიზმის ის განცდა, რომელიც იქნიელისა და მისებრ „ნაციონალისტურად“ მოაზროვნე ადამიანებისათვის სიცოცხლის მთავარ მიზანსწრაფვად იყო ქვეული.

ებრაელთა ისტორიულ სამშობლოზე მეოცნებე იქნიელს იცკა „დაბნეულ კაცს“ უწოდებს და შეუვალი თვითდაჯერებით ეუბნება: „ჩვენი სამშობლო არის ყველგან, სადაც მშრომელი ხალხია, ხოლო მშრომელი ხალხი ყველგან ბედნიერი იქნება,



სადაც დაამხრობს თვითმკურობელობას და თვით გახდება გატონ-პატრონი თავისი ბედისა“. ასე ბრმად და უკრიტიკულად ლებულობს გ. ბააზოვის ტრაგედიის მთავარი გმირი ცირკულაცია ციალ-დემოკრატიული მოძღვრების ამ ერთ-ერთ ძირითად თეზის, რითაც ეროვნულ პრობლემას, ფაქტობრივად, მოძველებულ, ყავლგასულ საქითხად მიიჩნევს.

მეგობრის ეროვნული ნიშილიზმით გულნატკენი იქნიელი გაინც თავისას შეება და გერმანიაში მიმავალ იცკას ერთხელ კიდევ დაბეჯითებით თხოვს, მეტად დაუკვირდეს ებრაელი ხალხის ისტორიას და უფრო გულისყურით შეისწავლის მისი ტკივილები.

იმავე თხოვნას უმეორებს იცკას ბიძამისი სიმანტობიც: „ისრაელი ხარ, ლოცვაზე იარე ხოლმე – ხანდახან მაინც... რჯული არ დაგავიწყდესო“, - ეუბნება იგი იცკას საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, მაგრამ ამით, ფაქტობრივად, არაფერი იცვლება, რადგანაც იქნილისა და სიმანტობის ამდაგვარი „ნაციონალისტური“ ქადაგებანი მას რევოლუციონერისათვის მიუღებელ იდეალ სიბრმავედ და ძელი ყოფის გადმონაშთად მიაჩნია.

იცკას ეროვნული ნიშილიზმის ფონზე კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს მისი ფაქტი სიყვარული საქართველოსა და ქართული ენისადმი. პიესაში მწერალმა არაერთგზის მიაქცია ყურადღება ამ ფაქტს. გავიხსენოთ, მაგალითად, ასეთი ეპიზოდი: ლაიპციგში მყოფი იცკა და მისი მეგობრები მოულოდნელად შეიტყობენ საქართველოში ხელისუფლების მიერ ამბოხებული ხალხის დახოცეის ამბავს. პირველი, რაც ამ ამბის შეტყობით აღშფოთებულმა იცკამ განაცხადა, ის იყო, რომ ასეთ ვითარებაში ლაიპციგში მათი დარჩენა და იქიდან მოვლენებისათვის თვალის დევნება „მიუტევებელი დანაშაული და საზიზდარი ეგოიზმი იქნებოდა“ და დაბეჯითებით მიმართავს მეგობარს, რომ მათი „ადგილი ეხლა იქ, სამშობლოში, პატიოსან მუშებთან და მებრძოლებთან“ იყო. იცკას მიერ წარმოთქმული ამ მგზნებარე სიტყვებით კიდევ ერთხელ გამოვლინდა საქართველოსადმი ის დამოკიდებულება, რომელიც ებრაელ ხალხს ბუნებრივ

ადამიანურ გრძნობად უყალიბდებოდა ოცდაექვსი საათის  
მანძილზე.

რევოლუციური მოძრაობის აზვირთების გამო გერმანიიდან  
საქართველოში დაბრუნებული იცკა განახლებული ძალით  
განაგრძობს ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. უფრო  
და უფრო იზრდება მის თანამოაზრეთა წრე. განსხვავებით  
სხვა პერსონაჟებისაგან, გ. ბააზოვი ცდილობს ცალმხრივი  
სწორხაზოვნებით არ გაიაზროს პიესის მთავარი პერსონაჟის  
ადამიანური ბუნება და ამ „ფანატიკოსი რევოლუციონერის“  
(მწერლის სიტყვებია) სულ ში შიგადაშიგ თავჩენილი  
დაეჭვებაც გამოხატოს იმ მსოფლმხედველობრივი პრინციპების  
სამართლიანობის გამო, რომელთაც ბოლშევიკები და მათ  
შორის თავადაც ემსახურება.

მართალია, ამდაგვარი დაეჭვება მის სულ ში დროებით  
იჩენს თავს, მაგრამ იმ პერიოდისათვის, როცა ნაწარმოები  
იწერებოდა (1936 წ.), ამ მომენტის ასეთი თითქოსდა  
შემთხვევითი აქცენტირებაც კი შეიძლებოდა ქცეულიყო  
იდეოლოგიური ცდომილების გამოხატულებად. მხედველობაში  
მაქას იცკას მიერ ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ მას  
მიუღებლად მიაჩნია ზოგიერთი საკითხის ბოლშევიკური  
გადაწყვეტა და „სხვებსაც უნდა უგდონ ყური“. „რატომ არ  
უნდა მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროში?  
რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ასეთი დიდი ტრიბუნა,  
საიდანაც აშკარად ვეტყვიოთ მთავრობას, რაც რომ ხალხს  
სტკივა?“, - დაეჭვებით უბნება იცკა მუშა-ბოლშევიკ ამბროსის,  
რომელსაც უკიდურესად აშფოთებს „რევოლუციონერის ასე  
მსჯელობა“ და ამ ფაქტს მის „სულმოკლეობად და  
საშინელებად“ თვლის.

იცკას დაეჭვებას ამბროსი გულგატებილობად და  
პარტიული პრინციპებიდან უკან დახევად მიიჩნევს: „შენ  
დაიღალუ, გული გაგიტყდა, ეჭვებმა დაგიპყრეს“, - უბნება  
იგი იცკას. ასევე აფასებს მეგობრის მოქმედებას დადაშიც:  
„გიყურებ, იცკა, და ვეღარ გცნობ. ნუთუ ეს შენა ხარ? შენ,  
რომელიც სხვებს ამხნევებდი, გასამხნევებელი გახდი?“ იცკას  
ბოლშევიკი მეგობრები უყოფმანოდ გადაწყვეტენ, რომ „ასეთ

დაჭვებულ ამხანაგთან აწი საქმე აღარ დაიჭირონ, რადგანაც  
ამდაგვარმა ეჭვებმა იგი შეიძლება უფსკრულამდე მიიყვანონ".

ასეთი არაორაზროვნებით წარმოაჩენს მწერალი იცხვანელი  
და მის ბოლშევიკ მეგობრებს შორის გაჩენილ უთანხმოებას.  
ამ „ფანატიკოსი რევოლუციონერის“ მიერ წარმოთქმული  
სიტყვები, რომ ის სიმართლეს ეძებს და ძიების ამ გზაზე  
ჭვები უდრდნის გულს, არათუ დამაფიქრებელი და  
გასაზიარებელი გახდა თანამებრძოლთათვის, არამედ  
დალატად შეფასდა, სულმოკლეობად, შიშნეულ  
გულგაბეჭილობად და ოდნავი თანაგრძნობაც კი ვერ  
გამოიწვია რომელიმე მათგანში.

ვფიქრობ, გ. ბააზოვის პიესაში იცხას სულიერ-  
მსოფლმხედველობრივი დაუჭვების ამდაგვარი აქცენტირება  
შემთხვევით მოვლენა არ არის და ამით მწერალმა შინაგანად,  
თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც, თავისი თპოზიციური  
დამოკიდებულებაც გამოხატა იმ ბრმა ფანატიზმისადმი,  
რომელიც რევოლუციური მოძრაობის ბევრ წარმომადგენელს  
ახასიათებდა იმხანად.

მიუხედავად იმისა, რომ ტრაგედიის ცენტრალური  
პერსონაჟი იცხა რიგინაშვილია, მწერალმა ასევე დიდი  
სიუვარულით დახატა მისი გარემომცველი წრეც ეხენი არიან  
იცხას მშობლები, დედმამიშვილები, მეგობარ-თანამოაზრენი,  
კლასობრივი მტრები და იდეური მოწინააღმდეგენი. ბევრი  
მათგანის მხატვრული სახე, მიუხედავად მათი გაიზოდურობისა,  
საკმაოდ ინდივიდუალიზებულია და კოლორიტული  
შთამბჯდაობით გამოქერწილი.

## კუბლიცისტიპა

გერცელ ბააზოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობის  
შესწავლის დროს, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა,  
ფერადება უნდა მიექცეს პუბლიცისტურ წერილებსაც. ოციან  
წლებში დაწერილი და გამოქვენებული ამ წერილების დიდი  
ნაწილი, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არსებითად  
უცნობი და ხელმიუწვდომელი, სხვა მნიშვნელოვან

დოკუმენტურ მასალებთან ერთად, როგორც ითქვა, მოიძია, დასაბეჭდად მოამზადა და ცალკე კრებულად გუმრის უსასხლების ბააზოვმა (იხ. მისი დასახ. წიგნი).

გ. ბააზოვის პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების მსოფლმხედველობრივი მიზანის წრაფვა რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ განსხვავების ძირითად გამოვლინებას პირადად მე იმაში ვხედავ, რომ მწერლის ბეჭდეტრისტიკასა და დრამატურგიაში, განსხვავებით პუბლიცისტიკისაგან, ავტორის ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, იმდროინდელი სოციალური მოვლენებისკენაა მიპყრობილი.

ეს გარემოება, ჩემის აზრით, იმითაა განპირობებული, როგორც ბააზოვის მხატვრული ნაწარმოებების უმეტესი ნაწილი პუბლიცისტურ წერილებზე გაცილებით უფრო გვიან დაიწერა, კერძოდ იმ დროს, როცა ქვეყანაში უკვე ტოტალურად იყო აღზევებული ბოლშევკიური იდეოლოგია და იმხანად მოღვაწე თითქმის ყველა მწერლის მსოფლმხედველობას ამ იდეოლოგიის დოგმატური ნარჩოები ბოჭავდა მეტ-ნაკლები ძალით.

ვინაიდნ, ამ გარემოებამ არსებითი როლი შეასრულა იმაში, რომ ოციანი წლების მეორე ნახევრიდან, იმხანად მოღვაწე ბევრი ჩვენი მწერლის მსგავსად, ნებსით თუ უნებლივედ, გრძააზოვის მსოფლმხედველობაშიც ხდება აშკარა იდეოლოგიური გარდატეხა, რის გამოც არსებითადაც კოიცვლება მისი მანამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ეროვნული თვალთახედვა და სამომავლი განვითარების პერსპექტიულ გზათა ძიება განუყოფელად უკავშირდება პარტიისა და ხელისუფლების მიერ ნაქადაგევო სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებას.

თავისი პუბლიცისტური წერილობის უმეტესობა ავტორს თუმცა სრულად ახალგაზრდას – 19-20 წლისას – აქვს დაწერილი, მათში ფართო მასშტაბურობით ვლინდება მწერლის ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვა, ცხოვრებისუფლი პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა, მოვლენათა განზოგადებული ანალიზის ნიჭი და უნარი. ამ



წერილების უმთავრესი სულისკვეთება ებრაელი ხალხის წარხულზე, აწმყოსა და მომავალზე დაუცხრომელი ფიქრით განსაზღვრული. ისინი მთელი სიმწვავით წამოჭრის ქართველი ებრაელების წინაშე იმ დროისათვის მდგარ პრობლემებს. მაგრამ გ. ბააზოვი არ კმაყოფილდება პრობლემათა მხოლოდ უბრალო დასმით და აქტიურად ეძებს მათი გადაწყვეტის გზებსაც. ამ შემთხვევაში იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც ღრმად დაფიქრებული მამულიშვილი, რომლის მახვილი პუბლიცისტური სიტყვა განხოგადებული ფორმით წარმოაჩენს ოციანი წლების რთული სოციალური და პოლიტიკური ვითარების, უპირველეს ყოვლისა კი ქართველ ებრაელთა ყოფის, მრავალ საჭიროობო საკითხს.

იმისათვის, რომ დაინტერესებულ მკითხველს რამდენადმე მაინც შეექმნას წარმოდგენა მწერლის პუბლიცისტიკის ეროვნულ-მოქალაქეობრივ თვალთახედვაზე, ფანი ბააზოვის მიერ შედგენილ კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, ქვემოთ შევცდები მოკლედ მიმოვინილო გ. ბააზოვის წერილების პრობლემატიკა.

1923 წელს გაზეთ „ტრიბუნის“ 7, 12, 14 და 16 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნდა გ. ბააზოვის მრავალმხრივ საინტერესო სტატია „წერილები საქართველოს ებრაელებზე“, რომელშიც იხალგაზრდა ავტორი დიდი გულისტკივილით ესაუბრება მკითხველს ქართველ ებრაელთა ყოფის მრავალ საჭიროობო საკითხზე. ეროვნული პრობლემატიკით ესოდენი დაინტერესება გერცელმა, პირველ ყოვლისა, მამისაგან – დავით ბააზოვისაგან მიიღო მემკვიდრეობით. დავითი ხომ, ფაქტობრივად, პირველი ქართველი ებრაელი პუბლიცისტი იყო, რომელიც თავის წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში პოლემიკური სიმწვავითა და შესაშური მახვილგონიერებით სვამდა და აანალიზებდა თავისი ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ არაერთ პრობლემას.

გ. ბააზოვი დასახელებულ წერილში სათანადო პატივს მიაგებს მამის ამ დამსახურებას და ცდილობს ახალი არგუმენტებით განამტკიცოს მისი ეროვნული თვალსაზრისი. იხალგაზრდა მწერლის მიერ მამის ღვაწლისადმი ასეთი

გამორჩეული ინტერესი არამც და არამც არ ნიშნავდ  
მიკერძოებას, ვინაიდან საქართველოში დავთოვთაში რეფ  
მართლაც „იყო პირველი პიონერი, რომელმაც გადასახლების  
ლოზუნგი: „სწავლა-განათლება საქართველოს ებრაელებს“.

იმისათვის, რომ „ათეული საუკუნეების მანძილზე ბეჭედები  
ჭაობში ჩაფლულ“ ქართველ ებრაელობას „თავი გამოეხსნა“  
ამ მდგომარეობიდან, გ. ბააზოვს უპირველეს აუცილებლობად  
მათი ჩამორჩენილი კულტურული ღონის ამაღლება მიაჩნდა.

გ. ბააზოვმა თავისი ცხოვრების უმთავრეს მამულიშვილურ  
მოვალეობად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოხვდის პირველი  
დღეებიდანვე მტკიცედ დაისახა, მთელი ძალა და ენერგია  
სწორედ ამ დიდი ეროვნული მისიის შესრულებისათვის  
მოეხმარებინა და უველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ  
მისი ხალხის „მითვლებილი და ბნელეთის ჭაობში“ ჩაფლული  
ცნობიერება გამოეფხიზდებინა. ამ თვალსაზრისით იგი იმ  
საუკეთესო ტრადიციების დირსეულ მემკვიდრედ და  
გამგრძელებლად მოგვევლინა, რასაც, პირველ ყოვლისა,  
მამამისი ამკვიდრებდა ჩვენში თავისი აქტიური  
საზოგადოებრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობით.

გ. ბააზოვის დასახელებულ სტატიაში, სხვა მნიშვნელოვან  
საკითხებთან ერთად, პოლემიკური განხსჯის საგნადაა ქცევადი  
იმდროინდელ პრესაში საკმაოდ გახმაურებული აზრი  
ქართველ ებრაელთა ეროვნული წარმომავლობის შესახებ.  
ახალგაზრდა პუბლიცისტი ეკამათება სტუდენტ მიხაკო  
ხანანაშვილს, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ  
საქართველოში მცხოვრები ებრაელები ეროვნებით  
ქართველები იყვნენ და მათი ხახედი „ისრაელი ქართველები“  
იყო და არა „საქართველოს ებრაელები“, როგორც ეს დავით  
ბააზოვს ჰგონია.

გ. ბააზოვის თქმით, საკითხის ამდაგვარ დასმას  
საზოგადოებაში დიდი კამათი და პოლემიკური ვნებათა დელგა  
მოპყვა, რაც 3-4 წლის განმავლობაში გაგრძელდა. ამ  
პაექტობაში აქტიურად ყოფილა ჩართული მაშინდელი პრესა,  
რაც დასტურდება ქართულ გაზეთებში („საქართველო“,  
„სამშობლო“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“,

„ერთობა“...) დასტამბული მასალებით. გ. ბააზოვი  
პრინციპულად ეწინააღმდეგება საკითხის ხანანაშვილისეულ  
დასმასაც კი და არა მარტო ამ წერილით, არამედ მოყვარულობის  
თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ცდილობს ყველაფერი  
გააკეთოს ებრაელი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის  
შესანარჩუნებლად. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც,  
რომ ეროვნულობაზე მისი ამდაგვარი დაუცხომელი ზრუნვა  
არასოდეს გარდაიქმნება ნაციონალისტურ სეპარატიზმად და  
არ ემიჯნება სხვა ხალხთა, პირველ ყოვლისა კი ქართველი  
ხალხის, ეროვნულ ინტერესებს.

გ. ბააზოვი ზედაპირულად არ ხედავს ფაქტებს და  
ყოველთვის ცდილობს ქართველ ებრაელთა საჭიროობობრო  
საკითხებზე მსჯელობა განუყოფელად დაუკავშიროს  
იმჟამინდელ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებს. განსხვავებით  
თავისი მხარვრული ნაწარმოებებისაგან, სადაც მწერლის  
თვალთახვედვა ზოგჯერ საქმაოდ რომანტიზებულიცაა და  
პოლიტიზებულიც, პუბლიცისტურ წერილებში გ. ბააზოვი  
უფრო მოვლენათა რეალისტური შეფასების გზას ირჩევს.

თავის ხალხზე უხაზდვროდ შეყვარებული მწერალი  
ნათლად ხედავს ებრაელთა წინაშე მდგარ მწვავე ეროვნულ  
პრობლემებს, რომელთა გადაჭრის გარეშეც, მისი აზრით,  
ზედმეტი იყო ყოველგვარ წინსვლასა და განვითარებაზე  
საუბარი. მიუხედავად მისა, რომ ხანმოკლე დროის მანძილზე  
საქართველოში სამი განსხვავებული ეპოქა შეიცვალა –  
თვითმყრობელობა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის  
ხანა და საბჭოთა ხელისუფლება, „ებრაელთა საკითხი“  
კვლავაც მწვავედ იდგა დღის წესრიგში.

გ. ბააზოვი ბევრს ფიქრობდა იმაზე, რომ ქართველ  
ებრაელობას, რომელსაც არასოდეს განეცადა ჩვენში  
ეროვნული დევნა-შევიწროების საშინელებანი, ფაქტობრივად,  
ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე არ გამოუვლენია  
თავისი დიდი შინაგანი პოტენცია. საუკუნეების მანძილზე  
ისინი, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად იყვნენ მოწყვეტილნი  
გარემონტველ ინტელექტუალურ სამყაროს.

ამ საკითხებზე დრმა მამული შვილური გრძნობით

დაფიქრებული მწერალი, ჭაბუკობიდან ვერა გრიგორ  
საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, გატაცებული და  
ერის ინტელექტუალური გამოფხიზლების გზებს მართვა-გადა  
იცოდა, რომ მოვლენათა მარტო დანახვა-დაფიქსირება არ  
იყო საკმარისი და თავდადებული ქმედების, ძველი,  
დახავსებული ცხოვრების წესზე უარის თქმისა და  
პულტურული აღორძინების გარეშე არაფერი გამოვიდოდა.  
ამიტომაც ცდილობდა, ქართველ ებრაელებს უარი ეთქვათ  
თავიანთ უმთავრეს პროფესიაზე – ჩარჩობა-მეწვრი-  
ლმანებიაზე და სულიერი აღმავლობის ახალ ასპარეზზე  
გამოსულიყვნენ. პუბლიცისტი თავგამოდებით „შტკიცებდა  
მკითხველს, რომ „ჩარჩობა“, რომლის გულისხმისაც ქართველი  
ებრაელი ათასგვარ შეურაცხეოფას იტანდა, როგორც ეს  
ზოგიერთ ანტისემიტს ეგონა, სინამდვილეში არ იყო  
„ებრაელთა ნაციონალური პროფესია“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და პარტიის მიერ  
სიტყვიერად დეკლარირებულმა იდეოლოგიურმა პრინციპებმა  
მწერალს ნაციონალური ხსნის იმედი გაუდვივას. თითქოს  
გახნდა პერსპექტივა იმისა, რომ მთავრობა კველა ავერს  
გააკეთებდა საიმისოდ, „პულტურულად დაბალ საცხეურზე  
მდგომი საქართველოს ებრაელობა“ სულიერად და  
ინტელექტუალურად დაწინაურებულიყო. მაგრამ, როგორც  
1923 წელს დაწერილ ზემოთ დასახელებულ წერილში  
აღნიშნავს ავტორი სინანულით, „განვლო ორმა წელმა,  
არაფერი ისმის, გარშემო სიწენარეა და არავის მოხდის თავში  
საქართველოს ებრაელთა ბანაკში დაანგრიოს აღმართული  
კოშკი დუმილის“.

პუბლიცისტი წესს იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა  
ცხოვრების შესწავლით კვლავაც არავინ იყო დაინტერესებული,  
„წალით თქვენ პროვინციებში, - წერს იგი იმავე სტატიაში, -  
გადახედეთ იქაურ ებრაელებს, იმათ ვითარებას, იმათ  
საქმიანობას და თქვენ გული გეტკინებათ, თქვენ დაგეწვებათ  
თვალები მათი საცოდაობით“ . . .

გ. ბააზოვი ცდილობს გაძარწყლოს საზოგადოების დიდ  
ნაწილში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, თითქოს



ებრაელები „არამშრომელი ელემენტები“ არიან და მათ ფიზიკური შრომისაგან თავის ასარიდებლად მიპყვეს ხელისუფლის სამინისტროს ხარჩობას. ამ მცდარი შეხედულების უარსაყოფად პუბლიკის ცისტებს მოჰყავს რამდენიმე ტიპური მაგალითი მეწვრილმანე ებრაელთა ცხოვრებიდან და ამით ცდილობს ღრმა ადამიანური თანაგრძნობით დაანახოს მკითხველს უმძიმესი ხვედრი სიღარაკით ცხოვრებაშებოჭილი მისი თანამომისა.

როგორც ითქვა, გ. ბააზოვი არა მარტო თავისი კუბლიცისტიკით ქადაგებდა ქართველ ებრაელთა კულტურული დონის ამაღლების აუცილებლობას, არამედ პრაქტიკულადაც აქტიურად იღვწოდა ამ მიმართულებით. ამის დადასტურებაა მისი საქმიანობა ებრაული სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასაარსებლად, აქტიური თანამონაწილეობა ქართულენოვანი ებრაული განეთის - „მაკაველის“ გამოცემის საქმეში და ა. შ.

ამ თვალსაზრისით, იგი იყო ყველაზე ღირსეული მემკვიდრე მისივე სახელოვანი მამისა, მამული შეიიღი, რომლის „შემოქმედებითი სახე, - პავლე გოლდშტეინის სიტყვებით თუ ვიტყვით, - ჩვენს შეგნებაში უკავშირდება საქართველოს ებრაელთა ისტორიაში არნახულ ეროვნულ-კულტურული აღორძინების აფეთქებას ჩვენი საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში. გერცელ ბააზოვი იყო ამ აღორძინების სული და გული, ქართულ ენაზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში ებრაული სულის მაუწყებელი, უდიდესი იუდაისტური კულტურის მხატვარი და ინტერპრეტატორი“ (იხ. ფ. ბააზოვის დასახ. წიგნი, გვ.19).

გ. ბააზოვის ბიოგრაფიის ღირსახსოვარ ფაქტთაგან აქ მინდა გაგიხსენო მისი თავკაცობით ახალგაზრდა ებრაელ სცენისმოყვარეთაგან დრამატული დასის - „კადიმას“ ჩამოყალიბება, სადაც 1925 წელს, სხვა ებრაელ ავტორთა დრამატულ ნაწარმოებებთან ერთად, მისი პიესაც იქნა წარმოდგენილი - „საიდუმლო ბინა“. ორი წლით ადრე კი, თანამოაზრებებთან ერთად, გ. ბააზოვმა ბევრი რამ გააკეთა „საქართველოს ებრაელთა ინტელიგენციის დაფანტული ძალების“ გასაერთიანებლად და ებრაული „დიდი

კულტურული წრის“ - „თარბუთის“ და ხარსებლად დი. დაქან. კრებული, გვ. 193).

ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველი მართლიანი მართლებრივი სწავლა-განათლების დონის ამაღლებას, კერძოდ, მათ დაინტერესებას ებრაული ენით, ისტორიითა და კულტურით, ამ განზრახვით, საზოგადოება აარსებდა პედაგოგიურ და სამეცნიერო კურსებს, სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს, პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებს და ა. შ. „თარბუთი“ ის ევე აუცილებელია საქართველოს ებრაელებისათვის, როგორც წყალი თევზისათვისო, - დაასკვნიდა პებლიცისტი და ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ სიტყვიერი მქადაგებლის როლში კი არ გამოდიოდა, არამედ თავისი დიდი პრაქტიკული წვლილიც შეპქონდა ხალხის ინტელექტუალური დონის ამაღლების საქმეში.

გ. ბააზოვის ამ პატრიოტულ მოღვაწეობას ყველა როდი უქერდა მხარს. ზოგიერთების აზრით, ეს იყო ებრაული სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის გაუმართდებელი გამოვლინება, რაც თითქოს „პრინციპულად მიუღებელ მოვლენას“ წარმოადგენდა სოციალისტური ეპოქისათვის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ბრალმდებლის როლში მოგვევლინა პეტრე მირიანაშვილი, რომელმაც გაზეთ „ტრიბუნის“ 1923 წლის 578-ე ნომერში დავით და გერცელ ბააზოვებს ბრალი დახდო იმაში, თითქოს ისინი „ებრაულ ნაციონალიზმს პგადაგებენ საქართველოს ისრაელს შორის“.

თავისი საპასუხო წერილში, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 1923 წლის 21 ოქტომბრის ნომერში დაისტაბა („ისრაელი ავტონომისტები“ და „ჰემარიტი სოციალისტი“), გ. ბააზოვი პ. მირიანაშვილის სტატიას „ლანძღვა-გინებით შეზავებული წინადაღებების გროვას“ უწოდებს, ხადაც „ქუჩური და დემაგოგიური მანერით“ არის ხაუბარი ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ავტორს „წარმოდგენაც კი არა აქვს“.

გ. ბააზოვი ერთხელ კიდევ იცავს „თარბუთის“ მიზანდასახულებას და „პროგრაციული ენით“ მოსაუბრე ოპონენტს შეაგონებს, რომ მისი ამდაგვარი დაუკვირვებლობისა და წინდაუხედავი მოქმედებისათვის, „ადრე

თუ გვიან, მას დასჭირდებოდა სინაცილი“, ვინაიდან ამო „წინ ეღობებოდა მეზობელი ხალხის კულტურულად წერილობისა და განვითარებას“. 

საბოლოოდ, გ. ბააზოვის დასკვნით, „ჰეშმარიტი სოციალისტის“ ნიდაბს ამოფარებული მისი ოპონენტის „ბრტყელ-ბრტყელი ოთხ სართულიანი სოციალისტური ფრაზეოლოგია სინამდვილეში „უადრესი შოვინიზმის“ გამოხატულ გაბა, რომელიც „ვერ „აცხონებს“ ვერც საქართველოს ებრაელებს და ვერც ქართველ ხალხს, რომელიც ჩვენ მასზე მეტად გვიყვარს“.

1924 წელს, გ. ბააზოვის აქტიური ზრუნვითა და უშუალო თანამონაწილეობით, გამოსვლას იწყებს ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მაკაველი“ - უშუალო გამგრძელებელი იმ ტრადიციებისა, რომელიც 1918 წელს გამოცემულმა გაზეთმა „ხმა ებრაელისამ“ დაამკვიდრა ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ „მაკაველი“ მეტად ხანძოებელ დროის მანძილზე გამოდიოდა, მან მაინც საგულისხმო როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხაქმეში.

გ. ბააზოვი არა მარტო უბრალო ინიციატორი იყო ამ პერიოდული ორგანოს გამოცემისა, არამედ აქტიური ავტორიც. თავისი პუბლიკაციებით მან უდიდესი როლი შეასრულა გაზეთის პროფილის გამოკვეთის საქმეში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველივე ნომერში დასტამბული მისი წერილი - „მაკაველი“, რომელშიც გაზეთის როლსა და დანიშნულებაზეა საუბარი. თავდაპირველად ავტორი სინაცილით ესაუბრება საზოგადოებას იმის თაობაზე, რომ „ისტორიის ულმობელმა კანონებმა ათეული საუკუნეების მანძილზე შევი ნიხლით დაფარა საქართველოს ებრაელთა შორის ყოველგვარი კულტურული მოძრაობა“ და მათი ყოფისათვის მხოლოდ „ინდიფერენციზმი, სრული არარაობა და მარადიული დუმილი“ იყო დამახასიათებელი.

ამის შემდეგ გ. ბააზოვი კმაყოფილებით ამცნობს მკითხველს, რომ ბოლო ხანს ვითარება სახიკეთოდ შეიცვალა და ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ებრაელთა

„ორიათასწლოვანი მაგარი ძილისაგან გამოსაღვმებლად“.  
ამ დიდი ეროვნული იმედის აღსრულებას გურუქული იყო  
ხელისუფლების სათავეში „მშრომელი მთავრობის მიმართას  
უკავშირებდა და იმ დროზე ოცნებობდა, როცა მისი  
თანამემამულენი თავიანთ წელილს შეიტანდნენ „პაცობრიობის  
კულტურულ სალაროში“. ამისათვის მას აუცილებლად  
მიაჩნდა დაძლეული ყოფილიყო ის ინდივერენტიზმი,  
რომელსაც მოეცეა ქართველ ებრაელთა ყოველდღიური ყოფა.

ამ თვალსაზრისით, გ. ბააზოვის აზრით, „უმნიშვნელოვანები  
როლი უნდა შეესრულებინა „მაკავეელს“, რომელსაც იგი  
სიბნელით მოცულ მათ ცხოვრებაში შემოჭრილ სინათლედ  
მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ „მაკავეელი“ მოწოდებული  
იყო, გაეგრძელებინა „ხმა ებრაელისას“ მიერ დამკვიდრებული  
ტრადიციები, პუბლიცისტის თქმით, იგი თავისი წინამორბედების  
უშუალო მემკვიდრეს მაინც არ წარმოადგენდა და ისინი  
„ყოველი მხრივ ორ მოპირდაპირე პოლუხებზე“ იდგნენ.

ამის განმაპირობებელ მიზეზად გ. ბააზოვი იმას ასახელებს,  
რომ „ხმა ებრაელისას“ გამომცემელი იყო „ინტიმური  
ამხანაგობის წრე“, რომელსაც მიზნად პქონდა დასახული  
საქართველოს ებრაელთა დაახლოება და გაცნობა მსოფლიოს  
ებრაელთა მოძრაობასთან. „მაკავეელი“ კი „მოდიოდა როგორც  
სტიქია“, რომელსაც სურდა „საქართველოს ებრაელთა  
ცხოვრების სულსა და გულში შეჭრა“. „ბრძოლა პროგრესისა  
და კულტურისათვის, ბრძოლა სინათლისათვის, დამხობა ძველი  
დრომოქმული რუტინებისა, გარდაქმნა ჩვენი საზოგადოების  
უკუდმართი ყოფა-ცხოვრებისა“ - აი, ის კონკრეტული  
მიზანდასახულება, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის  
უნდა ებრძოლა, მწერლის აზრით, „მაკავეელს“.

სამწუხაროდ, გაზეთსა და მათ ირგვლივ შემოკრებილ  
ავტორებს არ დასცალდათ მიზნის აღსრულება.  
ხელისუფლებამ, რომელზეც ესოდენ იმედებს ამჟარებდნენ  
ეროვნულ აღორძინებაზე მეოცნებე გერცელ ბააზოვი და  
მისი თანამოაზრენი, 1925 წლიდან გააძლიერა „ებრაელთა  
დევნა სიონისტური მოძრაობისათვის და დახურა გაზეთი  
„მაკავეელი“, რომელსაც უშვებდნენ დავით და გერცელ



ბააზოვები და ნათან ელიაშვილი“ (პავლე გოლდშტეინი „რაბინი დავიდ ბააზოვი და მისი ვაჟები“. იხ. დასახ. ქრება კულტურული მუზეუმის მიერ 1998 წელი).

- „დავიდ და გერცელ ბააზოვები“, გვ. 18).

გარდა დასახელებული წერილისა, „მაკავეელში“ გ. ბააზოვმა სხვა სტატიებიც გამოაქვეყნა („რიტუალის“ ლეგენდის გამო“, „14 აღარი“, „ჩვენი გასართობები“, ისტორიული მოთხოვნა „ალფარ როდრიგო“...).

მიუხედავად ეროვნული მოღვაწეობის გზაზე თავმენილი წინააღმდეგობებისა, გ. ბააზოვი გაზეთ „მაკავეელის“ დახურვის შემდეგაც არ იხევს უკან და კვლავაც პტიურად იღვწის ეროვნული იდეალების ხორცებას მელად. ამაზე ნათლად მეტყველებს 1925 წელს შალვა დადიანისადმი გაგზავნილი მისი პირადი წერილები, რომლებშიც თავის უფროს კოლეგასა და მეგობარს დახმარებას თხოვს ქართველ ებრაელთა დრამატული კოლექტივის - „კადიმას“ მუშაობის უკეთ წარმართვაში. გ. ბააზოვი იმედოვნებდა, რომ „ქართველი ებრაელების კულტურული აყვავებით მთელი სულითა და გულით დაინტერესებული“ შ. დადიანი ამ თხოვნას „ჩვეული ენთუზიაზმით“ შეხვდებოდა და პრატიკულად გაუმართავდა ხელს თავის უმცროს მეგობარს.

გ. ბააზოვის პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთი მთავარი თემა ანტისემიტიზმის მძაფრი კრიტიკა. მწერალი უდიდესი გულისტკივილით ამხელს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისტორიის ამ სამარცხვინო მოვლენას და ნათქვამის დასტურად არაერთი კონკრეტული ფაქტი მოჰყავს ებრაელთა დევნის, რბევისა და აწიოკებისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1929 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მე-6 ნომერში დასტამბული წერილი - „იუსტიციის ორგანოთა ამოცანები ანტისემიტიზმთან ბრძოლაში“.

თავისი მამხილებლური პოზიციითა და კრიტიკულ-პოლემიკური პათოსით ეს სტატია არა მარტო გ. ბააზოვის პუბლიცისტიკის საგულისხმო ნიმუშია, არამედ ოციანი წლების საბჭოთა იდეოლოგიურ პოლიტიკასთან შინაგანად რამდენადმე დაპირისპირებული წერილიც. როცა მას

ამდაგვარად ვაფასებ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქეს ის საერთო პოლიტიკურ-სახელმწიფო ებრივი ფრანგული რომელიც იმხანად სუფევდა განახლებულ იმპერიაში.

გ. ბააზოვი გულისტაკივილით საუბრობს ებრაელთა ეროვნულ დევნა-შევიწროებაზე არა მარტო წარსულში, არამედ საბჭოთა ეპოქაშიც. მისი შეფასებით, საბჭოთა ხელისუფლების ხანაშიც, ოუმცა შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც, გრძელდებოდა ანტისემიტიზმის გამოვლინებანი. რუსეთის ძველი იმპერიისათვის ებრაელობისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება ჩვეულებრივი ამბავი იყო. „ცარიზმა და მისმა ნამსხვრევებმა ებრაელთა სისხლით დასწერეს თავიანთი ისტორიის უკანასნებლი გვერდებიო“, - წერს პუბლიცისტი და რუსეთში ფართოდ დამკიდრებული ანტისემიტური განწყობის დასტურად ამ წერილშიც და სხვაგანაც მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტი მოჰყავს.

მაგალითად, 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№538) დასტამბულ წერილში - „დავიდ ფრიშმანი“ გ. ბააზოვი სინაცხლით იხსენებს რუსული მწერლობის იმ უდიდეს ოსტატებს (გოგოლი, ტურგენევი, ლოსტოვკი...), რომელთა ნაწარმოებებში, სამწუხაროდ, მისი აზრით, მძლავრი ანტისემიტიზმია გამოვლენილი. „ყველაფერს ებრაულს ისინი კრიტიკის თვალით უცქერდნენ და არ აინტერესებდათ მიზეზები - სად იყო ძაღლის თავი დამარხული. მეტსაც ვიტყვი: ისინი გამოდგნენ ანტისემიტები!“ გ. ბააზოვის შეფასებით, თვითმცყრობელობის ხანის რუსეთში „ებრაელი პოლიტიკურად მკვდარ სხეულს, შევიწროებულ და უაღრესად ტანჯულ ელემენტს წარმოადგენდა, ხოლო სულიერად - უაღრესად ზნეობრივად დაცემულს და განუვითარებელ შეუგნებელ ბრძოს... ებრაელები თავიანთთვის მისნეულ ქუჩებში უნდა ჩამდრჩალიყვნენ და იმ საზღვარს ვერ გასცილებოდნენ, თორემ ვაი მათ!“

ასეთი იყო რევოლუციამდებარებული სინამდვილე რუსეთში. მართალია, მწერალს ერთგვარი იმედი ჩაუსახა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, მაგრამ ამ თვალსაზრისით განახლებულ იმპერიაში კვლავაც მრავალი მწვავე პრობლემა

წომ იდგა ებრაელების წინაშე, ეს ნათლად გამოჩნდა 1929 წელს დაწერილ ზემოთმითითებულ სტატიაში.

ამის დასტურად გ. ბააზოვს მოპყავს ანტისემიტიზმის სამადასტურებელი ის ფაქტები, რომლებიც, მისი თქმით, გახშირებულად მოდიოდა საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქუთხიდან“.

ასეთ „საწოთირო“ და იდეოლოგიური პოლიტიკის ფალსაზრისით საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელ საკითხებზე გ. ბააზოვი იმისთვისაც საუბრობს ასე ხაზგასმით, რომ ერთხელ კიდევ ხმამადლა გაიმეოროს საქვეყნოდ ცნობილი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ მსგავსი შემთხვევები სრულიად უცხო მოვლენაა საქართველოს ისტორიაშიც და თანადროულ ყოფაშიც. „ჩვენ, - წერს პუბლიცისტი, - არა ერთხელ აღგვინიშნავს და ხაზი გაგვისვია იმ გარემოებისათვის, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც არ იცის ანტისემიტიზმის ცნება, რომ საქართველოში ისტორიულადაც არ ყოფილა პირობები ანტისემიტიზმის განვითარებისათვის და ყოველთვის არსებობდა მეგობრული განწყობილება ებრაელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის“.

მაგრამ, ამ გარემოებისთვის ხაზგასმასთან ერთად, პუბლიცისტი იმასაც აღნიშნავს გულისტკივილით, რომ ზოგჯერ „ჩვენ სინამდვილეშიც არსებულ ბნელ ძალებშიც“ იჩენენ ხოლმე თავს ისეთი შემთხვევები, რომლებიც კროვნულ გაუგებრობებსაც ბადებენ“.

ამის დასტურად იგი, ერთის მხრივ, ასახელებს ჩვენში „ძალიან გავრცელებულ სიტყვა „ურიას“, მეორეს მხრივ კი ე. წ. „ებრაულ ანეგდოტებს“, რომლებიც „სწამლავენ აგმოსფეროს“, „ნელ-ნელა აღვივებენ ანტაგონიზმს და ჩამორჩენილ გლეხობაში ნიადაგს უმზადებენ ანტისემიტიზმს“. ვფიქრობ, ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც აქ ფაქტების აშკარა გაზიადებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ჩემის აზრით, კროვლად გაუქმართლებელია ავტორისეული პარალელი ისეთ სიტყვებს შორის, როგორებიცაა „ურია“ და „ჟიდი“.

ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში მეტნაკლებად ჩახედულ მკითხველს, ალბათ, სრულებით არ დაჭირდება

იმის მტკიცება, რომ სიტყვა „ურია“ (უფრო ზუსტად, ქართული ფორმით „ჰურია“) ჩვენში ფართოდ დამკავდლის სახელი იყო, რომელიც ებრაელის აღსანიშნავად ისწარებოდა და მისი გამოყენება არავითარ ეროვნულ დამცირება-შეურაცხოფასთან არ იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, როგორც ადრინდელი ისტორიულ-დოკუმენტური წყაროები მოწმობენ, მეტ საჭართველოში, საუკუნეების მანძილზე, ებრაელთა აღმნიშვნელ სახელწოდებად, ფაქტობრივად, მხოლოდ ეს სიტყვა იხმარებოდა, ხოლო სახელი ებრაელი მოგვიანებით შემოვიდა და დამკიდრდა ქართულ ენაში.

მართალია, ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან საზოგადოების უბირ და გაუნაოლებელ ნაწილში სიტყვა ურიამ რამდენადმე მართლაც შეიძინა უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობა, მაგრამ ეს, ჩემის აზრით, არ შეიძლება ფართოდ განვაზოგადოთ და ამ სიტყვის მიმართ იმდაგვარი აგრესია გამოვიჩინოთ, რომ იგი ენიდან გავაძევოთ და საერთოდ აკერძალოთ მისი ხმარება. გ. ბააზოვს, ეტყობა, ამ სიტყვით გამოწვეული უარყოფითი ემოციები იმდენად ტკენდა გულს, რომ მასზე მხატვრულ ნაწარმოებებშიც ხშირად აქვს გამახვილებული ყურადღება. მაგრამ ვთქვი და იხსევ გავიმეორებ, საზოგადოების უბირი ნაწილის გაუთვითცნობიერებული პოზიცია არ შეიძლება საერთო ეროვნულ განწყობად მივიღოთ, განვაზოგადოთ და ანტისემიტიზმის გამოვლინებად მივიჩნიოთ.

ახლა რაც შეეხება ანეგდოტებს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც აშკარა გაზიადებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ამ ანეგდოტებში გაზიადებულ-პიპერბოლიზებული ფორმით გამოვლენილი ეროვნული ხასიათის ცალკეული ნიუანსები უფრო უნდა დავინახოთ, ვიდრე ნაციონალური დამცირება და შეურაცხოფა. შეიძლება მეტისმეტად კრიტიკულად განწყობილ კაცს ზოგიერთი რამ მათში მართლაც ეჩვენოს ცალმხრივიცა და ტკენდენციურიც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ანეგდოტობან გვაქვს, ზეპირსიტყვიერებით შექმნილ უწყინარ იუმორთან, რომელსაც არამც და არამც არ მოეთხოვება მეცნიერული სიზუსტე და უცდომელობა.

და მეორეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: უმოსი უფრო გვევაში ისიც არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მსგავსი (უკავშირის ქრონიკის გამკილავი და მწვავე არა) ხასიათის ანეგდოტექსტის ქრონიკაში მეტი რაოდენობით ხაქართველოს ხევადასხვა უფრო გამკილავი და მწვავე არა) ხალხს მეტი რაოდენობით ხაქართველოს ხევადასხვა უფრო გვიდრთა შესახებაც აქვს შექმნილი. გავიხსენოთ, აგალითად, სვანებზე, რაჭელებზე, მეგრელებზე, კახელებზე... შეთხული ანეგდოტექსტი. განა ამ შემთხვევაში სწორი ქნებოდა მტკიცება იმისა, თითქოს ეს ანეგდოტექსტი ხალხში შინაგან შუდლსა და დაპირისპირებას აღვივებენ და ისინი უფრო სიძულვილის გამოსახატავად შექმნა ქართველმა იცმა?

1928 წელს, თბილისის „უნივერსიტეტის ათი წლისთავთან დაკავშირებით დაწერილ წერილში, გ. ბააზოვმა ქართული უმაღლესი სკოლის დიდ ეროვნულ დამსახურებაზე საუბრის ღროს ერთხელ კიდევ მიაქცია უურადღება იმ გარემოებას, რომ „არასოდეს ქართული უნივერსიტეტის კედლებში არც ერთ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს არ უგრძენია, რომ ის არ იყო თანასწორი წევრი დირსეული კოლექტივისა“.

ეს მაშინ, როცა, მწერლის თქმით, „დასავლეთში ჯერ კიდევ მძლავრობს ანგისემიტიზმის ნაკადი, რომელიც გასაქანს არ აძლევს ებრაელთა წრიდან გამოსულ ებრაელებს და მოწაფებს“. ამის დასტურად მას მოპყავს მაგალითი აინშტაინისა, რომელსაც ბერლინის „უნივერსიტეტის კათედრაზე აუდიტორიამ „საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ებრაელი იყო“. ასეთი „საშინელი სიმძულვარე და შუდლია გამეფებული“, - ავტორის თქმით, - ეროვნულ უმცირესობათა მიმართ არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის ხევა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით რუმინეთსა და უნგრეთში, სადაც „მოვინისტური გრძნობებით გამსჭვალული სტუდენტობა სისტემატურად აწყობს პოგრომებს ებრაელ სტუდენტობაზე“.

ებრაელობისადმი ამდაგვარი დამოიდებულების ფონზე, პუბლიცისტის თქმით, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის მეგობრული ერთობა და კეთილგანწყობითი დამოკიდებულების სამაგალითო ტრადიცია, რომელიც

ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის დაშკარიდა  
საუგუნების მანძილზე.

გ. ბააზოვის პუბლიციისტური წერილების პრესტიჟური მხარე  
მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება. ჩემი  
მიზანი არც ყოფილა ისინი ამომწურავად გამეცნო  
მკითხველისათვის. მე მინდოდა მათგან მხოლოდ  
განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემებისთვის მიმექცია  
ყურადღება და ამით რამდენადმე მაინც ნათელმეყო  
შემოქმედებითი ხედვის ის ფართო თვალსაწიერი, რითაც  
მწერლის არა მარტო მხატვრული ქმნილებანი ხასიათდებიან,  
არამედ პუბლიციისტური წერილებიც.

### ბოლოთმა

გერცელ ბააზოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა  
მხოლოდ განხილული ნაწარმოებებით არ შემოიფარგლება.  
სამწუხაროდ, მწერალს მრავალი ქმნილება დარჩა  
გამოუკვეყნებელი. ჯერ-ჯერობით ასევე მოუძიებელია და  
სათანადოდ შეუსწავლელი ქართულ პერიოდიკაში  
დასტამბული მისი არაერთი ნაწარმოებიც.

გ. ბააზოვმა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 33 წლისამ,  
ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება და მხოლოდ ხაწილობრივ  
შეძლო თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლინება. მწერლის  
შემოქმედების მცოდნე მკითხველმა არ შეიძლება დიდი  
სინანული და გულისტყივილი არ იგრძნოს იმის გამო, რომ  
მისი ტრაგიკული დაღუპვით ჩვენს ლიტერატურას უდროოდ  
გამოაკლდა შემოქმედი, რომელსაც კიდევ ბევრი შესანიშნავი  
ქმნილებით შეეძლო გაემდიდრებინა ქართული მწერლობა.

მაგრამ ის, რისი შექმნაც მოასწრო მან თავისი ხანმოკლე  
და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად,  
სამუდამოდ დარჩება მეოცე საუკუნის ჩვენი ლიტერატურის  
ისტორიაში, როგორც, ერთის მხრივ, დვიძლი ნაწილი  
ქართული მწერლობის მდიდარი საგანძურისა, მეორეს მხრივ  
კი როგორც შესანიშნავი მაგალითი ქართველი და ებრაელი  
ხალხების ტრადიციული მეგობრობისა და თანაცხოვრებისა.

1994 – 2002 წწ.

# „ხმა ებრაელისა“ - პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზემი



ისტორიას უკვარს ხოლმე პარადოქსები და მოულოდნელობანი. ერთ-ერთ სწორედ ასეთ ძნელად ასახსნელ მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ოცდაექვსი ხაუკუნის განმავლობაში მცხოვრებმა ისეთმა უნიჭიერესმა ერმა, როგორიც ებრაელობაა, მეოცე საუკუნემდე ხელშესახებად ვერ გამოავლინა თავისი სულიერი ენერგია და კულტურულ-ინტელექტუალურ სფეროში ვერაფერი შექმნა საგულისხმო და ანგარიშგასაწევი. რასაკვირველია, ამ გარემოებას თავისი განმაპირობებელი ფაქტორებიც მოეპოვება, რითაც შეიძლება გარკვეულწილად ავსენათ კიდეც, რით იყო ეს ფაქტი გამოწვეული, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი, ჩემის აზრით, მაინც შედეგია და არა ამ შედეგის განმსაზღვრელი პირობები.

შედეგი კი, როგორც ცნობილია, ერთობ მოულოდნელიცაა და უცნაურიც. თუმცა აქვე, ამ ვითარების აღნიშვნასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ მწერლობას, საერთოდ, ჩვენს ინტელექტუალურ სამყაროს, ებრაელთა ყოფა და ეროვნული ფსიქიკა უკურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია. ამ თვალსაზრისით ჩვენმა ლიტერატურამ და ისტორიოგრაფიამ უძველესი დროიდანვე გამოხატა ცხოველი ინტერესი, რის დასტურადაც მინდა გავიხსენო ჩვენი სულიერი კულტურის ისეთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორებიცაა „ქართლის ცხოვრება“, „ნინოს ცხოვრება“ და სხვა.

ებრაული თემისადმი ინტერესი ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით იზრდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდის ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილი ოსტატების (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ხ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ხ. მესხი გ. წერეთელი, ხ. ლომოური, ა. ფურცელაძე, ი. ავლოშვილი, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი...) შემოქმედებაში მწვავედ დაისვა როგორც ქართველ ებრაელთა,

ისე, საზოგადოდ, მთელი ებრაელობის ისტორიული ფუნდი თანადროული ყოფის საჭირობოები პრობლემები. კინ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მეოცე საუკუნეების მანებურობის ნათლად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლების შემოქმედება (შ. დადიანი, ჭ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, გ. რობაქიძე, გ. ტაბიძე, გ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. ლუმბაძე, ჭ. ამირეჯიბი, რ. ჯაფარიძე, რ. მიშველაძე, რ. ამაშუკელი, ზ. კუხიანიძე...).

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ებრაულმა თემამ ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული პრესის ფურცლებზეც („ცისკარი“, „ივერია“, „შრომა“, „დროება“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო ფურცელი“, „სამშობლო“, „ჩვენი ქვეყანა“...). ყოველივე ამას საგულდაგულობა და საფუძვლიანი გაანალიზება ჭირდება, რათა სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ქართულ მწერლობაში ებრაული პრობლემების გააზრების მასშტაბები და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით გაშეკვეთ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

ეს რაც შეეხება კ. წ. ებრაული თემით ქართველ მწერალთა დაინტერესებას. მაგრამ ამჯერად ჩემი მიზანი სულ სხვაა; კერძოდ, ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოფხიზდებისთვის ყურადღების მიპყრობა, რაც მე-20 საუკუნიდან აშკარა ფაქტი ხდება. ამის დადასტურებაა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ებრაელ ავტორთა ინტენსიური გამოწენა. მათ წერილებში ფიქრისა და განსჯის საგნად, პირველ ყოვლისა, ებრაელი ხალხის წინაშე მდგარი ეროვნული პრობლემებია ქცეული.

იმ ავტორთაგან, რომელთა პუბლიკაციებიც ყველაზე მეტად იქცევენ ამ დროისათვის ყურადღებას, უწინარესად დავით ბააზოვი უნდა დავასახელოთ. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იგი პირველი ქართველი ებრაელი მწერალი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა ეროვნული ცნობიერების გამოფხიზდების საქმეში.

ქართველი ებრაელობის ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების პირველ ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინება 1918 წელს ქუთაისში გამოცემული პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი - „ხმა ებრაელის“ იქცა, რომელიც ეროვნული აზრის ორკვირეულ ორგანოს“ წარმოადგენდა და შურნალის ტიპის გამოცემა იყო. მთებედავად იმისა, რომ გაზეთი ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (სულ გამოიცა შვიდი ნომერი. პირველი - II მარტს, ბოლო, VI-VII გაერთიანებული ნომერი - 8 დეკემბერს. მათგან გაზეთის პირველი, მეორე, მეხუთე და მეაქმეთე შემვიდე გაერთიანებული ნომრები 16-16 გვერდიანია. მესამე და მეოთხე კი - 8-8 გვერდიანი. დ. ხანანაშვილის ინფორმაციით, სინამდვილეში „ხმა ებრაელისას“ სულ 15 ნომერი ყოფილა გამოცემული. მათგან VI-VII ნომრები იხსელებოდა, იერუსალიმის სიონისტურ მუზეუმში, ყოფილა დაცული, დანარჩენი კი ჯერ-ჯერობით დაკარგულად ითვლება), მის ფურცლებზე მაინც მოეხსრო დასმულიყო არაერთი მწვავე ეროვნული პრობლემა.

მეოცე საუკუნის დახსაწევისში, უფრო ზუსტად, ათიან წლებში, ქართველ ებრაელთა ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების დაწყება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, იგი წარმოადგენდა პირდაპირ გამოძახილს იმ დადებითი პროცესისას, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობდა აქტიურად მსოფლიო ებრაელობის ყოფაში. ამ დროიდან მოყოლებული, ებრაელი ხალხი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ძალით იწყებს ბრძოლას ეროვნული ინტერესების დახაცვად და ხატუთარი სახელმწიფოებრიობის აღსაღენად. ამ ბრძოლის გამაფრებას დიდად შეუწყო ხელი პირველმა მსოფლიო ომმაც.

ქართველი ებრაელთას ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაზე ახევვ პეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინეს იმ მოვლენებმაც, რომლებიც იმხანად განვითარდნენ საქართველოში; კერძოდ, აზროვნების შედარებითმა თავისუფლებამ, მსოფლმხედველობრივად განსხვავებული პარტიების თანაარსებობამ, ქართული მწერლობის, პირველ



კოვლისა კი პრესისა და პუბლიცისტიკის მაღალმატეტენიშვილ, ქართველი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე უშვილიშვილი დიდმა დაინტერესებამ ეროვნული, მათ შორის, ებრაული პრობლემებით და ა. შ.

არც ის ფაქტი ყოფილა შემთხვევითი, რომ პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი ქუთაისში გამოიცა. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ქართველ ებრაელთა ციტადელად სახელდებულ ამ ქალაქში (მ. თავდიდიშვილი, გაზ. „მაკავეელი“, 1924 წ. №1) ებრაელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიასპორა იყო. და, მეორეც, იმ ხანად, მეოცე საუკუნის ათიან წლებში, ქუთაისი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ჩვენი ერის სახელოვანი შვილები. ამ დროისათვის აქ გამოდიოდა მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომელთა ფურცლებზეც ებრაელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემებიც არაერთგზის დასმულა მწვავედ და მასშტაბურად.

ყოველივე ამან, როგორც ითქვა, დიდად შეუწყო ხელი ქართველი ებრაელობის ერთვნულ-ინტელექტუალურ გამოფხიზლებას, რასაც შედეგად 1918 წელს პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემაც მოჰყვა.

გაზეთი კოლექტიური მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენდა და იგი ერთი რომელიმე პიროვნების მცდელობით არ დაარსებულა. მისი გამომცემელი იყო ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის სახალხო ფრაქცია - „ცეკირე ციონი“, უშუალო ხელმძღვანელი - სარედაქციო კოლეგია. როგორც პოლინა ბააზოვის წიგნში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, „ხმა ებრაელისას“ სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: სოლომონ ციციაშვილი, დავით ბააზოვი, ბენიამინ კაკიტელაშვილი და ისაკ მინოვიჩი (პ. ბააზოვი, ფურცლები წარსულიდან. ბააზოვების ოჯახი. თელ-ავივი, 2000 წ. გვ. 259). გაზეთის რედაქტორი ყოფილა სოლომონ ციციაშვილი.

გადაწყვეტილება საქართველოში ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემის შესახებ მიუღიათ ბაქოში 1917 წლის 21



აგვისტოს გამართულ კავკასიულ სიონისტთა კონფერენციულ რომელსაც ხაქართველოდან როგორც დელეგატი, ესწრებოდა რომელი ხაზოვი (იქვე გვ. 263).

როგორც კავკასიის სიონისტური ორგანიზაციის რაიონული კომიტეტში გაზეთის რედაქტორის - ციციაშვილის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვიდან ირკვევა, „ხმა ებრაელისას“ გირაჟი 500 ეგზემპლარი იყო, თითოეული ნომრის გამოცემაზე კი იხარჯებოდა 1 525 მანეთი, მათგან დეფიციტი იყო 525 მანეთი, რაიონული კომიტეტისგან აუცილებლად მისაღები თანხის ოდენობა კი 12 000 მანეთს შეადგენდა (დასახ. წიგნი, გვ. 347).

კავკასიის სიონისტური ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში დ. ბააზოვი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ თუ მათვის „ძვირფასი იყო ხაქართველოს ებრაელობა, დაუყოვნებლივ გაეცათ განკარგულება გაზეთი გამოსულიყო ციციაშვილის ინიციატივითა და მისი ზედამხედველობით“.

მიუხედავად იმისა, რომ „ხმა ებრაელისა“ პირველი ქართულენოვანი გაზეთი იყო და მის შემქმნელებსა და ავტორებს, რომლებიც - უკლებლივ ყველანი - ებრაელები იყვნენ, ამ კუთხით თითქმის არანაირი გამოცდილება არ პქნედათ, თავისი უურნალისტური დონითა და პრობლემათა მრავალმხრივობით იგი ხაკმაოდ მაღალი დონის პერიოდული გამოცემაა და არავითარ შედავათს არ ხაჭიროებს.

პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში საკმაოდ ვრცლად და მკაფიოდად განსაზღვრულ-ხამოყალიბებული გაზეთის მიზანდასახულება. სარედაქციო კოლეგია არაორაზოვნად ამცნობდა მკითხველს, რომ ამ ახალი პერიოდული ორგანოს უმთავრესი ამოცანა ებრაელი ხალხის წინაშე მდგარ ეროვნულ პრობლემებზე საუბარი იქნებოდა. „მრავალ საუკუნეთა სამარისებულ დუმილის შემდეგ, - აღნიშნულია წერილში, - დღეს ხაქართველოს ებრაელობაც იღებს ხმას, ისიც ერკვევა საღათას ძილისაგან და ებმის საერთო ცხოვრების ფერხულში, მასაც უგრძენია მომენტის სიდიადე და თავისი ცხოვრების საჭირობოროტო კითხვების გაშუქების და შესწავლის საჭიროება“.

ქართველ ებრაელთა მთელი ცხოვრება, წარსულში და  
მომავალშიც, სარედაქციო კოლეგიის აზრით უძლიერი და  
ლუქმა-პურის ძებნაში გამოიხატებოდა“. „ყოველგვარი ხწავლა-  
განათლებისაგან განხე მდგარი“ ქართველი ებრაელობა  
„გულგრილად შეცყურებდა ცხოვრების ყველა მოვლენას და  
სრულ ინდიფურენტიზმს იჩენდა“. ამიტომაც იყო, რომ „მას  
არავითარი წვლილი არ შეუტანია არა მარტო საერთო საკა-  
ცობრიო ცხოვრებაში, არამედ თავის ცხოვრებაშიდაც და  
ვერ გაუმდიდრებია ვერც ერთი დარგი ებრაელთა ეროვნული  
კულტურისა“...

ამ სიტყვებში მწარე სიმართლე იყო გაცხადებული.  
რედაქცია იმთავითვე შეეცადა ყოველგვარი შელამაზების  
გარეშე ათქვა ეს სიმართლე მკითხველისათვის და უმცრებით  
გონებადაბნელებული ქართველი ებრაელობისათვის სულიერი  
საზრდო მიეწოდებინა. ასე რომ, გაზეთის უპირველესი და  
უმნიშვნელოვანესი მისია საგანმანათლებლო როლის  
შესრულება და მითვლემილი ეროვნული ცნობიერების  
გამოღვიძება უნდა გამხდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ „ხმა ებრაელისა“ ქართველ  
ებრაელთა გაზეთს წარმოადგენდა, მასში დასმული ყველა  
მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემა, უპირველეს ყოვლისა,  
განსჯილი და გაანალიზებული იყო მთელი ებრაელი ხალხის  
ინტერესების გათვალისწინებით და არა ვიწრო რეგიონული  
მასშტაბებით. „ებრაელი ერის მთლიანობა და მისი  
განუყოფელობა“, - ასე განისაზღვრა თავიდანვე გაზეთის  
უმთავრესი ეროვნული მიზანსწრაფვა და ამ პრინციპისათვის  
მას არც ერთ შემთხვევაში არ უდალატია. მართალია, მის  
ფურცლებზე, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ებრაელთა  
წარსულსა და თანადროული ყოფის ჭირ-ვარამზე იყო  
საუბარი, მაგრამ ყველა საკითხი, საერთოდ, მთელი ებრაელი  
ხალხის ეროვნულ ინტერესებთან სისხლხორცეულ კავშირში  
გაიაზრებოდა.

გაზეთის გამოცემის ინიციატორებად, რედაქციის  
განმარტებით, ის პირვენებანი მოგვევლინენ, რომლებიც  
„მოწადინებული იყვნენ გამჟღმებით ემუშავათ თავისი ერის

საბედნიეროდ და თავიც დაედოთ მის საკეთილდღეოდ“ ქროველ ებრაელთა ამ მცირეოცხოვანმა ჯგუფმა, რომელსაც უარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამდაგვარი ბეჭდვის ურგანოს როლი ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებისა და თვითმყოფადობის განმტკიცების საქმეში, დიდ წინააღმდეგობათა მიუხედავად, თუმცა ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მაინც შეძლო წარმატების მიღწევა. ასე დაიბადა გაზეთი „ხმა ებრაელისა“, პირველი ქართულენოვანი ებრაული პერიოდული ორგანო, „აღმოცენებული საქართველოს ებრაელობის სულიერი და ეროვნული საზრდოს დაქმაყოფილების მიუცილებელ საჭიროების ნიადაგზე“. რედაქციის აზრით, გაზეთს „სახალხო ტრიბუნისა და შკოლის მაგივრობა“ უნდა გაეწია და მისი ფურცლებიდან ქართველი ებრაელობა უნდა გაცნობოდა თავის ეროვნულ „პულტურას, წარსულს, აწმეოს, ჭირ-ვარამსა და იმედებს“.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალები შინაარსობრივად შეიძლება შემდეგ ძირითად მიმართულებებად დაგაჯგუფოთ:  
1). ზოგადებრაული პრობლემებისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებშიც საუბარია ებრაელი ხალხის ისტორიასა და თანადროულ კოფაზე, სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, ანტისემიტიზმზე, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების როლზე ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეში და ა. შ. 2). საგანმანათლებლო ხასიათის ხტატიები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქართველი ებრაელობისთვის აუცილებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ებრაელი ხალხის შესახებ. 3). საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საჭირბოროტო პრობლემებზე საუბარი. 4). ებრაელ ავტორთა მხატვრული ნაწარმოებების პუბლიკაციები.

გაზეთში გამოქვეყნებული ბევრი მასალის ავტორის ვინაობა სამომავლოდაა დასადგენი. ისინი ხშირად იყენებენ ხოლმე უცხოურ ფსევდონიმებს, კრიპტონიმებსა და ინიციალებს, რაც აქცევებს მათი ნამდვილი სახელისა და გვარის გარკვევას.

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილთაგან მინდა ორიოდე ხიტყვით შევეხო ბენ-იეშურუნის ხტატიას -

„სამომენტო“, რომელშიც მსოფლიო ომსა და ებრაულობა ეროვნულ პრობლემებზეა საუბარი. ავტორის მიერთვას მას საჭირო საჭირო საკითხები იმხანად მწვავე განხჯობა და გაცხოველებული კამათის საგნად იყო ქცეული. სენებული წერილიც ამ ინტერესის გამოძახილია და იგი მისნად ისახავს ქართველ მკითხველსაც მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია. სტატიაში საუბარია ებრაელი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებაზე, რაც „ომამდისაც ჩქარი ნაბიჯით მიღიოდა წინ“, მაგრამ „ომმა უფრო მწვავედ დასვა“. ავტორი მოუწოდებს ებრაელობას, შეკავშირდნენ და დაირაზმონ ეროვნულად, რათა კონივრულად გამოიყენონ ომის შედეგად წარმოქმნილი „დიადი მომენტი“ და „მზად იყვნენ ყოველი წუთისათვის, რა წუთსაც დაუძახებთ ისტორია“.

ასეთივე სიმწვავით დაისვა გაზეთის ფურცლებზე ასიმილაციის პრობლემა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შ. ჰალევის წერილი „ჩვენი თვითმმართველობა“ (№1, 2), რომელშიც საუბარია ეროვნულ-თვითგამორკვევასა და ებრაელთა თვითმმართველობის დამკვიდრების აუცილებლობაზე. ავტორი გმობს ასიმილაციის იდეოლოგიას და სვამს საკითხს საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისში, ეროვნულ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია კაპალის არჩევის შესახებ, რომელსაც უნდა „განევო ებრაელთა შინაური საქმეები, სრული დამოუკიდებლობით საერთო სახელმწიფო მთავრობისაგან“.

ასიმილატორული იდეოლოგიისა და „სულიერი მონობის“ წინააღმდეგ იდაშერებენ აგრეთვე ვინმე ინ-ბანი („ებრაელთა ახალგაზრდობისადმი“, №1), დ. ბააზოვი („ჩვენ და ქართველები“, №2), მ. თავდიდიშვილი („გაკვრით“, №2) და სხვ. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა დავით ბააზოვის წერილი. პუბლიცისტი პრინციპულად უპირისპირდება იმ ებრაელთა თვალსაზრისს, რომლებიც „აგერ რამდენი ხანია, ჩასხახიან ქართველებს და არწმუნებენ მათ, თითქოს ჩვენ წმინდა ქართველები ვიყვეთ და ებრაელობასთან არავითარი კავშირი არ გვქონდეს გარდა... სარწმუნოებისა. ისინი ისე შორს წავიდნენ, რომ უნდათ დაამტკიცონ, რომ ჩვენ არამც თუ

ეროვნებით, არამედ შთამომავლობითაც ქართველები ვარა...  
დღესდღეობით ქართველების ერთი ნაწილი შეიყვანებს  
შეცდომაში და დაარწმუნეს, რომ მთელი საქართველოს მთავრობა  
ებრაელობა ვითომიც მათი თანამოაზრე იყოს, მხოლოდ ერთი  
გააზოვია მათი გამაებრაელებულიო“.

დ. ბააზოვის აზრით, საქართველოში მცხოვრებ ებრაელ  
ასიმილატორთა ამ თვალსაზრისს თავისი შეფარული  
ქვეტექსტი ჰქონდა. კერძოდ, ისინი ასე სვამდნენ საკითხს:  
„ან უნდა ქართველად გამოვაცხადოთ ჩვენი თავი, ანდა, თუ  
ებრაელები დაგრჩებით, ვითომ ჩვენ საქართველოს და  
ქართველებს ერთგულებას ვეღარ გავუწევთ“. დ. ბააზოვი  
პრინციპულად ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას და  
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენდა საბედნიეროდ ქართველები  
არ არიან შოვინისტები და არც ანტისემიტები არიან მათში.“  
ებრაელ ასიმილატორთა ქადაგებანი ქართველ ებრაელთა  
წარმომავლობაზე მას ხელოვნურად შეთხულ სიყალბედ  
მიაჩნია და ამობობს: „თუ აქამდე ჩვენს ებრაელობას არაფერი  
დაუშავებია ქართველებისათვის, ვიმედოვნებთ, რომ არც  
მომავალში დაუშავებენ“.

აქევ ვიტქვი იმასაც, რომ პოლემიკა ქართველ ებრაელთა  
ეროვნული წარმომავლობის შესახებ გაცდა „ხმა ებრაელისას“  
ფურცლებს და ამ პრობლემის ირგვლივ გამართულმა  
პაექტობამ იმ დროისათვის საქმაოდ ფართო მასშტაბები  
შეიძინა.

„ხმა ებრაელისა“ მწვავედ უპირისპირდებოდა მსოფლიოს  
სხვადასხვა ქვეყანაში გატარებულ ანტიებრაულ პოლიტიკას,  
მკაცრად გმობდა ანტისემიტიზმის გამოვლინებებს და  
აქტიურად მოუწოდებდა საქართველოს ებრაელობას  
განსაცდელის ქამს თანადგომა გამოეწინათ შეჭირვებული  
მოძმებისადმი. მაგალითად, გაზეთის პირველ ნომერში ვინმე  
გამოისახული საუბრობს „რევოლუციონურაო  
მ. გულისტკივილით საუბრობს „რევოლუციონურაო  
გაწვრთნილი ჯარის“ მიერ ქამადანში (სპარსეთში) ებრაელთა  
დარბევა-აწიოკებაზე და მოუწოდებს ქუთაისელ ებრაელობას  
სასწრაფოდ აღმოუჩინოს დაზარალებულებს მატერიალური  
დახმარება.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ „ამა ებრაელისა“ რეგიონული მასშტაბებით შემოსჭიდვაშედებული იყო არ ყოფილი და იგი, შეძლებისდაგვარად, მოვლი საქართველოს ებრაელობის ყოფა-ცხოვრების შესახებაც აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ებრაული თემებიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, რომლებშიც იქ არსებული ვითარება იყო ასახული.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს გაზეთის პირველ ნომერში დასტამბული პატარა ებრაელის კორესპონდენცია, რომელშიც საუბარია ონსა და ახალციხეში გამართულ მიტინგებზე, პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს აღდგნის პრობლემას რომ მიემდვნა. რაბინ დავით ბააზოვის თავკაცობით ჩატარებულ ამ მიტინგებს უდიდესი აღფრთოვანება გამოუწვევია ხალხში. ავტორის ცნობით, ამ მიტინგებს, ებრაელებთან ერთად, ქართველებიც დასწრებიან. აი, როგორ აღწერს კორესპონდენცი ონში 1917 წლის 28 ნოემბერს გამართულ ზეიმს: მიტინგზე მთელი მოსახლეობა გამოცხადდა. ეროვნული დროშებით დამშვენებულ დიდ ტრიბუნაზე „პირველათ რაბინი ბააზოვი ადის და თავისი მეტად ამაღლოთოვანებელი სიტყვით ხალხს თვალთაგან ცრემლებს აწვეთებს. ის მიესალმა ებრაელებს ეს დიდებული დღე და თავისი სიტყვით მოახდინა მსმენელებზე ძლიერი შთაბეჭდილება. გეგონებოდათ, თითქოს ყველას გული ერთ ძაფზე გაიბაო“. ებრაელებთან ერთად, სიტყვებით ქართველებიც, მათ შორის ქართველი მდვდელიც, გამოსულან. კორესპონდენცის ცნობით, „ხალხის სიხარულსა და აღფრთოვანებას საზღვარი“ არ ჰქონია. „მოწაფეები სიმღერითა და ხელში ეროვნული დროშებით“ გამოსულა ქუჩებში. მსგავსი ზეიმი, ასევე დავით ბააზოვის თავკაცობით, 7 დეკემბერს ახალციხეშიც გამართულა.

ასე თანდათანობით იღვიძებდა ქართველ ებრაელთა ეროვნული ცნობიერება და ხალხის შეგნებაში უფრო და უფრო ღვივდებოდა ნაციონალური თვითშეგნების გრძნობა. „ხმა ებრაელისა“, არსებობის ხანმოკლე დროის მიუხედავად,

მთავითებ იქცა ამ პროცესის აქტიურად წარმმართველ ძალად. გისი ფურცლებიდან ხალხი იღებდა სულიერ საზრდოს, იფართოებდა ეროვნულ თვალთახედვას, ითვისტები აუცილებლად საჭირო ინფორმაციებს, იკმაყოფილებდა ნაციონალურ ინტერესებს.

„ხმა ებრაელისას“ გამოცემა პირდაპირი შედეგი იყო ეროვნული გამოფხიზლების იმ პროცესისა, რომელიც მე-20 საუკუნის ათასი წლებიდან იწყება განსაკუთრებული ძალით საქართველოს ებრაელობაში. ამ პროცესის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებად იხიც იქცა, რომ პრაქტიკულად გადაიდგა ნაბიჯები ებრაული ენის შემსწავლელი კურსების დასაარსებლად. გაზეთის ცნობით (№2), მაგალითად, ასეთი კურსები ქუთაისშიც გახსნილა, სადაც კვირაში სამი დღე ინტენსიურად მიმდინარეობდა სწავლება.

როგორც ითქვა, „ხმა ებრაელისა“, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამის დასტურად მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო გაზეთის პირველსა და მეორე ნომრებში დასტამბულ საფეხსახო ფელეტონს „არბაყა ბანიმ“. მასში, ერთის მხრივ, გულისტყივილითაა საუბარი საკუთარი ხალხისაგან განმდგარ შვილზე, რომელსაც ავტორი სულიერ მონას უწოდებს. მეორეს მხრივ კი ყურადღების ცენტრშია მოქცეული ეროვნული გადარჩენის გზათა ძიება და პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის იდეა.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ გაზეთში ქართველი ხალხის იმუამინდელი საჭიროობოტო პრობლემებიცაა დამუშავდი და მსჯელობის საგნად ქცეული. მაგალითად, მეორე ნომერში გამოქვეყნებულ სარეაქციო წერილში, რომელიც ომისა და ზავის საკითხს შეეხება, გულისტყივილითაა საუბარი ჩვენი ქვეყნის წინაშე სწორედ იმ ხანად მწვავედ წამოჭრილ ტერიტორიულ პრობლემებზე. გაზეთი არაორაზროვნად ამცნობს მკითხველს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ქართველებთან ერთად, აქაურ ებრაელთა პატრიოტული მოვალეობაცაა და „ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს

ებრაელიც ისევე დაღვრის ქართველთან ერთად თავზე სისხლი, ისევე გაწირავს საჭირო მსხვერპლს, როგორც ჰქონდეთ უკანასკნელი კუთხის ებრაელობას ყველგან და უოპლიტუგზე და როგორც ეს ყოფილა საქართველოშიც მისი დამოუკიდებელი არსებობის დროს“.

ეს სტრიქონები იმ უძნელეს პერიოდში იწერებოდა, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რეალური საფრთხის წინაშე იდგა და ჩვენს ქვეყანას ამ თვალსაზრისით საომარ ვითარებაში გადაზრდილი კონფლიქტები პქნდა თურქეთთან, რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

უდიდესი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ უძნელეს მდგომარეობაში ქართველმა ებრაელობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ერთგულება საქართველოსადმი და აქტიურად დადგა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოობები.

ამის დასტურად გაზეთში დასტამბული არაერთი მასალა შეიძლება მოვიშველიოთ. მაგალითად, მესამე ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციით ვგებულობთ, რომ ქუთაისში, კერძო ინიციატივით, ებრაელებს სპეციალური რაზმიც კი შეუქმნიათ, რომლის წევრებიც საგანგებო გაწვრთნის შემდგომ ქართულ პოლკში ჩაირიცხებოდნენ და საქართველოს ინტერესების დასაცავად იბრძოლებდნენ.

ხოლო გაზეთის მეოთხე, ოცდაორი აპრილის, ნომერი სიხარულით აუწყებს მკითხველებს სეიმის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ. „ჩვენ მივესალმებით ამიერკავკასიის რესპუბლიკას, მივესალმებით განთავისუფლებულ საქართველოს და დარწმუნებული ვართ ფედერაციულ რესპუბლიკაში ადგილი არ ექნება უმცირესობის დაჩაგვრას“, - აცხადებდა გაზეთი მეთაურ წერილში და მიმართავდა საქართველოს ებრაელობას „გახრწილი, ანარქიით გათოშილი რუსეთისაგან“ ჩამოშორებულ ამიერკავკასიაში ახლა მათ აედოთ თავიანთ თავზე „იმ საქმის ინიციატივა, რასაც მათი ეროვნულათ და კულტურულათ განვითარების საქმე“ მოითხოვდა. ამ მიზნით გაზეთი მოუწოდებდა ებრაელობას, მთელ ამიერკავკასიაში

სასწრაფოდ შეექმნათ კაპალები, მოეწვიათ კაპალთა საბჭოების ყრილობა და დაეფუძნებინათ მუდმივი ეროვნული საბჭო.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილთაგან განსაკუთრებული ურადღება მინდა მივაქციო მესამე ნომერში დაბეჭდილი ი. ჯილის კორესპონდენციას, რომელიც ცხინვალში მომხდარ ამბავს გვამცნობს და უაღრესად საინტერესოა დღევანდელი თვალსაზრისითაც. საქმე შეეხება ცხინვალში ოსების ვანდალურ შემოჭრასა და ადგილობრივი მოსახლეობის დარბევას. ადნიშნული კორესპონდენციით ერთხელ კიდევ ვებულობთ, რომ იმხანად ცხინვალში ოსები საერთოდ არ გვეძლობთ, რომ იმხანად ცხინვალში ოსები საერთოდ არ გაერთიანებულნი, დროდადრო ესხმოდნენ თავს დაბას იქაური მოსახლეობის დასარბევად. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა 1918 წელსაც მომხდარა, ვესახის მესამე დღეს. ოსები ებრაელთა უბანსაც შესევიან და გამხეცებულებს ყველაფერი ცეცხლის აღში გაუხვევიათ. კორესპონდენტის სიტყვით, „იმ დროს ცხინვალი ჯოჯოხეთის სურათს წარმოადგენდა“.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებთან ერთად აქტიურად ჩაბმულან ებრაელებიც. მაგრამ ოსების მოგერიება ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. ბარბაროსები ღუქნება და სახლებს დასევიან და რისი წაღებაც შეეძლოთ, ყველაფერი დაუტაცებიათ. „მთელი დღე და დამე ზიდავდნენ ღუქნებიდან და სახლებიდანო, - აღშფოთებული იტყობინება და კორესპონდენტი, - მიჰქონდათ როგორც ნივთეულობა, ისე სურსათ-სანოვაგა. ლეინოს რასაც თვითონ სვამდნენ, იმით არ კმაყოფილდებოდენ, აქცევდნენ, ქვევრებში მიწას ყრიდნენ... არ ულმობლად სცემდნენ პატრონებს, არ იბრალებდნენ არც ქალებსა და ბავშვებს“...

ასეთ პირობებში გაუტარებიათ მთელი დამე. მეორე დღეს „გამხეცებულმა და გაუმაძღარმა ბრძომ მეტი სისახტიკით ჩამოუარა ცხინვალს და უბრალო ქოხიც არ დაუტოვებია დაურბეველი“. შეშინებულმა მოსახლეობამ სახლ-ქარი მიატოვა და თავის გადასარჩენად სოფლებში გაიხიზნა. ორი დღის შემდეგ ოსების წინააღმდეგ საბრძოლველად გვარდიელები

მოსულან ს. მაისურაძისა და ვ. ჯუდელის წინამძღვრობით  
და შეშინებულ მტერს მხოლოდ ამის შემდეგ დაუტყოფის  
ცხინვალი.

ეს უაღრესად საინტერესო ინფორმაცია რამდენიმე მეტად  
მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის: ჯერ ერთი, იმას, რომ 1918  
წლისათვის ცხინვალში ოსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ  
და მათი იქ ჩამოსახულება მერმინდელი ამბავია. მეორე,  
ოსების ყაჩაღური თარეში და მოსახლეობის ძარცვა-აწიოკება  
ფართოდ გავრცელებული, ხვეულებრივი ამბავი ყოფილა და,  
მესამეც, ქართველების გვერდით ოსი ყაჩაღების წინააღმდეგ  
აქტიური თავდადებით იქაური ებრაელებიც იბრძოდნენ.

ასეთია რეალური სინამდვილე, რომელიც, თავისი მხრივ,  
კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ ისტორიულ უსამართლობას,  
დღევანდელი ცხინვალის რეგიონში რომაა დამკვიდრებული  
ოსური სეპარატიზმისა და სისხლიანი აგრესის შედეგად.

გარდა მიმოხილული მასალებისა, გაზეთის ფურცლებზე  
მხატვრული შემოქმედების ნიმუშებიცაა გამოქვეყნებული.  
ესენია ებრაელ ავტორთა პოეტური ნაწარმოებები. მართალია,  
ამ ლექსების მხატვრული დონე ხშირ შემთხვევაში მეტად  
დაბალია და ლიტერატურული თვალსაზრისით ისინი  
ნაკლებად საინტერესო ქმნილებებს წარმოადგენენ, მაგრამ,  
ამისდა მიუხედავად, მათი შეფასების დროს ორი ფაქტორი  
უსათუოდ მაინც უნდა იქნას გათვალისწინებული: ჯერ ერთი,  
მათი მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული სულისკვეთება,  
რაც ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების  
კეთილშობილური მიზნითაა ნაკარნახევი და, მეორეც, ეს  
ლექსები, ფაქტობრივად, ქართველი ებრაელი ავტორების მიერ  
დაწერილ პირველ პოეტურ ნაწარმოებებს წარმოადგენენ და,  
ამდენად, წმინდა ისტორიული თვალსაზრისით ლიტერატურის  
ისტორიკოსი მათ გვერდს ალბათ ამიტომაც ვერ აუვლის.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა  
შეექმნას გაზეთში დასტამბული ლექსების სულისკვეთებასა  
და მხატვრულ დონეზე, მოვიშევლიერ ორიოდე მაგალითს:  
„ქველ-ახალი ზღაპარი“ (№1):

იყო თურმე ერთი კაცი, უბინაო, უხახლპარო,  
 ქვეყნათ უველა მასა სდევდა, მიწაც, ქვაც კი... თვით სამყარო...  
 ვინ იყო ის არ აწამა, ვინ იყო რომ ის არ სტანჯა,  
 მაგრამ თურმე არ კვდებოდა და უცემდა მაინც მაჯა.  
 და ეს კაცი.. „კარგი, ვიცი შინაარსი მაგ სდაპრის,

ეგ ხომ ჩვენი ძველთა ძველი წამებული ერი არის!  
 აბა კარგი, მეგობარო, მომისმინე მხოლოთ ბოლო,  
 რომ გაიგო ზღაპრის ძალა, რომ გაიგო მის სიმბოლო:  
 „და ეს კაცი ბევრს ვგონა, მიცვალებულთ წრეში ჩაღგა,  
 მაგრამ მათდა გასაოცრად მათ თვალ წინ ის მკვდრეოთ აღსდგა“.

ელიგულაშვილი - „ლექსი აღორძინებისა“ (№1):

გამოიდგინე, შენ, ისრაელო,  
 მრავალ-ტანჯულო მხცოვანო ერო,  
 ტანს დაშავებულს თბილი სხივები  
 თავისუფლების რომ მოიფინო...

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ამ მოკლე  
 მიმოხილვითაც მკითხველს, ვფიქრობ, გარკვეული წარმოდგენა  
 შეექმნება პირველი ქართულენოვანი ებრაული პერიოდული  
 ორგანოს სულისკვეთებასა და უმთავრეს მიზანსწრაფვაზე.  
 გაზეთი თანდათანობით იპოვებდა პოპულარობას მთელ  
 საქართველოში, რისი დამადასტურებელი ინფორმაციებიც  
 საკმაოდ გახვდებოდა მის ფურცლებზე. ბოლო, 22 მაისის  
 ნომერში, ხელისმოწერაც კია გამოცხადებული.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემა შეწყდა და „ხმა  
 ებრაელისას“ მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება, ნაწილობრივ და ისიც მეტად ხანმოქლე დროით, მხოლოდ  
 1924 წელს გახდა შესაძლებელი, როცა, ამჯერად უკვე  
 თბილისში, გამოცემა დაიწყო მეორე ქართულენოვანმა  
 ებრაულმა გაზეთმა „მაკავეელმა“.

1995 წ.

# ბაზეთი „მაკავეელი“



1924 წელს, პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთის - „ხმა ებრაელისას“ გამოცემის შეწყვეტიდან ექვსი წლის შემდეგ, ამჯერად უკვე თბილისში, გამოსვლას იწყებს ახალი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი - „მაკავეელი“. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად ხანძოებლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (პირველი ნომერი გამოვიდა 24 თებერვალს, მეორე - 9 მარტს, ბოლო კი 20 მარტს), „მაკავეელმა“ მაინც შეძლო რამდენადმე მაინც გამოეხატა ქართველ ებრაელთა ეროვნული მისწრაფებანი და გარკვეული წარმოდგენა შეექმნა იმუამინდელი მათი ყოფისათვის დამახასიათებელ საჭირობოტო საკითხებზე.

მართალია, გაზეთს ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა და მის რედაქტორ-გამომცემელთა ვინაობა პერსონალურად არ იყო გამოცხადებული, მაგრამ, როგორც სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, „მაკავეელის“ დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი იყვნენ დავით და გერცელ ბააზოვები და ნათან ელიაშვილი. გაზეთის რედაქცია მოთავსებული ყოფილა თბილისში, იერუსალიმის ქუჩაზე, ღვინის შესახვევის მეშვიდე ნომერში, დავით ბააზოვის საძინებელ ოთახში (პ. ბააზოვი, ფურცლები წარსულიდან, ბააზოვების ოჯახი, თელ-ავივი, 2000 წ. გვ. 26).

სარედაქციო კოლეგიის განმარტებით, „მაკავეელი“ ქართველ ებრაელთა ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ორგანო იყო. მართალია, იგი ქართულენოვან გამოცემას წარმოადგენდა, მაგრამ პირველ, სატიტულო გვერდზე მისი სახელწოდება ებრაულადაც იყო დაბეჭდილი. სარედაქციო კოლეგია გაზეთის გამოცემის თარიღს ებრაული წელთაღრიცხვითაც უთითებდა. კერძოდ, პირველ ნომერზე 1924 წლის 24 თებერვალთან ერთად ებრაული ქრონოლოგიით 5684 წლის 18 ადარიც იყო აღნიშნული.

როგორც ცნობილია, საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, მიუხედავად ქვეყნად დამყარებული მკაცრი იდეოლოგიური რეჟიმისა, ცალკეული ჯგუფები და

არაპოლიტიკური გაერთიანებები მაინც ახერხებდნენ  
საქუთარი პერიოდული ორგანოების გამოცემას. მოჩვენების უფლებულებები არსებულმა ამდაგვარმა ფსევდოდემოკრატიამ და სიციუსტუმის უფლებულებების გითომცდა თავისუფლებამ, რასაც ხალხთა თანასწორობის შესახებ ხელისუფლების მიერ დეპლარირებული დაპირებებიც ემატებოდა, ქართველ ებრაელთა ერთ ნაწილს ეროვნული კეთილდღეობის დამყარებისა და ვითარების სასიკეთოდ გამოსწორების იმედებიც გაუდგივა. „მაკავეელის“ გამოცემაც ამ ილუზიური დემოკრატიის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ითქვა, „მაკავეელის“ პირველი ნომერი 1924 წლის 24 თებერვალს გამოვიდა. მასში გამოკვეყნებული ყველა მასალა წინასწარ გადიოდა მკაცრ ცენზურას და მხოლოდ სათანადო ორგანოების ვიზირების შემდგებ ხდებოდა ნებართვის გაცემა მათ დასაბუჭილად.

„მაკავეელი“ დიდი (დღევანდელი „საქართველოს რესპუბლიკის“) ფორმატის ოთხგვერდიანი გაზეთი იყო. მართალია, მისი მთლოდ სამი ნომრის გამოცემა მოხერხდა, მაგრამ სარედაქციო ჯგუფში მაინც შეძლო იმ საჭიროობრივო საკითხების კონკრეტულად წარმოჩნდა, რომლებიც იმუამინდეს ქართველ ებრაელთა წინაშე იდგა უმწვავესი ფორმით.

გაზეთის სახელწოდება - „მაკავეელი“ ბიბლიიდან მომდინარეობს. როგორც ცნობილია, მაკაბი ძველ ებრაელთა ერთ-ერთი ტომის სახელია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეებში მაკაბელები მეზობელი ხალხებისაგან, განსაკუთრებით კი სირიელებისაგან, მკაცრ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ. მათი ამდაგვარი აგრესიის უმთავრესი მიზანი მაკაბელთა დამონება და გაწარმართება იყო. მაგრამ მაკაბელები თავგაანწირებით იბრძოდნენ თავიანთი რელიგიისა და სამშობლოს დასაცავად, რასაც შედეგად წარმართული სარწმუნოების კირთებისგან მათი განთავისუფლება და იუდეის სახელმწიფოებრივი ძლიერების აღდგენა მოჰყვა. ძველი წელთაღრიცხვის 37 წელს მაკაბელთა ტომი გაანადგურა იუდეველთა მეფე იროდმა. ქვეყნისა და სარწმუნოების განსამტკიცებლად მებრძოლი ამ გმირი ხალხის

ხსოვნას ეკლესია ყოველი წლის I აგვისტოს ათბისმაცემის (ბიბლიური ენციკლოპედია, ლენინგრადი, 1990 წ. გვ. 446).

გაზეთის სახლწოდების აზრობრივ მიზანს წრაფულას და პატრიოტულ სულისკვეთებას ემოციური შოამბეჭდაობით გამოხატავს გ. ბააზოვის ლექსი „მაკაველი“ (№1), რომელშიც გმირ მაკაბელთა მემკვიდრეებად დასახულ ებრაელთა ორიათასწლოვანი ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და თავისუფლების მოსაპოვებლადა ამდაგვარადაა გამოხატული:

ვატარებთ სახელს: წამებული და მგლოვიარე,  
შიშველი გერდი გამუდმებით ეპალს უდება,  
მსოფლიო ძველი და ახალი შემოვიარეთ,  
მაინც მედგრად ხცემს ურყეველი სულისკვეთება.  
გამოიცვალა საუკუნე აგერ მეოცედ,  
გაგანიერდა ტანჯვებიდან ხცლის მტკაველი,  
მაგრამ ჩვენ ისევ ახალ გზებში არ გავიოცებთ,  
დარჩება მარად ჩვენ სიმბოლოდ მაკაველი.

ნათან ელიაშვილი წიგნში „საქართველოს ებრაელები საქართველოში“, რომელიც მან ისრაელში ცხოვრების დროს გამოცა ებრაელად, წერია: „გადავწყვიტეთ გამოგვეცა გაზეთი ქართულ ენაზე. დავით ბააზოვმა და მისმა უფროსმა ვაჟმა გერცელმა თავი მოუყარეს სიონისტურად განწყობილ სტუდენტებს. ესენი იყვნენ იოსებ მოშიაშვილი, მიხაკო თავდიდიშვილი და სხვა. გაზეთს ვუწოდეთ „მაქაბი“. ორკვირეული გაზეთი „მაქაბი“ დიდი ფორმატის იყო. გამოვიდა სულ სამი ნომერი, ვინაიდან მისი დღეებიც მეტად ხანმოკლი აღმოჩნდა. მაგრამ რაც გამოვიდა, ისიც საქმარისი იყო, რათა გამოეფხიზლებინა ჩვენი, ქართველ ებრაელთა საზოგადოება. განსაკუთრებით დიდი გამოძახილი პპოვა ახალგაზრდობის წრეში... მზად გვჭონდა გამოსაცემად მეოთხე ნომერიც, მაგრამ მას არ ეღირსა გამოსვლა დღის სინათლეზე. ჩვენს ამ მოღვაწეობასაც მთავრობა სხვანაირად შეხვდა. როგორც ჩანს, აღფრთოვანება, რომელიც გაზეთ „მაქაბიმ“ გამოიწვია საქართველოს ებრაელებში, არ იყო სასიამოვნო ზემდგომი ორგანოებისათვის.

მე და გერცელ ბააზოვს შესამოწმებლად უნდა მიგვეტანა

გამოცემის წინ სახელმწიფო კონტროლიორისათვის, შემდგა  
ჩეკასთვის. ყველა ინსტანციაში, ესმებოდა შესწორების  
ნიშნები. მესამე ნომრის გამოცემისათვის წავაწყდებული  
მოულოდნელ სიძნელეებს. გვამცნეს, რომ ჩვენს გაზეთებში  
„კონტრაბანდით“ ვაქვეყნებდით ისეთ მასალებს, რომელიც  
არ იყო მათვის მისაღები. ამის გამო აღარ გვენდობოდნენ“  
(პ. ბააზოვი, დასახ. წიგნი, გვ. 344-345).

იმის ნათელსაყოფად. რა წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ  
გაზეთის გამომცემელნი, ნ. ელიაშვილს ერთი ასეთი  
კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს: მესამე ნომრის მასალების  
შემოწმების დროს „რეცენზენტი უცებ შეხტა, თითქოს რაღაცამ  
შხამიანმა უკიდინაო. „რა არის ეს? რა წერია აქ: ანტიოქიოს  
ეპიფანე?“ „რა არის აქ ცუდი? – ვკითხე გაოცებულმა. – ასე  
წერია ისრაელის ისტორიაში“. „მაგრამ, - მიპასუხა მან, -  
ეპიფანე ხომ ჩეკას უფროსის პირადი სახელია“. გაოცებულმა  
დაგვაძინე: „მე ვიცი, რომ ჩეკას უფროსის გვარია კვანტალიანი,  
მაგრამ მას ოუ ეპიფანე ერქვა, მე ეს არ ვიცოდი. აქ ლაპარაკია  
ისტორიულ პიროვნებაზე, რომელიც ისრაელის მოძღვე იყო“.  
„მაგრამ, - კვლავ შემეპასუხა რეცენზენტი, - ჩვენი ეპიფანე  
სულაც არ არის ებრაელთა მოძელე და არაფერს აკეთებს  
ცუდს მათვის, და ყოველმა წამკითხველმა შეიძლება ისე  
გაიგოს, თითქოს ჩვენს ეპიფანეზე მინიშნებული. ამისთვის  
სტრიქონი უნდა ამოიღოთ“ (გვ. 345).

ასეთი იქო ის ვითარება, რომელშიც გაზეთის გამოცემა  
ხდებოდა. მიუხედავად ხელისუფლებისა და ცენზურის  
მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა, გაზეთის გამოცემა სულ მაღა  
მაინც შეწყდა, რის მიზეზსაც ნ. ელიაშვილი ამდაგვარად  
განმარტავს: მესამე ნომრის გამოცემის შემდეგ „პოლიტბიურომ  
გამოგვიძახა მთელი გაზეთის თანამშრომლები და  
გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი გაზეთი მათვის არ არის მისაღები;  
რომ მათ არ მოსწონთ სახელწოდება „მაქაბი“ (აქ ავტორი  
უზუსტობას უშვებს. გაზეთს „მაკავეელი“ ერქვა და არა  
„მაქაბი“), რამეთუ ეს სახელი არის საერთაშორისო  
შოვინისტური სახელი. მის მაგივრად დაარქვით, მაგალითად,  
„ებრაელი მუშა“: გარდა ამისა, თქვენს გამომცემლობაში

პარტიის ერთი წევრი უნდა შედიოდესო. ჩვენ ავჭხსებით, რომ სახელი „მაქაბი“ არ არის შოვინისტური უსაკავშირი; აკუსენით, რომ ისტორიული პირი მაქაბის სახელით მომართებული ედგა აჯანყებას თავისი ხალხის დასაცავად ბერძენი დამპურობლების წინააღმდეგ. მათ გვიპასუხეს, რომ ჩვენს აზრს მოახსენებენ მთავრობის თავჯდომარეს მ. ორახელაშვილს. ამის თაობაზე მიგვიღო მე და დ. ბააზოვი. შეგვხვდა მეტად თავაზიანად, მოგვისმინა, მოგვცა ზოგიერთი მითითება და გამოგვისტურა დაიმედებული. მაგრამ როცა გაზეთის მეოთხე ნომერი მოვიტანეთ, იქ უკვე მიღებული პქონდათ ბრძანება აღნიშნული გაზეთის დახურვის შესახებ... ასე და ამდაგვარად შეწყვეტილ იქნა გაზეთ „მაქაბის“ გამოცემაც“ (ნ. ელიაშვილი, ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში, თელ-ავივი, 1975 წ. იხ. პ. ბააზოვის წიგნში, გვ. 345).

„მაგავეელის“ მიზანდასახულებისა და საპროგრამო დებულებების გასაცნობად უაღრესად მნიშვნელოვანია პირველივე ნომერში დაბუჭილი სარედაქციო წერილი - „ჩვენი გაზეთი“. წერილისადმი, ისევე როგორც მთელი გაზეთისადმი, დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ იგი იმთავითვე მოგვევლინა ქართველ ებრაელთა ყოფისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების მამხილებლად. გაზეთის ამდაგვარი მიზანს წრაფვა პირველივე სარედაქციო წერილ ში განისაზღვრა ნათლად და მყაფიოდ. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ საქართველოს ებრაელობა „თითქოს რაღაც განგებით იყო მოწყვეტილი მთლიან ზღვის ნაპირს და განმარტოებით იყო მომწყვდეული ხმელეთის ვიწრო ჩარჩოებში, როგორც პატარა, ურყევი და უსიცოცხლო ტბა, რომელსაც ხავსი მოჰკიდებია და მრავალი წლებისა და საუკუნეების განმავლობაში ერთ უცვლელ დონეზე მდგარა“.

გაზეთის შემოქმედებითმა ჯგუფმა თავის უმთავრეს მიზნად სწორედ ამ უძრაობიდან და უსიცოცხლო მდგომარეობიდან თანამემამულეთა დახსნა დაისხა. რედაქტორ-გამომცემელთა თქმით, იმ ვითარების ახსნა, რა ისტორიულმა მიზეზმაც და

ცხოვრებისეულმა პირობებმაც განაპირობეს ქართველი ებრაელთა ამდაგვარი ჩამორჩენილობა, მართალია მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა, მაგრამ ის კი ნამდვილი შეეძლოთ, „საერთო საკაცობრიო ცხოვრების ქოხიდან მოწყვეტილი“ და საუგუნეთა განმავლობაში „სრულიად უშინაარსო ცხოვრების ნაჭუჭუში ჩაკეტილი“ მათი თანამემამულეების ყოფის გარდაქმნა-განვითარების საქმეში მათ გაზეთსაც შეეტანა თავისი საგულისხმო წვლილი.

სარედაქციო კოლეგია, ქვეყნად დამკვიდრებული ახალი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით იმედმოცემული, კმაყოფილებით აუწყებდა მკითხველს, რომ დამდგარიყო დრო საქართველოს ებრაელობის ჩამორჩენილობისთვის ბოლოს მოღებისა. შემოქმედებითი ჯგუფის თქმით, ქართველ ებრაელთა ყოფის „მიყრუებულ ტბის ზედა პირსაც დაპბერა ცხოვრების ძლიერ ქარიშხალმა და შეარყია საგრძნობლად. მის, თუმცა მცირერიცხოვან, მაგრამ ხალისით სავსე ახალგაზრდებშიც დაიბადა სურვილები კულტურულად აღორძინებისა და ლტოლვა სწავლა-განათლებისადმი. დღევანდები ცხოვრების აბობოქრებულ მსვლელობამ წამოსჭრა მის წინაშე მრავალი საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით, რომელიც ვერ იომენენ სიყუჩეს და მოითხოვენ იმისაგან გადაჭრილ პასუხებს“.

გაზეთმა მიზნად დაისახა ქართველ ებრაელობას აქტიურად დახმარებოდა ამ „გადაჭრილი პასუხების“ მიგნებაში. შემოქმედებითი კოლექტივის განცხადებით, მათი გაზეთი ქვეყანაში დამკვიდრებული „სულიერი მოძრაობისა და გარდატეხის გამოძახილად“ უნდა ქცეულიყო, ქართველ ებრაელთა ყოფაში ახალი ეტაპის დამამკვიდრებელ პერიოდულ ორგანოდ. აქეთკენ მათ გაზეთის სიმბოლური სახელწოდებაც უბიძგებდათ, რადგანაც „სახელი „მაკაველი“, სახელი ისტორიული ეროვნული გმირისა, სიმბოლო იყო ერის დაუშრებელი გენისა, მარადი ბრძოლის უნარისა და ეროვნულ-კულტურული აღორძინებისა“.

რედაქციის განმარტებით, „მაკაველი“ არამც და არამც არ წარმოადგენდა „ვიწრო ჯგუფური ხასიათის“ გაზეთს. იგი პრინციპულად შორს იდგა „გარეშე ყოველგვარი პარტიისა

და პოლიტიკის და ერს მთელი თავისი შემადგენლობით იღებდა“. სარედაქციო კოლეგიის თქმით, „მაკავე<sup>მაკავე</sup> უკავებდების უკავებდებისა სახალხო გაზეთი იყო, საქართველოს შთელი ებრაელობის ტრიბუნა, რომელიც ერთ უმთავრეს მიზანს ისახავდა - „სადათას ძილისაგან მათ გამოყვანას“, კულტურულ ამაღლებასა და ეკონომიკურად გაჯანსაღებას.

გაზეთის შემოქმედებითი ჯგუფის აპოლიტიკურობასა და პარტიული მისწრაფებებისაგან შორს დგომას ასე მკვეთრად ხაზი იმიტომაც ესმებოდა, რომ მათი წარმომადგენელები, პირველ უკავებისა კი დავით ბააზოვი, ათიან წლებში არაერთგზის გაუკრიტიკებიათ უმწვავესად, როგორც სიონისტური მოძრაობის მიმდევარნი. ცხადია, მათი სიონისტობა არც საბჭოთა ხელისუფლებას დარჩენია უყურადღებოდ, რაც 30-იან წლებში, როგორც ცნობილია, არა მარტო დ. ბააზოვისათვის აღმოჩნდა საბედისწერო, არამედ მთელი მისი ოჯახისთვისაც.

ეროვნულ-კულტურული აღორძინების პლატფორმაზე დგომა გაზეთის შემოქმედებითმა კოლექტივმა განუყოფელად დაუკავშირა ასიმილაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მათი თქმით, „მაკავეელი“ „სასტიკად შეებრძოლებოდა საქართველოს ებრაელთა ეროვნული სახეობის წარხოცვის ცდას და შეეცდებოდა, რომ ეს ნაწილი მსოფლიო ებრაელი ერისა აემაღლებინა კულტურულად, აეკვანა იმ მაღალ ინტელექტუალურ დონემდე, რომელამდინაც მიღწეულნი არიან მისი მომქნი დედამიწის სხვა და სხვა კუთხეებში“.

გაზეთის ეროვნული მიზანდასახულებისა და სამოქმედო პროგრამის გასააზრებლად ასევე მეტად მნიშვნელოვანია პირველ ნომერში დაბეჭდილი გ. ბააზოვის წერილიც „მაკავეელი“, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად იმეორებს სარედაქციო სტატიაში გამოთქმულ საპროგრამო დებულებებს. გ. ბააზოვიც, „ინდიუგერენტიზმით, სრული არარაობითა და მარადიული დუმილით“ მოცულ ქართველ ებრაელთა ორიათასწლოვან ძილზე საუბრის შემდეგ, მკითხველს დაიმედებით აუწყებდა იმას, რომ „ისტორიულ არენაზე ხელისუფლების მესაჭედ გამოსული მშრომელთა მთავრობა“ სასიკეთოდ



შეცვლიდა და გარდაქმნიდა მისი თანამოძმების ცხოვრებას. „წორედ ამ იმედით ბალმიცემული წერდა იგი, რომ „მაკავეელი“ მისი ერისათვის იმ სინათლედ უნდა ქცეული და მომელიც მრავალსაუკუნოვან სიბნელესა და უმეცრებას გაფანტავდა.

მიუხედავად იმისა, რომ „მაკავეელის“ გამოცემამდე საქართველოში „ხმა ებრაელისა“ გამოდიოდა, გ. ბააზოვის შეფასებით, ამ ორი გაზეთის მიზანდასახულება იმდენად ჩადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ ისინი „ყოველ მხრივ წარმოადგენდნენ ორ მოპირდაპირე პოლუსებს“. კერძოდ, „ინტიმური ამხანაგური წრის“ მიერ გამოცემულ „ხმა ებრაელისას“ უმთავრესი მიზანი, გ. ბააზოვის აზრით, იყო „საქართველოს ებრაელთა დაახლოება და გაცნობა მსოფლიო ებრაელთა მოძრაობასთან. „მაკავეელი“ კი „მოდიოდა როგორც სტიქია, რომელსაც განზრახული პქონდა შეჭრილიყო საქართველოს ებრაელთა ცხოვრების სულსა და გულში“. ამიტომ ქართველი ებრაელებისთვის იგი იმ სარკედ უნდა ქცეულიყო, „სადაც ისინი თავისუფლად ამოიკითხავდნენ თავიანთი სულიერი შველის შესაძლებლობას. ბრძოლა პროგრესისა და კულტურისათვის, ბრძოლა სინათლისათვის, დამხობა ძველი დრომოჭმული რუტინებისა, გარდაქმნა ჩვენი საზოგადოების უკუდმართი ყოფა-ცხოვრებისა“, - აი, გ. ბააზოვის აზრით, „მაკავეელის“ ძირითადი მიზანდასახულება.

ვფიქრობ, მოკლენათა არსში გარკვეული მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ „მაკავეელისა“ და „ხმა ებრაელისას“ ამდაგვარი დაპირისპირება ერთმანეთთან ახალგაზრდა რედაქტორ-გამომცემლის უფრო რომანტიკული აღტკინების შედეგია და სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება, ვინაიდან „ხმა ებრაელისას“, როგორც პერიოდული გამოცემის, მიზანდასახულების ძირითადი მიმართულებაც არსებითად იგივე იყო, რაც „მაკავეელისა“. ერთადერთი განმამასხვავებელი ნიშანი, რითაც ეს ორი გაზეთი მართლაც შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკის ტენდენციური გამოვლინებანია, რასაც, 20-იანი

წლების ბევრი სხვა პერიოდული გამოცემის მსგაფხად, ადგილად გასაგები მიზეზების გამო, ვერც „მაკავეული“ მსგაფხად, თავს.

გ. ბააზოვის საპროგრამო წერილში გაზეთის სახელწოდების სიმბოლური შინაარსის განმარტებასაც მიეჭვა სათანადო ყურადღება. ავტორის თქმით, „როგორც ოდესაც სირიელებთან ბრძოლის დროს მაკავეელთა გვარი ებრაელებისათვის წარმოადგენდა გამამხნევებელ იარაღს – შველის სიმბოლოს, - ისე მათი „მაკავეელიც“ საქართველოს ებრაელთათვის უნდა ქცეულიყო სულიერი შველის სიმბოლოდ“.

„ვაქციოთ „მაკავეელი“ იმ სამრეკლოდ, რომელიც გამოადგიძებს მძინარეებს და ამოიყვანს მათ სიბნელის ჭაობიდან, სადაც ისინი ჩაფლულიან ათეული საუკუნეების განმავლობაში“, - აი, გ. ბააზოვის აზრით, უმთავრესი მიზანი ქართველ ებრაელთა ახალი პერიოდული ორგანოსი. როგორც გაზეთის სამი ნომრის მასალების გაცნობით დასტურდება, იგი აქტიურად შეუდგა ამ დიდი მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლას, მაგრამ ახალი ხელისუფლების შემბოჭველმა ეროვნულ-იდეოლოგიურმა პოლიტიკამ ქართველ ებრაელთა პატრიოტი შეიღების ამ დიდ ენთუზიაზმს, სამწუხაროდ, სულ მაღა რკინის ლაგამი ამოხდო და ამ ტიპის გაზეთის გამოცემის საქმეს ხანგრძლივი დროით დაუხვა წერილი.

მიუხედავად არსებობის ხანმოკლე დროისა, ქართველი ებრაელებისათვის „მაკავეელი“ მაინც იქცა იმ დიდ ტრიბუნად, რომლის მეშვეობითაც ისინი უდიდესი გულისტკივილით ესაუბრებოდნენ თავიანთ თანამემამულებებს მათ წინაშე მდგარ საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე. ამ საუბრისათვის ტონის მიმცემ ფაქტორად პირველ ყოვლისა დავით და გერცელ ბააზოვების წერილები იქცა.. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართველი ებრაელების ეროვნულ პრობლემებზე მათულ მსჯელობას მძაფრ ემოციურ მუხტს სძენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ქართველ მწერალთა, პირველ ყოვლისა კი ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური

წერილებისათვის დამახასიათებელი პათოსი და სულისკვეთში. ჩემის დრმა რწმენით, მათი, უწინარესად კი დ. ბააზოვის, ეროვნული ცნობიერების ფორმირებაზე ებრაელ მოღვაწეების განვითარებისა და ეროვნულმა მოღვაწეობაც მოახდინეს განმსაზღვრელი და ეროვნულმა მოღვაწეობაც მოახდინეს განმსაზღვრელი და ერგავლენა. შიგადაშიგ ეს იმდენად ნათლადაც კი ჩანს, რომ დ. ბააზოვის ზოგიერთი წერილის პათოსს, სტილსა და წერის მანერას აშკარად ეტყობა ილიას პუბლიცისტიკის ზეგავლენის კეთილისმყოფელი ზეგავლენის კვალი.

ნათქვამის დასტურად, ვფიქრობ, გაზეთის მე-2 ნომერში დასტამბული წერილის - „თარბუთის“ ეს ფრაგმენტიც იქნება საქმარისი: „დრო ულმობელი სისტრაფით მიექანება, ბავშვები იზრდებიან და ემატებიან იმ ახალგაზრდათა რიცხვს, რომლებიც გაუვანან სრულიად უსწავლელნი და აღუზრდელნი. დღევანდელი ცხოვრება კი ამას მოითმენს და ამოდენა უსწავლელ ხალხს გადახტყორცნის საშინელ უფსკრულში. ვის მივმართო, ვის შესტკივა გული ჩვენთვის? ვიხედები მარჯვნიდ და მარცხნივ; ვიხედები და ვეღარავის ვერ ვერ ვერ ვერ. მათ, ვისაც შესტკივა გული ხალხისათვის, არ ვერ ვერ ვერ ვერ. მათ, ვისაც შესტკივა გული ხალხისათვის, არ ვერ ვერ ვერ ვერ. რა ქნინ, რა ესაჭიროება ხალხს; ვერ ითვალისწინებს მომავალს. ისინი კი, ვინც იცის რამე და ვისაც უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღიათ, მხოლოდ თავიანთი თავისათვის და არა ერისა და ხალხისათვის“.

ასეთი მდგომარეობიდან თავდასახსნელ გზათა ძიებამ დ. ბააზოვს, მათი დროის სხვა მამულიშვილთა ერთი ნაწილის მხგავსად, იმედის თვალი ხელისუფლებისათვის მიაჰყორობინა. მხგავსად, იმედის თვალი ხელისუფლებისათვის მიერ თავდაპირველად მათ მართლა დაიჯერეს მთავრობის მიერ დეკლარირებული სიტყვიერი დაპირებები ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერის თანასწორობის შესახებ. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გულუბრყვილო იმედის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის შეფასება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებას აძლევს დ. ბააზოვი იმავე წერილში. მისი თქმით, ეს ხელისუფლება „წვრილი ერების“, მათ შორის ებრაელების წინაშე მდგარ ეროვნულ პრობლემებს უსათუოდ გადაჭრიდა წარმატებით და ამით ხალხს ბედნიერებას მოუტანდა.

განსხავავებით საქართველოში მცხოვრები სხვა ერებისგან, დ. ბააზოვის განცხადებით, ქართველი ებრძეული პოლიტიკური ავტონომიის პრეტენზიას არ აცხოვდა მაგრამ იმას კი მოითხოვდნენ, მთავრობას უფრო აქტიურად ეზრუნა მათი ეროვნული, სოციალური და კულტურული პრობლემების მოსაგვარებლად. „ჩვენ, - წერდა იმავე წერილში იგი, - საქართველოს არ მოვთხოვთ არავითარ პოლიტიკურ ავტონომიას. ჩვენი პოლიტიკური უფლებები არ ას გადახდართული ქართველ ხალხთან. რაც ექნება ქართველ ხალხს - ისინი ჩვენთვის არას დაზოგავენ. ჩვენი და ქართველების დამოკიდებულება იყო, არის და იქნება ძმური და მეგობრული“.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ ფასდება ქართველ და ებრაელ ხალხთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრული თანაცხოვრების ის დიდი ტრადიცია, რომლის უნიკალურ ხასიათს დ. ბააზოვის პუბლიციისტიკაში არა მარტო სიტყვიერი ქათინაურებით ესმება ხაზი მრავალგზის, არამედ ისტორიიდან და თანადროული ცხოვრებიდან გახსენებული მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის მოშველიების შედეგადაც.

„მაკავეულში“ განსხაკუთრებული უურადღების საგნადაა ქცეული ებრაელი ხალხის ისტორიული წარსულის არაერთი ღირსსახსოვარი ეპიზოდი. მათი ამდაგვარი გახსენებით გაზეთის ავტორები ცდილობდნენ თავიანთი თანამემამულებისათვის უფრო მეტად გაეღვივებინათ ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და გაეხოველებინათ პატრიოტული სულისკვეთება. ერთ-ერთი სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენაა 14 ადარის დღე, ფურიმის დღესასწაული, რომლითაც ებრაელი ხალხი ამანელთა ბატონობისაგან იუდეველთა განთავისუფლებას ზეიმობს ყოველწლიურად.

როგორც ცნობილია, ადარის თვე ებრაელთა კალენდრის მიხედვით თებერვლის დასასრულსა და მარტის პირველ ნახევარს შეესაბამება. ებრაელთა ისტორიის სწორედ ამ დაუკიწყარ დღეს ეძღვნება გ. ბააზოვის ლექსი „მოგონება 14 ადარის“ (№3, 20 მარტი), რომელ შიც ეს დღესასწაული

საუკუნეთა წყვდიადიდან გამონათებულ სინათლის სხივთანაძე  
შედარებული. გ. ბააზოვი მის თანამემამულებს პატრიოტული  
აღტკინებით შთაუნერგავს იმ აზრს, რომ თავისუფლების თავის  
ბრძოლის სიმბოლოდ ქცეული ამ დიდი დღის მოგონება  
აფერმქრთალებს ებრაელი ხალხისათვის საუკუნეთა მანძილზე  
თანამდევ ცრემლსა და ნაღველს და სამომავლო გამარჯვების  
სულისკვეთებით აღანთებს ყოველი ჭეშმარიტი ებრაელის  
გულს. ლექსის ბოლო სტროფებში ახალგაზრდა პოეტის ეს  
რომანტიკული განწყობილება შემდეგნაირადაა გამოხატული:

როცა გააგხებს ხიხხლის ხახებს შავი რვეული

და ნარგაალი ხუსხიანი ჩემ გზებს ეღვია -

შეიქუმშება ყვავლების ნორი ხეული

და მერდში ნექტარს გადმოსწვეთავს ტებილ იმედებად.

გადატრიალდა ყოველივე... და ეს დღე რისხევის

იქცა ზემიად და ლხენის დღევა - დიდის, პატარის,

ათასი წლები ხაზღვარია დადაღი რიცხვის,

რომელიც დარჩა მოგონებად თოთხმეტ ადარის.

14 ადარის ზეიმს გაზეთის იმავე ნომერში გ. ბააზოვმა  
წერილიც მოუძღვნა და ფურიმის დღესასწაულის სახელითაც  
ცნობილ ამ დღეს „სიხარულის ემბლემა“ უწოდა. მისი თქმით,  
ეს დღესასწაული „მარტო ეროვნულ ელფერს კი არ ატარებს“,  
მის შინაარსში იმავდროულად „კაცობრიობის საუკეთესო  
იდეალების გამარჯვებაც“ ნათლად გამოსჭივოდა.

14 ადარის დღის ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობის  
ამდაგვარი გახსენების უმთავრესი მიზანი, როგორც ითქვა,  
თანამემამულეთა გულში პატრიოტული თვითშეგნების  
განმტკიცება იყო. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა  
განმავლობაში ებრაელმა ხალხმა უამრავი განსაცდელი და  
დევნა-შევიწროება განიცადა, მან ამ ტრაგიკულ მოვლენებს  
მაინც გაუძლო, რისი ნათელი დადასტურება 14 ადარის  
დღეცაა. სწორედ ეროვნული თვითმყოფადობის  
შენარჩუნებისაკენ ებრაელი ხალხის ამ დაუოკებელმა  
სწრაფვამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მტრების მიერ  
ისრაელისათვის გლოვის დღედ დასახული ეს დღე საუკუნეთა  
მანძილზე ეროვნული გამარჯვების დღესასწაულად იქცა  
და თავისუფლების უქრობ სიმბოლოდ დამკვიდრდა ებრაელი

ერის ისტორიაში. ამიტომაც არის იგი „მსოფლიო უბრძელობა“  
გასაღკდევებული ნებისყოფის მაჩვენებელი დღესაც დღესაც დღესაც

„მაკაველში“ ქართველ ებრაელთა სწავლა-განათლების  
საკითხისადმი მიძღვნილი წერილებიც გამოქვეყნდა. მათგან  
მინდა გამოვყო გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილი ი.  
მოშიაშვილის სტატია, რომელშიც გულისტკივილითადა  
საუბარი ქართველი ებრაელების სწავლა-განათლების  
მეტისმეტად დაბალ დონეზე. ავტორის აზრით, მათი ცხოვრების  
ისტორიაში ამ თვალსაზრისით არაფერი მომხდარა  
საგულისხმოდ მნიშვნელოვანი. მართალია, მე-19 საუკუნის  
დასახულიდან „საქართველოს ებრაელობაშიც იბადება  
სურვილი სწავლა-განათლებისა და მის ცხოველმყოფელი  
მზის სხივებით ებრაელის ქუჩის განათებისა“, მაგრამ ამ  
სურვილს, ი. მოშიაშვილის შეფასებით, რაიმე წარმატება არ  
მოჰყოლია და „ყოველივე ცდა კულტურულ დირებულებათა  
დასაპყრობად ამაღლ რჩებოდა“.

ამ მხრივ ერთგვარი ადორძინება ქართველ ებრაელთა  
ცხოვრებაში მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგიდან იწყება,  
როცა „შესამჩნევი ხელება ჩინური კედლების აქა იქ გარდევვა  
და საქართველოს ებრაელთა შორისაც თბილისში და  
ქუთაისში ჩნდებიან მცირე ჯგუფი ინტელიგენტებისა,  
მოსწავლე ახალგაზრდობისა“. მაგრამ ამ პროცესის  
განვითარებასა და მომძლავრებას, ავტორის მართებული  
შეფასებით, მნიშვნელოვანწილად შეუშალეს ხელი „უკიცმა  
და გაუნათლებელმა ხახამ-რაბინებმა მათი ბნელი ამაღლოთ“.

ი. მოშიაშვილი ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში  
ინტელექტუალური გარდატეხის ფაქტად სავსებით  
მართებულად მიიჩნევს დ. ბააზოვის გამოსხლას სამოღვაწეო  
ასპარეზზე. მისი თქმით, სწორედ 1915 წლიდან, პრესაში დ.  
ბააზოვის აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობის დაწეების  
დროიდან, იწყება ჩვენში „კულტურულ ფრონტზე აქტიური  
ბრძოლის ხანა“.

ი. მოშიაშვილის წერილზე მსჯელობის დროს ერთ  
გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება – აშკარად  
გამოხატულ იმ კრიტიკულ პოზიციას, რომელსაც იგი საბჭოთა

ერიოდში შექმნილი მდგომარეობისადმი ავლენს. მისი შეფასებით, „საერთაშორისო ომის უკანასკნელი წლები დღეს დღეს მდგრადი განვითარების პირველი დღეები აღორძინების ხანად უნდა მოვალეობა და მიზანი არ ვალოს საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში, ვინაიდან მ უამს თბილისში, განსაკუთრებით კი ქუთაისში, კრონიციებიდან: ონში, ცხინვალში, ახალციხეში, სკოლები სავსე იყვნენ მოსწავლე ებრაელთა ქალ-ვაჟებით“.

ი. მოშიაშვილის შეფასებით, ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. კერძოდ, მანამდელი დროისაგან განსხვავებით, „თითქმის ყველა სკოლები და სასწავლებლები დაიცალნენ ებრაელ მოსწავლეებიდან და ისინი, ვინც წიგნის სწავლაში დროს აჩარებდნენ, დღეს ქუჩაში გამოსულან „სპიტკა-თუთუნი-შნუროკების“ ყიდვა-გაყიდვაში ანდა მშობლების მაღაზიებში არ შინის ზღაპრუნაში და ფარჩის შარიშურში პპოულობენ სულიერ საზრდოს“. ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ავტორის შეფასებით, „ებრაელთა მასსა კვლავ ჩამოშორდა სწავლა-განათლებას“ და მათში განსაკუთრებული ძალით იშინა სიბრძეებ და ფანატიზმა.

როგორც ვხედავთ, ი. მოშიაშვილის წერილში აშკარად და შეუნიდბავადაა გამოვლენილი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება იმ ვითარებისადმი, რომელშიც ქართველი ებრაელები აღმოჩნდნენ საქართველოს გასაბჭოების შედეგად. მისი აზრით, ეს მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამოსწორებულიყო, თუ ებრაელ ხალხს საკუთარი ენის, ისტორიისა და კულტურის შეუზღუდველი შესწავლის შესაძლებლობა მიეცემოდა.

ებრაული ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლის პროპაგანდა „მაკავეების“ პრიორიტეტული მიმართულება რომ იყო, ამას ნ. ელიაშვილის წერილებიც ნათლად ადასტურებენ. თავის საგაზეთო პუბლიკაციებში იგი დაბეჯითებით ავითარებდა იმ აზრს, რომ ებრაელი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უწინარეს ყოვლისა სწორედ მშობლიური ენის შესწავლა იყო. ნ. ელიაშვილი კონკრეტული ისტორიული

ფაქტების მოშველიებით ცდილობდა თანამედროვეთა იმაში დარწმუნებას, რომ მშობლიურ ენაზე წერა და მატერიალური კულტურული ეძრაელს თავის უპირველეს ეროვნულ უძრავის მიზანთან ერთად უნდა ექცია. „მართალია, - წერდა იგი წერილში „ებრაული ენა და ებრაული ერი“ (№2), - ბევრი მისცა კაცობრიობას ებრაელობამ ნიჭიერი მწერლები სხვა და სხვა ენებზე, მაგრამ ებრაული ერის საყვარელ მწერლებად გადაიქცნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც სწერდნენ ებრაულ ენაზე“.

ქართველ ებრაელ პატრიოტთა ამდაგვარ ძალის სმევასა და მშობლიური ენისადმი გამოვლენილ დიდ სიყვარულს ოციანი წლების დასაწყისში სასურველი შედეგიც მოჰყვა - ჯერ თბილისის 102-ე სკოლაში, შემდეგ კი სხვაგანაც საფუძველი ჩაეყარა ებრაული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას. მართალია, ეს საქმე სულ მაღლ შეწყდა, მაგრამ მთავარი და არსებითი ის იყო, რომ ქართველ ებრაელთა ეროვნულ თვითშეგნებაში დაწყებულ გარდატეხის პროცესს წინ უკვე კერავის დაუდგებოდა.

„მაკავეელის“ საგანმანათლებლო პოზიციის გასაცნობად რამდენიმე სიტყვა გაზეთის მესამე ნომერში დაბეჭდილ გბააზოვის „ჩვენს გასართობებზეც“ უნდა ითქვას. მსჯელობელი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ებრაელობის საზრდოდ ქცეული ჩარჩობისა და ფანატიზმის მავნე შედეგებზე, ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ რეალურ გზად გ. ბააზოვს განათლების ისეთი კერების შექმნა მიაჩინა, როგორებიც კლუბები, სამკითხველოები და თეატრებია.

იგი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ მსგავსი კულტურული დაწესებულებების შექმნა ებრაელობისათვის იმხანად ჯერ კიდევ ოცნების საგნად რჩებოდა, რის გამოც შეძლებულ ებრაელთა ერთადერთ გასართობ ადგილს მხოლოდ ტრაქტირებში სიარული წარმოადგენდა. გმობს რა ამ ყოვლად უსარგებლო ჩვეულებას, გ. ბააზოვი მოუწოდებს ახალგაზრდებს, „დროზე მოიშორონ ეს შეჩვეული სენი“, რადგანაც იგი „უაღრესად სამარცხებინ მოვლენაა“. მათვე ვალია, „ერთხელ და სამუდამოდ უთხრან გამოსასალმებელი

წიტყვა ამ წერებულ ტრაქტირებს“ და გაგზავნონ ისინი „უვარგის დაწესებულებათა“ პანორამი, მათ სანაცვალოდ კი გახსნან ებრაული თეატრები, კლუბები და ბიბლიოთებები, რომლუ შემოწმებით აღსავს ახალგაზრდებისათვის“ ინტელექტუალური და ეროვნული განვითარების მძღავრ კერებად გადაიქცვიან.

„მაკავეელის“ ფურცლებზე ისეთი წერილებიც გამოქვეყნდა, რომლებშიც კრიტიკული მხილების საგნად ებრაელი ხალხისადმი არაგბრავლთა ერთი ნაწილის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება იქცა. კერძოდ, გ. ბააზოვის წერილში - „რიტუალის“ ლეგენდის გამო“ (№1), ადშფოთებითაა დაგმობილი შეა საუკუნეებიდან საზოგადოების გაუნათლებელ ნაწილში ფეხმოკიდებული ყალბი შეხედულება ებრაელების მიერ ქრისტიანი ადამიანის სისხლის რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად გამოყენების შესახებ.

დროდადრო ქართულ ხინამდვილეში არასასიამოვნოდ აგორებულ ამ ჭორს გ. ბააზოვი იმ შოვინისტური ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებად მიიჩნევს, რომელსაც „რუსეთის ძველი ბატონები, შავრაზმელი პურიშევიჩები, კაციჭამიობით გამოქვებილი - ანთებდნენ და აღვივებდნენ... შეუგნებელთა ძვალსა და რბილში“. გ. ბააზოვი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ ეს სამარცხვინო ჭორი ქართულ საზოგადოებაშიც განმეორდა რამდენჯერმე. გმობს რა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ამ შეურაცხმყოფელ ლეგენდას, გ. ბააზოვი მოუწოდებს საზოგადოებას „საუკუნოდ იქნას აღმოფხვრილი ასეთი პოვოკაცია“. მისი აზრით, ხალხის „შეუგნებელი მასა“ ამ „გამოურკველობის ბურუსიდან“ პირველ ყოვლისა მთავრობას უნდა გამოეყვანა და ამდაგვარი ცილისმწამებლური ლეგენდების გავრცელებას ერთხელ და სამუდამოდ დასმოდა წერტილი.

„მაკავეელში“ გამოქვეყნებულ წერილებში ის ნაკლოვანებებიცაა მთელი სიმწვავით ნაჩვენები, რითაც ქართველ ებრაელთა იმუმინდელი ყოფა ხასიათდებოდა. ამდაგვარი მამხილებლობის საფუძველი პირველ ყოვლისა მოყვრისთვის პირში ნათქვამი სიმართლე იყო, სურვილი

იმისა, ეს ნაკლოვანებები რაც შეიძლება სწრაფად უთვისებული  
დაძლეული.

ამ ნაკლოვანებათაგან გაზეთის ავტორები განხილული ქვეყნი  
გულისტიკივილით მაინც ქართველ ებრაელთა  
ინტელექტუალურ ჩამორჩენილობაზე საუბრობდნენ. მათი  
აზრით, სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთაგან განხევავებით,  
ქართველი ებრაელები „საშინლად ჩამორჩებოდნენ თავიანთ  
მომეებს, ჩამორჩებოდნენ საკუთარ ცოდნაში და საერთო  
სწავლაში“ (დ. ბააზოვი, „თარბუთ“, „მაკავეელი“, 1924 წ. №2).

დ. ბააზოვის გულისტიკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა  
ის გარემოება, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ერს „არავინ  
ჰყავდა პატრონი, ერთგული და გულშემატკივარი. იმ 5-6  
ინტელიგენტს, რომლებიც მუშაობდნენ მათ საკეთი დღეოდენ,  
ისეთ საშინელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, ისე  
იტანჯებოდნენ, იდლებოდნენ და იქანცებოდნენ“, რომ  
პუბლიცისტი შიშობდა, „ვაი, თუ ესენიც ჩაქცეულიყვნენ და  
მათი ხალხი სრულიად უპატრონოდ დარჩენილიყვნენ“.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებში საქართველოში  
მცხოვრებ ებრაელთა ეკონომიკური ჩამორჩენილობის  
განმაპირობებელი მიზეზების ახსნასაც და ამ მდგომარეობიდან  
გამოსახსნელ გზათა ძიებასაც დიდი ყურადღება აქვს  
მიქცეული. ი. მოლი (იხ. მიხი წერილი: „საქართველოს  
ებრაელთა ეკონომიკური ჩამოქვეითება და მიხი მიზეზები“. №1) ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად  
საქართველოში რუსეთის მმართველობის შედეგად  
დამყარებულ რეჟიმს მიიჩნევს, რამაც „ხელოვნურად გახრმა  
ქართველი ხალხი“.

ის ფაქტი, რომ ვაჭრობა და მრეწველობა ამ პერიოდის  
საქართველოში სომხებისა და ებრაელების ხელში მოექცა,  
ი. მოლის აზრით, პირველ ყოვლისა, ამ ვითარებით უნდა  
აიხსნას. მაგრამ იმის გამო, რომ სომხები ებრაელებზე უფრო  
განხსნავლულები იყვნენ, ისინი მეტად დაწინაურდნენ და  
გარდა ვაჭრობისა, მრეწველობისა და ხელოსნობის სადავებიც  
ჩაიგდეს ხელში, ებრაელები კი მხოლოდ ვაჭრობას  
ეჩანებოდნენ. ებრაელებში „ჩარჩული სულის გაბატონების“



განმაპირობებულ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად წერილის ავტორი  
იმასაც თვლის, რომ „საქართველოს ებრაელების მიერ მასშტაბული  
დამუშავებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო“.

ეკონომიკური სიდუხეჭირიდან ქართველ ებრაელთა  
თავდასახსნელად დ. ბააზოვი პირველ რიგში დარიბთა  
დახმარების კომიტეტის შექმნას მიიჩნევდა მიზანშეწონილად  
(მისი წერილი „საქართველოს ებრაელობა და დარიბთა  
დახმარების საქმე“ იხ. გაზეთის პირველ ნომერში). ამ  
კომიტეტში შესული თანხით უწინარეს კოვლისა  
მატერიალურად ყველაზე გაჭირვებულებს უნდა  
დახმარებოდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ უმძიმეს ეკონომიკურ  
მდგრმარეობაში ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილი  
იმყოფებოდა, მარტო საქართველოში მიღებული  
შეწირულობები ამ მიზნით საქმარისი არ იქნებოდა.

ამიტომ, დ. ბააზოვის აზრით, ერთადეგრთი გამოსავალი  
საზღვარგარეთელი ებრაელების დამხმარე კომიტეტებისაგან  
მიღებულ შემოწირულობათა მიღება იყო, რაც შეიძლებოდა  
მხოლოდ სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილიყო.  
უცხოეთში არსებული დამხმარე კომიტეტები სათანადო თანხას  
მხოლოდ მაშინ გაიღებდნენ, თუ ასეთი ორგანიზაციები  
საქართველოშიც შეიქმნებოდა. საამისოდ კი მთავრობის  
ნებართვა იყო საჭირო. სვამს რა აღნიშნულ საკითხს, დ.  
ბააზოვი მოუწოდებს თანამემამულებებს, აქტიურად დაეწყოთ  
ზრუნვა ამ უფლების მოსაპოვებლად და დასახელებული  
ორგანიზაციის შესაქმნელად.

„მაკავეელი“ ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის  
უცხოელ თანამემამულეთა ცხოვრებასთან დაკავშირებული  
ინფორმაციებიც მიეწოდებინა შეძლებისდაგვარად.  
მაგალითად, ნ. ქს (ნათან კლიაშვილის) ხელმოწერით გაზუთის  
მე-3 ნომერში დაბეჭდილი ნეკროლოგი მკითხველს უდიდესი  
გულისტკივილით აუწევს პალესტინაში ებრაელი ხალხის  
დიდი შვილის – ბენ-იუსუდას გარდაცვალებას, რომელიც  
„ებრაელი ერის გაზაფხულის პირველი მერცხალი იყო,  
პირველი წინასწარ-მეტყველი ებრაული ქნის აღდგენისა,  
ებრაული ერის აღორძინებისა და მისი ეროვნული  
განთავისუფლებისა“.

გაზეთის მე-3 ნომერში დაბეჭდილ წერტილში „მორდეხაი-პამანი“ კი დ. ბააზოვმა სიმპატიურული განზოგადებულობით გაიაზრა ის ორიათასწლიანი შინაგანი გზა, რომელიც ებრაელმა ხალხმა გამოვლო ისტორიულად. ფურიმის რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით დაწერილი ეს წერილი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ კონტრასტულ დაპირისპირებაზე, რომელიც მსოფლიოში ამ ხნის მანძილზე მეტ-ნაკლები სიმწვავით ყოველთვის არსებობდა სემიტებსა და ანტისემიტებს შორის. სემიტიზმის სიმბოლოდ ამ შემთხვევაში ებრაელი ხალხის სახელოვანი შვილი – მორდეხაია დასახული, არა მარტო თავისი ერის გადარჩენისათვის თავგანწირვით მებრძოლი გმირი, არამედ ყველა „წვრილი ერისა“ და ყოველგვარი სამართლიანობისათვის აქტიურად მოსარჩლე პიროვნება, რომელსაც ავტორმა ანტისემიტიზმის სიმბოლოდ ქცეული ჰამანი დაუპირისპირა.

დ. ბააზოვის შეფასებით, ეს ორი პიროვნება ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე მძაფრი დაპირისპირებისა და ბრძოლის სახე-სიმბოლოებად იქცნებ. მისი თქმით, „ჰამანი განსახიერებაა უსამართლობის და სიძულვილის; მას სწყურია წვრილი ერების სისხლი, უაღრესად თავმოყვარეა და სურს სხვის უბედურებით საკუთარი ბედნიერების შექმნა“. მართალია, ჰამანი კონკრეტული ისტორიული პიროვნება იყო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ბოროტი გენი კვლავაც ცოცხლობს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ანტისემიტთა არსებაში და ათასგარ ბოროტებას ჩადის. ასე რომ, დ. ბააზოვის აზრით, ჰამანის დაღუპვის მიუხედავად, „მისი მავნე აზრები უცვლელნი რჩებიან. ჰამანი მამაა ანტისემიტების და მის მიერ შექმნილი ეს ანტისემიტობა გრძელდება ათასწლობით... ასეთია ყოველი ეპოქის ჰამანი: ჰამანი რომის, ჰამანი ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლონეთის და ძეველი რუსეთის“.

საბედნიეროდ, მიუხედავად საქართველოში ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი ცხოვრებისა, ქართველებს ერთი ამდაგვარი ჰამანიც კი არ ჰყოლიათ და ჩვენი ხალხების

თანაცხოვრების ისტორიაში ებრაელთა სისხლიანი დევნა-  
შევიწროების ერთი ფაქტიც კი არაა დადასტურებული.   
როგორც ითქვა, პამანის საწინააღმდეგო ტიპად დ. ბააზულებილთვა  
ებრაელ მორდებაის მიიჩნევს, რომელიც, პამანისაგან  
განსხვავებით, „ამყარებს ძმობას და სიყვარულს ყველა ერთა  
შორის, ამდიდრებს სახელმწიფოს თავისი ნიჭით და  
ერთგულია თავის ერისაც“.

მკითხველისათვის აღვილად გასაგები მიზეზების გამო,  
წერილის ბოლოს დ. ბააზოვი იდეოლოგიურ კონიუნქტურასაც  
უხდის ხარჯს და კმაყოფილებით აცხადებს, რომ საბჭოთა  
ხელისუფლებამ საბოლოოდ აღმოფხვრა პამანები და ახალ  
კითარებაში ებრაელები უკვე სულ სხვა იმედით ეგებებიან  
ფურიმის დღესასწაულს. მაგრამ თუ მან მაინც გაიხსენა  
ებრაელი ხალხის ეს მარადიული მტერი, მხოლოდ იმიტომ,  
რომ „მსოფლიოს სხვა ნაწილებში ჯერ კიდევ მრავლად  
იპოვებოდნენ პამანის ჯიშის ადამიანები, რომლებიც ნადირის  
თვალით უცემროდნენ ებრაელებს“.

როგორც გაზეთში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს,  
ქართველ ებრაელთა განსაკუთრებული აღმფოთების საგნად  
საბჭოთა ხელისუფლების მიერ ებრაული სალოცავების  
უდიდესი ნაწილის დაკატვისა და იქ რელიგიური  
რიტუალების აკრძალვის ფაქტიც იყო ქცეული. ამ  
თვალსაზრისით ებრაელები გამონაკლისნი რომ არ იყვნენ  
და უკეთესი მდგომარეობა არც სხვა სარწმუნოებრივი  
აღმსარებლობის მიმდევრებს რომ არ ჰქონდათ, ეს  
ქრისტიანული ხაკულტო ნაგებობისადმი ხელისუფლების  
ვანდალური დამოკიდებულებითაც ნათლად გამოჩნდა. როგორც  
ცნობილია, ოციან წლებში ისტორიულად ფასეული ბევრი  
ეკლესია ბოლშევკიებმა ნანგრევებად აქციეს და საუკუნეების  
განმავლობაში დაცული რელიგიური სიწმინდეები  
ბარბაროსულად შეურაცხეს.

მიუხედავად იმისა, რომ „მაკავეულში“ ძირითადი ადგილი  
პუბლიცისტიკასა და საინფორმაციო ხასიათის წერილებს  
ჰქონდა დათმობილი, მასში მხატვრული ლიტერატურის  
ნიმუშებიცაა გამოქვეყნებული. მხედველობაში მაქვს გერცელ

ბააზოვისა და ნათან ელიაშვილის პოეტური და პროზაული  
ნაწარმოებები. მართალია, მათი მხატვრული ღონისძიებები  
სუსტია, რომ დღევანდელი მკითხველისათვის ისინი რითქმის  
არავითარ ლიტერატურულ ფასეულობას არ წარმოადგენენ,  
მაგრამ მათზე საუბრის ღროს მხედველობიდან არამც და  
არამც არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, მათი ავტორები  
ფაქტობრივად პირველი ქართველი ებრაელი მწერლები რომ  
არიან.

მთავარი და არსებითი ნიშანი, რითაც ეს ნაწარმოებები  
ხასიათდებიან, მათი მკაფიოდ გამოკვეთილი „ებრაული“  
სულისკვეთებაა. მათში ემოციური სიმბაფრით ვლინდება ერთის  
მხრივ სიყვარული მშობელი ერისადმი და პატრიოტული  
აღტკინების საგნადაა ქცეული ებრაელი ხალხის ისტორიული  
წარსულის ღირსასხსოვარი ეპიზოდები, მეორეს მხრივ კი  
ტრაგიკული სიმწვავითაა წარმოჩენილი თანამემამულეთა  
ცხოვრების საჭირბოროტო მხარეები.

იმის ნათელსაყოფად, პატრიოტული გრძნობის ამდაგვარი  
გამოვლინება პოეტური ხორცშესხმის რა მასშტაბებს იძენს,  
გავიხსენებ ფრაგმენტს გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილი  
6. ელიაშვილის ლექსიდან:

ბევრჯერ ვიხილე, ბნელ დამგებში  
შენ მაღალ შუბლზედ ეკლის დადგები,  
ირგვლივ შეამიან გველთა ხისინი,  
აუზო-და-ფე განაჩადები.  
ბევრჯერ ვიხილე ხისხლის მორევში,  
გმირული სულით გზას მიიკვლევდი,  
და არ იხრიდი შენ ამაყ ქედსა,  
თუმც შეამით სავსე თასს ბევრსა ლევდი.

მსგავსი პატრიოტული განწყობილება 6. ელიაშვილის მთელ  
პოეტურ შემოქმედებას რომ გასდევს გამჭოლ ნაკადად, ამას  
„ფურიმიც“ ნათლად აღასტურებს. ებრაელი ხალხის ამ დიდი  
დღესასწაულის ავტორისეულ განდიდებას ემოციურ მუხტს  
უპირველეს ყოვლისა ამ დღესთან ისტორიულ ად  
დაკავშირებულ ამბავთა გახსენება სძენს:

როს ვკითხულობ ძველ ლეგენდებს,  
როცა ვფურცლობ მე ძველ წიგნებს,  
გული დელავს და გონება

გზას ვერ პპოვებს,  
 გზას ვერ იგნებს.  
 ვკითხულობ, თუ ნეტავ რისთვის?  
 გსურს გაყიდო ნეტავი რად?  
 გვაწამებდნენ ჩვენ უწყალოდ, თუ  
 გვესხმოდნენ შეუპოვრად?  
 ეს პამანი, ახაშვეროშ,  
 ეს ანტიოს ეპიფანე...  
 ღმერთო ჩემო, როგორ გავძელ,  
 ნეტავ როგორ გადვიტანე!

გარდა ლექსებისა, „მაკავეელის“ პირველ ნომერში ნ. ელიაშვილის მოთხოვნისადან დაბეჭდილი – „მოხუცი (სურათი საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან)“. მიუხედავად იმისა, რომ თემატურადაც და მხატვრული თვალსაზრისითაც დასახელებულ ნაწარმოებში ხაგულისხმოდ ვასეული თითქმის არაფერია, იგი გარკვეულ ინტერესს მაინც აღმრავს თუნდაც იმის გამო, რომ მასში ჩვენი ლიტერატურისთვის შედარებით ახალი ტიპის – მეწვრილმანე ებრაელი ვაჭრის დუხშირი ცხოვრების ერთი ეპიზოდია აღწერილი.

მოხუცი პაპა ისხაკი სოფელ-სოფელ დადიოდა და წვრილმანი ვაჭრობით არჩენდა ოჯახს. დარიბ ებრაელს ცხოვრების მძიმე უღელს დიდად უმსუბუქებდა ცხენი, რომლის მეშვეობითაც იგი სავაჭრო საქონელს დაატარებდა. უწინარესად სწორედ ეს ცხენი იყო მისი მუდმივი თანამგზავრი და ჭირის მოზიარე. ამიტომაც ევლებოდა ცხენს თავს მთელი ოჯახი და უშერველად უყოფდა საკუთარ ლუქმას.

მაგრამ ერთხელ ისხაკასთან ჩაფრები მოვიდნენ და ცხენი წაიყვანეს - ყაჩაღების დასაჭერად გვჭირდებაო და შემდგომ დაგიბრუნებოთ. ასე დაიკარგა ოჯახის იმედად ქცეული ცხენი და ისხაგას ცოლ-შვილი კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა. ასეთია სიუჟეტური ქარგა ნ. ელიაშვილის ამ პატარა მოთხოვნისა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველ ებრაელთა ეკონომიკურ სიდუხშირესა და სოციალურ სიბეჭავეზე.

გაცილებით უფრო საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს გაზეთის სამივე ნომერში გამოქვეყნებული გ. ბააზოვის მოთხოვნი „ალვარ როდრიგო (ისტორიული მოთხოვნისა“,

რომელშიც ებრაელი ხალხის ისტორიული წარსულის მუთი  
ტრაგიკული ეპიზოდია ნამბობი (ნაწარმოების უკრაინული  
ანალიზი იხ. ამავე წიგნში, გ. ბააზოვზე უკრაინულ  
მოხოვრაფიაში).

გარდა ორიგინალური ნაწარმოებისა, გაზეთი ცდილობდა  
უყურადღებოდ არც უცხოელ ებრაელ მწერალთა შემოქმედება  
დაეტოვებინა, რისი დადასტურებაცაა მე-2 და მე-3 ნომრებში  
გამოქვეყნებული თარგმანი შრაიბერის ნოველისა - „ძველ  
ღმერთთან“ (მთარგმნელი დ. მეკინულოვი).

\* \* \*

როგორც სათანადო მასალების გაცნობით ჩანს, ებრაელი  
საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი  
„მაკაველის“ გამოცემას უდიდესი იმედითა და სიხარულით  
შეხვდა. ბევრი მათგანის აზრით, ამ მოვლენით „საქართველოს  
ებრაელთა ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყებოდა და  
ბენელით მოცულ მათ ცხოვრებას სინათლის ცხოველმყოფელი  
სხივები ეფინებოდა“ („მაკაველი“, №3, მ. ჯინჯიხაშვილის  
წერილი). ეროვნული გამოფხილების ამ იმედით  
ფრთაშესხმულნი, ისინი ცდილობდნენ არა მარტო სიტყვიერად  
დაეჭირათ მხარი „მაკაველის“ გამოცემისათვის, არამედ  
სამისოდ საჭირო ფონდიც შეექმნათ და შეძლებისდაგვარად  
გაედოთ თანხები მის დასაფინანსებლად.

გაზეთის მე-3 ნომერში დ. აჯიაშვილმა საქართველოს  
ებრაელებისადმი მიმართული მოწოდებაც კი გამოაქვეყნა,  
სადაც კმაყოფილებით საუბრობდა იმ სახიერო ძვრებზე,  
რომლებიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში ხდებოდა.  
ამდაგვარი საუბრისათვის მძლავრი იმპულსის მიმცემ ძალად  
მისოფის პირველ ყოვლისა „მაკაველის“ დაარსება იქცა.  
„მოხდა ისე, - წერდა იგი აღნიშნულ „მოწოდებაში“, - რაც  
ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა მომხდარიყო... საქართველოს  
ებრაელობამ ისწავლა ლაპარაკი, ანუ დღეის შემდეგ  
საქართველოს ისრაელობას მიეცა საშუალება თქვას თავისი  
სიტყვა“...

დ. აჯიაშვილის შეფასებით, ყოველ ჭეშმარიტ ებრაელს  
გაზეთისათვის დახმარება და მხარდაჭერა თავის უმთავრეს



კატრიოტულ მოვალეობად უნდა მიეჩნია, რადგანაც „თუ უს გაზეთი მოკვდებოდა, მისი სახით საქართველოს ისრაელიშენული ხმაც მოკვდებოდა, მისი აზრი და ნებისყოფა“. ამიტომ ამიტომ თვლიდა იგი ყოველი ებრაელის მამულიშვილურ მოვალეობად, უსათურდ უზრუნველვყოთ „მაკავეელის“, როგორც ებრაელი ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი ქართულენოვანი გაზეთის, გამოცემა.

სამწუხაროდ, იმჟამინდელ მოდვაწეთა ამდაგვარი მცდელობის მიუხედავად, ხულ მალე მოვლენები იმდაგვარად განვითარდა, რომ „მაკავეელის“ გამოცემა შეწყდა და ამ დროიდან მოყოლებული ხაյმათდ დიდხანს, 1993 წლამდე, ამ ტიპის პერიოდული ორგანო საკუთრივ საქართველოში უკვე აღარ გამოცემულა.

2002 წ.

# ESSAYS IN THE HISTORY OF THE GEORGIAN-SPEAKING JEWS' LITERARY AND JOURNALISTIC WORK

## ABSTRACT

Based on the rich factual materials, the book gives an up-to-date analysis of some of the particularly significant issues in the history (the 1<sup>st</sup> half of the 20<sup>th</sup> century) of the Georgian-speaking Jews' literary and journalistic work. Namely, the first and second essays present monographic studies David and Gertzel Baazovs' artistic heritage and public work; as for the third and fourth essays, first time in the history of journalism, they are the scientific studies and evaluation of 'Khma ebraelisa' and 'Makaveeli', the first Georgian-language Jewish newspapers published in Georgia.

## DAVID BAAZOV

David Baazov, the famous public and clerical figure of the first half of the 20th century, was in fact the first Georgian-speaking Jewish publicist who gave rise to the cultural and educational revival of the Jews, having lived in Georgia for more than two millennia. With his active practical activities and with the articles published in the 1910-20s, he played the greatest role in the cause of the cultural development and of the strengthening of the nationalist self-consciousness of the Georgian-speaking Jews.

For all his life he selflessly worked for the strengthening of the religious consciousness and for the improvement of the cultural and educational level of his compatriots who had stuck into the swamp of poverty, ignorance and intellectual backwardness. As a matter of fact, he was a leader of this great nationalist cause, while not being supported by many even among the Jews. Due to the out-of-date notions, many of his compatriots did not share David Baazov's cultural and educational standpoint, moreover, they opposed him furiously, and accused him in nationalism and ethnic particularism.



Irrespective of such ingratitude and numerous contradictions, D. Baazov had stayed the adherent of his goal to the end of his life, and he had never compromised. The foundation of his selfless activities was his strong belief that his deeds were addressed to the strengthening of the national self-consciousness of the Georgian-speaking Jews, and that it would have been unjustifiable to abandon this supreme ideal.


D. Baazov's public activities were inherently associated with his publicistic work. As it was said, in the history of Georgian literature, he appeared to be the first Jewish writer who was later followed by a number of Jewish men-of-letters. Among them, David's son, Gertzel Baazov should be named, who was one of the outstanding representatives of the Georgian literature in the 1920-30s, and a worthy successor of his father's traditions.

It is noteworthy that the main issue in D. Baazov's writings was the national problem faced by the Jews living in Georgia. He chose journalism in order to express his ideas, and conversed with readers acutely, clearly and unambiguously.

It would not be right to consider D. Baazov to have been concentrated only on narrow nationalistic purposes. The nationalistic standpoint in his writings is inherently linked with the events going on in Georgia and in the world in that period of time. It should also be mentioned here that D. Baazov, as a publicist, has never lost the sense of the critical and realistic analysis of events, has never become a groundless visionary, has always given an in-depth analysis of a situation, and has always established his ideas based on rich factual data.

Despite of the fact that the problems posed in this articles were the echoes of concrete realia, with their significance and urgency they are interesting for a contemporary reader too, and they attach our attention not only with the historical viewpoint. The publicist tries to give a clear picture of the complex public situation of the 1910s-20s, and to depict the inner essence of the events going on both in Georgia and in many countries of the world.

In the analysis of D. Baazov's publicistic heritage and public activities, it should be emphasized that the main direction of his public activities was the further strengthening and development of the centuries-long best tradi-



tions established between the Georgian and Jewish peoples. In his writings, his concern of the fate of the Jews living in Georgia was inextricably connected with the future of the Georgian nation.

Despite of the fact that a number of valuable papers highlighting D. Baazov's merit, have been recently published both in Georgia and Israel, there is still a lot to be done.

The 1970s saw the revival of the interest toward David Baazov's activities and publicistic heritage. Since then many works highlighting a number of novel aspects of D. Baazov's activities have been published both in Georgia and Israel. In this respect, we should acknowledge what was done by Fani and Polina Baazovs, and Daniel Khananashvili.

The following issues concerning D. Baazov's activities and publicistic heritage have been addressed in the essay included in the present book: biography, D. Baazov's Zionist activities, national education program, debate with the Georgian-speaking Jewish assimilators, struggle for the national interests of the Georgian people, etc.

## GERTZEL BAAZOV

Among them who has played a particularly significant role in revealing the intellectual opportunities of the Georgian-speaking Jews, first of all we should name Gertzel Baazov, a prominent master of the Georgian literature.

Irrespective of the fact that before him there were some Georgian-speaking Jews whose writings occasionally appeared in the Georgian press, Gertzel Baazov has been justly recognized as the first outstanding Georgian-speaking Jewish writer. Moreover, citing Daniel Khananashvili, the famous researcher of the history of the Georgian-speaking Jews, 'the Georgian literature had not had a Jewish writer of the same strength and scale neither before nor after him'.

With his short but most productive artistic activities, G. Baazov played a significant role in the history of the Georgian literature of the 1920s -30s. Though the process of historical development has made the problems of his writings out-of-date, but, in this respect, G. Baazov is no exception, and

he, as a writer and a personality, perfectly shared the tragic fate of the many artistic people of that period.

The history has imposed on G. Baazov one more duty: with his life and work, he was a personality to further strengthen the pure and devoted unity which had been established between the Georgian and Jewish peoples for 26 centuries. With his active public and literary activities he worthily performed this great human duty, and gave numerous impressive and exciting examples of the unity of these two nations in his writings.

In the history of the Georgian literature, he was, in fact, the first writer who, with his high professionalism and subtle literary skill, addressed the Jewish theme; as a skillful man-of-letters, he showed the life of Georgian-speaking Jews, their customs and traditions, specific features characteristic of the ethnic consciousness, their religious and historic values.

Nowadays, the love to Georgia has revived with a new power in the cognition of the Georgian-speaking Jews having repatriated in their historical homeland, G. Baazov's writings have acquired a different dimension; namely in our minds, his name has become a strengthening symbol of the historical friendship of the two peoples, and this symbol connects not only the past and the present, but also builds a strong foundation for our future unity.

Gertzel Baazov's works, together with other important factors, become the object of a contemporary reader's exclusive interest because of they fact that the give the in-depth, talented reflection of the specific features of the way of life and religion of Georgian-speaking Jews. In this respect, no one can be compared with him in the history of our literature.

Together with the artistic talent and the particular affection to his nation, this was also conditioned by the fact that the writer was well aware of the psychology, way of life, ethnic and religious traditions of the Jewish people.

The main subject of G. Baazov's literary inspiration was the contemporaneity. The writer made the central theme of his writings those social changes and developments that determined our way of life in the 1920s-30s. The characters, depicted by him, are in the centre of those important social events and take an active part in the process of the social and political changes.

His characters, usually representatives of different nations, are mostly Georgians and Jews, and in their everyday relationships, he depicts the centuries-long traditions of the friendship of these two nations without any decorations and propaganda.

Despite of the fact that in G. Baazov's writings, together with such devoted friendship and national unity, one occasionally comes across certain nationalistic contradictions, the writer directs a reader's attention to the fact that this contradiction and clash is in fact, based on class and social, and not nationalistic factors.

G. Baazov's writings are run through by the author's deep and tender love toward the working Jewish people. As it was said, he was the first writer who established this love as indivisible with the Jewish theme in the Georgian literature.

The essay dealing with G. Baazov analyzes the writer's literary heritage with a novel viewpoint. In order to justly establish and evaluate G. Baazov's place in the 20<sup>th</sup> century Georgian literature, we have not missed any of his writings that reached our days. After getting acquainted with the writer's biography, the essay, linking with the literary events of that period, discusses both prosaic (the novel 'Petkhain' and stories), and dramatic writings, and publicism.

G. Baazov tragically died in the age of artistic maturity, when he was 33, and he was able to reveal his talent only partially. Any reader, familiar with this literary works, cannot help regretting because, with his death, our literature was abandoned by the writer who could enrich our literature with many more wonderful writings.

But what he left for the short and productive period of his literary activities will stay forever in the history of the 20<sup>th</sup> century Georgian literature as, on the one hand, an immediate part of the thesaurus of the Georgian literature, and, on the other hand, as a wonderful example of the traditional friendship of the Georgian and Jewish peoples.

## THE NEWSPAPER 'KHMA EBRAELISA'



The most important landmark of the ethnic-intellectual revival of the Georgian-speaking Jews was a Georgian-language newspaper 'Khma Ebraelisa' which was published in 1918 in Kutaisi, and which was a weekly body of a national idea, and was issued as a magazine. Despite of the fact that the newspaper had been published for a short period of time (there were only five issues. The first issue - March 11, the last, N5 - May 22. Of them the first, second and fifth issues had 16 pages each, and the third and fourth issues had 8 paged each), many acute ethnic problems were discussed.

In the beginning of the 20<sup>th</sup> century, more exactly, in the 1910s, there were lots of factors to condition the ethnic-intellectual awakening of the Georgian-speaking Jews. First of all, it was a direct echo of the positive processes going on in the life of Jews throughout the world in the second half of the 20th century. As it is known, since that time the Jewish people began an exclusive struggle to protect their national interests and to restore their own state. The WWI facilitated greatly to this process.

The awakening of the ethnic self-consciousness of the Georgian-speaking Jews was also influenced by the events that had developed in Georgia; namely, comparative freedom of thinking, existence of various political parties, high level of the Georgian literature, first of all, press and publicity, the interest of the progressive thinkers of the Georgian nation to the national, Jewish among them, problems, etc.

It was not by chance that the first Georgian-language newspaper was published in Kutaisi. First, as is known, this city, named as a citadel of the Georgian-speaking Jews, had the largest Jewish diaspora. Secondly, at that time, in the 1910s, Kutaisi was a powerful venue of the Georgian culture, and they wrote about the problems of the Jews' life many times.

All this facilitated to the ethnic-intellectual awakening of the Georgian-speaking Jews, and this resulted in the publication of the first Georgian-language newspaper in 1918.

The newspaper was a product of a joint effort and it was not published by a single person. It was edited by the popular faction of the Kutaisi Zionist Organization 'Zeqire Zioni' it was led by the editorial board.

Irrespective of the fact that 'Khma ebraelisa' was the first Georgian language Jewish newspaper, and its editors and authors (all of them were Jews) had had no experience, with its professional level it was a rather high-level periodical and it needs no indulgence.

### THE NEWSPAPER 'MAKAVEELI'

In 1924, after the six years from the closing of the first Georgian-language Jewish newspaper 'Khma ebraelisa', a new Georgian-language Jewish newspaper 'Makaveeli' was published in Tbilisi. Despite of the fact that it had been published for a very short period of time (the first issue was published on February 24, the second - on March 9, the last - on March 20), the 'Makaveeli', however, was able to reflect the ethnic aspirations of the Georgian-speaking Jews, and to draw a picture of the urgent problems in their life.

It is true that the newspaper was signed by the Editorial Board, and its editors were not declared personally, but, as it becomes clear from various documents, its founders and editors were David and Gertzel Baazovs and Nathan Eliashvili.

As is known, in the first years of the sovietization of Georgia, irrespective of the established strict ideological regime, individual groups and non-political unions however managed to publish their periodicals. This ostentatious pseudo-democracy and freedom of speech, together with the promises of peoples' equality from the side of the authorities, gave a hope of the establishment of the ethnic well-being and of the improvement of the conditions to one group of the Georgian-speaking Jews; the newspaper 'Makaveeli' should be regarded one of the concrete illustrations of that illusory democracy.

Unfortunately, despite of the active endeavors by the Jewish and Georgian public figures, the publication of the 'Makaveeli' was stopped, and since then, for a long period of time, until 1993, the periodical of this kind had not been published in Georgia.

## SOME FACTS ABOUT THE AUTHOR

Avtandil Nikoleishvili was born in 1948 in the village of Gora, Vani Region. In 1971 he graduated from History and Philology Faculty of Kutaisi Pedagogical Institute (Presently Kutaisi Akaki Tsereteli State University) with honors. In 1974 he defended a candidate and in 1983 doctoral dissertation. He is a member of the Writers' Union of Georgia. A. Nikoleishvili has been working at Kutaisi State University since 1971. He has been the Head of the Georgian Literature Department since 1987. In 1996 he was elected as a Rector of the University.

Avtandil Nikoleishvili is the Head of the Georgian Language and Literature laboratory at Kutaisi Scientific Centre and a professor of Modern Georgian Literature Department at Tbilisi State University.

Avtandil Nikoleishvili is a winner of several awards, among them Georgian-European Institute (Paris) award in 1993, Gertsel Baazov in 1995, Niko Nikoladze in 1998, etc.

Avtandil Nikoleishvili has been an academician of the Gelati Academy of Sciences since 1995. Since 1999 he has been an academician of the New -York International Academy of Sciences. In 1998 he was awarded with the Order of Dignity. Since 1997 A. Nikoleishvili has been the honorary citizen of Columbia City (USA). He has published more than twenty books, among them: "Essays on the History of the 20-th Century Georgian Literature", vol. I (1994), vol. 2 (1997), vol. 3 (2000), "On Modern Georgian Poetry" (1981), "Outlook Collection of Literary Letters" (1987), "Literary Sketches" (1988), "Bishop Gabrieli" (1990), "Niko Lortkipanidze" (1992), "Poetry of Giorgi Leonidze" (1993), "Paolo Iashvili; His Life and Creations" (1995), "David and Gertsel Baazovs" (1995), "National Theme in Stalin's Works" (2000), etc. '20th century Georgian Literature' (2002), 'Literary Essays' (2002).

He has a wife and two children. His wife-Manana Zivzividze is an instructor at Kutaisi State University; his daughter Sophia, a graduate from Missouri-Columbia University (USA), is now a Ph. D. student at the same University; his son Otar, is a student of Kutaisi State University.

# ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეროვნული  
გიმნასიანი

პირველ ყოვლისა მოგეხსალმებით შორეთიდან! გისურვებთ  
ჯანმრთელობასა და ყოველივე კარგს თქვენს ძვირფას ოჯახთან  
ერთად!

მიღებისთანავე გავეცანი თქვენს შრომას, რომელიც უძლვენით  
რაბინ დავიდ ბააზოვს. ვინაიდან დ. ბააზოვის შვილი გახლავართ  
(დედ-მამის ექვსი შვილიდან მხოლოდ მე ვარ გადარჩენილი),  
მარტო ესეც კი მავალდებულებს, გადაგიხადოთ უდიდესი  
მადლობა; თქვენ დრმად ჩასწვდით მის პიროვნებას. სტრიქონებს  
შორის ამოიკითხეთ ჭეშმარიტება და ამოხსენით მისი რაბა.

სხვადასხვა სახის მოწინააღმდეგეთა სფეროში მოხვედრიდ  
ადამიანს უთუოდ გაუძნელდებოდა გამოემუდავნებინა თავისი  
ჭეშმარიტი მიზანსწრაფვა. ნეტარხსენებულ დ. ბააზოვის  
მოღვაწეობა ემთხვეოდა სხვადასხვა პერიოდს, როდესაც  
მოვლენები დროის მიხედვით მიმდინარეობდა.

როგორც თქვენთვისაც ცნობილია, მის სამოღვაწეო ასპარეზს  
წარმოადგენდა მოსკოვი, ოდესა, რუსეთის სხვადასხვა ქალაქები,  
ხრდილოეთ კავკასია, შუა აზია და საქართველო. ყველაზე  
დიდ სიძნელებს ახალი იდეების გავრცელება-დანერგვაში ის  
სწორედ თავის საყვარელ საქართველოში წააწყდა.

დ. ბააზოვს მოწინააღმდეგენი გააფთრებული ებრძოდნენ;  
ერთი მაშიახის (ფანაგიკოსები) მოლოდინში დ. ბააზოვის  
ქადაგებას მკრეხელობად მიიჩნევდნენ, ცილს სწამებდნენ,  
აბეზდებდნენ, რჯულიდან გადადგომას აბრალებდნენ (დორს  
ჭამს და ეროვნებით რუსი ქალი შეირთოო. ჩვენი დედა რახელი  
მორწმუნე ებრაელის – ქონის შვილი იყო). იყო შემთხვევებიც,  
როცა მის ფიზიკურად მოსპობასაც ცდილობდნენ. ყოველნაირი  
საშუალებებით ებრძოდნენ. მეორე ფრონტს წარმოადგენდა  
ასიმილატორთა ჯგუფი (განათლებულ ინტელიგენტთა ნაწილი),  
რომელთაც ებრაული საკითხის გადასაჭრელად საჭიროდ  
ებრაულობიდან გაქცევა – ასიმილაცია მიაჩნდათ, როგორც  
ამას ადგილი პქონდა გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებშიც...

დ. ბააზოვის დასაცავად (ისრაელში) ხმა ამოიღო  
ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსმა შალვა ბებერაშვილმა  
(ახალციხიდან). ამ უკანასკნელმა კრებულში ამოიკითხა



რუსეთის სიონისტთა გამონათქვამები დ. ბააზოვზე, როგორც სიონისტზე. ასეთები გახლდნენ პროფ. ა. ცინციპერი, მწერლი აბრამ კარივი, ზევ ვაინშალი, ბარუხ ბარ-თიკვა, მორდეხაი ხანზინი, დავიდ მარგალითი.

ექიმმა ისაკ მეგრელიშვილმა ისრაელში გამომავალ ჟურნალ „დროშაში“ დასტამბა საპასუხო წერილი დ. ბააზოვის შესახებ. ი. მეგრელიშვილი ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე იცნობდა მას ქუთაისში როგორც პიროვნებასა და სიონისტს.

ახლა კი თქვენ მოგვევლინეთ, კეთილშობილო ქართველო ქრისტიანო! თქვენზე შეიძლება ითქვას, რომ ბრძანდებით „ხასიათი ქრისტიანი“.

მკელევარ დანიელ ხანანაშვილის პუბლიკაციასთან დაკავშირებით, თქვენ იძლევით შედეგ განმარტებას: „... მიუხედავად დ. ბააზოვის მტკიცებისა, თითქო მას სიონიზმთან არაფური ჰქონდა საერთო, ჩემის აზრით, ეს მთლად გულწრფელ განცხადებად მაინც არ უნდა მივიჩნიოთ. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს უკელაფერი სიმართლის შენიდბის მცდელობა უფრო, ვიდრე აშკარა და უტყუარი სინამდვილე. ეს რომ ასეა, პირველ ყოვლისა იმ აგრესიული დამოკიდებულებით დასტურდება, რომელსაც იმჟამინდელი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იჩენდნენ ხელისუფალნი სიონისტებისადმი. ამ მოძღვრების მიმდევარნი, როგორც წესი, მთავრობისაგან მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით, ცხადია, ვერც დ. ბააზოვი იქნებოდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი სიძნელეებს მაინც არ ჰპუებოდა და სიონისტური იდეაბის ქადაგება ცხოვრების უზენაეს იდეალად ქმონდა დასახული“.

რუსეთში ებრაელთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა ალექსანდრე III დროს. ებრაელების დევნა გამძაფრებულ ხასიათს იდებს. გახშირდა დარბევები, აწიოკება და ყოველგვარი შეზღუდვები; უფრო ადრე რუსეთში წარმოიშვა „ხასიათში“. ეს იყო ფანატიკოს ებრაელთა სექტა, რომელიც ელოდა მაშიახის მოხვდას. მაგრამ, როცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამწვავდა ებრაელთა მდგომარეობა, მაშინ რუსეთის ებრაელობამ იწყო გაძევება. გარბოდნენ ვინ სად! ბევრმა ოკეანესიქეთა კონტინენტს მიაღწია, ზოგი ერეც-ისრაელის ისტორიულ მიწა-წყალს მოადგა, რომელიც იმ დროს



თურქეთის მფლობელობაში შედიოდა. ისრაელის მიწა-წყალი  
გაპარტახებულ და გავერანებულ აღგილს წარმოადგინდა პირველმა და გაბედულმა ადამიანებმა, რომლებიც ცნობილი  
არიან „ბილუს“ ხალუციელების ხახელით, გამოფიტულ და  
გაქვავებულ ნიადაგს დაკრეს წერაქვი, ამოძირებულ სარეველა  
და მოიყვანეს მოსავალი. ასე ჩაუყარეს საფუძველი მომავალ  
სახელმწიფოს.

საქართველოში არავინ აიძულებდა ებრაელს გაქცეულიყო.  
არ დევნიდნენ, არ აწიოკებდნენ, არ ხოცავდნენ. მშვიდობიანად  
იცავდნენ მამა-პაპათა რჯულს. მაშიახის მოლოდინში  
თვლემდნენ და განაგრძობდნენ თავის უშფოთველ ყოფას. ასეთ  
ვითარებაში ნებისმიერ ადამიანს და ქონქრებულად დ. ბააზოვს  
გაუჭირდებოდა დაერწმუნებინა თავისი თემი, მონაწილეობა  
მიიღოთ ებრაელთა ერის მესამე ტაძრის აშენებაში. ე. ი.  
მოეწოდებინა სიონისაკენ.

ამიტომ მას კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო დაეწყო  
პირველი საფეხურიდან, რაც სწავლა-განათლების დანერგვაში  
გამოიხატებოდა. საჭირო იყო დაუფლებოდნენ ხელოსნობასა  
და სხვადასხვა სპეციალობას. ყველაფერ ამის შემდეგ ის  
იმედოვნებდა, რომ გამოჩნდებოდა ბრძოლის შემდგომი ეტაპიც.

ზოგს მიაჩნია, რომ დ. ბააზოვი ახალ-პამის სულიერი  
სიონიზმის მიმდევარი იყო. მე კი, პირადად (თუ არ შევცდები),  
ვიტყვი, რომ დ. ბააზოვი უფრო უსიშვინის რეალური სიონიზმის  
გამტარებელი იყო.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ თქვენი ობიექტური  
ხასიათის შრომებისათვის, რომლებიც უძლვენით დ. ბააზოვს,  
ყოველგვარი ნიუანსებითა და თვალთახედვით ამოხსენით მისი  
როლი, მაგრამ განაწარებ-გატანჯული პიროვნება.

**კეთილი სურვილებითა და პატივისცემით**

## კოლინა ბააზოვი

ხოლონი. ისრაელი.

6. 10. 2002 წელი

გულითადი მოკითხვა თქვენს ოჯახობას.

## რამდენიმე სიტყვა აპტორზე:



დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1966 წელს იქვე ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა. 1971 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის მედინსტიტუტი (ახლანდელი უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. 1974 წელს დაიცვა საქანდიდათო, 1983 წელს კი საღოქტორო დისერტაციები. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც განვლო გრადაციანებით რექტორობამდე. 1996 წლიდან არჩეულია უნივერსიტეტის რექტორად. 1987 წლიდან არის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე.

მინიჭებული აქვს სხვადასხვა პრემიები. მათ შორის: 1993 წელს ქართულ-ევროპული ინსტიტუტისა (პარიზი), 1995 წელს - საქართველოს მწერალთა კავშირისა და გამგე „მენორასი“ გერცელ ბააბოვზე დაწერილი ნაშრომისათვის, 1998 წელს - ნიკო ნიკოლაძისა.

1995 წლიდან არის გელათის მენიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი, 1999 წლიდან - ნიუ-იორკის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიისა. დაჯილდობულია „ლინსების ორდენით“ (1998 წ.). 1997 წლიდან არის ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე. გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი, მათ შორის: „ლექსიბი“ (1975 წ.), „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“, გ. I (1994 წ.), გ. II (1997 წ.), გ. III (2000 წ.), „ფიქტური თანამედროვე ქართულ ლირიკაზე“ (1981 წ.), „თვალთახედვა. ლიტერატურული წერილების კრებული“ (1987 წ.), „ლიტერატურული ეტიუდები“ (1988 წ.), „გაბრიელ ეპისკოპოსი“ (1990 წ.), „ნიკო ლორთქიშვილის“ (1992 წ.), „ვიორგი ლეონიძის ლირიკა“ (1993 წ.), „პალლო იაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება“ (1995 წ.), „დავით და გერცელ ბააბოვები“ (1995 წ.), „ეროვნული საკითხის სტალინის ნააბრევში“ (2000 წ.), „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“ (2002 წ.), „ლიტერატურული ნარკვევები“ (2002 წ.) და სხვ.

ჰყავს მეუღლე და ორი შეილი.



დავით ბააგოვი . მეცნიერებების მიმდევარი და მეცნიერებების მიმდევარი . . . . .	7
ცხოვრების გზა . . . . .	17
დავით ბააგოვი როგორც სიონისტი . . . . .	33
ეროვნულ-საგანმანათლებლო პროგრამა . . . . .	42
პოლემიკა ქართველ ებრაელ ასიმილაციონისტთან . . . . .	63
ბრძოლა ქართველი ხალხის . . . . .	70
ეროვნულ-სახელმწიფო ბრივი ინტერესებისათვის . . . . .	85
ბოლოთქმა . . . . .	86
გერმელ ბააგოვი . . . . .	86
წინათქმა . . . . .	87
ბიოგრაფიული ესკიზი . . . . .	94
შემოქმედება . . . . .	103
მხატვრული პრობა . . . . .	103
ა) „გელათის ქეჩის დასასრული“ . . . . .	103
ბ) „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ . . . . .	113
გ) ანგისემიგიგმის მამხილებელი მოთხრობები . . . . .	118
დ) „ვეთხაინი“ . . . . .	122
დრამატურგია . . . . .	140
ა) „დილლეამარ“ . . . . .	140
ბ) „მუნჯები ალაპარაკდნენ“ . . . . .	150
გ) „განურჩევლად პიროვნებისა“ . . . . .	157
დ) „იცკა რიექინაშვილი“ . . . . .	161
პუბლიცისტიკა . . . . .	169
ბოლოთქმა . . . . .	184
„ხმა ვპრაელისა“ - პირველი ქართულენოვანი ეპრაული გაგეოთი . . . . .	185
გაგეოთი „მაკაველი“ . . . . .	200
Essays in the History of the Georgian-speaking Jews' Literary and Journalistic Work . . . . .	224
Abstract . . . . .	224
David Baazov . . . . .	224
Gertzel Baazov . . . . .	226
The Newspaper 'Khma ebraelisa' . . . . .	229
The Newspaper 'Makaveeli' . . . . .	230
Some facts about the author . . . . .	231
კოლინა ბააგოვი - ბატონ ავთანდილ ნიკოლევიშვილს . . . . .	232
რამდენიმე სიტყვა ავტორები . . . . .	235

